

**ზვიად რობაზა
მიხეილ სხიერელი**

**საზღვარგარეთის ქვეყნების
საბაღასახადო სისტემები**

**თბილისი
2003 წელი**

რედაქტორი

ნუგზარ ქავთარაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

რეცენზენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლის კათედრა (კათედრის გამგე
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ქ. ქოქრაშვილი)

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების დახასიათება, მათი შინაარსი, სტრუქტურა და პრინციპები. დაწერილებითაა აღწერილი ევროპის კავშირის საგადასახადო სისტემა და ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების გადასახადების ძირითადი სახეები. ნორმატიულ-სამართლებრივი მასალების საფუძველზე აღწერილია დსთ-ის (რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი) და ბალტიისპირეთის ქვეყნების (ლატვია, ესტონეთი) საგადასახადო სისტემები. განხილულია აშშ-ის და კანადის, აგრეთვე იაპონიის, ჩინეთისა და სინგაპურის საგადასახადო სისტემების თეორიული და პრაქტიკული საკითხები.

განკუთვნილია გადასახადებით დაბეგვრის სფეროს სპეციალისტებისათვის, იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, ასპირანტებისა და მასწავლებლებისათვის.

**ZVIAD ROGAVA
MIKHEIL SKHIERELI**

**TAX SYSTEMS OF FOREIGN
STATES**

**TBILISI
2003**

Editor
Nugzar Kavtaradze,
Candidate of Economic Sciences

Reviewer
Legal Cathedra of the Technical University of Georgia
(chaired by K. Kokrashvili, Candidate of Legal Sciences, Senior
Lecturer).

Presented work provides general description of tax systems of foreign states, their contents, structure and principles. It gives detailed description of tax system of European Union and major types of taxes of European Union member states. Tax systems of CIS (Russia, Ukraine, Azerbaijan) and Baltic (Latvia, Estonia) states are illustrated on the basis of Legal and Normative materials. It also deals with theoretical and practical issues from the experience of US, Canadian, Japanese, Chinese and Singaporean tax systems.

The book will serve as a reference for taxation specialists, students of legal and economic departments, graduate students and teachers.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I. საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების ზოგადი დახასიათება	7
§ 1 საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების თანამედროვე ტენდენცია	7
§ 2 საზღვარგარეთის ქვეყნების არაპირდაპირი გადასახადების ზოგადი დახასიათება	12
§ 3 საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საშემოსავლო გადასახადების ზოგადი დახასიათება	18
§ 4 საზღვარგარეთის ქვეყნების ქონებრივი გადასახადების ზოგადი დახასიათება	28
§ 5 საზღვარგარეთის ქვეყნების ქონების გადაცემისათვის გადასახადის ზოგადი დახასიათება	31
§ 6 ევროპის თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების გადასახადების ძირითადი სახეები	32
§ 7 საგადასახადო თავშესაფრები და საგადასახადო ოაზისები	44
 თავი II. ევროპის ქვეყნების გადასახადები და საგადასახადო აღმინისტრაციები	 52
§ 1 დიდი ბრიტანეთის საგადასახადო სისტემა	52
§ 2 საფრანგეთის საგადასახადო სისტემა	58
§ 3 გერმანიის საგადასახადო სისტემა	67
§ 4 იტალიის საგადასახადო სისტემა	74
§ 5 ესპანეთის საგადასახადო სისტემა	85
§ 6 ავსტრიის საგადასახადო სისტემა	91
§ 7 შვედეთის საგადასახადო სისტემა	93
§ 8 დანიის საგადასახადო სისტემა	97
§ 9 ფინეთის საგადასახადო სისტემა	100
§ 10 შვეიცარიის საგადასახადო სისტემა	104
§ 11 ნიდერლანდების საგადასახადო სისტემა	108
§ 12 ირლანდიის საგადასახადო სისტემა	112
§ 13 ისლანდიის საგადასახადო სისტემა	117

§14 თურქეთის საგადასახადო სისტემა	121
თავი III. დსთ-ის ძველებს საბადასახადო სისტემები	126
§ 1 რუსეთის ფედერაციის საგადასახადო სისტემა	126
§ 2 უკრაინის საგადასახადო სისტემა	142
§ 3 აზერბაიჯანის საგადასახადო სისტემა	150
თავი IV. გალტიისპირეთის ძველებს საბადასახადო სისტემები	159
§ 1 ლატვიის საგადასახადო სისტემა	159
§ 2 ესტონეთის საგადასახადო სისტემა	164
თავი V. იაპონიის, ჩინეთისა და სინგაპურის საბადასახადო სისტემები	167
§ 1 იაპონიის საგადასახადო სისტემა	167
§ 2 ჩინეთის საგადასახადო სისტემა	173
§ 3 სინგაპურის საგადასახადო სისტემა	183
თავი VI. აშშ-ისა და კანადის საბადასახადო სისტემები	186
§ 1 აშშ-ის საგადასახადო სისტემა	186
§ 2 კანადის საგადასახადო სისტემა	201

თავი 1

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების სისტემების ზოგადი დახასიათება

§ 1. საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების თანამედროვე ტენდენცია

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ საგადასახადო მექანიზმების განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებაში, ასევე გავითვალისწინოთ ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში არსებული გადასახადებით დაბეგრის გამოცდილება.

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები ყალიბდებოდნენ სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების ზემოქმედებით. გადასახადების სახეებით, მათი სტრუქტურით, აკრეფის საშუალებებით, განაკვეთებით, ხელისუფლების სხვადასხვა დონის ფისკალური უფლებამოსილებით, საგადასახადო ბაზით, გადასახადების მოქმედების სფეროთი, საგადასახადო შეღავათებით საგადასახადო სისტემები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადს შეაქვს. ბიუჯეტის შემოსავლებში მნიშვნელობით მეორე ადგილზე სოციალური გადასახადებია, ხოლო შემდეგ არაპირდაპირი გადასახადები (დღგ, აქციზი, ბრუნვის გადასახადი, გაყიდვიდან გადასახადი და ა.შ.) და სამეწარმეო სუბიექტების პირდაპირი გადასახადები (მოგების გადასახადი და ქონებრივი გადასახადები).

დასავლეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების ორგანიზაციის მნიშვნელოვან პრინციპს ცენტრალური ბიუჯეტისა და ტერიტორიული ბიუჯეტების შემოსავლების მკვეთრი გამიჯვნა წარმოადგენს, რაც შეესაბამება ქვეყნის სახელმწიფო-პოლიტიკური

მოწყობის ფორმას. უნიტარულ სახელმწიფოებში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია) არსებობს ბიუჯეტების ორი დონე: ცენტრალური და ადგილობრივი, რომლებსაც შეესაბამებია საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეები. ფედერაციულ სახელმწიფოებში (აშშ, გერმანია, კანადა) ორგანიზებულია ბიუჯეტის სამი დონე და შესაბამისად საგადასახადო შენატანების სამი დონე – ფედერალური, რეგიონალური, ადგილობრივი.

საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემები ბიუჯეტის შევსების ფისკალური ფუნქციის გარდა წარმატებით ახორციელებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელ ფუნქციებს. საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემებში წამყვანი როლი საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს გააჩნია, თუმცა ადგილობრივი გადასახადების როლი და მნიშვნელობა სხვადასხვა ქვეყნებში აშკარად განსხვავებულია (მაგალითად, აშშ და ნორვეგია). საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს, როგორც წესი, მიეკუთვნებიან პირდაპირი გადასახადები, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საშემოსავლო გადასახადი და გადასახადი კორპორაციათა შემოსავლებიდან. რეგიონალურ და ადგილობრივ გადასახადთა რიცხვს ძირითადად არაპირდაპირი გადასახადები შეადგენენ (დღგ, აქციზი, გაყიდვიდან გადასახადი). ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შემოსავლების ძირითად წყაროს ქონებისა და მიწის გადასახადები, აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადი წარმოადგენს.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან ქვეყანაში ადგილი ჰქონდა ფართომასშტაბიან საგადასახადო რეფორმებს.¹ საგადასახადო რეფორმები მიმართული იყო გადასახადების სტრუქტურის გამარტივებაზე, პრინციპების სრულყოფაზე, საგადასახადო შეღავათების შემცირებაზე და გადასახადებისაგან თავის არიდების საწინააღმდეგო მექანიზმების შემუშავებაზე, მთლიანობაში კი – საგადასახადო სისტემის ეფექტურობის სრულყოფაზე.

აუცილებელია აღინიშნოს საგადასახადო რეფორმების თანამიმდევრული და ევოლუციური ხასიათი. არც ერთი მათგანი არ განხორციელებულა ერთდროულად. აშშ-ში რეფორმა

¹ ამ საკითხზე უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: *Караваева И. Новый подход в политике налогового регулирования: 80–90-е годы / Законодательство и экономика, 1990, № 19-20, стр. 21-75.*

განხორციელდა ორ ეტაპად – 1981 და 1986 წლებში. დიდ ბრიტანეთში იგი დაიწყო 1979 წელს და მიმდინარეობდა ათი წლის განმავლობაში. გურ-ში რეფორმა განხორციელდა სამ ეტაპად: 1986, 1988 და 1990 წლებში. თითქმის თხუთმეტწლიანი თეორიული მომზადების შემდეგ კი 1998 წელს იაპონიაში განხორციელდა საგადასახადო რეფორმა. შედეგად 1991 წლის რეფორმისათვის მზადებას 5 წელი დასჭირდა.

თითქმის ყველა ქვეყანაში საგადასახადო სისტემის რეფორმის ძირითად მიმართულებად საშემოსავლო და საწარმოთა მოგების გადასახადების სისტემების ლიბერალიზაცია გვევლინება. აღნიშნული განხორციელდა საგადასახადო ბაზის გაფართოებასთან ერთად, საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო შეღავათების შემცირების გზით. მაგალითად, აშშ-ში საშემოსავლო გადასახადის 14-თანრიგის შკალის ნაცვლად შემოღებული იქნა მხოლოდ 4 თანრიგი. კორპორაციათა მოგების გადასახადის მაქსიმალური საგადასახადო განაკვეთი 46%-დან შემცირდა 39%-მდე პარალელურად გაუქმდა საგადასახადო სესხი, შეიზღუდა დაქარბული ამორტიზაცია, გაიზარდა დაუბეგრავი მინიმუმი, შემცირდა შეღავათების ოდენობა.

დიდ ბრიტანეთში საგადასახადო რეფორმა მიმდინარეობდა დევიზით: „დაბალი გადასახადები ქმნიან ეფექტურ ეკონომიკას“. საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი ყველაზე მაღალ შემოსავლებზე 98%-დან 60%-მდე შემცირდა. კორპორაციული გადასახადი 52%-დან 35%-მდე შემცირდა. აღნიშნულმა საგადასახადო პოლიტიკამ დიდ ბრიტანეთში გადაწყვიტა ქვეყნიდან შემოსავლების გადინების პრობლემა და გადალახა საგადასახადო ემიგრაციის ნეგატიური შედეგები.

გურ-ის საგადასახადო რეფორმის ძირითად მიმართულებას მოსახლეობისათვის, განსაკუთრებულად კი იმ ოჯახებისათვის, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავდათ არასრულწლოვანი ბავშვები საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო ტვირთის შემცირება წარმოადგენდა. 1986-88 წლებში გაიზარდა გადასახადით დაუბეგრავი მინიმუმი, შემცირდა საგადასახადო პროგრესია, გაფართოვდა დაბეგრის პროპორცია, გაუქმდა მთელი რიგი საგადასახადო შეღავათები და სხვა. 1990 წელს გადასახადის საწყისი განაკვეთი 22%-დან შემცირდა 19%-მდე, ხოლო მაქსიმალური – 53%-მდე. გერმანიის საგადასახადო რეფორმამ გარდაქმნა კორპორაციული გადასახადი შემდეგი

პრინციპით: „სჯობს დაბალი განაკვეთები და ცოტა შეღავათები, ვიდრე მაღალი განაკვეთები და მრავალი შეღავათები“.

არაპირდაპირი გადასახადების სისტემაში საგადასახადო რეფორმები განხორციელდა საბიუჯეტო შემოსავლების ნაწილში საგადასახადო მოსაკრებლებისა და აქციზის ფისკალური მნიშვნელობის შემცირებით. ამასთან, გაძლიერდა დამატებული ღირებულების გადასახადის როლი და მას მიენიჭა უნივერსალური მნიშვნელობა. XX საუკუნის 70-80-იან წლებში დამატებული ღირებულების გადასახადმა შეცვალა ბრუნვის გადასახადი და ზოგიერთი აქციზი. XX საუკუნის 80-იან წლებში დღე შემოღებული იქნა სამხრეთ-დასავლეთის რეგიონში, აგრეთვე ამერიკისა და აფრიკის ქვეყნების საგადასახადო სისტემებში. 1989 წელს დღე შემოღებული იქნა აგრეთვე იაპონიაში. რეფორმების შედეგად დღე-ის წილმა საერთო საბიუჯეტო შემოსავლებში 10-25%-ი შეადგინა.

XX საუკუნის 80-90-იან წლებში საზღვარგარეთის ქვეყნებში გატარებული საგადასახადო რეფორმის შედეგად გამოიკვეთა ორი ძირითადი ტენდენცია. სახელმწიფოთა ერთმა ჯგუფმა (აშშ, კანადა, ავსტრალია, იაპონია და სხვა) ძირითადი აქცენტი გადაიტანა პირდაპირი გადასახადების სისტემის გარდაქმნაზე. ქვეყნების მეორე ჯგუფმა კი (ევროპის) ძირითადად არაპირდაპირი გადასახადების მნიშვნელობის ამაღლებაზე. აღნიშნულის მიუხედავად, საზღვარგარეთის ქვეყნებში საგადასახადო სისტემების ეფექტურობის ამაღლების გზების ძიება კვლავაც გრძელდება.

საზღვარგარეთის ქვეყნებში დღეისათვის მიმდინარეობს საგადასახადო სისტემის ძირითადი მაჩვენებლებისა და ეროვნული საგადასახადო სამართლის პარამონიზაცია.

დებულება ეროვნული საგადასახადო სისტემებისა და საგადასახადო კანონმდებლობის უნიფიცირების შესახებ პირველად დაფიქსირებული იქნა რომის 1957 წლის 25 მარტის შეთანხმებით. ეს ფაქტიურად ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის შექმნას ნიშნავდა, რომელშიც თავდაპირველად დიდი ბრიტანეთი, იტალია, საფრანგეთი, გერ, ესპანეთი, ბელგია, საბერძნეთი, ნიდერლანდები, პორტუგალია, დანია, ირლანდია და ლუქსემბურგი გაერთიანდა. თავდაპირველად საგადასახადო სისტემების უნიფიკაცია მხოლოდ საბაჟო კავშირის შექმნის ჩარჩოებში ხორციელდებოდა, ხოლო

შემდგომში ევროპის სახელმწიფოების საგადასახადო სისტემების დაახლოების პრობები ერთიანი საფინანსო პოლიტიკის გატარების ჩარჩოებში ჩამოყალიბდა. ინტეგრაციული პროცესების ძირითად მიმართულებად XX საუკუნის 60-იან წლებში საერთაშორისო ორმაგი დაბეგერის პრობლემების გადაჭრა, გადასახადებისაგან თავის არიდების ხელის შემწყობი დებულებების შეცვლა, არარეზიდენტების საგადასახადო დისკრიმინაციის პრობების ლიკვიდაცია და სხვა გვევლინება.

ევროპაში ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების განვითარების შედეგად თანდათანობით ჩამოყალიბდა იდეა იმის თაობაზე, რომ ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნები საერთო საგადასახადო პოლიტიკის გატარებიდან გადასულიყვნენ ერთიან ტერიტორიულ საგადასახადო რეჟიმზე. აღნიშნული იდეის განხორციელებისათვის ხელი უნდა შეეწყოს შემდეგ პრინციპებს, რომლითაც იხელმძღვანელებდნენ მონაწილე ქვეყნები:

- ეროვნული საგადასახადო პოლიტიკა არ უნდა უშლიდეს ხელს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას;
- თითოეული ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა არ უნდა უშლიდეს ხელს პროდუქტების თავისუფალ გადაადგილებას;
- სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის პოლიტიკის მიმართულებებს.

აღნიშნული პრინციპების შესრულება გარანტირებულია ევროპის სასამართლოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობით.

გარდა ამისა, საგადასახადო სისტემების ჰარმონიზაცია ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობის შეთანხმების პროცესში ვლინდება. ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, შემოღებული იქნა დღგ-ის ახალი საგადასახადო რეგულირება, რომელიც ითვალისწინებდა ამ გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის პრინციპების უნიფიკაციას, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელებისას ერთიანი წესების შემოღებას, ასევე საგადასახადო განაკვეთების დონის მიახლოებას.

პირდაპირი გადასახადების პარმონიზაციის მიზნით XX საუკუნის 80-90-იან წლებში აქტიურად მიმდინარეობდა საამორტიზაციო ანარიცხების სისტემის ერთიანი წესების დადგენის, შეიღობილი კომპანიების დაბეგერისას ერთიანი განაკვეთების შემოღების და ა.შ. პოლიტიკა.

§ 2 საზღვარგარეთის ძველების არაპირდაპირი ბაღასახადების ზოგადი დახასიათება

ძირითად არაპირდაპირ გადასახადებს აქციზი, ბრუნვის გადასახადი, გაყიდვიდან გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, საბაჟო გადასახადები და მოსაკრებლები მიეკუთვნება.

აქციზის აკრეფას შეიძლება ახორციელებდეს როგორც ცენტრალური მთავრობა, ასევე რეგიონალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიც. აქციზის ცენტრალიზებული აკრეფა, როგორც წესი, დამახასიათებელია უნიტარული სახელმწიფოებისათვის. რეგიონალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ აქციზის აკრეფის უფლებამოსილება, მათი განაკვეთების დაწესება ან შეცვლა დამახასიათებელია ფედერაციული ან კონფედერაციული სახელმწიფოებისათვის.

აქციზის გადამხდელებს, როგორც წესი, აქციზით დასაბეგრი საქონლის მწარმოებლები წარმოადგენენ. ზოგჯერ აქციზის გადახდის ვალდებულება საქონლის საბითუმო შემსყიდველებსა და აქციზით დასაბეგრი საქონლის რეალიზატორებს ეკისრებათ.

შესაძლებელია არსებობდეს აქციზის შემდეგი სახის განაკვეთები: ერთიანი – ერთგვაროვან საქონელზე (მარილი, შაქარი, სპირტი); დიფერენცირებული – სხვადასხვა ნიშნებით კლასიფიცირებული საქონლისათვის: ხარისხით, ალკოჰოლის შემცველობით და ა.შ. (ღვინოები, ზეთები, ნავთობპროდუქტები).

აქციზის განაკვეთები იყოფა: მყარ (სპეციფიკურ) განაკვეთებად – დადგენილია დაბეგერის ერთეულზე აბსოლუტურ თანხაში; ადვალურ განაკვეთებად – დადგენილია რეალიზებული საქონლის ან მომსახურების ფასის მიმართ პროცენტებში. განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული აქციზის სპეციფიკური

განაკვეთების გამოყენება. ისინი, როგორც წესი, დადგენილია ისეთ ერთგვაროვან საქონელზე, როგორცაა მარილი, შაქარი, ასანთი, სპირტი და სპირტის შემცველი პროდუქტები, ნავთობპროდუქტები. ადვალური განაკვეთები, როგორც წესი, გამოიყენება საიუველირო ნაწარმის, ავტომობილების, ბეწვეულისა და სხვა ისეთი საქონლის დაბეგერისას, რომლებიც ფუფუნების საგნებს მიეკუთვნებიან.

აქციზი გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როდესაც აქციზით დასაბეგრი საქონლის წარმოება ხორციელდება კერძო მეწარმეების მიერ. ამასთან, მთელ რიგ ქვეყნებში აქციზით დასაბეგრი საქონლის წარმოება ცხადდება სახელმწიფო მონოპოლიად. სახელმწიფო ფისკალური მონოპოლია წარმოადგენს სახელმწიფოს მონოპოლიას ფართო მოხმარების საქონლის (თამბაქო, ასანთი, მარილი, და ა.შ.) წარმოებაზე და რეალიზაციაზე. სახელმწიფო მონოპოლიის ობიექტებს შეიძლება ასევე წარმოადგენდეს საგარეო ვაჭრობა, ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს ნაწარმის და ა.შ. წარმოება და რეალიზაცია.

სახელმწიფო ფისკალური მონოპოლია შეიძლება იყოს სრული, როდესაც სახელმწიფო ახდენს ამა თუ იმ საქონლის როგორც წარმოების, ასევე რეალიზაციის მონოპოლიას და ნაწილობრივი, რომლის დროსაც ხდება ან მხოლოდ წარმოების ან მხოლოდ რეალიზაციის მონოპოლია.

სახელმწიფო ფისკალური მონოპოლია დგინდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის მიზნით. ამასთან, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო იღებს არა გადასახადს, არამედ სამეწარმეო შემოსავალს. თანამედროვე პირობებში სახელმწიფოებრივ ფისკალურ მონოპოლიას ადგილი აქვს იტალიაში (თამბაქო, მარილი, ასანთი), გერმანიაში (ღვინო), საფრანგეთში (თამბაქო, ასანთი, ლუდი, სპირტი), იაპონიაში (მარილი, თამბაქო, სპირტი, ოპიუმი) და სხვა ქვეყნებში.

ბრუნვის გადასახადებში იგულისხმება არაპირდაპირი გადასახადების ჯგუფი, რომელთა გადახდაც წარმოებს საწარმოების მიერ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ბრუნვიდან, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში სამეწარმეო საქმიანობის მიმდევარი ფიზიკური პირების მიერ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის მოცულობიდან.

აქციზისაგან განსხვავებით, რომელიც იკრიფება საქონლის ან მომსახურების ცალკეულ სახეებზე, ბრუნვის გადასახადებით იბეგრება ყველა საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) წარმოება და რეალიზაცია, გარდა კანონით განთავისუფლებულისა. უმეტეს შემთხვევებში აღნიშნული გადასახადებით იბეგრება ქვეყნის შიგნით მიწოდებული ფართო მოხმარების საქონელი და მომსახურების სფეროს საწარმოების მიერ გაწეული მომსახურება.

ბრუნვის გადასახადმა მიიღო ფართო გავრცელება პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (1914 – 1918 წლებში) თავდაპირველად გერმანიაში და საფრანგეთში, ხოლო შემდეგ სხვა ქვეყნებში. გადასახადის შემოღება თავდაპირველად ფისკალურ მიზნებს ისახავდა: დამატებითი სახსრების მოთხოვნების დაკმაყოფილება, ბიუჯეტის მწვავე დეფიციტის დაფარვა.

თავდაპირველად გადასახადით იბეგრებოდა საქონლის წარმოების ან მოძრაობის ყველა სტადია (გარდა საწარმოს შიგნით განხორციელებული ბრუნებისა). აღნიშნული სისტემა მოქმედებდა გურში, ბელგიაში, ავსტრიაში და სხვა სახელმწიფოებში. შემდგომში უმეტესი სახელმწიფოები გადავიდნენ დაბეგერის გაცილებით მარტივ საშუალებაზე, რომლის თანახმადაც, ბრუნვიდან გადასახადის აკრეფა ხორციელდება მხოლოდ ერთხელ – ან წარმოების სტადიაზე, ან საბითუმო და საცალო ვაჭრობის სტადიაზე, თუმცა გაცილებით მაღალი განაკვეთებით.

განვითარებულ ქვეყნებში ბრუნვიდან გადასახადების გავრცელება აიხსნება არა მხოლოდ მათი ფისკალური მნიშვნელობით, არამედ წარმოების პროცესზე ზემოქმედების გამოყენების შესაძლებლობით. ექსპორტიორების ბრუნვიდან გადასახადისაგან განთავისუფლებით, სახელმწიფო სტიმულს აძლევს საქონლის ექსპორტს.

საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) მწარმოებელი და რეალიზატორი საწარმოების ბრუნვის დაბეგვრა შეიძლება განხორციელდეს ერთიანი ან ინდივიდუალური განაკვეთებით.

ცალკეული დარგების და ცალკეული სახეობის საქონლის ან მომსახურების ბრუნვის დაბეგვრა ინდივიდუალური განაკვეთებით თავისი არსით თითქმის არ განსხვავდება აქციზით დაბეგერისაგან.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან ბევრ ქვეყანაში დაიწყო ბრუნვის გადასახადის გარდაქმნა დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ). დღგ გამოიყენება 50-ზე მეტი ქვეყნის საგადასახადო სისტემებში, კერძოდ ევროპის კავშირის ყველა ქვეყანაში. დღგ-ის დაწესება – ევროპის კავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი პირობაა. პირველად გადასახადი შემოდებული იქნა საფრანგეთში 1954 წელს. განვითარებული ქვეყნებიდან ერთადერთ ქვეყანას აშშ წარმოადგენს, რომელიც არ იყენებს დღგ-ს. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ კანადაში, იაპონიაში, ახალ ზელანდიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში არსებული დღგ-ის სისტემა არსებითად განსხვავდება ევროპის ქვეყნებში მოქმედი დღგ-ის სისტემისაგან.

დღგ-ის საგადასახადო ბაზას წარმოადგენს ღირებულება, რომელიც დამატებულია საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის ყოველ სტადიაზე. დამატებული ღირებულება მოიცავს ხელფასს დარიცხვებით, ამორტიზაციას, სესხის პროცენტს, მოგებას, ელექტროენერჯიის ხარჯებს, რეკლამას, ტრანსპორტს და სხვა. მომხმარებლისათვის მიწოდებული საქონლის ფასში შედის დღგ-ის საერთო თანხა, რომელიც გადახდილია მეწარმის მიერ საქონლის მოძრაობის ყველა სტადიაზე. ამრიგად, მომხმარებელი ამ გადასახადის ერთადერთი და საბოლოო გადამხდელია. დღგ წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ფისკალურ ინსტრუმენტს. საფრანგეთში მისი წილი ყველა არაპირდაპირ გადასახადებში 80%-ს, ხოლო გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში 50%-ს აღემატება.

დღგ-ით დაბეგრისას, როგორც წესი, გამოიყენება სტანდარტული (პირითადი) განაკვეთი და დაბალი განაკვეთები. მთელ რიგ ქვეყნებში გამოიყენება გადასახადის ნულოვანი განაკვეთი. ცალკეულ ქვეყნებში გამოიყენება დღგ-ისაგან განთავისუფლება და დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით დაბეგერა. ნულოვანი განაკვეთით დაბეგრისას საქონლის რეალიზატორს უფლება აქვს მოითხოვოს გადახდილი დღგ-ის ჩათვლა ან მისი დაბრუნება. ნულოვანი განაკვეთით დაბეგერა გამოიყენება საქონლისა და მომსახურების ექსპორტისას, ასევე საერთაშორისო ვაჭრობის სფეროსთან დაკავშირებული მომსახურების მიმართ. გარდა ამისა, ცალკეულ ქვეყნებში (ბელგია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და სხვა)

გამოიყენება დღგ-ის მაღალი განაკვეთები ფუფუნების საგნებისა და მომსახურების ცალკეული სახეების მიმართ.

დღგ-ის საგადასახადო ვალდებულების გამოანგარიშება შეიძლება განხორციელდეს ოთხი ძირითადი მეთოდით. განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ჩათვლის მეთოდი (არაპირდაპირი გამოქვითვის ანუ ინვოისური მეთოდი), რომლის დროსაც ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ის თანხა გამოანგარიშება როგორც სხვაობა მყიდველის მიერ გადახდილ დღგ-ის თანხასა და გამყიდველის მიერ დარიცხულ გადასახადის თანხას შორის.

საგადასახადო სისტემებში დღგ-ის გამოყენება ხშირად მთელ რიგ პრობლემებს წარმოშობს. დღგ-ის ადმინისტრირებისას ეფექტურობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ საგადასახადო ორგანოების მხრიდან გადასახადის გადამხდელთა ტოტალური კონტროლის პირობებში.

განსაკუთრებით დიდ და სტაბილურ შემოსავლებს ბიუჯეტს დღგ-ის სახით აძლევენ მსხვილი სამრეწველო და სავაჭრო საწარმოები. როგორც წესი, დღგ-ის გამოყენებისას პრობლემურ სფეროს საცალო ვაჭრობის საწარმოები წარმოადგენენ. ამასთან, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საცალო ვაჭრობა ინდივიდუალური მეწარმეების მიერ წარმოებს.

დღგ წარმოადგენს გადასახადს, რომელსაც პრაქტიკულად არ გააჩნია საგადასახადო შენატანების მინიმუზაციის ლეგალური საშუალებები. ამასთან, თუ საგადასახადო ორგანოებს არ ძალუძთ ერთდროულად გააკონტროლონ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მყიდველი და გამყიდველი, ასეთ შემთხვევებში შეიძლება წარმოიშვას გადასახადებისაგან თავის არიდების უამრავი შესაძლებლობა, კერძოდ კი ფიქტიური ანგარიშ-ფაქტურების შედგენა. დღგ-ის გამოანგარიშების სისწორეზე კონტროლის დაწესების აუცილებელ პირობას პერიოდული ანგარიშგების მკაცრი სისტემა და ანგარიშგების საკმაოდ რთული ფორმები წარმოადგენს, რაც განაპირობებს პროფესიონალი ბუღალტრების გაფართოებული შტატის შენახვასა და მნიშვნელოვან დანახარჯებს. ასეთი მოთხოვნები შეიძლება ვერ შეასრულონ ინდივიდუალურმა მეწარმეებმა, რაც თავის მხრივ, ავიწროებს დღგ-ის გამოყენების სფეროს. უმეტეს ქვეყნებში დღგ-ისაგან თავისუფლდებიან უმნიშვნელო ბრუნვის მქონე სამრეწველო და

სავაჭრო საწარმოები ან მათთვის დგინდება შედარებით ხანგრძლივი გადასახადო პერიოდები. როგორც წესი, დღგ-ისაგან თავისუფლებიან სამეწარმეო საქმიანობის მიმდევარი ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა ბრუნვა არ აღემატება კანონით დადგენილ ზღვარს.

გაყიდვიდან გადასახადი წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს, რომლის დაბეგერის ობიექტს საქონლის და (ან) მომსახურების რეალიზაციის ბრუნვა წარმოადგენს. გაყიდვიდან გადასახადები შეიძლება დავყოთ ზოგად და სპეციალურ გადასახადებად. სპეციალური გაყიდვიდან გადასახადები თავისი არსით აქციზის ნაირსახეობას წარმოადგენენ. დღგ-ისაგან განსხვავებით გაყიდვიდან გადასახადი, როგორც წესი, იკრიფება მხოლოდ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციის ქსენოში, ხოლო რეალიზაციის ობიექტს საცალო ვაჭრობის ან მოსახლეობისათვის მომსახურების გამწევი საწარმოს (ფიზიკური ან იურიდიული პირის) მთლიანი ერთობლივი ბრუნვა წარმოადგენს.

აღნიშნული გადასახადი განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება აშშ-ში, სადაც იგი შემოღებულია ცალკეული შტატების საკანონმდებლო ორგანოების მიერ. გაყიდვიდან გადასახადის სახით ჩარიცხული თანხები საერთო საგადასახადო შემოსავლების ერთ მესამედს შეადგენს (დღგ და გაყიდვიდან გადასახადი ერთდროულად გამოიყენება მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში და კანადაში).

საბაჟო მოსაკრებლების გადახდა, როგორც წესი, წარმოებს საქონლის ექსპორტის, საქონლის იმპორტის და საქონლის ტრანზიტის შემთხვევებში. მიზნობრიობიდან გამომდინარე საბაჟო მოსაკრებლები იყოფა ფისკალურ მოსაკრებლებად (რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი როლი ბიუჯეტის შემოსავლებში), პროტექციონისტულ მოსაკრებლებად (იცავს შიდა ბაზარს უცხოური საქონლის შეღწევისაგან), ანტიდემპინგურ მოსაკრებლებად (პროტექციონისტული მოსაკრებლების ნაირსახეობა), პრეფერენციალურ მოსაკრებლებად (შეღავათიანი მოსაკრებლები, რომლებიც, როგორც წესი, საერთაშორისო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წესდება იმ საქონლის მიმართ, რომელიც წარმოებულია ხელშეკრულ სახელმწიფოებში).

საბაუო მოსაკრებლების ფისკალური მნიშვნელობა განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, დაბალია.

§3. საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საშემოსავლო გადასახადების ზოგადი დახასიათება

საზღვარგარეთის ქვეყნებში ფიზიკურ პირთა შემოსავლებზე გადასახადები განსაკუთრებით მრავალფეროვანია. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრამ განსაკუთრებული გავრცელება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო. თითოეულ ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადს გააჩნია თავისი განსაკუთრებულობა, რაც განპირობებულია ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორებით. თუმცა შესაძლებელია გამოეყოთ ზოგიერთი საერთო ნიშანი, რაც დამახასიათებელია უმეტესი განვითარებული ქვეყნებისათვის.

გადასახადის გადამხდელებს სრულწლოვანი ფიზიკური პირები, ხოლო ცალკეული სახის შემოსავლებზე, ასევე არასრულწლოვანი ფიზიკური პირები წარმოადგენენ. გადასახადის გადამხდელები, როგორც წესი, იყოფიან რეზიდენტებად და არარეზიდენტებად. რეზიდენტობის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს ქვეყანაში ფიზიკური პირის არსებობა საფინანსო წელს განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. უმეტეს ქვეყნებში ეს პერიოდი ექვს ან მეტ თვეს (183 დღეზე მეტ ხანს) შეადგენს. თუ აღნიშნული კრიტერიუმი კონკრეტული შემთხვევისათვის არასაკმარისია, გამოიყენება შემდეგი დამატებითი კრიტერიუმები: ძირითადი საცხოვრებელი ადგილი, სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი, ეროვნება, მოქალაქეობა და ა.შ.

გადასახადის გადამხდელთა დაყოფის არსი რეზიდენტებად და არარეზიდენტებად მდგომარეობს იმაში, რომ რეზიდენტებს ეკისრებათ სრული საგადასახადო ვალდებულება, ე.ი. ექვემდებარებიან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ მიღებული შემოსავლების მიხედვით, ხოლო არარეზიდენტებს ეკისრებათ შესაძლებელი საგადასახადო ვალდებულება, ე.ი. გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ

მოცემულ ქვეყანაში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლები. ცალკეული ქვეყნები ადგენენ სხვა წესებს. აშშ-ში, მაგალითად, ფიზიკურ პირთა რეზიდენტებად და არარეზიდენტებად დაყოფა გამოიყენება მხოლოდ იმ პირების მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ აშშ-ის მოქალაქეებს (სხვა უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები), ხოლო აშშ-ის ყველა მოქალაქეს ეკისრება სრული საგადასახადო ვალდებულება.

საგადასახადო ვალდებულების გამომწვევების საწყის ბაზას გადასახადის გადამხდელის ერთობლივი წლიური შემოსავალი წარმოადგენს, რომელიც მოიცავს მოცემული ფიზიკური პირის მიერ საგადასახადო (საფინანსო) წლის განმავლობაში საგადასახადო კანონმდებლობაში მითითებული წყაროებიდან მიღებულ ყველა შემოსავალს. ერთობლივი წლიური შემოსავალი, როგორც წესი, ხელფასთან ერთად მოიცავს სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს, აგრეთვე სხვა განაცემებს: დახმარება, ანაზღაურება ნატურით, საკომპენსაციო განაცემები, მატერიალური ან არამატერიალური სარგებელი.

არც ერთ ქვეყანაში გადასახადის გადამხდელის ერთობლივი წლიური შემოსავალი არ ემთხვევა გადასახადით დასაბეგრ შემოსავალს, რომლის მიმართაც გამოიყენება საშემოსავლო გადასახადის მოქმედი განაკვეთები. გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი ერთობლივ წლიურ შემოსავალთან შედარებით ყოველთვის ნაკლებია კანონმდებლობის შესაბამისად ნებადართული გამოქვითვების თანხით. აღნიშნულ გამოქვითვებს, როგორც წესი, მიეკუთვნება დაუბეგრავი მინიმუმი, პროფესიონალური ხარჯები, სხვადასხვა სახის ინდივიდუალური, ოჯახური გამოქვითვები, ბავშვებისათვის დაწესებული გამოქვითვები, სხვადასხვა სახის სოციალური დანიშნულებისა და სავალდებულო დაზღვევის ფონდებში ფაქტურად გადახდილი თანხები. ფიზიკური პირის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით ნებადართული გამოქვითვების სისტემას გააჩნია დიდი მნიშვნელობა. ექსპერტთა უმეტესობა ამბობს, რომ იმ ქვეყანაში გადასახადებით დაბეგვრის დონეს აფასებს არა საგადასახადო განაკვეთების, არამედ მოცემულ ქვეყანაში ნებადართული საგადასახადო გამოქვითვების მოცულობით.

საგადასახადო გამოქვითვების სისტემასთან ერთად გამოიყენება საგადასახადო ჩათვლების სისტემა. თუ საგადასახადო გამოქვითვა გამოიყენება გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის გამოსაანგარიშებლად, საგადასახადო ჩათვლა ამცირებს გამოანგარიშების შედეგად მიღებულ გადასახადით დასაბეგრ შემოსაველს, ესე იგი ეს ის თანხაა, რომლითაც გადასახადის გადამხდელს შეუძლია შეამციროს თავისი საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება.

გარდა ერთობლივი შემოსავლიდან ნებადართული გამოქვითვებისა და ჩათვლებისა, რომლებიც გამოიყენება ყველა კატეგორიის გადასახადის გადამხდელების მიმართ, მოქმედებს სპეციალური საგადასახადო შეღავათები.

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები ყოველთვის დაწესებულია კანონით. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შეცვლა (ისევე როგორც სხვა გადასახადების განაკვეთები) დაუშვებელია საგადასახადო პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, შეუძლებელია საშემოსავლო გადასახადის დაბეგრის სხვა არსებითი პირობების გადასინჯვა. ყველა ქვეყანაში კატეგორიულად აკრძალულია ინდივიდუალური საგადასახადო შეღავათების დაწესება, ეი შეღავათების, რომელიც შეიძლება მიენიჭოს ცალკეულ პირებს. შეღავათები შეიძლება დაწესდეს მხოლოდ პირთა კატეგორიის მიმართ.

ყველა განვითარებულ ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები პროგრესულია და როგორც წესი აგებულია რთული პროგრესიის სისტემით. უკანასკნელ წლებში უმეტესი განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია საშემოსავლო გადასახადების განაკვეთების შემდეგი ცვლილებები: მაქსიმალური განაკვეთების მნიშვნელოვანი შემცირება, გამოსაყენებელი განაკვეთების რიცხოვნობის შემცირება, დაუბეგრავი მინიმუმის, ინდივიდუალური და ოჯახური გამოქვითვების ზრდა.

უმეტეს ქვეყანაში მეუღლეებს უფლება აქვთ გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადი როგორც დაბეგრის ინდივიდუალური, ასევე ერთობლივი სისტემით. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება ოჯახის შემოსავლების ერთობლივი დაბეგრის სისტემა, საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისას გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის მიმართ გამოიყენება დაბალი განაკვეთები.

საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებას ახორციელებენ უშუალოდ გადასახადის გადამხდელები. გადასახადის გადამხდელს ეკისრება ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საგადასახადო ორგანოებში არასწორი ინფორმაციის წარდგენისათვის, საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის უზუსტობისათვის, გადასახადების არათავისდროული გადახდისათვის და საგადასახადო ორგანოებში ინფორმაციის არათავისდროული წარდგენისათვის. დეკლარაციის საფუძველზე გადასახადის გადახდის სისტემასთან ერთად ყველა ქვეყანაში მოქმედებს გადასახადის დაკავების სისტემა შემოსავლის გაცემის წყაროსთან.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადები უფრო ხშირად მიეკუთვნება საერთო-სახელმწიფოებრივ (ცენტრალურ, ფედერალურ, კონფედერალურ) გადასახადებს, თუმცა ბევრ ქვეყანაში ფიზიკური პირების შემოსავლებზე მოქმედებს სხვადასხვა სახის დამატებითი გადასახადები, დანაშატები ცენტრალურ გადასახადებზე, რომლებიც ირიცხება რეგიონების (შტატების, პროვინციების, მიწების) ბიუჯეტებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (ქალაქების, რაიონების, ოლქების, მუნიციპალიტეტების, თაუნშიფების და ა.შ.) ბიუჯეტებში. ამასთან, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადების აკრფის რეგლამენტაცია, როგორც წესი, მიეკუთვნება ხელისუფლების ცენტრალური დონის კომპეტენციას. საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე განისაზღვრება დაბეგვრის ობიექტები, გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრის მეთოდთა, განაკვეთების დონე, გამოქვითვებისა და ჩათვლების პირობები და მოცულობა, საგადასახადო შეღავათების მინიჭებისა და გამოყენების ზოგადი პირობები, გადასახადების გადახდის ვადები და წესი და ანგარიშგების წარდგენის პერიოდულობა. რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე, როგორც წესი, შეუძლიათ შეცვალონ მხოლოდ განაკვეთების მოცულობა. გარდა ამისა, ცალკეულ ქვეყნებში ნებადართულია ადგილობრივი შეღავათების გამოყენება განსაზღვრული კატეგორიის პირებისათვის, თუმცა ასეთი შეღავათების გამოყენების წესები უმეტეს ქვეყნებში ასევე დაწესებულია საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე. ფედერაციულ და კონფედერაციულ სახელმწიფოებში შეიძლება მოქმედებდეს დამოუკიდებელი გადასახადები ფიზიკურ

პირთა შემოსაველებზე ან გამოიყენებოდეს სხვადასხვა სახის დანამატები საერთო-სახელმწიფოებრივ საშემოსაველო გადასახადზე.

ფიზიკურ პირთა საშემოსაველო გადასახადის საგადასახადო პერიოდი ერთ წელს შეადგენს. უმეტეს შემთხვევებში აღნიშნული პერიოდი ემთხვევა ან კალენდარულ წელს ან კანონით დადგენილ საფინანსო (საგადასახადო, ფისკალურ) წელს.

პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში გადასახადის გადამხდელს შეუძლია საგადასახადო ვალდებულების გამოანგარიშებისას მხედველობაში მიიღოს წინა წლებში მიღებული და დოკუმენტურად დადასტურებული ზარალი.

ფიზიკურ პირთა საშემოსაველო გადასახადის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის სქემა გამოიყურება შემდეგნაირად: ერთობლივი წლიური შემოსავეალი, რომელიც შედგება საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებისაგან, უძრავი და მოძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსაველებისაგან და სხვა შემოსაველებისაგან, მცირდება ნებადართული გამოქვითების თანხებით, რომელიც შედგება ხელფასის სახით გადახდილი თანხებისაგან, უძრავი და მოძრავი ქონების შენახვაზე გაწეული ხარჯებისაგან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და რეგიონების ბიუჯეტებში გადახდილი გადასახადებისაგან, ქონებრივი გადასახადებისაგან, სესხის პროცენტებისაგან, სოციალური დაზღვევის ფონდებსა და არამომგებიანი ორგანიზაციების სოციალური უზრუნველყოფის ფონდებში შენატანებისაგან, ასევე საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულ ფარგლებში სხვა ხარჯებისა და შენატანების თანხისაგან. გარდა ამისა, ერთობლივი წლიური შემოსავეალი მცირდება სპეციალური გამოქვითებისა და წინა წლების ზარალის თანხებით.

ზემოაღნიშნული გამოქვითვები დასაშვებია მხოლოდ დოკუმენტური დადასტურებითა და მათი განხორციელების აუცილებლობის დასაბუთებულობისას. მთელ რიგ ქვეყნებში გადასახადით დასაბეგრი შემოსაველის გამოანგარიშებისას გათვალისწინებულია გამოსასვლელი დახმარების, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განაცემების, ავადმყოფობასთან დაკავშირებული განაცემების, ცალკეული კატეგორიის პირებისათვის

(საბრძოლო მოქმედებების მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახები, ინვალიდები და ა.შ.) განაცემების გამოქვეითვა.

ერთობლივი შემოსავლიდან ყველა გამოქვეითვის შედეგად წარმოიქმნება გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი, რომლის მიმართაც გამოიყენება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების მოქმედი შკალა.

საშემოსავლო გადასახადის გამომგარიშების ზემოაღნიშნულ ზოგად სქემას გააჩნია მნიშვნელოვანი სპეციფიკა ცალკეულ ქვეყნებში.

საშემოსავლო გადასახადით დაბეგერის მიზნებისათვის ერთობლივი წლიური შემოსავალი, როგორც წესი, მოიცავს როგორც ხელფასს, ასევე დამატებით განაცემებს, დანამატებს, პრემიებს და ა.შ.

უკანასკნელი ათწლეულებისათვის დამახასიათებელია საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზის გაფართოების ტენდენცია. ფულად განაცემებთან ერთად ერთობლივი წლიური შემოსავალის შემადგენლობაში შეიტანება სასაქონლო-მატერიალური ფორმისა და პრივილეგიების ფორმის განაცემებიც.

ყველა ქვეყანაში ერთობლივი წლიური შემოსავალი მოიცავს სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებსაც. სამეწარმეო საქმიანობის ცალკეული სახეობები იბეგრება დამოუკიდებელი პროფესიონალური (სამეწარმეო) გადასახადებითაც. ამასთან, მეწარმის ერთობლივი წლიური შემოსავლიდან გამოიქვეითება საწარმოო ხარჯები, ასევე ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული მთელი რიგი სხვა ხარჯები.

ისეთი პასიური შემოსავლები, როგორიცაა დივიდენდები და პროცენტები, საშემოსავლო გადასახადით დაბეგერის მიზნით შეიძლება ჩაირთოს გადასახადის გადამხდელის ერთობლივ წლიურ შემოსავალში, ან არ ჩაირთოს გადასახადით დასაბეგრ თანხაში. პასიური შემოსავლები, როგორც წესი, იბეგრება შეღავათიანი განაკვეთებით.

შემოსავლები უძრავი ქონებიდან, ყველა ქვეყანაში, ჩაირთება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრ ბაზაში, თუმცა უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

შეიძლება დაიბეგროს როგორც საშემოსავლო გადასახადით, ასევე სხვა მოქმედი დამოუკიდებელი გადასახადების საფუძველზე.

გარდა ამისა, უმეტეს ქვეყანაში, გადასახადის გადამხდელის ერთობლივი წლიური შემოსავლიდან გამოიქვითება სავალდებულო დაზღვევის შენატანების თანხები. ცალკეულ ქვეყნებში გადასახადის გადამხდელი ვალდებულია უწყენოს ერთობლივი წლიური შემოსავლის თანხა სავალდებულო დაზღვევის შენატანების თანხების გამოქვითვის გარეშე. ამასთან, მას შეუძლია ჩაითვალოს ეს თანხები საგადასახადო ვალდებულების საბოლოოდ გამოანგარიშებულ თანხაში.

უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში გადასახადის გადამხდელის ერთობლივი წლიური შემოსავალი მოიცავს მიღებულ ალიმენტებს, სხვადასხვა სახის ერთჯერად განაცემებსა და დახმარებებს, მათ შორის პენსიებსა და განაცემებს უმუშევრობასთან დაკავშირებით.

როგორც წესი, ერთობლივი შემოსავლის შემადგენლობა გადასახადით დაბეგრის მიზნისათვის არ მოიცავს ფიზიკური პირების საჩუქრებს, პრიზებს და ჯილდოებს, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის კონპენსაციებს, სტიპენდიებს.

სააქციო საზოგადოებების მოგების გადასახადმა (კორპორაციულმა გადასახადმა) განვითარებულ ქვეყნებში მიიღო თავისი განვითარება შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპზე დაფუძნებული საქმიანობის ფორმების განვითარებასთან დაკავშირებით. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მოქმედი ყველა საწარმო შეიძლება გააერთიანოთ სამ ჯგუფად: ინდივიდუალური საწარმოები, პირთა გაერთიანებაზე დაფუძნებული საწარმოები, კაპიტალის გაერთიანებაზე დაფუძნებული საწარმოები.

ინდივიდუალური საწარმოების შემოსავლები იბეგრება საშემოსავლო გადასახადით ან სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადით.

პირთა გაერთიანებაზე დაფუძნებული საწარმოების შემოსავლები, როგორც წესი, არ იბეგრება არავითარი გადასახადით. საშემოსავლო გადასახადით იბეგრება ამ საწარმოების მფლობელთა შემოსავლები. ინდივიდუალურ მეწარმეებსა და პირთა გაერთიანებაზე დაფუძნებული საწარმოების მფლობელებს, როგორც

წესი, ეკისრებათ შეუზღუდავი (სრული) პასუხისმგებლობა თავისი საწარმოების ვალდებულებებზე.

კაპიტალის გაერთიანებაზე დაფუძნებულ საწარმოებს მიეკუთვნებიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები, ე.ი. მის მფლობელებს (აქციონერებს) მის ვალდებულებებზე ეკისრებათ პასუხისმგებლობა საწესდებო კაპიტალში მათი წილის ფარგლებში. შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები ითვლებიან იურიდიულ პირებად და წარმოადგენენ კორპორაციული გადასახადის გადამხდელებს. კორპორაციული გადასახადის დაბეგერის ობიექტს წარმოადგენს საწარმოს ერთობლივი შემოსავალი, შემოსავლის მიღებასთან ფაქტიურად განხორციელებული და დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯების გამოკლებით. კორპორაციული გადასახადისაგან, როგორც წესი, თავისუფლდებიან არასამეწარმეო საქმიანობის მიმდევარი ორგანიზაციები. ასეთ ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან სხვადასხვა სახის ასოციაციები, ფონდები, პარტიები, კლუბები და სხვა გაერთიანებები, თუ ისინი იცავენ შემდეგ პირობებს: დამფუძნებლების მიერ შეტანილი სახსრების დაბრუნება დაუშვებელია, მიღებული მოგება არ ნაწილდება დამფუძნებელთა სასარგებლოდ, შემოსავლები გამოიყენება წესდებით გათვალისწინებული მიზნებისათვის. ერთ-ერთი პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ორგანიზაციის მიერ მიღებული ყველა შემოსავლები ექვემდებარება კორპორაციული გადასახადით დაბეგერას.

კომპანიების მოგების გადასახადით დაბეგერის სისტემა ყველა ქვეყანაში მჭიდროდაა დაკავშირებული ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით დაბეგერის სისტემასთან. მთელ რიგ ქვეყნებში კორპორაციული გადასახადი განიხილება არა როგორც გადასახადის დამოუკიდებელი სახე, არამედ როგორც ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით დაბეგერის ერთგვარი დანამატი (დამატებითი ელემენტი). მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ აშშ, სადაც კორპორაციული გადასახადით დაბეგერის მარეგულირებელი უმეტესი ნორმა აგებულია ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის დაბეგერის პრინციპზე და სასამართლო გადაწყვეტილებები ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით ავტომატურად გამოიყენება კორპორაციულ გადასახადთან დაკავშირებულ საქმეებზე.

გადასახადები იურიდიულ პირთა შემოსავლებზე შეიძლება შემოდებული იქნეს როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალურ და ხშირად ადგილობრივ დონეზე. ყველა ქვეყანაში იურიდიულ პირთა საშემოსავლო გადასახადები მიეკუთვნებიან ცენტრალური (ფედერალური, კონფედერალური) ბიუჯეტების შემოსავლების ძირითად წყაროს. რეგიონების (შტატების, მიწების, პროვინციების, და ა.შ) დონეზე გამოიყენება როგორც იურიდიულ პირთა დამოუკიდებელი საშემოსავლო გადასახადები, ასევე რეგიონალური დანამატები ცენტრალურ გადასახადებზე.

იურიდიულ პირთა მოგების ცენტრალური გადასახადების განაკვეთები, როგორც წესი, პროპორციულია.

კორპორაციული გადასახადით დაბეგვრის აუცილებელ პირობას იურიდიული პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს. ეკონომიკური ან სამეწარმეო საქმიანობის ცნება მოცემულია ქვეყნის სამოქალაქო ან საგადასახადო კანონმდებლობის ნორმებით.

ეკონომიკური საქმიანობა დაბეგვრის მიზნით იყოფა აქტიურ და პასიურ საქმიანობად. უმეტეს ქვეყნებში აქტიური და პასიური ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებსათვის გათვალისწინებულია ან დაბეგვრის სხვადასხვა რეჟიმები, ან მოქმედებს პასიური კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრის სპეციფიკა შედარებითი პირობებით. პასიური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს, როგორც წესი, მიეკუთვნება პროცენტები და დივიდენდები.

კორპორაციული გადასახადებით დასაბეგრი შემოსავლების განსაზღვრის ზოგადი სქემა ფიზიკური პირის შემოსავლების დაბეგვრის განსაზღვრის სქემის ანალოგიურია. ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მოიცავს საქონლისა და სამუშაოების რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს, პროცენტების, დივიდენდების სახით მიღებულ შემოსავლებს, ქონების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებსა და სხვა შემოსავლებს, გამოიქვეითება კორპორაციული გადასახადისაგან განთავისუფლებული შემოსავლები, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ბიუჯეტებში გადახდილი ქონების გადასახადების თანხები, წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული მატერიალური დანახარჯები,

ხელფასის ხარჯები და სოციალური დანიშნულების ფონდების სავალდებულო ანარიცხები, საამორტიზაციო ანარიცხები, გადახდილი პროცენტები და საწარმოთა ფონდების ანარიცხები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული გამოქვითების შედეგად წარმოიქმნება კორექტირებული შემოსავალი.

ნებადართული გამოქვითვების წესი და მოცულობა განისაზღვრება კანონმდებლობით. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში გადასახადით დასაბეგრი მოგების გამოანგარიშების წესებსა და საბუღალტრო აღრიცხვის წესებს შორის არსებობს განსხვავება. დაბეგრის მიზნებისათვის ცალკეული შემოსავლები მხედველობაში არ მიიღება.

საკონლისა და მომსახურების წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოქვითვის აუცილებელ პირობას შემოსავლების მიღებასა და საწარმოო ხარჯებს შორის კავშირის არსებობა წარმოადგენს. არასწორად განხორციელებული გამოქვითები განიხილება, როგორც გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის შემცირება ან დამალვა. დაუშვებელია კაპიტალური ხარჯების გამოქვითვა, რომლებიც უნდა ჩამოიწეროს საამორტიზაციო ანარიცხების სახით.

მნიშვნელოვანი სპეციფიკა არსებობს საამორტიზაციო ფონდებში ანარიცხებთან დაკავშირებით. საამორტიზაციო ანარიცხების ნორმები და წესები დადგენილია საკანონმდებლო წესით. მათი დარღვევა ასევე შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გადასახადით დასაბეგრი ობიექტის დამალვა ყველა შემომდინარე შედეგით. ამორტიზაციას ექვემდებარება როგორც მატერიალური (ქონებრივი) აქტივები – შენობები, მანქანები, დანადგარები, ნაგებობები და ა.შ., ასევე არამატერიალური (არაქონებრივი) აქტივები: საავტორო უფლება, სავაჭრო მარკები, პატენტები და ა.შ.

ამორტიზაცია შეიძლება იყოს პროპორციული ან დაჩქარებული. პროპორციული ამორტიზაცია ითვალისწინებს ამორტიზირებული აქტივის ღირებულების ჩამოწერას თანაბარწილად მთელი პერიოდის მანძილზე, ხოლო დაჩქარებული ამორტიზაციისას ღირებულების დიდი ნაწილი ჩამოიწერება პირველ წლებში. დაჩქარებული ამორტიზაცია, პროპორციულიაგან განსხვავებით, არ არის სავალდებულო. როგორც წესი, პროპორციული ამორტიზაცია

გამოიყენება ძირითადი ფონდების პასიური ნაწილის (შენობები და ნაგებობები) მიმართ, ხოლო ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის (მანქანები, ჩარხები, დანადგარები) ამორტიზაცია წარმოებს დანქარებული რეჟიმით. კორპორაციული გადასახადის გადახდა წარმოებს ყოველკვარტალურად წლის განმავლობაში თანაბარ ნაწილებად. წლის ბოლოს წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე ხორციელდება საბოლოო საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა და წარმოებს ან გადასახადის დამატება, ან ზედმეტად გადახდილი თანხები უბრუნდება გადასახადის გადამხდელს.

კორპორაციული გადასახადის წილი განვითარებული ქვეყნების სავალდებულო შენატანების სტრუქტურაში 5-10%-ს შეადგენს, რაც რამოდენიმეჯერ მცირეა ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის წილთან შედარებით.

§4. საზღვარბარეთის ქვეყნების ქონებრივი გადასახადების ზოგადი მახასიათებლები

განვითარებულ ქვეყნებში ქონების დაბეგვრა ხორციელდება ორი სახის გადასახადების საფუძველზე: გადასახადები ქონების ერთობლივ ღირებულებაზე და გადასახადები ქონების ცალკეულ სახეებზე. გადასახადები ქონების ერთობლივ ღირებულებაზე, თავის მხრივ, იყოფა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონების გადასახადებად.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადით იბეგრება ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულება, ამ ქონების მფლობელობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ვალდებულების გამოქვეითით. ქონების შეფასება წარმოებს საბაზრო ან საკადასტრო ღირებულების საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება კანონით დადგენილი მეთოდების საფუძველზე. როგორც წესი, აღნიშნული გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ავეჯი და სხვა პირადი მოხმარების საგნები, ხელოვნების ნიმუშები, პატენტები, სადაზღვევო პოლისები, კერძო კოლექციის განსაზღვრული სახეები (წიგნები, მარკები), პირადი სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე შენობები, ნაგებობები და მიწები, თუ ისინი იბეგრება სპეციალური

გადასახადებით. ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი შეიძლება ითვალისწინებდეს ან ერთიან განაკვეთს, ან დაბეგერის პროგრესულ შკალას. დაბეგერის ერთიანი განაკვეთი გამოიყენება გერმანიაში, ბელგიაში და ლუქსემბურგში. პროგრესული დაბეგერის სისტემა მოქმედებს შვედეთში, ფინეთში, ნორვეგიაში, ესპანეთში და შვეიცარიაში. სხვა განვითარებულ ქვეყნებში დაბეგერის აღნიშნული სახე არ გამოიყენება.

საერთო საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადები იშვიათად აღემატება 0,5%-ს. შვეიცარია ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ამ გადასახადის წილი არსებითია და იგი 2,2%-ს შეადგენს.

სპეციალური გადასახადები ქონების ცალკეულ სახეებზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უმეტესწილად ამ გადასახადებით იბეგრება საცხოვრებელი სახლები, ნაგებობები და დანადგარები, მიწის ნაკვეთები, სატრანსპორტო საშუალებები (სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები, მოტოციკლები, მოტორიანი ნაგები, თვითმყრინავები და სხვა).

ყველა ქონებრივი გადასახადი მიეკუთვნება რეგიონალურ და ადგილობრივ გადასახადთა რიცხვს, თუმცა ხშირად ცენტრალურ დონეზე ხორციელდება მათი აკრეფის საერთო რეგლამენტაცია. საერთო საგადასახადო შემოსავლების მოცულობაში ამ გადასახადების წილი განვითარებულ ქვეყნებში მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ეს წილი 10%-ს აღემატება, ბელგიაში, საბერძნეთში, ავსტრიაში, იტალიაში, ლუქსემბურგში, თურქეთში, ფინეთში, შვეიცარიაში, შვედეთში და ესპანეთში იგი არ აღემატება 1%-ს. აღნიშნული გადასახადის მაღალი წილის მქონე ქვეყნებს მიეკუთვნება აშშ (9%-ზე მეტი), კანადა (8%-ზე მეტი), ახალი ზელანდია (დაახლოებით 6%), ავსტრალია (თითქმის 5%), ირლანდია (2,5%), საფრანგეთი (დაახლოებით 2%).

როგორც წესი, არსებითად განსხვავდება საცხოვრებელი სახლებისა და სამრეწველო ნაგებობების დაბეგერის პირობები.

მიწის ნაკვეთების დაბეგერა განსხვავდება მათი სამეურნეო დანიშნულებიდან გამომდინარე. მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დაბეგერის განსხვავებული სისტემები. აღნიშნული გადასახადის

განაკვეთები, როგორც წესი, დგინდება პროცენტებში მიწის ნაკვეთის საკადასტრო ღირებულებიდან გამომდინარე. გადასახადებისგან თავისუფლდებიან სახელმწიფო საკუთრებაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში, ასევე კანონმდებლობით დადგინილი მთელი რიგი ორგანიზაციების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

ქონებრივი გადასახადებისაგან უნდა განვასხვაოთ გადასახადები ქონების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებზე და ქონების მფლობელობიდან ან განკარგვიდან მიღებულ შემოსავლებზე. ამ ჯგუფის გადასახადებს გააჩნიათ დაბეგვრის სხვადასხვა ობიექტები:

- ქონებრივი გადასახადების დაბეგვრის ობიექტს ქონების ღირებულება წარმოადგენს;

- ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების გადასახადებით იბეგრება ნაყიდ და გასაყიდ ფასს შორის სხვაობა;

- ქონების მფლობელობიდან მიღებული შემოსავლების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს, როგორც წესი, მიეკუთვნება ქონების მესაკუთრის მიერ ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული საიჯარო ქირა.

მეორე და მესამე ტიპის შემოსავლების დაბეგვრა ხორციელდება ან ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის ფარგლებში, ან კორპორაციული გადასახადის ფარგლებში, ან სპეციალური (დამატებითი) გადასახადების შემოღების გზით. ასეთ სპეციალურ გადასახადებს მიეკუთვნება გადასახადი კაპიტალის ზრდაზე, რომელიც იკრიფება განსაზღვრული სახეობის ქონების (ფასიანი ქაღალდები, მიწის ნაკვეთები, შენობები, ნაგებობები) რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.

§5. საზღვარგარეთის ქვეყნების ქონების ბაღაცემისათვის ბაღასახალების ზოგადი დახასიათება

ქონების გადაცემისათვის გადასახადებს მიეკუთვნება გადასახადი მემკვიდრეობისათვის, გადასახადი ჩუქებისათვის, ფასიანი ქაღალდების ოპერაციების გადასახადი და სხვა.

მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადით იბეგრება მოძრავი და ცალკეული სახეობის უძრავი ქონება ერთი ფიზიკური პირის მიერ მეორე ფიზიკური პირისათვის უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევებში. იურიდიული პირის მიერ ფიზიკური პირისათვის ქონების უსასყიდლო გადაცემა იბეგრება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით, ხოლო ფიზიკური პირის მიერ იურიდიული პირისათვის ქონების უსასყიდლო გადაცემა შეიძლება წარმოადგენდეს იურიდიულ პირთა შემოსავლების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს.

მემკვიდრეობისათვის გადასახადის დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ქონება (მოძრავი ან უძრავი), რომელიც გადადის ახალ მესაკუთრეზე მემკვიდრეობის გზით. ჩუქების გადასახადის დაბეგვრის ობიექტია მოძრავი ან უძრავი ქონება, რომელიც გადადის ერთი მესაკუთრიდან მეორეზე სანუქრის სახით.

უმეტეს ქვეყნებში აღნიშნული გადასახადები მოქმედებენ დამოუკიდებლად, ზოგიერთ ქვეყნებში შემოღებულია ერთიანი გადასახადი მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის.

პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში მემკვიდრეობისა და ჩუქების დაბეგვრა ხორციელდება ცენტრალურ (ფედერალურ) დონეზე. მხოლოდ ავსტრალიაში და კანადაში მემკვიდრეობა და ჩუქება არ იბეგრება სპეციალური გადასახადებით. ამ ორ ქვეყანაში მემკვიდრეობა და ჩუქება იბეგრება საშემოსავლო გადასახადებით. შვეიცარიაში კი მემკვიდრეობისა და ჩუქების დაბეგვრა წარმოებს კანტონების დონეზე.

გადასახადით შეიძლება დაიბეგროს მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება. დაბეგვრის აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და ახალ ზელანდიაში. სხვა ქვეყნებში გადასახადით იბეგრება თითოეული მიმღების წილი – კონკრეტული

პირის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება. იტალიაში და შვეიცარიაში გამოიყენება დაბეგვრის ორივე მექანიზმი.

მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადის განაკვეთები ყველა ქვეყნებში აგებულია რთული პროგრესიით. როგორც წესი, მოქმედებს საგადასახადო კლასების სისტემა, რომლის შესაბამისადაც მემკვიდრეობით და ჩუქებით ქონების მიმღები პირები იყოფა კლასებად ნათესაური კავშირიდან გამომდინარე (I – მემკვიდრეობა პირდაპირი ხაზით, II – მეუღლეები, III – ძმები და დები, IV – შორეული ნათესავეები და ა.შ.). თითოეული კლასისათვის განსაზღვრულია საგადასახადო განაკვეთების სისტემა, რომლებიც იზრდება ნათესაური კავშირის ხარისხის შემცირებასთან ერთად. დიდ ბრიტანეთში ჩუქებისათვის გადასახადის განაკვეთები მერყეობს 5-დან 30-პროცენტამდე, ხოლო მემკვიდრეობისათვის გადასახადის განაკვეთი 30-დან 60 პროცენტამდე ფარგლებში.

XX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან დაიწყო მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადების წილის შემცირება განვითარებული ქვეყნების საგადასახადო შემოსავლებში. იაპონიაში აღნიშნული გადასახადების სახით მიღებული შემოსავლები ქვეყნის საგადასახადო შემოსავლების 1%-ს აღემატება. დანარჩენ სახელმწიფოებში აღნიშნულმა ურთიერთობამ 1%-ზე ნაკლები, ხოლო 15 ქვეყანაში 0,5%-ზე ნაკლები შეადგინა.

§ 6. ევროპის თანამებობრობის წევრი სახელმწიფოების გადასახადების ძირითადი სახეები

ევროპის თანამებობრობის წევრი სახელმწიფოების გადასახადების კლასიფიკაცია წარმოებს სხვადასხვა ნიშნით.

სახელმწიფო ორგანოდან გამომდინარე, რომლის განკარგულებაშიც ირიცხება საგადასახადო შენატანი, გადასახადები იყოფა ცენტრალურ, ადგილობრივ და სახელმწიფოთაშორისო გადასახადებად.

ცენტრალური (სახელმწიფო) გადასახადები იკრიფება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ადგილობრივი გადასახადები იკრიფება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების სამოქმედო ტერიტორიაზე და მიიმართება ადგილობრივ ბიუჯეტებში.

სახელმწიფოთაშორისო გადასახადები იკრიფება ეროვნული საგადასახადო ორგანოების მიერ ყველა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მიიმართება ეროსკაეშორის ბიუჯეტში.

გამოყენების მიზნიდან გამომდინარე გადასახადები იყოფა აბსტრაქტულ და მიზნობრივ გადასახადებად.

აბსტრაქტულ გადასახადებს მიეკუთვნება უმეტესი გადასახადების სახეები, რომლებიც ირიცხება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში და ხმარდება სახელმწიფო ფუნქციების რეალიზაციას. *მიზნობრივი გადასახადები* ირიცხება სპეციალურ ფონდებში და იხარჯება განსაზღვრული პროგრამების დასაფინანსებლად (მაგალითად, კონსტრუქციული გადასახადი გურ-ში, სოციალური გადასახადები ეროსკაეშორის წევრ ქვეყნებში).

დაბეგერის ობიექტიდან გამომდინარე განასხევებენ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს.

პირდაპირი გადასახადები დაწესებულია ქონებაზე ან გადასახადის გადამხდელის შემოსავალზე და იყოფა რეალურ და პირად გადასახადებად. *რეალური ეწოდება* გადასახადებს, რომლებიც დაწესებულია ქონებაზე გადასახადის გადამხდელის რეალური შემოსავლების გათვალისწინების გარეშე (მაგალითად, მიწის გადასახადი, ქონების გადასახადი). *პირადს* უწოდებენ გადასახადებს, რომლებსაც განსაზღვრული საგადასახადო პერიოდის განმავლობაში იხდიან გადასახადის გადამხდელები მათი რეალური შემოსავლების გათვალისწინებით (მაგალითად, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, კორპორაციული გადასახადი, მემკვიდრეობისა და წუქებისათვის გადასახადი).

არაპირდაპირი გადასახადები დაწესებულია საქონელზე და მომსახურებაზე და შედის საქონლის (მომსახურების) ფასში. გამოანგარიშებისა და აკრეფის საშუალებით არაპირდაპირი გადასახადები იყოფა *უნივერსალურ არაპირდაპირ გადასახადებად* (ბრუნვის გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი) და ინდივიდუალურ არაპირდაპირ გადასახადებად (აქციები თამბაქოს ნაწარმზე, ალკოჰოლიან სასმელებზე და ა.შ.).

სახელმწიფოები ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ეფექტურობიდან გამომდინარე განსახდურავენ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების წილს ეროვნულ საგადასახადო სისტემაში. ცალკეული ქვეყნები, მაგალითად საფრანგეთი, იტალია, ირლანდია, საბერძნეთი და ესპანეთი უპირატესობას არაპირდაპირ გადასახადებს ანიჭებენ, მაშინ როდესაც, მოლანდიაში, დანიაში, ლუქსემბურგში და ავსტრიაში უპირატესობა პირდაპირ გადასახადებს ენიჭებათ. დაახლოებით თანაბარია პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების წილი ფინეთში და გერ-ში.

დღეისათვის ევროპის ბევრმა სახელმწიფომ მიადწია გადასახადებით დაბეგვრის იმ დონეს, როდესაც გადასახადების შემდგომი ზრდა გამოიწვევს კრიზისულ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს. ამიტომ სახელმწიფოების წინაშე დგას საგადასახადო ტვირთის შემცირებისა (ეროვნული ბიუჯეტების შემოსავლების დონის შენარჩუნებით) და თანამეგობრობის წინაშე ფინანსური ვალდებულებების შესრულების ამოცანა.

ევროპის თანამეგობრობის წვერი სახელმწიფოების საგადასახადო სისტემებს შორის განსხვავება ობიექტურად აბრკოლებს საგადასახადო კანონმდებლობების პარმონიზაციის პროცესს. ამასთან, თუ ევროპის სახელმწიფოების ძირითადი გადასახადები დაახლოებით მსგავსია, თითოეული მათგანის წილი ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში აშკარად განსხვავდება ერთმანეთისაგან. შესაბამისად, საგადასახადო პოლიტიკის დარგში ევროკავშირის ინსტიტუტების ნებისმიერ გადაწყვეტილებას ეროვნული საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებთან დაკავშირებით გააჩნია სხვადასხვა შედეგები წვერი სახელმწიფოებისათვის.

ცენტრალური გადასახადების ძირითად სახეებს კანონმდებლობა ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადს, იურიდიულ პირთა მოგების გადასახადს, მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადს, დამატებული ღირებულების გადასახადს და აქციზს მიაკუთვნებს.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი დაწესებულია ევროპის ყველა ქვეყანაში. გადასახადის გადახდა წარმოებს ფიზიკური პირის მიერ საფინანსო ან კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან გამომდინარე.

ტრადიციულად ერთობლივ შემოსავალს მიეკუთვნება ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები და სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. ამასთან, ირლანდიის საგადასახადო კანონმდებლობით გადასახადის გადამხდელის ერთობლივი წლიური შემოსავლის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დამატებითი (ძირითადი ხელფასის ზევით) შემოსავლებიც პრემიებისა და პრივილეგიების სახით. ფინეთში, უმეტესი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, შემოსავლები დივიდენდებიდან, პროცენტებიდან და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება. ბელგიაში, ლუქსემბურგში, პოლანდიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, შვედეთში და ფინეთში აკადამიკოვობასთან დაკავშირებული განაცემები იბეგრება გადასახადით, ხოლო გერმანიაში, ირლანდიაში, პორტუგალიაში და ესპანეთში – არ იბეგრება. დიდ ბრიტანეთში, ლუქსემბურგში და ფინეთში უმუშევრობასთან დაკავშირებული შემწეობა მხედველობაში მიიღება გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრისას, ხოლო ირლანდიაში, ავსტრიაში, პორტუგალიაში და ესპანეთში – მხედველობაში არ მიიღება. უმეტეს სახელმწიფოებში ალიმენტის სახით მიღებული შემოსავლები ჩაითვლება გადასახადით დასაბეგრ შემოსავალში, ხოლო გერმანიაში და ავსტრიაში არ ჩაითვლება.

ამრიგად, გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრას თითოეულ სახელმწიფოში გააჩნია თავისი განსაკუთრებულობა, რომელიც ასახავს კანონმდებლის მიდგომას გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ.

გადასახადით დაბეგვრის სუბიექტებს ფიზიკური პირები წარმოადგენენ. თუ ფიზიკური პირი იმყოფება ქორწინებაში, მაშინ შესაძლებელია ოჯახის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ორი მიდგომა: ერთობლივი დაბეგვრა, რომლის დროსაც გადასახადის დაკავება წარმოებს მეუღლეების გაერთიანებული შემოსავლებიდან და დამოუკიდებელი დაბეგვრა. მაგალითად, გერმანიაში და ირლანდიაში მეუღლეებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად განსაზღვრონ საშემოსავლო გადასახადის გადახდის სქემა. დიდ ბრიტანეთში, როგორც წესი, მეუღლეები ადგენენ ერთ დეკლარაციას, თუმცა მათ შეუძლიათ დაიბეგრონ ინდივიდუალურადაც.

მთელ რიგ ევროპის ქვეყნებში უპირატესობა ენიჭება ოჯახის წევრთა დაბეგრის ინდივიდუალურ მიდგომას (შვედეთი, დანია, ფინეთი, ნიდერლანდები, ავსტრია, იტალია, საბერძნეთი).

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები, როგორც წესი, აგებულია რთული პროგრესიით, თუმცა მთელ რიგ სახელმწიფოებში მისი აკრეფა წარმოებს პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე. საგადასახადო განაკვეთები ცალკეული ქვეყნიდან გამომდინარე მერყეობს 0,1-დან 33%-მდე და იცვლება გადამხდელებისათვის მინიჭებული საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით. გადასახადის გადამხდელების ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ძირითადი არასტანდარტული საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით (ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოსთან, პროცენტები, რომლებიც გადახდილია ბინის შექმნისათვის აღებულ სესხებზე და ა.შ.) მარტოხელა გადამხდელებისათვის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი თითქმის 3%-ით მაღალია, ვიდრე ოჯახური წყვილისათვის. ირლანდიაში სამუშაოსთან დაკავშირებული ხარჯების, აგრეთვე სიცოცხლისა და სამედიცინო დაზღვევის შენატანების გათვალისწინებით მარტოხელა გადამხდელებისათვის გადასახადის განაკვეთი ორჯერ მეტია, ვიდრე ოჯახური წყვილისათვის. იტალიაში არასტანდარტული საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით (საპროცენტო განაკვეთები, შენატანები სიცოცხლის დაზღვევაზე და სამედიცინო ხარჯები) გადასახადის განაკვეთი მარტოხელა გადამხდელებისათვის 2-2,5%-ით მაღალია ვიდრე ოჯახური წყვილისათვის. საფრანგეთში სესხის პროცენტების და საქველმოქმედო შენატანების სახით გაწეული ხარჯების გათვალისწინებით მარტოხელა გადამხდელებისათვის გადასახადის განაკვეთი 7%-ით მაღალია ვიდრე ოჯახური წყვილისათვის, ხოლო შედეგში ძირითადი არასტანდარტული საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით (სამუშაოსთან დაკავშირებული ხარჯები, სესხის პროცენტები, შენატანები საპენსიო უზრუნველყოფაზე და სიცოცხლის დაზღვევაზე) – 8%-ით. ამრიგად, ევროპის ყველა ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი მარტოხელა გადამხდელებისათვის მაღალია, ვიდრე ოჯახური წყვილისათვის. საგადასახადო ტვირთის მოცულობის

განსაზღვრის ამგვარი მიდგომა განპირობებულია თითოეულ სახელმწიფოში მიმდინარე დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკით.

საშემოსავლო გადასახადის გადახდა წარმოებს როგორც დეკლარაციის საშუალებით, ასევე შემოსავლის გაცემის წყაროსთან.

ფიზიკური პირები, რომლებიც არ ეწევიან დაქირავებით მუშაობას და შემოსავალს იღებენ ეკონომიკური საქმიანობიდან ვალდებული არიან წინა საფინანსო წელს მიღებული შემოსავლების შესახებ საგადასახადო ორგანოში წარადგინონ დეკლარაცია.

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება წარმოებს იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალი მიღებულია ხელფასის, დივიდენდების, ანაბრებზე დარიცხული პროცენტების, საავტორო უფლებასთან დაკავშირებული განაცემებისა და ა.შ. სახით. გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავების შემთხვევაში, საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის სამი სუბიექტი: საგადასახადო ორგანო, გადასახადის გადამხდელი და საგადასახადო აგენტი, რომელიც ვალდებულია გადასახადის გადამხდელის მაგივრად გამოიანგარიშოს და დააკავოს გადასახადი და გადარიცხოს ბიუჯეტში ან სახელმწიფო ფონდში (მაგალითად, დამქირავებელი, ბანკი, საინვესტიციო კომპანია და სხვა).

ვეროკავშირის უმეტეს წევრ სახელმწიფოში დაქირავებული პირების შემოსავლებიდან გადასახადის დაკავებას ახორციელებენ დამქირავებლები (ბუღალტერიის გზით). გამონაკლისს წარმოადგენს საფურანგეთი, სადაც დაქირავებულები ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებიდან საშემოსავლო გადასახადს იხდიან დამოუკიდებლად.

გადასახადის გადახდის ვადები დადგენილია მათი გადახდის საშუალებიდან გამომდინარე გასული წლის შემოსავლების შესახებ დეკლარაციები საგადასახადო ორგანოებს წარედგინებათ ყოველი საგადასახადო წლის დასაწყისში, ხოლო გაცემის წყაროს ადგილის მიხედვით გადასახადების გადახდა წარმოებს ყოველთვიურად (ხელფასის მიღების შემთხვევაში) ან დივიდენდებისა და სხვა განაცემების მიღების პარალელურად.

საგადასახადო შეღავათებს, მათი ფაქულტატიური ხასიათის მიუხედავად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ გადასახადის

სტრუქტურაში. მათი განხილვის გარეშე შეუძლებელია განესაზღვროთ რეალური საგადასახადო ტვირთი.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობისა და გადასახადის გადამხდელის მიერ განხორციელებული ხარჯების მიზნობრიობის გათვალისწინებით.

სტანდარტულ საგადასახადო შეღავათებს მიეკუთვნება: დაუბეგრავი მინიმუმი, ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრა და სხვა. მაგალითად, *დაუბეგრავი მინიმუმი* ნიშნავს კანონით გათვალისწინებული მინიმალური შემოსავლების განთავისუფლებას გადასახადისაგან, რომელიც საერთოა ყველა გადასახადის გადამხდელისათვის მათი ოჯახური მდგომარეობისა და კმაყოფაზე მყოფი პირების მიუხედავად. საგადასახადო შეღავათის ეს სახე გათვალისწინებულია ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში.

ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრა ფაქტობრივად ნიშნავს განსაზღვრული შემოსავლების გადასახადისაგან განთავისუფლებას. ასეთ შეღავათს ითვალისწინებს ავსტრიის, გერმანიის, ბელგიის, ლუქსემბურგის, საფრანგეთის, ფინეთის და საბერძნეთის კანონმდებლობა.

არასტანდარტული შეღავათები დადგენილია პროფკავშირების შენატანებზე, საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებზე, სამედიცინო ხარჯებზე, ბინის შექენასთან დაკავშირებით აღებულ სესხებზე ან ვალებზე გადახდილ პროცენტებზე, საქველმოქმედო მიზნების ხარჯებზე და ა.შ. მაგალითად, გერმანიაში, იტალიაში და საფრანგეთში პროფკავშირების შენატანები მთლიანად გამოიქვეითება ერთობლივი შემოსავლიდან; პორტუგალიაში, შვედეთში და დანიაში გათვალისწინებულია მათი ნაწილობრივი გამოქვეითება; საფრანგეთში, ირლანდიაში, ბელგიაში და საბერძნეთში საგადასახადო შეღავათები პროფკავშირების შენატანებზე გათვალისწინებული არ არის.

საგადასახადო შეღავათები შეიძლება დადგენილი იქნეს ძირითად სამედიცინო ხარჯებზე. მაგალითად, გერმანიაში და საბერძნეთში სამედიცინო ხარჯები მთლიანად გამოიქვეითება ერთობლივი შემოსავლიდან, ფინეთში დადგენილია სამედიცინო

ხარჯების გამოქვითვის ზღვარი, ხოლო დიდ ბრიტანეთში და შვედეთში აღნიშნული სახის ხარჯები არ გამოიქვითება.

საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებისას ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება სესხის პროცენტებიც. მაგალითად, დანიაში, ფინეთში, შვედეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში, გერ-ში და ესპანეთში გამოიქვითება მხოლოდ იმ სესხის პროცენტები, რომლებიც აღებულია საწარმოს გადაიარაღებისათვის; საფრანგეთში და ირლანდიაში – იმ სესხის პროცენტები, რომლებიც აღებულია ბიზნესის მიზნებისათვის; დიდ ბრიტანეთში, იტალიაში და პორტუგალიაში – იმ სესხის პროცენტები, რომლებიც აღებულია საცხოვრებელი სახლების შექმნისათვის ან რეკონსტრუქციისათვის. აღნიშნული შედავათი მოქმედებს სხვა შედავათებთან ერთად დანიაში, ფინეთში, ჰოლანდიაში, ირლანდიაში და ესპანეთში. განსხვავებული მიდგომა დაწესებული საქველმოქმედო შენატანების მიმართ. საქველმოქმედო შენატანები არ გამოიქვითება საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებისას ირლანდიაში, იტალიაში, ავსტრიაში, ფინეთში და შვედეთში. საბერძნეთში პირიქით, საქველმოქმედო მიზნებზე გაწეული ხარჯები მთლიანად გამოიქვითება გადასახადით დასაბეგრი ბაზიდან, ხოლო ბელგიაში, საფრანგეთში, დანიაში, პორტუგალიაში და გერ-ში ისინი გამოიქვითება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

განხილული საგადასახადო შედავათები არ არის ამომწურავი. მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვა შედავათებსაც. მაგალითად, შედავათებს სოციალური საჭიროების შენატანებზე, შედავათებს მოხუცებული პირებისათვის, შედავათებს უძრავი ქონების იჯარიდან მიღებულ შემოსავლებზე, შედავათებს ფერმერებისა და მცირე მეწარმეებისათვის, შედავათებს სხვადასხვა კომპანიების აქციებიდან დივიდენდების სახით მიღებულ შემოსავლებზე და ა.შ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შედავათების სახეების მრავალფეროვნება წარმოადგენს ევროპის კავშირის ფარგლებში საგადასახადო პოლიტიკის ჰარმონიზაციის სერიოზულ პრობლემას.

იურიდიულ პირთა მოგების გადასახადი დადგენილია ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში და წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. ცალკეულ

სახელმწიფოებს შორის გადასახადის სამართლებრივი რეგულირების განსხვავება, როგორც წესი, დაკავშირებულია მისი ცალკეული ელემენტის განსაზღვრის განსაკუთრებულობასთან.

გადასახადით დასაბეგრ სუბიექტებს კორპორაციის ფორმით შექმნილი იურიდიული პირები (შესუღღული პასუხისმგებლობის კომპანიები) წარმოადგენენ¹. ამიტომ აღნიშნულ გადასახადს სხვაგვარად კორპორაციათა საშემოსავლო გადასახადს ან კორპორაციულ გადასახადს უწოდებენ.

არაკომერციული იურიდიული პირები არ წარმოადგენენ ამ გადასახადის გადამხდლებს. აღნიშნული სახის იურიდიულ პირებს მიეკუთვნებიან არაკომერციული ხასიათის ორგანიზაციები: ეკლესიები, პოლიტიკური პარტიები, კლუბები, საპენსიო ფონდები და ა.შ. მესამე პირებისაგან მიღებული სახსრები უნდა მოხმარდეს საწესდებო მიზნებს. კომერციული ხასიათის საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ასეთი პირები გვევლინებიან კორპორაციული გადასახადის გადამხდლებად.

იურიდიული პირები იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ ისინი ამ სახელმწიფოს რეზიდენტებს თუ არა.

გადასახადით დასაბეგრი ბაზა განისაზღვრება წმინდა შემოსავლის პრინციპის შესაბამისად. იურიდიული პირის მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვეთება კანონმდებლობით დადგენილი ხარჯები. ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვეთება საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული მატერიალური დანახარჯები, საამორტიზაციო ფონდების ანარიცხები, ხარჯები შრომის ანაზღაურებაზე, რეკლამის ხარჯები და ა.შ.

გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ტერიტორიულობისა და რეზიდენტობის პრინციპები. ტერიტორიულობის პრინციპის შესაბამისად სახელმწიფოში დაბეგრას ექვემდებარება იურიდიული პირის მხოლოდ ის შემოსავლები, რომლებიც მიღებულია ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შესაბამისად ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლები არ მიიღებენ მონაწილეობას საშემოსავლო გადასახადის დასაბეგრ ბაზაში. რეზიდენტობის პრინციპი ნიშნავს,

¹ შესუღღული პასუხისმგებლობის იურიდიული პირები განსხვავდებიან სრული პასუხისმგებლობის კომერციული ხასიათის მონაწილეებისაგან იმით, რომ თავიანთ ეკონომიკურუბუნებზე, მათ შორის საგადასახადო ვალდებულებებზე, პასუხს ატვირთ არა მხოლოდ თავიანთი ქონებით (მათ შორის ოჯახის მორჩაი და უძრავი ქონებით), არამედ ძირითად კომპანიის კუთვნილი საშუალებების (კაპიტალის) მოცულობით. ტერმინი „კორპორაცია“ წარმოადგება ინგლისური „corporation“-ისაგან და ნიშნავს შესუღღული პასუხისმგებლობის სააქციო საზოგადოებას.

რომ გადასახადის გადახდა წარმოებს სახელმწიფოს რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ, მოგების მიღების ადგილის მიუხედავად.

საგადასახადო შეღავათები სტიმულს აძლევენ ეკონომიკური საქმიანობის იმ სახეებს და იმ სექტორებს, რომლებიც სახელმწიფოს თვალსაზრისით საჭიროებენ დამატებით ხელშეწყობას.

საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს შეღავათების ფართო ჩამონათვალს, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმების დადგენა, საგადასახადო სესხები და გადასახადის გადავადებები. მაგალითად, დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმების დადგენა საშუალებას აძლევს კომპანიებს უფრო მჭიდრო ვადებში აინაზღაურონ თავიანთი დანახარჯები ამორტიზაციას დაქვემდებარებულ აქტივებზე (დანადგარები, მანქანები, მოწყობილობები, პატენტები, საავტორო უფლებები და ა.შ.) მათი ფიზიკური და მორალური ცვეთის ვადის გასვლამდე.

საგადასახადო შეღავათები წარმოადგენენ ფაკულტატურ, მაგრამ გადასახადის ძალიან მნიშვნელოვან ელემენტებს, რომლის შეშვეობითაც სახელმწიფო წყვეტს თავისი ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებს.

მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადები პირდაპირი გადასახადების სახეებია და მათი აკრეფა წარმოებს ახალ მესაკუთრეზე ქონების გადაცემისას.

უმეტეს ქვეყანაში იგი მოქმედებს ორი დამოუკიდებელი გადასახადის სახით, რომლებსაც გააჩნიათ ბევრი საერთო ნიშანი. თუმცა მთელ რიგ ქვეყნებში, მაგალითად საფრანგეთში, გურ-ში, ესპანეთში, შვედეთში და იტალიაში კანონმდებლობა ადგენს ერთიან გადასახადს მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის.

დაბეგვრის სუბიექტებს წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირები. კანონმდებლობა ჰყოფს მემკვიდრეებს კლასებად ნათესაური კავშირიდან გამომდინარე და თითოეული მათგანისათვის ადგენს საგადასახადო განაკვეთებს შემდეგი პრინციპით: რაც ნაკლებია ნათესაური ხარისხი, მით მაღალია გადასახადის განაკვეთი.

უმეტეს ქვეყანაში არასამეწარმეო იურიდიული პირებისათვის გადაცემული ქონება ან არ იბეგრება აღნიშნული გადასახადით, ან იბეგრება შეღავათიანი პირობებით.

გადასახადით დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს მოძრავი და უძრავი ქონების ღირებულება, რომელზეც მემკვიდრეობისა და ჩუქების შედეგად იცვლება საკუთრების უფლება.

მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადის განაკვეთი დადგენილია რთული პროგრესიით და დიფერენცირებულია მემკვიდრეების კატეგორიიდან გამომდინარე. მთლიანობაში აღნიშნული გადასახადის განაკვეთი მერყეობს 50-70 პროცენტის დონეზე, მაგრამ რეალური საგადასახადო ტვირთი გაცილებით დაბალია, ვინაიდან პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოში მოქმედებს შეღავათების სისტემა.

საგადასახადო შეღავათების სახით განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება გამოქვითვები. ბევრ ქვეყანაში გამოიყენება დაუბეგრავი მინიმუმის წესი, რომლის შესაბამისადაც პირდაპირი ხაზის მემკვიდრეებისა და მეუღლეების წილი გადასახადით არ იბეგრება, თუ აღნიშნული წილი არ აღემატება კანონით განსაზღვრულ ოდენობას. ცალკეული სახელმწიფოდან გამომდინარე მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადს გააჩნია ან ცენტრალური ან ადგილობრივი გადასახადის სტატუსი. მაგალითად, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში და დიდ ბრიტანეთში იგი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების წყაროს, ხოლო გურ-ში – ფედერაციის სუბიექტების ბიუჯეტების წყაროს.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს არაპირდაპირ გადასახადს მოხმარებაზე, რომელიც იკრიფება 50-ზე მეტ ქვეყანაში, მ.შ. ევროპის უმეტეს სახელმწიფოში. საგადასახადო სისტემაში მისი არსებობა ემსახურება ევროკავშირში შესვლის საეკონომიკურ პირობას, ვინაიდან მას შეაქვს მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები თანამშრომლობის ბიუჯეტში.

დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოადგენს მრავალსაფეხურიან არაპირდაპირ გადასახადს, რომელიც იკრიფება საქონლის (მომსახურების) მოძრაობის ყველა სტადიაზე, პირველი საწარმოო ციკლიდან დაწყებული საქონლის საბოლოო მომხმარებელზე მიწოდებით დამთავრებული.

დღგ-ის განსხვავება სახელმწიფოებს შორის, როგორც წესი,

დაკავშირებულია მისი ცალკეული ელემენტების განსაკუთრებულიობასთან.

გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ამასთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად, კანონი, როგორც წესი, გადასახადის გადამხდელებად ასახელებს სახელმწიფო ორგანოებს, სახელმწიფო კომპანიებს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, საჯარო-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილ სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ კომერციულ ოპერაციებს.

დღგ-ის დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს საქონლის (მომსახურების) ახალი ნაწილის ღირებულება, რომელიც წარმოიქმნება მისი წარმოების მორიგ სტადიაზე.

დღგ უნდა განეასხვავოთ მეორე მრავალსაფეხურიანი გადასახადისაგან – ბრუნვის გადასახადისაგან. ამ უკანასკნელის საგადასახადო ბაზას წარმოადგენს საქონლის მთლიანი ღირებულება მისი მოძრაობის ყველა სტადიაზე მწარმოებლიდან მომხმარებლამდე. ამრიგად, გადასახადი ვრცელდება საქონლის მოძრაობის ყოველ სტადიას. დღგ-ის საგადასახადო ბაზის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ დამატებული ღირებულება და ითვალისწინებს „ახალი“ დღგ-ისაგან საქონლის წარმოების ყველა წინა სტადიაზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის გამოქვითვას (ე.ი. ადრე გადახდილი დღგ-ის გამოქვითვას).

გადასახადის გამოანგარიშების წესი ეფუძნება პირდაპირ ადიტიურ¹ მეთოდს, არაპირდაპირ ადიტიურ მეთოდს, პირდაპირი გამოქვითვის მეთოდს ან არაპირდაპირი გამოქვითვის მეთოდს.

ყველაზე ხშირად გამოიყენება მეოთხე, ანგარიშ-შაქტურებით ჩათვლის მეთოდი, ვინაიდან იგი ყველაზე „გამჭვირვალეა“ შემოწმების მიზნით და იძლევა გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთების გამოყენების საშუალებას.

კანონმდებლობა ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის რამოდენიმე სახის განაკვეთს: სტანდარტულს, დაბალს და მაღალს. დაბალი განაკვეთი, როგორც წესი, გამოიყენება

¹ ტერმინი „ადიტიური“ წარმოადგება ინგლისური უმნისგან *to add* (შემატება).

სოციალურად მნიშვნელოვანი საქონლის (მომსახურების) მიმართ, მაგალითად, სასურსათო საქონელი, სამედიცინო მომსახურება.

საგადასახადო შეღავათები გამოიხატება დაბალი განაკვეთების დადგენაში ან გადასახადისაგან სრულ განთავისუფლებაში. ამასთან, გადასახადისაგან განთავისუფლებას ექვემდებარება მხოლოდ საქონლის (მომსახურების) საბოლოო მომხმარებელზე გადასვლის სტადიაზე არსებული დამატებული ღირებულება.

როგორც წესი, დღგ-ისაგან თავისუფლდება საკვები პროდუქტები, სასკოლო საქონელი და მომსახურება, სამედიცინო მომსახურება, სატრანსპორტო მომსახურება, გაზეთები, რადიომაუწყებლობა და ა.შ.

დღგ-ის ადგილი სახელმწიფო ბიუჯეტის სისტემაში დამოკიდებულია ქვეყანაში განხორციელებულ საგადასახადო პოლიტიკაზე.

§ 7. საგადასახადო თამშისაწრები და საგადასახადო ოაზისები

ეკონომიკურად განვითარებულ სოგიერთ ქვეყანაში არსებული მაღალი საგადასახადო ტვირთი (მაგალითად, აშშ-ში, გერმანიაში, იაპონიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიაში კორპორაციათა მოგების გადასახადმა ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება 40-50%-ს მიაღწიოს), აიძულებს გადასახადის გადამხდელებს მოქებონ გადასახადებისაგან თავის არიდების ესა თუ ის მექანიზმები.

თითქმის ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს *საქმიანობის სახე* ან *ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა*, რომლის დაბეგერის რეჟიმი ეროვნული საგადასახადო კანონმდებლობის სპეციფიკის წყალობით შედარებით შეღავათიანია. ამასთან, ცალკეული სახელმწიფოები საგადასახადო პოლიტიკას აგებენ ისე, რომ მიიზიდონ თავიანთი საგადასახადო იურისდიქციის ქვეშ უცხო ქვეყნების ფირმები დაბეგერის განსაკუთრებით შეღავათიანი რეჟიმის ან მათთვის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების დაწესებით. ასეთ ქვეყნებს *საგადასახადო თავშესაფრებს* უწოდებენ. აღნიშნულ ქვეყნებში უცხოელ კომპანიებს გადააქვთ კაპიტალი და იქ ახორციელებენ თავიანთ საფინანსო საქმიანობას. საგადასახადო

თავისუფლებისაგან აუცილებელია განვსხვავოთ *საგადასახადო რეჟიმი* ანუ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში არსებული ტერიტორია, რომელზეც მოქმედებს (მუდმივად ან დროებით) დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი. საგადასახადო რეჟიმებს, როგორც წესი, მიეკუთვნებიან პორტები, ეკონომიკური ზონები, თავისუფალი სამეწარმეო ზონები და ა.შ. ასეთ ზონებში მოქმედებს დაბეგვრის განსაკუთრებული რეჟიმი, რომელიც სტიმულს აძლევს უცხოური ინვესტიციების მიზიდვას და სამეწარმეო საქმიანობას.

საგადასახადო თავისუფლების რიცხვში გამოყოფენ მთელ რიგ ქვეყნებს (ძირითადად სამრეწველო განვითარების დაბალი დონით), რომლებიც უცხოური კაპიტალის მიზიდვის მიზნით, აწესებენ მიზნულ გადასახადებს ან საერთოდ უარს აცხადებენ მათ დაწესებაზე. აღნიშნული ქვეყნები თითქმის მთლიანად აგებენ თავიანთ კეთილდღეობას ოფშორული რეჟიმის მიწოდებაზე და ოფშორული გარიგებების მომსახურებაზე. უმეტესი მათგანი განლაგებული არიან კუნძულებზე (ბჰამის კუნძულები, კაიმანის კუნძულები და სხვა), რამაც მისცა მოცემულ მოვლენას დასახელება (ინგლ. off-shore – მოშორებით ნაპირიდან, საზღვარგარეთ).¹

ტერმინი „ოფშორი“ პირველად გაჩნდა აშშ-ის აღმოსავლეთი სანაპიროს ერთ-ერთ გაზეთში 50-იანი წლების ბოლოს, სადაც აღწერილი იყო იმ საფინანსო კომპანიის შესახებ, რომელიც სურდა გაეკონტროლებინა და დაერეგულირებინა აშშ-ის მთავრობას. აღნიშნულმა კომპანიამ გადაადგილა თავისი საქმიანობა იმ ტერიტორიაზე, რომელიც ხასიათდებოდა ხელსაყრელი საგადასახადო კლიმატით. სწორედ ამიტომ, ა. ტროცენკოსა და ე. კარმანოვას აზრით ტერმინი „ოფშორი“ – ეს არა იურიდიული, არამედ ეკონომიკურ-გეოგრაფიული ცნებაა.²

საწარმოები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ოფშორულ ზონაში, არ ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას მოცემულ ტერიტორიაზე და არ იყენებენ ადგილობრივ რესურსებს, მაგრამ იღებენ უფლებას გადაიხადონ გადასახადები შეღავათიანი განაკვეთებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოფშორული მექანიზმის გამოყენების არსი მდგომარეობს *გადასახადით დასაბეგრი ობიექტების იურიდიულ გადაადგილებაში დაბეგვრის მაღალი*

¹ იხ. Мешерякова О. Налоговые системы развитых стран мира. М.: Фонд „Правовая культура“, 1995. გვ. 209.

² *Оффшорные компании: обзоры, комментарии, рекомендации.* М.: 1995. გვ. 10.

დონის იურისდიქციიდან დაბეგერის დაბალი დონის იურისდიქციაში.

ოფშორული მექანიზმების გამოყენებისა და ეროვნული დაბეგერისაგან კაპიტალის დაცვის იურიდიულ წინაპირობას სახელმწიფოს საგადასახადო სუვერენიტეტის ტერიტორიული შეზღუდულობა წარმოადგენს.

საგადასახადო თავშესაფრის ქვეყნებში კომპანიის რეგისტრაციისას წარმოიქმნება დაბეგერისაგან დამოკიდებული სუბიექტი (ე.წ. ოფშორული კომპანია), რომლის მოგება და შემოსავლები ექვემდებარება დაბეგერას „შელავთიანი“ საგადასახადო პირობებით, როგორც საგადასახადო თავშესაფრის სუბიექტის. სუბიექტის ოფშორულ ზონაში რეგისტრაციის გზით წარმოებს დაბეგერის ობიექტის იურიდიული გადაადგილება სხვა ქვეყანაში და ოფშორული კომპანიის დამაარსებელი ქვეყნის კონტროლიდან გასვლა.

არსებობს ქვეყნის ოფშორულ ზონად გადაქცევის შემდეგი საშუალებები:

- გადასახადების სრული გამორიცხვა;
- ფიქსირებული წლიური საგადასახადო შენატანის დადგენა;
- დაბალი საგადასახადო განაკვეთების დადგენა;
- გადასახადების არარსებობის პირობებში ფიქსირებული შენატანის დადგენა კომპანიების რეგისტრაციისათვის;
- სხვა განსაკუთრებული პირობების შემოღება გადასახადების არარსებობისას (მაგალითად, შენატანი საბანკო ანგარიშის გახსნისათვის) და სხვა.

საგადასახადო თავშესაფრები, უპირველეს ყოვლისა, ხასიათდებიან საბანკო და კომერციული საიდუმლოების დაცვით. აღნიშნულ ქვეყნებს არ გააჩნიათ სხვა ქვეყნებთან შეთანხმებები ინფორმაციების მიწოდების თაობაზე. ოფშორული ზონები ხასიათდება ნაკლებად მკაცრი სავალუტო კონტროლით, პოლიტიკური სტაბილურობით, უსაფრთხოების გარანტიებით და მეწარმეობის ეფექტურობით.

გარდა ამისა, უცხოელი ინვესტორებისათვის ოფშორული ზონები მიმზიდველია შემდეგი განსაკუთრებულობების გამო:

- მოგების გადასახადი არ არსებობს ან უმნიშვნელოა, გადასახადი შემოსავლების გატანაზე არ არსებობს;
- რეგისტრაციის პროცედურა მაქსიმალურად გამარტივებულია;

- არ არსებობს შეზღუდვები ვალუტის შეტანაზე და გატანაზე;
- ფირმის მმართველობის პროცედურა უკიდურესად გამარტივე-ბულია და ხშირად პირობითია;
- საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა არ ითვლება დანაშაულად.

ოფშორული ზონების ფუნქციონირების არანაკლებ მნიშვნელოვან პირობას მათი პოლიტიკური სტაბილურობა წარმოადგენს. აფრიკის სახელმწიფოების ზოგიერთ ტერიტორიაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების, პაკისტანის, ლიბანისა და ა.შ ტერიტორიებზე არსებობს საგადასახადო თავშესაფრები და ოაზისები, თუმცა მუდმივი შიდაეროვნული და შიდაპოლიტიკური კონფლიქტები, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ღია საბრძოლო მოქმედებებიც, არ აძლევს ამ ზონებს განვითარებისა და არსებობის საშუალებას.

საგადასახადო შეღავათების მინიჭებით ოფშორული ტერიტორია იზიდავს საფინანსო კაპიტალს. ასეთი პოლიტიკის გატარებით ბუნებრივი რესურსების არმქონე და უმნიშვნელო ეკონომიკური პოტენციალის მქონე მცირე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ არსებობის შესაბამის დონეს.

ოფშორების განვითარებას ხელი შეუწყო ტრანსეროვნული კორპორაციების გამოჩენამ. თავისი საწარმოო და გამსაღებელი ფილიალების საერთაშორისო ქსელზე დაყრდნობით, მათ შეძლეს გადაეტანათ შოგება ნაკლები დონის გადასახადების ქვეყნებში. სწორედ საზღვარგარეთის ფილიალებისა და შეილობილი ფირმების სისტემის შექმნა და მათ საფუძველზე მსხვილი შიდასაწარმოო ოპერაციები იძლევიან ოფშორული საქმიანობის გამოყენების ფართო შესაძლებლობებს.

დანიშნულებიდან გამომდინარე ა. გორბუნოვი გამოყოფს ოფშორული კომპანიების შემდეგ სტანდარტულ ტიპებს:¹

ჰოლდინგური ტიპის კომპანიები:

- ოპერატიულ-ჰოლდინგური კომპანიები;
- საინვესტიციო კომპანიები;
- კომპანიები, რომლებიც ფლობენ უძრავ ქონებას;
- კომპანიები, რომლებიც ფლობენ გემებს;
- კომპანიები, რომლებიც ფლობენ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს.


¹ Горбунов А. Офшорный бизнес и создание компаний за рубежом. М.: 1995, გვ. 8.

სავაჭრო-საშუამავლო ფირმები:

- საექსპორტო-საიმპორტო ფირმები;
- შემსყიდველი და სადისტრიბუტორო ფირმები.

ფინანსური პროფილის კომპანიები:

- ოფშორული ბანკები;
- საფინანსო-საშუამავლო კომპანიები;
- სადაზღვევო კომპანიები (იხ.სექმა I)



სქემა I

ოფშორული მექანიზმების ფართოდ გამოყენების შედეგად განვითარებული სამრეწველო ქვეყნები ვერ იღებენ მრავალ-მილიარდიან საგადასახადო შემოსავლებს. საბოლოო ჯამში, ყველა ეს საშუალება თავს იყრის ოფშორულ ცენტრებში, ხოლო შემდეგ ბრუნდება სამშობლოში, მაგრამ უკვე როგორც „უცხოური ინვესტიცია“, საგადასახადო და სხვა შეღავათების მიღებით. ხაზინა ამ შემთხვევაში აგებს ორჯერ: თავდაპირველად ეროვნული შემოსავლები ფაქტიურად გაედინება საზღვარგარეთ გადასახადის გადახდის გარეშე, ხოლო შემდეგ ბრუნდება ამა თუ იმ უპირატესობათა მიღების პრეტენზიებით. განვითარებული სამრეწველო სახელმწიფოები ცდილობენ ებრძოლონ კაპიტალისა და გადასახადების გადინებას პოლიტიკური, იურიდიული და ეკონომიკური მეთოდებით. მაგალითად, „არასასურველი“ რეპუტაციის შექმნა იმ ფირმებისათვის, რომლებიც დაფუძნენ საერთაშორისო ოფშორულ ზონებში. ასეთი ფირმები არ სარგებლობენ საბაჟო შეღავათებით, დაბალ პროცენტინი სესხით

Мешерякова О. Налоговые системы развитых стран мира М. „Правовая культура“, 1995, გვ. 219.

ან სხვა სახის სახელმწიფო მხარდაჭერით. ცალკეულ შემთხვევაში მათთვის სავალდებულოა ინვესტიციების ლეგალიზაციის სპეციალური დამოწმება.

გარდა ამისა, ეროვნული საგადასახადო კანონმდებლობით დგინდება კაპიტალის „რეზიდენტობის“ პრინციპი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ახორციელებს თავისი საგადასახადო იურიდიკციის გავრცელებას ქვეყნის ტერიტორიულ საზღვრებს გარეთ. წესდება გადასახადები კაპიტალის გატანაზე, იმ ოპერაციების ლიცენზირებაზე, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალის მოძრაობასთან და ა.შ. თვით ამ ქვეყნების ტერიტორიაზე იქმნება საკუთარი საგადასახადო ოაზისები და ცენტრები (ოფშორული საბანკო ზონა ნიუ-იორკში, ოფშორული ზონები ლონდონში, პარიზში, მაინის ფრანკფურტში, მონრეალში) და ა.შ.

საერთოდ, აშშ-ში ყველაზე მაღალი გადასახადები ნიუ-იორკშია, რის გამოც ბევრმა საშუალო და მსხვილმა კორპორაციამ თავისი ოფისები მეზობელ შტატებში გადაიტანა. მაღალი საგადასახადო ტვირთი არსებითად ზემოქმედებს ფასწარმოქმნაზეც. სწორედ ამიტომ ნიუ-იორკის მაცხოვრებლები საყიდლებზე მეზობელ ნიუ-ჯერსის შტატში დადიან. ამ პროცესის შესაჩერებლად და ადგილობრივი სავაჭრო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, ნიუ-იორკის გუბერნატორმა ექსპერიმენტის სახით შემოიღო „უგადასახადო დღეები“, იმისდა მიუხედავად, რომ ყოველი მათგანის შემდეგ ხაზინა დაახლოებით 21 მლნ. დოლარს კარგავს¹.

საყოველთაოდ აღიარებულ „საგადასახადო სამოთხედ“ ანტილიის კუნძულები ითვლება. ამ ოფშორულ ზონაში პრაქტიკულად არ არსებობს რაიმე სახის გადასახადები, ხოლო ინფორმაცია დამფუძნებლებისა და ოფშორული კომპანიების შესახებ მთლიანად დახურულია. აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების საშუალებით წარმოების ბიუჯეტის 1/4-ის ფორმირება. ამასთან ერთად, დასაქმებული მოსახლეობის 7% ემსახურება ოფშორულ კომპანიებს.

სადაზღვევო ბიზნესის მსოფლიო ცენტრად იქცა ბერმუდის კუნძულები. სადაზღვევო შენატანების შეღავათიანმა დაბეგვრამ მიიზიდა კუნძულზე ათასზე მეტი სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანია.

¹ Ордоз А. Святиое дело — уплати налогов. Дайджест — финансы, 1997, № 2.

ოფშორული ზონები ძირითადად კონცენტრირებულია დედამიწის რაშოდენიშე წერტილში.

კარბის ბასეინი:

- ბაჰამის კუნძულები (არ არსებობს საშემოსაველო გადასახადი, კორპორაციათა გადასახადი, გადასახადი საქონლის გაკიდვიდან მიღებულ მოგებაზე, გადასახადი შემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის, რეგისტრირებულია 39 ბანკი, ყოველწლიური მოსაკრებელი 100 ამერიკულ დოლარს შეადგენს);

- ვირჯინიის კუნძულები (ყოველწლიური მოსაკრებელი 300 ამერიკულ დოლარს შეადგენს);

- კაიმანის კუნძულები (კომერციული საიდუმლოების მკაცრი დაცვა, დაშუქნებელთა შესახებ საიდუმლოების დაცვა, გადასახადები ფაქტიურად არ არსებობს, რეგისტრირებულია 56 ბანკი).

ოფშორული ზონების სტატუსი გააჩნია აგრეთვე ბარბადოსს და გრენადას.

ხმელთა შუა ზღვისპირეთი:

- არდორა (კორპორაციათა დაბევერა არ არსებობს, ასევე არ არსებობს საშემოსაველო გადასახადით დაბევერა შემოსაველის წყაროსთან);

- გიბრალტარი (საშემოსაველო გადასახადის განაკვეთია – 2%; ყოველწლიური მოსაკრებელი 225 გირვანქა სტერლინგს შეადგენს, გადასახადი გარიგებიდან 0.25%-ია, ეს ზონა განსაკუთრებით ხელსაყრელია გემთმფლობელებისა და უძრავი ქონების მფლობელთათვის, საინვესტიციო პოლდინგისა და სავაჭრო-საშუამაველო ოპერაციებისათვის);

- მონაკო (ფიზიკური პირები გადასახადებით არ იბვერებიან, უცხოელი ფირმებისათვის დადგენილია მოგების გადასახადი 8 %-იანი განაკვეთით);

- კვიპროსი, კუნძულის ბერძნულ ნაწილში (გადასახადი უცხოელებისათვის 5%-ს შეადგენს);

- სან-მარინო (გადასახადი 23%-ს შეადგენს).

ევროპის ოფშორული ზონები:

- შვეიცარია (ქვეყანა პოლიტიკური თვალსაზრისით სტაბილურია, წარმოადგენს კაპიტალის მოძრაობის საერთაშორისო ცენტრს, ბვერია საგადასახადო ოაზისები, მაგალითად, ქცუგი, სადაც მოგების გადასახადი 9.8 %-ს შეადგენს);

- ლუქსემბურგი (პოლდინგური კომპანიების საქმიანობა არ იბვერება, არ არის დღე, წარმოადგენს საბანკო საქმიანობის საერთაშორისო ცენტრს);

- ლიხტენშტეინი (იქმნება საშუამავლო ფირმები, საბანკო საიდუმლოება მკაცრად დაცულია, გადასახადი კაპიტალიდან წელიწადში 0,1 %-ს შეადგენს);

- კუნძულები ლა-მანშის ყურეში, გერნსი და ჯერსი (20 %-იანი გადასახადი შიდა გარიგებებზე და ოპერაციებზე, ყოველწლიური მოსაკრებელი "ოფშორულ" გარიგებებზე 500 გირვანქა სტერლინგია);

- კუნძული მენი (არ არსებობს საშემოსავლო გადასახადი, გადასახადი გარიგებებზე 0,25%-ს შეადგენს; აქ იმყოფებიან მსოფლიოს უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიები);

- სან-მარინო (კომპანიების ერთობლივი საგადასახადო ტვირთი 23 %-ს არ აღემატება);

- ირლანდია.

არაბეთის ოფშორული ზონები:

- ლიბანი;

- გაერთიანებული არაბეთის ემირატები (გადასახადები არ არსებობს, საფინანსო ცენტრი, წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის კომერციული გარიგებების განხორციელების ბაზას);

- ბაჰრეინი.

აფრიკის ოფშორული ზონები:

- სეიშელის კუნძულები (უცხოელი მენაბრები არ იბეგრებიან გადასახადებით);

- ლიბერია.

აზია-წყნარ ოკეანეთის რეგიონის ოფშორული ზონები:

- აომინი (პორტუგალიის საკუთრება ჩინეთში);

- სიანგანი (ყოფილი ჰონკონგი, კონცენტრირებულია 250 ბანკი, 50 ათ. ფაბრიკა და ქარხანა, შიდა გარიგებები და ოპერაციები იბეგრება 15%-იანი გადასახადით, უცხოური ქონება გადასახადებით არ იბეგრება);

- სინგაპური;

- მალაიზია;

- ფილიპინები.

საქართველოს რეზიდენტების მიერ ოფშორული კომპანიების შექმნა არ არის აკრძალული; გარდა ამისა, მათი გამოყენება იურიდიული თვალსაზრისით არ ითვლება საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევად.

თავი II ევროპის ქვეყნების გადასახადები და საგადასახადო აღმინისტრაციები

§ 1 დიდი ბრიტანეთის საგადასახადო სისტემა

მდებარეობა – დასავლეთი ევროპა.

ტერიტორია – 244,9 ათასი კმ².

მოსახლეობა – 59 მილიონი.

დედაქალაქი – ლონდონი.

სახელმწიფო ენა – ინგლისური.

ფულის ერთეული – გირვანქა სტერლინგი.

აღმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა –
უნიტარული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპარლამენტო მონარქია.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 1264 მლრდ. აშშ
დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით)
– 21 410 აშშ დოლარი.

გადასახადებით დაბევრის შესახებ მეცნიერების სამშობლოში საგადასახადო სისტემა ძირითადად ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. საგადასახადო რეფორმები დიდ ბრიტანეთში 1965 და 1973 წლებში, ხოლო სერიოზული ცვლილებები, განსაკუთრებით კი ადგილობრივ გადასახადებში XX საუკუნის 90-იან წლებში განხორციელდა. დიდი ბრიტანეთის საგადასახადო სისტემა *ორსაფეხურიანია*: შედგება საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადებისაგან.

დიდი ბრიტანეთის თანამედროვე საგადასახადო სისტემის ძირითადი *საერთო-სახელმწიფოებრივი* გადასახადებია: ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, კორპორაციათა მოგების გადასახადი, გადასახადი კაპიტალის ზრდაზე, გადასახადი ნავთობიდან მიღებულ შემოსავლებზე, მემკვიდრეობისათვის გადასახადი, დღგ, აქციზი, საგერბო მოსაკრებელი. აღნიშნული გადასახადები საგადასახადო შემოსავლების 90 პროცენტს შეადგენს (სქემა 2).

დიდი ბრიტანეთის ძირითადი გაღასახადები:	განაკეთი, %
ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გაღასახადი	
2500 გირვანქა სტერლინგამდე	20
2501-დან 23700 გირვანქა სტერლინგამდე	25
23700 გირვანქა სტერლინგზე ზევით	40
კორპორაციათა მოგების გაღასახადი:	
250000 გირვანქა სტერლინგამდე მოგებით	25
250000 გირვანქა სტერლინგზე მეტი მოგებით	33
გაღასახადი მეშველდროისათვის:	
150000 გირვანქა სტერლინგამდე	0
150000 გირვანქა სტერლინგზე ზევით	40
დამატებული ღირებულების გაღასახადი	17.5
აკციზი	სხვადასხვა
საგებობო მოსაკრებელი	0.5%-დან 2%-მდე

სქემა 2

ადგილობრივი გაღასახადების წილი, რომლის საფუძველსაც ქონებრივი გაღასახადები წარმოადგენენ, საგაღასახადო შემოსავლების 10 პროცენტს შეადგენენ.

დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ბიუჯეტში პირდაპირი გაღასახადების თითქმის ორი მესამედი ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გაღასახადს უკავია. პირველად იგი ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმართული ომის დაფინანსების მიზნით, როგორც დროებითი ღონისძიება, შემოღებული იქნა 1799 წელს, ხოლო 1842 წლიდან აღნიშნული გაღასახადი საბოლოოდ დამკვიდრდა ინგლისის საგადასახადო სისტემაში.

საშემოსავლო გაღასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური პირები. დიდ ბრიტანეთში გამოიყენება რეზიდენტებად და არარეზიდენტებად დაყოფის პრინციპი. დიდი ბრიტანეთის რეზიდენტის შემოსავლები იბეგრება მათი წარმოშობის წყაროს მიუხედავად. არარეზიდენტები იხდიან გაღასახადს მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მიღებულ შემოსავლებიდან.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გაღასახადის გამოანგარიშების მიზნით, შემოსავლის წყაროდან გამომდინარე, ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლები იყოფა ექვს ძირითად ნაწილად, კერძოდ: შემოსავლები მიწისა და შენობა-ნაგებობების საკუთრებიდან; შემოსავლები კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული სატყეო მასივებიდან; შემოსავლები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან;

შემოსავლები სამეწარმეო კომერციული საქმიანობიდან; ხელფასი, პენსია, დახმარება და სხვა შემოსავლები; კომპანიების მიერ განაწილებული შემოსავლები და დივიდენდები.

დიდ ბრიტანეთში საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმი წელიწადში დაახლოებით 3000 გირვანქა სტერლინგს შეადგენს. შემოსავლები, რომლებიც აღემატება ამ თანხას იბეგრება 25 პროცენტითანი განაკვეთით. თუ შემოსავალი აღემატება 23700 გირვანქა სტერლინგს გამოიყენება 40 პროცენტითანი განაკვეთით.

დიდი ბრიტანეთის საგადასახადო კანონმდებლობა განიხილავს ოჯახურ წყვილს, როგორც ერთ გადამხდელს. ითვლება, რომ ცოლი იმყოფება ქმრის კმაყოფაზე. ქმარი ადგენს დეკლარაციას. ცოლის ნებისმიერი შემოსავალი ემატება ქმრის შემოსავალს. თუ მეუღლეებს ჰყავთ შვილები, დაუბეგრავი მინიმუმის თანხა ყოველკვირეულად იზრდება 7 გირვანქა სტერლინგით.

საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშება წარმოებს დასაბეგრი შემოსავლიდან, რომელიც წარმოადგენს კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალს შემცირებულს კანონით გათვალისწინებული გამოქვითვებით და შეღავათებით.

საშემოსავლო გადასახადის დაკავება ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებიდან წარმოებს შემოსავლის გაცემის წყაროს ადგილის მიხედვით. დაქირავებულები, რომლებიც ცხოვრობენ მხოლოდ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებით საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დეკლარაციას არ ავსებენ. სხვა შემთხვევაში შემოსავლების დაბეგრა წარმოებს გადასახადის გადამხდელის მიერ კანონით დადგენილ ვადებში წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე.

ბრიტანეთის თანამედროვე საშემოსავლო გადასახადი ძირითადად 1965 და 1973 წლების რეფორმების წყალობით ჩამოყალიბდა. 1965 წლამდე საშემოსავლო გადასახადს იხდიდნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები, მ.შ. კორპორაციები. კორპორაციათა მოგების გადასახადის შემოღებით, საშემოსავლო გადასახადი გავრცელდა მხოლოდ ფიზიკურ პირთა შემოსავლებზე, მ.შ. ინდივიდუალურ მეწარმეებზე და ამხანაგობების პარტნიორებზე. საშემოსავლო გადასახადში გაცილებით მეტი სერიოზული ცვლილებები შეტანილი იქნა 1973 წლის რეფორმის პერიოდში.

არაპირდაპირ გადასახადებში ძირითადი ადგილი *დამატებული ღირებულების გადასახადს* უჭირავს.

დამატებული ღირებულების გადასახადი შემოღებული იქნა 1973 წლის 1 აპრილიდან. აღნიშნული გადასახადი მოქმედებს ინგლისის, ჩრდილოეთ ირლანდიის, შოტლანდიის და უელსის ტერიტორიებზე, მ.შ. კუნძულ მენზე. დამატებული ღირებულების გადასახადს ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლებში დაახლოებით 17 პროცენტი უკავია.

დამატებული ღირებულების გადასახადის სტანდარტული განაკვეთია 17,5 პროცენტი. ცალკეული სახის სამუშაოების, ანტიკვარული და საკოლექციო საგნების იმპორტი იბეგრება 2,5 პროცენტიანი განაკვეთით. დამატებული ღირებულების გადასახადის ნულოვანი განაკვეთით იბეგრება საბავშვო ტანსაცმელი, სამგზავრო ტრანსპორტი, წიგნები, გაზეთები, ადგილობრივი კანალიზაცია და წყალი, გამოწერილი ნარკოტიკები, მედიცინა, ინვალიდებისათვის გაწეული ცალკეული სახის დახმარება, ხოლო 8 პროცენტიანი განაკვეთით – ოჯახებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ გამოყენებული საწვავი და ენერჯია. ძირითადი საფინანსო მომსახურება თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. საფინანსო კონსულტაციები, ვალების ამოღება, ფასიანი ქაღალდების შექმნა იბეგრება სტანდარტული განაკვეთით, ხოლო საფინანსო მომსახურების ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით. საცხოვრებელი შენობების მიწოდება იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადის ნულოვანი განაკვეთით, გარდა ახლად აშენებული შენობებისა.

დიდ ბრიტანეთში დამატებული ღირებულების გადასახადისაგან თავისუფლდება საფოსტო მომსახურება, სტომატოლოგიური მომსახურება, საქველმოქმედო საქმიანობა, განათლება, არაკომერციული ორგანიზაციების არაკომერციული საქმიანობა, კულტურა, დაზღვევა და გადაზღვევა, უძრავი ქონების გაქირავება, ლატარიები და აზარტული თამაშები, დაკრძალვა, კრემაცია და სპორტული შეჯიბრები.

არაპირდაპირ გადასახადებში მეორე ადგილი *აქციზს* უჭირავს. აქციზით იბეგრება ალკოჰოლიანი სასმელები, საწვავი, თამბაქოს ნაწარმი, სატრანსპორტო საშუალებები. სპირტიან სასმელებზე და საწვავზე დადგენილია აქციზის ფიქსირებული განაკვეთი საქონლის

ერთეულზე (ლიტრზე). თამბაქოს ნაწარმზე აქციზი დადგენილია პროცენტული დანამატის სახით საქონლის ფასზე. აქციზის განაკვეთები მერყეობს 10-დან 30 პროცენტამდე ფარგლებში.

არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება საბაჟო მოსაკრებელი, საგაერო მოსაკრებელი, სათამაშო ბიზნესის გადასახადი, იპოდრომის მოსაკრებელი.

საგერბო მოსაკრებლის გადახდა წარმოებს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების გაფორმებისას.

კორპორაციული გადასახადით იბეგრება წლის განმავლობაში რეზიდენტი კომპანიების მიერ მიღებული მოგება.

მოგების გადასახადის განაკვეთია 33 პროცენტი. ამასთან, 10 წლის უკან იგი 52 პროცენტს, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისში – 35 პროცენტს შეადგენდა.

დასაბუკრი მოგების განსაზღვრისას ერთობლივი შემოსავლიდან, ამ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების გარდა, გამოიქვითება წარმომადგენლობითი ხარჯები, გართობაზე გაწეული ხარჯები, იურიდიულ კონსულტაციაზე გაწეული ხარჯები, კომერციული და არაკომერციული ხასიათის ზარალი, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოზე გაწეული ხარჯები.

მცირე ბიზნესი სარგებლობს შეღავათით – 25 პროცენტიანი გადასახადის განაკვეთის სახით. მცირე ბიზნესის კრიტერიუმს წარმოადგენს არა კომპანიაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა, არამედ საწარმოს მიერ მიღებული მოგება. მცირე საწარმოებს მიეკუთვნებიან საწარმოები, რომელთა მიერ წლის განმავლობაში მიღებული მოგება არ აღემატება 250 ათას გირვანქა სტერლინგს.

სპეციალური საგადასახადო რეჟიმია დაწესებული ნავთობის მომპოვებელი საწარმოებისათვის. აღნიშნული საწარმოები იხდიან ბიუჯეტში შემოსავლების 50 პროცენტს. ამასთან, აღნიშნული კომპანიები არ თავისუფლდებიან საერთო სახელმწიფოებრივი კორპორაციული გადასახადისაგან. რამოდენიმე წლის წინათ ეს განაკვეთი 75 პროცენტს შეადგენდა.

მემკვიდრეობის გადასახადით არ იბეგრება გადაცემული ქონება თუ მისი ღირებულება არ აღემატება 150 ათას გირვანქა სტერლინგს. შემდეგ გამოიყენება 40%-იანი განაკვეთი. მოქმედებს საგადასახადო შეღავათების სისტემა.

მნიშვნელოვანი ადგილი სოციალური დაზღვევის შენატანებს უჭირავს, რომელიც იხარჯება პენსიებისა და დახმარებების გაცემაზე დაქირავებულებისა და დამქირავებლებისათვის შენატანების ოდენობა დიფერენცირებულია. პირები, რომლებსაც გააჩნიათ 54 გირვანქა სტერლინგამდე შემოსავლები კვირაში, მთლიანად თავისუფლდებიან შენატანებისაგან. იმ შემთხვევაში, თუ გამომუშავებული შემოსავალი აღემატება 54 გირვანქა სტერლინგს, შენატანების ოდენობა შეადგენს 2 პროცენტს პირველ 54 გირვანქა სტერლინგზე და 9 პროცენტს დანარჩენ ნაწილზე, მაგრამ არა უმეტეს 405 გირვანქა სტერლინგისა კვირაში. თვითდასაქმებული პირები, აგრეთვე სხვა პირები სოციალურ შენატანებს იხდიან ფიქსირებული განაკვეთებით 5,35 ან 5,25 გირვანქა სტერლინგის ოდენობით კვირაში. თუ თვითდასაქმებული პირების შემოსავლები აღემატება კანონით განსაზღვრულ თანხას, შენატანების გადახდა წარმოებს 6,3 პროცენტისანი განაკვეთით.

ადგილობრივი გადასახადებიდან ძირითად გადასახადს *ქონების გადასახადი* წარმოადგენს. მისი აკრეფა წარმოებს უძრავი ქონების მესაკუთრეებისაგან ან მოიჯარეებისაგან. ქონების ცნებაში შედის მიწაც. გადასახადის გადამხდელებს მიეკუთვნებიან ბინის დამქირავებლებიც, რომლებიც იხდიან ბინის ქირას. უძრავი ქონების შეფასება, როგორც წესი, წარმოებს 10 წელიწადში ერთხელ. გადასახადის განაკვეთს ადგენენ მუნიციპალიტეტები ფინანსური რესურსების მოთხოვნების გათვალისწინებით და ამიტომ აღნიშნული გადასახადის განაკვეთი აშკარად მერყეობს დიდი ბრიტანეთის საგრაფოებსა და ქალაქებს შორის.

1990 წლის აპრილიდან ინგლისში და უელსში (ხოლო ერთი წლით ადრე შოტლანდიაში) შემოღებული იქნა *სულადობრივი გადასახადი*, რომელმაც მოიცვა პრაქტიკულად 18 წლის ასაკს მიღწეული ყველა ფიზიკური პირი. სულადობრივი გადასახადი დადგენილი იყო ფიქსირებული გადასახადის სახით ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ დამოუკიდებლად, რაც პირდაპირ კავშირში იყო მათი ხარჯების დონესთან. სულადობრივი გადასახადი 1993 წლიდან შეცვალა ახალმა მუნიციპალურმა გადასახადმა, რომელიც მხედველობაში იღებს ქონების საბაზრო ღირებულებას და ოჯახის სრულწლოვან წევრთა რიცხოვნობას. ცალკეული

კატეგორიის ოჯახებისათვის დაწესებულია მთელი რიგი საგადასახადო შეღავათები.

მუნიციპალიტეტებს საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ დააწესონ სხვა ადგილობრივი გადასახადებიც. ადგილობრივი მოსაკრებლების ჩამონათვალი სხვადასხვა საგრაფოში განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მთავარ სამთავრობო ორგანოს, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საგადასახადო სისტემის მართვასა და რეგულირებას, ხაზინა წარმოადგენს. იგი პასუხისმგებელია საერთო ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებაზე და განხორციელებაზე. მის წინაშე ანგარიშვალდებულია შემოსავლების სამმართველო და აქციზისა და მოსაკრებლების სამმართველო. შემოსავლების სამმართველოს გაანჩია მთავარი საგადასახადო ინსპექტორის ოფისი ლონდონში და მისდამი დაქვემდებარებული 700 ოფისი მთელს ქვეყანაში. ფორმალურად ეს დამოუკიდებელი სამთავრობო დაწესებულებაა. აქციზისა და მოსაკრებლების სამმართველო ახორციელებს ყველა არაპირდაპირი გადასახადის ადმინისტრირებას.

§ 2 საფრანგეთის საგადასახადო სისტემა

მდებარეობა – დასავლეთი ევროპა.

ტერიტორია – 552 ათასი კმ².

მოსახლეობა – 59 მილიონი.

დედაქალაქი – პარიზი.

სახელმწიფო ენა – ფრანგული.

ფულის ერთეული – ევრო.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – უნიტარული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – შერეული, ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 1465 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 24210 აშშ დოლარი.

საფრანგეთის საგადასახადო სისტემა განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის იმით, რომ სწორედ ამ ქვეყანაში იქნა შეიქმნეული

ღა 1954 წლიღან პირველად დანერგილი დამატებული ღირებულების გადასახადი. აღნიშნული გადასახადი წარმოდგენს ძირითად არაპირდაპირ საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს საქართველოში.

საფრანგეთის საგადასახადო სისტემა სხვა განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით ხასიათდება ბიუჯეტის შემოსავლებში არაპირდაპირი გადასახადების მაღალი წილით (სქემა 3).¹

საფრანგეთის საგადასახადო სისტემა წარმოდგენს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად წყაროს, რომლებიც შეადგენენ მისი საშემოსავლო ბაზის 90 პროცენტზე მეტს.

საფრანგეთში მოქმედი გადასახადები შეიძლება დავეოთ სამ ჯგუფად:

- საშემოსავლო გადასახადები;
- მოხმარების გადასახადები;
- ქონებრივი გადასახადები.

საფრანგეთის სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა 90-იანი წლების დასაწყისში	
გადასახადის სახეები	%
დამატებული ღირებულების გადასახადი	44.1
ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი	18.1
საწარმოთა გადასახადი	10.6
მოსაკრებელი ნათობპროდუქტებზე	7.3
სხვა გადასახადები	15.2
არასაგადასახადო შემოსავლები	7.4
სულ	100

სქემა 3.

ცენტრალურ გადასახადებს შორის მნიშვნელოვანია სააქციო სასოგადოებების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.

სააქციო საზოგადოებების გადასახადის გადამხდელებს წარმოდგენენ საწარმოები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. სხვა საწარმოები იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით ფიზიკური პირების დაბეგრის წესების შესაბამისად. თუ სააქციო სასოგადოებებს გააჩნიათ დამოუკიდებელი ფილიალი, მაშინ საზოგადოების ცალკეული ფილიალების შემოსავლები იბეგრება დამოუკიდებლად.

¹ *Налоговые системы зарубежных стран. Учебное пособие / Под ред. В. Князева, А. Черника. М.: 1995, გვ. 55*

დაბეგერის ობიექტს წარმოადგენს შემოსავალი, რომელიც მიიღო სააქციო საზოგადოებამ ნებისმიერი სახეობის საქმიანობიდან, მ.შ. ქონების რეალიზაციიდან. გადასახადის გამოანგარიშება წარმოებს სააქციო საზოგადოების საბუღალტრო და საგადასახადო ანგარიშგების მონაცემთა საფუძველზე. დასაბეგრი მოგება განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საწარმოო დანახარჯების თანხებს შორის. ამასთან, სახელმწიფო პირდაპირ არ განსაზღვრავს ამ დანახარჯთა ჩამონათვალს და იგი განისაზღვრება დადგენილი წესებით, რომლებსაც საქმიანობის სახეობიდან გამომდინარე გააჩნიათ დარგობრივი სპეციფიკა.

გადასახადის განაკვეთი დამოკიდებულია მიღებული მოგების გამოყენების მიმართულებაზე. თუ მოგება გამოიყენება წარმოების განვითარებისათვის, მაშინ გადასახადის განაკვეთი 39 პროცენტია, ხოლო თუ შემოსავალი მიიმართება დივიდენდების გაცემისათვის, მაშინ – 42 პროცენტი. სააქციო საზოგადოებებისათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა შედეგათები. მაგალითად, პირველი ორი წლის მანძილზე ისინი მთლიანად თავისუფლდებიან დაბეგერისაგან, მესამე წელს იბეგრება მხოლოდ შემოსავლის 25 პროცენტი, მეოთხე წელს – 50 პროცენტი, მეხუთე წელს – 75 პროცენტი და მხოლოდ მეექვსე წლის დასაწყისიდან იბეგრებიან შემოსავლების 100 პროცენტზე.

გადასახადის გადახდა წარმოებს წელიწადში 5-ჯერ, მ.შ. 4-ჯერ წინა წელს მიღებული შემოსავლებიდან გამომდინარე საავანსო გადასახდებლების სახით, ხოლო მეხუთედ – წლის ფაქტიური შედეგებიდან გამომდინარე შემოსავლების შესახებ წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე.

ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების დაბეგერისას, სხვაობა გასაყიდ და ნაყიდ ფასს შორის იბეგრება ორი განაკვეთით: თუ რეალიზაციის აქტი განხორციელდა ორი წლის განმავლობაში შექმნის მომენტიდან – 42 პროცენტით და თუ ქონება გაიყიდა ქონების შექმნიდან ორი წლის გასვლის შემდეგ – 15 პროცენტით.

დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოადგენს ქვეყნის ძირითად არაპირდაპირ გადასახადს, რომელიც საფრანგეთის

ბიუჯეტს აძლევს ყველაზე მნიშვნელოვან საგანგებო შემოსავლებს (დაახლოებით საგანგებო შემოსავლების 42 პროცენტი). დამატებული ღირებულების გადასახადი გამოიანგარიშება წარმოებისა და მიმოქცევის ყველა სტადიაზე სხვაობის სახით, საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებულ გადასახადის თანხასა და მატერიალურ ფასეულობათა შექმნისას გადახდილი გადასახადის თანხებს შორის.

საფრანგეთში მოქმედებს დღ-ის ოთხი განაკვეთი. სტანდარტული განაკვეთი დღეისათვის 18,6 პროცენტს შეადგენს. მაღალი, 22 პროცენტიანი განაკვეთი გამოიყენება ცალკეული სახეობის საქონლის მიმართ: ავტომობილები, კინოფოტოსაქონელი, ალკოჰოლიანი სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, პარფუმერია, ფუფუნების ცალკეული საგნები, ძვირფასი ბეწვეული და სხვა. უახლოეს პერიოდამდე მაღალი განაკვეთი 33,33 პროცენტს შეადგენდა. დაბალი 7 პროცენტიანი განაკვეთი დაწესებულია წიგნებზე და ჟურნალ-გაზეთებზე. ყველაზე დაბალი 5,5 პროცენტიანი განაკვეთი გამოიყენება პირველადი მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის. ამ კატეგორიას მიეკუთვნება კვების პროდუქტების უმრავლესობა, გარდა შოკოლადისა და ალკოჰოლიანი სასმელებისა.

დამატებული ღირებულების გადასახადი ითვალისწინებს მნიშვნელოვან შეღავათებს. მაგალითად, 1991 წლის საფინანსო კანონმდებლობის 25-ე მუხლის თანახმად, საწარმოები შეიძლება განთავისუფლდნენ დამატებული ღირებულების გადასახადისაგან იმ შემთხვევაში, თუ წინა საფინანსო წელს მათი ბრუნვა არ აღემატებოდა 70 ათას ფრანკს. ამ შემთხვევაში ისინი სარგებლობენ დღ-ისაგან განთავისუფლების რეჟიმით საანგარიშო წლის მომდევნო წლის დასაწყისიდან. გარდა ამისა დღ-ისაგან თავისუფლდება:

- სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობა, რომლებიც მიმართულია ადმინისტრაციული, სოციალური, აღმზრდელი, კულტურული და სპორტული ფუნქციების განხორციელებასთან;

- მედიცინა და განათლება;

- ზოგიერთი თავისუფალი პროფესიები: კერძო პედაგოგიური საქმიანობა, ექიმები, მხატვრები, მუსიკოსები და ა.შ.

გარდა ამისა, ცალკეული სახეობის საქმიანობის მიმდევარ გადასახადის გადაიხდელებს (ბინის გაქირავება, საფინანსო და საბანკო

საქმე, ლიტერატურული, სპორტული, სამსახიობო (საქმიანობა) ექლევათ ამორჩევის უფლება: გადაიხადონ დამატებული ღირებულების გადასახადი ან საშემოსავლო გადასახადი. დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებას აწარმოებს უშუალოდ გადასახადის გადამხდელი, გარდა მცირე საწარმოებისათვის დაწესებული გამონაკლისისა. სადაც მოქმედებს საბუღალტრო აღრიცხვის გამარტივებული სისტემა და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებას ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები.

დამატებული ღირებულების გადასახადის გარდა საფრანგეთში დაწესებულია მთელი რიგი არაპირდაპირი გადასახადები (ან აქციზები), რომლებიც ასევე წარმოადგენენ მოხმარების გადასახადებს.

აქციზით იბეგრება ალკოჰოლიანი სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, ასანთი, სანთებელა, ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნაწარმი, შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი, ლუდი და მინერალური წყლები, ცალკეული სახეობის საავტომობილო ტრანსპორტი, საფრენი აპარატები. არაპირდაპირი გადასახადებით, დღგ-ის გარდა, იბეგრება ასევე ელექტროენერგია (გადასახადი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სასარგებლოდ), სატელევიზიო რეკლამა. ცალკეულ რეგიონებში, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ დაწესებულია ტურისტული მოსაკრებელი.

მოხმარების გადასახადთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე *საბაჟო მოსაკრებელი*. საბაჟო მოსაკრებლის ძირითადი მიზანია შიდა ბაზრის, ეროვნული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაცვა. საბაჟო მოსაკრებლები სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტს წარმოადგენენ. მათ უნდა გაათანაბრონ იმპორტირებული საქონლისა და შიდა ბაზრის ანალოგიური საქონლის ფასები. როგორც წესი, საბაჟო მოსაკრებლები დაწესებულია საქონლის ფასზე, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება სპეციფიკური კრიტერიუმები: წონა, მოცულობა და ა.შ. მოსაკრებელთა ასეთი სახეები გამოიყენება სასმელების, თამბაქოს ნაწარმის, კინოფილმების მიმართ.

საშემოსავლო გადასახადს იხდიან საწარმოები და ფიზიკური პირები. გადასახადის ძირითადი განაკვეთი 34 პროცენტია. ცალკეულ შემთხვევებში იგი შეიძლება გაიზარდოს 42 პროცენტამდე.

თუ საწარმომ საანგარიშო წელს მიიღო ზარალი, იგი შეიძლება გამოიქვითოს მომდევნო წლების მოგების ხარჯზე.

გადასახადის გამოანგარიშების საფუძველს საწარმოს წლიური მოგება (ზარალი) წარმოადგენს. თითოეული საწარმო ვალდებულია ყოველწლიურად შეადგინოს დეტალური დეკლარაცია შემოსავლების შესახებ და წარადგინოს იგი საგადასახადო უწყებაში.

საგადასახადო შეღავათები ძირითადად დადგენილია დაჩქარებული ამორტიზაციის სახით, ე.ი. მიმართულია საწარმოს განახლების სტიმულირებაზე. დაჩქარებული ამორტიზაცია, როგორც წესი, გამოიყენება სამრეწველო დანადგარებზე დაშვებული კომპიუტერების სრული ამორტიზაცია ერთი წლის განმავლობაში.

საშემოსავლო გადასახადების ჯგუფში მნიშვნელოვანი ადგილი *ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადს* უჭირავს. მისი ხვედრითი წილი საფრანგეთის სახელმწიფო ბიუჯეტში 18 პროცენტს აღემატება. აღნიშნული გადასახადი იკრიფება ყოველწლიურად დეკლარირებული შემოსავლებიდან.

დაბეგრას ექვემდებარება ფისკალური ერთეული – ოჯახი. მარტოხელებისათვის ფისკალურ ერთეულს, ბუნებრივია, წარმოადგენს ერთი ადამიანი. შემოსავლებში იგულისხმება ყველა ფულადი შემოსავალი, რომელიც მიღებულია საანგარიშო წლის განმავლობაში: ხელფასი, პრემია და წახალისება, პენსია, შემოსავლები მოძრავი ქონებიდან, შემოსავლები მიწის სარგებლობიდან ან კომერციული საქმიანობიდან, არაკომერციული ხასიათის შემოსავლები, მოგება ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან და ა.შ. მხედველობაში მიიღება ერთჯერადი შემოსავლებიც, რომლებიც მიღებულია საკუთრების უფლების გადაცემის შემთხვევაში. გადასახადით დასაბეგრი ბაზიდან გამოიქვითება კანონმდებლობით სპეციალურად განსაზღვრული ხარჯები.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი ატარებს პროგრესულ ხასიათს 0-დან 56,8%-მდე. არ იბეგრება გადასახადით (0%-იანი განაკვეთი) შემოსავლები, რომლებიც არ აღემატება 18140 ფრანკს. მაქსიმალური განაკვეთი გამოიყენება შემოსავლებისათვის, რომლებიც აღემატება 246770 ფრანკს.

საფრანგეთის ბიუჯეტისათვის მნიშვნელოვანი შემოსავლები *საკუთრების გადასახადებს* მოაქვთ. გადასახადებით დაბეგრას

ექვემდებარება ქონება, ქონებრივი უფლება და ფასიანი ქაღალდები. ქონებას მიეკუთვნება შენობები, ნაგებობები, მოძრავი ქონება, აქციები, ობლიგაციები და ა.შ. ცალკეული სახეობის საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულია ამ გადასახადისაგან. კერძოდ, გადასახადისაგან თავისუფლდება ქონება, რომელიც გამოიყენება პროფესიული და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის, აგრეთვე მხატვრული და საკოლექციო ნიმუშები.

საკუთრების გადასახადს გააჩნია პროგრესული ხასიათი. მისი განაკვეთები XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისათვის გამოიყურებოდა შემდეგნაირად (იხ. სქემა 4).

საკუთრების გადასახადის განაკვეთები ¹	
ქონების ღირებულება, ფრანკები	საგადასახადო განაკვეთი, %
4260000-მდე	0
4260001-დან 6920000-მდე	0,5
6920001-დან 13740000-მდე	0,7
13740001-დან 21320000-მდე	0,9
21320001-დან 41280000-მდე	1,2
41280000 ზევით	1,5

სქემა 4

უნდა აღინიშნოს, რომ საშემოსავლო გადასახადისა და საკუთრების გადასახადის თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს მთლიანი შემოსავლების 85 პროცენტს.

საკუთრების გადასახადების ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ასევე *სარეგისტრაციო და საგერბო მოსაკრებლები და ბაჟი*.

ამავე ჯგუფში შედის *სოციალური გადასახადი ხელფასზე*. საფრანგეთში მას იხდიან დამქირავეებლები. დაბეგურის ობიექტია ხელფასის ფონდი ფულადი და ნატურალური ფორმით. გადასახადს გააჩნია პროგრესული ხასიათი. მისი განაკვეთი შეადგენს 4,5 პროცენტს 35900 ფრანკამდე ხელფასის ფონდისათვის, 8,5 პროცენტს – 35901-დან 71700 ფრანკამდე ინტერვალში და 13,6 პროცენტს აღნიშნული თანხის ზევით განაცემებზე.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადასახადის გადასახადები არიან საწარმოები და კომპანიები. მას იხდიან იურიდიული პირები, რომლებიც იყენებენ საკუთარ ავტო-

¹ *Налоговая система во Франции. 2-е изд. / Информационные учебные материалы (Российско-французская серия) – 1993. – №2 – გვ.35.*

სატრანსპორტო საშუალებებს. განაკვეთი დამოკიდებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიცხოვნობაზე და მათი ძრავის სიმძლავრეზე.

საფრანგეთის საგადასახადო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ადგილობრივ გადასახადებს უჭირავთ. ისინი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საშემოსავლო ბაზის დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენენ. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები (კომუნები, კომუნათა გაერთიანებები, დეპარტამენტები და ა.შ.) წარმოადგენენ ეკონომიკური ცხოვრების მნიშვნელოვან სუბიექტებს.

ადგილობრივი გადასახადების სისტემიდან შესაძლებელია გამოვეყოთ ოთხი ძირითადი გადასახადი:

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი;
- შენობა-ნაგებობების მფლობელთა გადასახადი;
- პროფესიული გადასახადი.

აღნიშნული გადასახადების განაკვეთებს ადგენენ ხელი-სუფლების ადგილობრივი ორგანოები (გენერალური საბჭოები, მუნიციპალური საბჭოები) მომდევნო წლის ბიუჯეტის განსაზღვრისას. ამასთან, განაკვეთი არ შეიძლება აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმუმს.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადით იბეგრება უძრავი ქონება: შენობები, ნაგებობები და ა.შ., აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია სამრეწველო და კომერციული საჭიროებისათვის.

აღნიშნული გადასახადისაგან თავისუფლდება სახელმწიფო საკუთრება, აგრეთვე არააურბანულ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის. გადასახადისაგან თავისუფლდებიან 75 წელს მიღწეული ფიზიკური პირები, აგრეთვე პირები, რომლებიც საზოგადოებრივი ფონდიდან იღებენ სპეციალურ დახმარებას ან დახმარებას ინვალიდობისათვის.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადით იბეგრება მინდვრები, მდელოები, ტყეები, კარიერები და ა.შ. გადასახადისაგან თავისუფლდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. დროებით შეიძლება განთავისუფლდეს

გადასახადისაგან ხელოვნური ტყის ნარგავები, აგრეთვე ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის.

შენობა-ნაგებობების მფლობელთა გადასახადის გადამხდელები არიან როგორც საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეები, ასევე მოიჯარეები. ნაკლებად უზრუნველყოფილი პირები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდნენ აღნიშნული გადასახადისაგან მათი ძირითადი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

პროფესიულ გადასახადს იხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც მუდმივად ახორციელებენ პროფესიულ საქმიანობას.

ამ ოთხი ძირითადი გადასახადის გარდა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ შემოიღონ სხვა *ადგილობრივი გადასახადებიც*.

გადასახადების ადმინისტრირებას, რომლებიც ირიცხება როგორც ცენტრალურ, ასევე ტერიტორიულ ბიუჯეტში, ახორციელებს საფრანგეთის მთავარი საგადასახადო სამმართველო. აღნიშნული სამსახური შედის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში. მთელს ქვეყანაში მას გააჩნია 830 საგადასახადო და 16 საინფორმაციო ცენტრი. საგადასახადო კონტროლი ხორციელდება კამერალური და დოკუმენტური საგადასახადო შემოწმებების გზით. გადასახადისაგან თავის არიდების შემთხვევაში მოქმედებს საკმაოდ მკაცრი პასუხისმგებლობის სისტემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ჩათვლით. როგორც წესი, დეკლარაციების შევსებისას დაშვებული შეცდომა, ე.ი. შემოსავლის გაუფრთხილებელი შემცირება, იწვევს დაჯარიმებას შემცირებული თანხის 0,75%-ის ოდენობით თვეში. შემოსავლის განზრახ შემცირებისათვის გადამხდელს გადახდება კუთვნილი გადასახადის თანხა და ჯარიმა იმავე ოდენობით

§ 3 ბერმანიის საგადასახადო სისტემა

მდებარეობა – დასავლეთი ევროპა.

ტერიტორია – 356,9 ათასი კმ².

მოსახლეობა – 82 მილიონი.

სახელმწიფო ენა – გერმანული.

ფულის ერთეული – ევრო.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – ფედერაციული რესპუბლიკა.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპარლამენტო რესპუბლიკა.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 2180 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 26 579 აშშ დოლარი

ომის შემდგომი გერმანიის ეკონომიკური განვითარება დაკავშირებულია ცნობილი ეკონომისტისა და სახელმწიფო მოღვაწის, მეურნეობის ყოფილი მინისტრის, ხოლო შემდეგ გერმანიის კანცლერის პროფესორ ლუდვიგ ერჰარდის სახელთან.

ლ. ერჰარდის დროიდან გერმანიაში დამკვიდრდა საგადასახადო სისტემის აგებულების მნიშვნელოვანი პრინციპები:

- გადასახადები უნდა იყოს შექმნილი დაგეგმვით მინიმალური;
- მინიმალური, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მინიმალურად საჭირო უნდა იყოს მათი აკრეფის ხარჯები;
- გადასახადები არ უნდა უქმნიდნენ წინააღმდეგობას კონკურენციას;
- გადასახადები უნდა შეესაბამებოდნენ სტრუქტურულ პოლიტიკას;
- გადასახადები მიმართული უნდა იყოს შემოსავლების სამართლიან განაწილებაზე;
- სისტემა უნდა აიგოს პიროვნების პირადი ცხოვრების პატივისცემაზე. საგადასახადო ორგანოს მუშაკს არა აქვს უფლება გამოაკეყენოს ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის შესახებ. კომერციული საიდუმლოების დაცვა უნდა იყოს გარანტირებული;
- საგადასახადო სისტემა უნდა გამორიცხავდეს ორმაგ დაბეგვრას;
- გადასახადი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო მომსახურების მოცულობას, მათ შორის პიროვნების დაცვას და ყოველივე

იმას, რაც მოქალაქეს შეუძლია მიიღოს სახელმწიფოსაგან.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითად კანონში გადმოცემულია გფრ-ის საგადასახადო სისტემის ძირითადი დებულებები. კონსტიტუციის თანახმად, ფედერაციის ბიუჯეტი ყალიბდება საბაჟო მოსაკრებლების, აქციზური მოსაკრებლების, სადაზღვევო მოსაკრებლების, კაპიტალის ბრუნვის გადასახადის, საექსპილო მოსაკრებლის ხარჯზე (ფედერალური გადასახადები).

ფედერალური მიწების ბიუჯეტები ყალიბდება ქონების გადასახადის, მემკვიდრეობის გადასახადის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადის, ლუდზე გადასახადის ხარჯზე (ფედერალური მიწების გადასახადები).¹

შემოსავლების ერთობლივ წყაროს (როგორც ფედერაციისათვის, ასევე ფედერალური მიწებისათვის) წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადი, გადასახადი კორპორაციების შემოსავლებიდან, დამატებული ღირებულების გადასახადი (ერთობლივი გადასახადები). მაგალითად, დღგ-ის შემოსავლების 56 პროცენტი ირიცხება ფედერაციის შემოსავალში, ხოლო დანარჩენი 44 პროცენტი – შესაბამისი ფედერალური მიწების შემოსავალში.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ეკუთვნით საშემოსავლო გადასახადის შესაბამისი წილი, სარეწაო გადასახადი და გადასახადი უძრავი ქონებიდან.

გერმანიის საგადასახადო სისტემა შედგება 38 სახის გადასახადისაგან, რომელთა ხარჯზეც ფორმირდება მისი ყველა შემოსავლის 60-დან 80 პროცენტამდე. ამასთან, 54 პროცენტს არაპირდაპირი გადასახადები (დღგ და აქციზი), ხოლო 46 პროცენტს პირდაპირი გადასახადები შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადასახადების უმრავლესობას ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში არ გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა გადასახადი შეიძლება დაეყოს სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მსხვილი გადასახადები (მხოლოდ შვიდი გადასახადის სახე), რომლებიც საგადასახადო შემოსავლების თითქმის 90 პროცენტს უზრუნველყოფენ. კერძოდ, მათ მიეკუთვნება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, სარეწაო გადასახადი, კორპორაციათა გადასახადი, აქციზი ბენზინზე და თამბაქოს ნაწარმზე. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება საშუალო

¹ *Бюджетное планирование и контроль в системе государственного и муниципального управления.* Берлини, 1996, გვ. 31.

გადასახადები, მაგალითად: მიწის გადასახადი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი და სხვა (სულ 13 სახე), რომლებიც უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსავლების თითქმის 10 პროცენტს. მცირე მნიშვნელოვანი გადასახადები შეადგენს მესამე ჯგუფს (სულ 18 სახის, მ.შ. დარჩენილი შენატანები გაუქმებული გადასახადებიდან) და უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 0,4 პროცენტს (აქციზი ყავაზე, შაქარზე, მინერალურ ზეთებზე და სხვა). განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

პირდაპირი გადასახადების ძირითად სახეებს საშემოსავლო გადასახადი და გადასახადი კორპორაციების შემოსავლებიდან წარმოადგენენ.

კორპორაციათა მოგების გადასახადი წარმოადგენს პირდაპირ გადასახადს დაბეგერას დაქვემდებარებულ ფაქტიურად მიღებული მოგებიდან. ამ გადასახადის ხვედრითი წილი ბიუჯეტის საერთო შემოსავლებში 6 პროცენტს შეადგენს.

გერმანიაში მოქმედებს კორპორაციული მოგების გადასახადის ორი ძირითადი განაკვეთი. თუ მოგება არ ნაწილდება გადასახადის განაკვეთი 50 პროცენტია (1990 წლამდე 56 პროცენტი იყო), ხოლო თუ მოგება ნაწილდება დივიდენდების სახით გადასახადის განაკვეთი 36 პროცენტია. ამასთან, დივიდენდის თანხები ჩაითვლება აქციონერების პირად შემოსავლებში და დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

საშუალოდ გადასახადი საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით არ აღემატება 42 პროცენტს. გერ-ში ფართოდ გამოიყენება დაჩქარებული ამორტიზაცია. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში პირველსავე წელს დასაშვებია მოწყობილობების ღირებულების 50 პროცენტის ჩამოწერა, ხოლო პირველ სამ წელიწადში – 80 პროცენტამდე. გადასახადით არ იბეგრება სესხის პროცენტები.

საშემოსავლო გადასახადი გერმანიაში პროგრესულია. მისი მაქსიმალური განაკვეთი 53 პროცენტი, ხოლო მინიმალური განაკვეთი – 19 პროცენტია. ყოველთვიური დაუბეგრავი მინიმუმი შეადგენს 1536 მარკას მარტოხელა გადამხდელისათვის და 3072 მარკას ოჯახური წყვილისათვის. შემდეგ მოდის საგადასახადო შეღავათები ბავშვებზე, ასაკობრივი შეღავათები, შეღავათები

განსაკუთრებულ გარემოებებზე (ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა). მაგალითად, 64 წლის ასაკს მიღწეულ პირებს დაუბეგრავი მინიმუმი უბრდებათ 3700 მარკამდე. იმ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ მიწის ნაკვეთი, არ ებეგრებათ საშემოსავლო გადასახადით 4750 მარკა. გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი გამოიყენება იმ მოქალაქეების მიმართ, რომელთა შემოსავლებიც აღემატება 120 ათას მარკას ან ოჯახური წყვილის მიმართ, რომელთა შემოსავლებიც აღემატება 240 ათას მარკას.

საშემოსავლო გადასახადის დაბეგრის ობიექტს წარმოადგენს ფიზიკური პირის მიერ მიღებული ყველა სახის შემოსავლები, მ.შ. შემოსავლები დაქირავებული მუშაობიდან, თავისუფალი პროფესიების მიმდევარი პირების დამოუკიდებელი საქმიანობიდან, სამეწარმეო საქმიანობიდან ან სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობიდან, კაპიტალიდან, ქონების იჯარიდან ან გაქირავებიდან, აგრეთვე ყველა სხვა სახის შემოსავლები.

დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრის მიზნით შემოსავლებიდან გამოიკეითება ხარჯები. ამასთან, მხედველობაში მიიღება განსაკუთრებული ხარჯებიც, მაგალითად, აღიმენტის თანხები, სამედიცინო დაზღვევისა და სიცოცხლის დაზღვევის შენატანები, საეკლესიო გადასახადის თანხები, პროფესიულ განათლებაზე გაწეული ხარჯები და ა.შ. საშემოსავლო (ხელფასიდან) გადასახადის დაკავება დაქირავებული მუშაკებიდან წარმოებს დამქირავებლის მიერ ხელფასის გაცემისას.

ფიზიკური პირის მიერ მიღებული ხელფასიდან გადასახადის გაძონგარიშების მიზნით გამოიყენება „საგადასახადო კლასებისა“ და „საგადასახადო სქემების“ სპეციალური მექანიზმები. მოცემული მექანიზმები ყოფნ ყველა დაქირავებით მომუშავეს სხვადასხვა ჯგუფად მათი ოჯახური, ფინანსური და ა.შ. მდგომარეობიდან გამომდინარე. მაგალითად, პირველ კლასს მიეკუთვნებიან დაუქორწინებელი პირები, რომლებსაც არ ჰყავდათ შვილები; მეორე კლასს მიეკუთვნებიან დაუქორწინებლები, განქორწინებულები ან ქვრივები, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ ერთი ან მეტი ბავში და ა.შ.¹

ხელფასიდან გადასახადის დაკავება წარმოებს საგადასახადო ბარათის საფუძველზე. რომელსაც გასცემს ადგილობრივი მმართველობის ორგანო ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის

¹ Мешерякина С. Налоговые системы развитых стран мира (справочник). М.: Фонд „Правовая культура“, 1995, გვ. 79.

მიხედვით. საგადასახადო ბარათში აღინიშნება საგადასახადო კლასი, კმაყოფაზე მყოფი შეილები რაოდენობა, მუშაკის სარწმუნოება. იქვე აღინიშნება ასაკი, ინვალიდობა და ა.შ.

სარწმუნო გადასახადით იბეგრებიან საწარმოები, ამხანაგობები და ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ სამრეწველო, საეჭრო და სხვა სახის საქმიანობას. აღნიშნული გადასახადი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გფრ-ის ფინანსებში და წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს. გადასახადი გამოიანგარიშება სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგებისა და კომპანიის კაპიტალის მოცულობიდან გამომდინარე გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება მუნიციპალური ორგანოების მიერ. მაგალითად, განაკვეთი შეიძლება შეადგენდეს მოგების 5 პროცენტს და ძირითადი ფონდების ღირებულების 0,2 პროცენტს. ამასთან, დაუბეგრავი მინიმუმი შემოსავლიდან შეადგენს 36 ათას მარკას, ხოლო კაპიტალის – 120 ათას მარკას.

მიწის გადასახადი წარმოადგენს გადასახადს უძრავ ქონებაზე. დაბეგრის ობიექტს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი, აგრეთვე ამ მიწის ნაკვეთებზე განლაგებული შენობა-ნაგებობები. გადასახადის აკრეფას ახორციელებენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

მიწის გადასახადის გადახდა არ არის დამოკიდებული გადასახადის გადამხდელის ფინანსურ შედეგებზე ან მის შემოსავლებზე.

მიწის გადასახადისაგან თავისუფლებიან სახელმწიფო საწარმოები, ეკლესია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, საავადმყოფოები, ინტერნატები და ა.შ., აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო მიზნებისათვის.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სტიმულირების მიზნით, გფრ-ში ახლად აშენებულ საცხოვრებელ სახლებზე, პირველი ათი წლის განმავლობაში, მიწის გადასახადის გადახდა არ წარმოებს.

გადასახადი კაპიტალიდან შემოსავლებზე წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის ერთ-ერთ ფორმას და მისი გადამხდლები არიან ფიზიკური პირები, რომლებიც იღებენ შემოსავლებს დივიდენდებისა და პროცენტების სახით. ბიუჯეტში ამ გადასახადიდან საგადასახადო შემოსავლების საერთო თანხა წელიწადში 8-9

მილიარდ მარკას შეადგენს. დაბეგვრას ექვემდებარება დივიდენდის სახით მიღებული თანხები. გადასახადის გადახდა წარმოებს შემოსავლის გაცემის წყაროს ადგილის მიხედვით.

ფულადი ანაბრებიდან და სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული პროცენტები, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული პროცენტები იბეგრება 10 პროცენტიანი განაკვეთით, რომლის ბიუჯეტში გადარიცხვის ვალდებულება ეკისრებათ საბანკო დაწესებულებებს.

გურ-ის მსგავსად, გადასახადი პროცენტიან შემოსავლებზე დაწესებულია დიდ ბრიტანეთში (25%), იაპონიაში (20%), კანადაში (25%), იტალიაში (30%), საფრანგეთში (25%), შვეიცარიაში (35%), ესპანეთში (20%) და სხვა ქვეყნებში.

ქონების გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები. პირადი და საწარმოო ქონების დაბეგვრისას გამოიყენება გადასახადის სხვადასხვა განაკვეთები. იურიდიული პირების ქონების გადასახადის განაკვეთი 0,6 პროცენტია.

გერმანიაში კომპანიების უძრავი ქონება იბეგრება სამი გადასახადით: ქონების, მიწის და სარეწაო გადასახადებით. ამასთან, ქონების გადასახადის გადახდილი თანხები არ გამოიქვითება წარმოების დანახარჯებიდან. გადასახადის გადახდა წარმოებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საწარმომ საანგარიშო პერიოდი ზარალით დაამთავრა. ასეთ შემთხვევაში გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს ან სესხის, ან კომპანიის ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების ხარჯზე. დაბეგვრას ექვემდებარება პირადი უძრავი ქონებაც, აგრეთვე ფასიანი ქაღალდები, საბანკო ანგარიშები, შენატანები სადაზღვევო კომპანიებში, ხელოვნების საგნები, ძვირფასეულობა, კერძო თვითმფრინავები, იახტები და ფუფუნების სხვა საგნები. გადამხდელისათვის დადგენილია ქონების დაუბეგრავი მინიმუმი 70 ათასი მარკის ოდენობით, ხოლო ოჯახური წყვილისათვის 140 ათასი მარკის ოდენობით, აგრეთვე, თითოეულ ბავშვზე გათვალისწინებულია გამოქვითვები 70 ათასი მარკის ოდენობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *დამატებული ღირებულების გადასახადი*. მისი ხვედრითი წილი ბიუჯეტის შემოსავლების დაახლოებით 28

პროცენტიო დო მეორე დდგილი უჭირავს სოშემოსოელო გოდოსნახდის შემდეგ.

დოდოტებული დირებულების გოდოსნახდი თოვისი არსით წარმოდგენს არაპირდოდირ გოდოსნახდს სოზოგოდოებრივი დო პირადი მოზმარებისოთვის, რომლის გოდახდოც წარმოებს სოქონლის სობოლოო მომზომარებლდმდე მოძორობის ყველა სტოდოიოზე. დობეგერის ობიექტს სოქონლის, სომუშოების, მომსახურების რეოლიზოცოიო წარმოდგენს. გოდოსნახდის სტოდნდარტული გოდოკვეთი 16 პროცენტიო. ძირითადი სოკვები პროდუქტები, წიგნები დო ჟურნოლები იბეგრებო დდგ-ის 7 პროცენტიოანი გოდოკვეთით. გოდოსნახდის გოდამხდელიო მეწომე, ე.ი. პირი, რომელიც ახორციელებს რიიმე სოხეობის სოქმიოდნობოს მოგების მიღების მიზნით. სხეო სიტყვებით რომ ვთქვოთ, დდგ-ის გოდამხდელი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული პირი, ასევე ინდივიდუოლური მეწომე.

დდგ-ს გერმოდნიოში ახოსიოთებს გოდოსოკუთრებულობო. მეწომეები, რომელთო გოდსული წლის წლიური ბრუნეო არ დდემოდტებოდო 20 ათოს მორკოს, ხოლო მიმიდნდრე წელს არ გოდოდოჭობებს 100 ათოს მორკოს, თოვისუფლდებიოდნ დოდოტებული დირებულების გოდოსნახდისოგოდნ. ასეთი პირები წარმოდგენენ სოშემოსოელო გოდოსნახდის დო არო დდგ-ის გოდამხდელებს. ამოსოდნ, მათ უფლება აქვთ უარი თქვოდნ დდგ-ისოგოდნ გოდნთოვისუფლებოზე. თუ მეწომის მიერ კოდენდარული წლის გოდმველობოში მიღებული შემოსოეოლი არ დდემოდტებო 60 ათოს მორკოს, მოს უფლება აქვს ბიუჯეტში შეიტოდნოს მხოლოდ დდგ-ის გოდოდნგარიშებული თოდხის 80 პროცენტი.

სოფლისო დო სოტყეო მეურნეობის სოწომოები თოვისუფლდებიოდნ გოდოსნახდისოგოდნ. გოდნთოვისუფლებულიო სოქონლის ექსპორტიც.

აქციზი ძირითოდოდ მიიძომრთებო ფედეროლური ბიუჯეტში, გოდოდო დდუდზე დოწესებული აქციზისო, რომელიც ფედეროლური მიწების ბიუჯეტების შემოსოეოლის წყოროს წარმოდგენს. ხოზინის უმნიშვნელო შემოსოეოლებს უზრუნველყოფს აქციზი მიწეროლური ზეთებიდოდნ, აგრეთვე აქციზი თომბოქოს ნოწომიდოდნ.

მემკვიდრეობისო დო ჩუქებისოთვის გოდოსნახდის გოდოკვეთი დოდოკიდებულიო ნათესოურ კეწირზე დო მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონების დირებულებოზე. გერმოდნიოში გოდოსნახდებენ მემკვიდრეთო ოთხ კატეგორიოს. პირველ თოდრიგში, რომელშიც შდოდნ

მეუღლეები და შვილები, გადასახადის განაკვეთი 3 პროცენტია. მეოთხე თანრიგში იგი იზრდება 70 პროცენტამდე, თუ ქონების ღირებულება 100 მლნ. მარკას აღემატება. გადასახადის დაუბეგრავი თანხა მეუღლისათვის 250 ათას მარკას, შვილებისათვის – 90 ათას მარკას, ძმებისა და დებისათვის – 10 ათას მარკას შეადგენს.

სოციალური ანარიცხები შრომის ანაზღაურების ფონდის 6,8 პროცენტს შეადგენენ. ანარიცხების თანხა, ისევე როგორც აშშ-ში, იყოფა თანაბარი პროპორციით დაქირავებულსა და დაქირავებულ მუშაკს შორის.

§ 4 იტალიის საგადასახადო სისტემა

მდებარეობა – სამხრეთ-დასავლეთი ევროპა.

ტერიტორია – 301 ათასი კმ².

მოსახლეობა – 57,4 მილიონი.

დედაქალაქი – რომი.

სახელმწიფო ენა – იტალიური.

ფულის ერთეული – ევრო.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – დეცენტრალიზებული, უნიტარული, რეგიონალიზმზე ორიენტირებული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპარლამენტო რესპუბლიკა.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 1157 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 20 090 აშშ დოლარი.

იტალიის თანამედროვე საგადასახადო სისტემა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა.

იტალიის ბიუჯეტის შემოსავლების წამყვან მუხლს გადასახადები წარმოადგენენ (დაახლოებით 80%). იტალიის საგადასახადო სისტემა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებისაგან შედგება.

პირდაპირი გადასახადები იყოფა: გადასახადები ფიზიკური პირებიდან და იურიდიული პირებიდან.

ისევე როგორც მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში, იტალიის სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს *ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი* წარმოადგენს. ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის სუბიექტს ფიზიკური პირი, ხოლო ობიექტს – მისი შემოსავლები წარმოადგენს. გადასახადით დასაბეგრი ერთობლივი შემოსავალი 'შედგება ფიზიკური პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიწის საკუთრებიდან, კაპიტალიდან, დაქირავებით მუშაობიდან, სამეწარმეო საქმიანობიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები პროგრესულ ხასიათს ატარებენ. ცვლილებები შედის ყოველწლიურად ინფლაციის კოეფიციენტის გათვალისწინებით. 1993 წელს 7,2 მლნ. ლირამდე შემოსავალი იბეგრებოდა 10 პროცენტით, 7,2 მლნ. ლირადან 14,4 მლნ. ლირამდე – 22 პროცენტით, 14,4 მლნ. ლირადან 30 მლნ. ლირამდე – 27 პროცენტით და ა.შ. 50 პროცენტამდე. XX საუკუნის 80-იან წლებში საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი 62 პროცენტს შეადგენდა.

პირები, რომელთა შემოსავლები არ აღემატება 5,1 მლნ. ლირას სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით.

საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებას ახორციელებენ უშუალოდ გადასახადის გადამხდელები, რისთვისაც საგადასახადო ორგანოს წარუდგენენ დეკლარაციას.

შემოსავლების მიხედვით მეორე ადგილზეა იურიდიულ პირთა საშემოსავლო გადასახადი. აღნიშნული გადასახადი პროპორციულია და მისი ბიუჯეტში გადახდა 36 პროცენტით ფიქსირებული განაკვეთით წარმოებს. იურიდიული პირების საშემოსავლო გადასახადი კორპორაციათა მოგების დაბეგვრის უნივერსალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. იგი ვრცელდება ყველა სამრეწველო, კომერციულ და საკრედიტო-საფინანსო კომპანიაზე, აგრეთვე მათ საზღვარგარეთის ფილიალებზე. ამ გადასახადით იბეგრებიან აგრეთვე წერილი კერძო საწარმოები (ამხანაგობები, კოოპერატივები და სხვა).

იტალიაში მოქმედებს აღნიშნული გადასახადის ორი სპეციალური განაკვეთი. საფინანსო და პოლდინგური კომპანიებისათვის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 7,5 პროცენტია, ხოლო

კომპანიებისა და ორგანიზაციებისათვის, რომელთა კაპიტალში სახელმწიფო წილი 50 პროცენტზე მეტს შეადგენს, გადასახადის განაკვეთი 6,25 პროცენტის ოდენობით განისაზღვრება.

ორივე გადასახადი მიეკუთვნება საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადთა რიცხვს. გარდა ამისა იტალიაში მოქმედებს ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადი, რომელსაც იხდიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები. აღნიშნული გადასახადის გამოანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება დაქირავებული მუშაობის შედეგად, აგრეთვე პროფესიული ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები. მხედველობაში არ მიიღება აგრეთვე მიწისა და ნაგებობების საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები. გადასახადის განაკვეთი როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის ფიქსირებულია და 16,2 პროცენტს შეადგენს. გადასახადის ადმინისტრირებას ცენტრალური მთავრობა ახორციელებს, თუმცა გადასახადის თანხა მთლიანად ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტებში.

იტალიის არაპირდაპირი გადასახადებიდან პირველ რიგში უნდა გამოვეყნოთ დამატებული ღირებულების გადასახადი.

იტალიაში დღგ შემოღებული იქნა 1973 წლის 1 იანვრიდან. დღეისათვის ეს გადასახადი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში არაპირდაპირი გადასახადების საერთო თანხის 67 პროცენტს შეადგენს. გადასახადის სტანდარტული განაკვეთი 19 პროცენტია, თუმცა იტალიაში მოქმედებს 13,9 პროცენტისანი და 4 პროცენტისანი საგადასახადო განაკვეთებიც. დღგ-ის 13,9 პროცენტისანი განაკვეთით იბეგრება სასურსათო საქონელი, ხოლო 4 პროცენტისანი განაკვეთით იბეგრება სახელმწიფო საწარმოების მიერ მიწოდებული საქონელი, შესრულებული სამუშაოები და გაწეული მომსახურება.

საქონლის ექსპორტი, საერთაშორისო მომსახურება და მასთან დაკავშირებული ოპერაციები არ იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით. იტალიის ტერიტორიაზე განხორციელებული ოპერაციებიდან დღგ-ისაგან თავისუფლდება დაზღვევისა და სესხის გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციები, აქციებისა და ობლიგაციების გაერცელება, სამედიცინო მომსახურება, განათლება, კულტურა, იჯარის არაკომერციული სახეები, საფოსტო მომსახურება, ოქროსთან და უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები.

სპეციალური აქციზებია დაწესებული ცალკეული სახის საქონელზე და მომსახურებაზე (ელექტროენერგია, შაქარი, ასანთი, სამშენებლო მასალები, ნავთობი, ნავთობპროდუქტები, ალკოჰოლიანი სასმელები, ლუდი, ბანანი და სხვა). მნიშვნელოვან შემოსავლებს უზრუნველყოფს აქციზი ნავთზე, ნავთობპროდუქტებზე, თამბაქოს ნაწარმზე.

გადასახადი უძრავი ქონების ღირებულების ზრდაზე შემოღებული იქნა XX საუკუნის 70-იან წლებში. გადასახადით დაბეგვრის ობიექტს სხვაობა იტალიაში არსებული უძრავი ქონების საწყის ღირებულებასა და საბოლოო შეფასებას შორის წარმოადგენს.

რეკლამის გადასახადი – მუნიციპალური გადასახადია. გადასახადით იბეგრება სარეკლამო განცხადებები და რეკლამის სხვა სახეები, რომლებიც განთავსებულია საზოგადოებრივ ადგილებში და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. გადასახადის განაკვეთი ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში განსხვავდება ერთმანეთისაგან მუნიციპალიტეტების ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, აგრეთვე სარეკლამო საქმიანობის სახეობიდან და მიზნიდან გამომდინარე.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადით იბეგრებიან იურიდიული და ფიზიკური პირები – სატრანსპორტო საშუალებების მფლობელები. გადასახადის განაკვეთი დიფერენცირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძრავის სიმძლავრიდან გამომდინარე, რომელიც გამოიხატება ცხენის ძალებში.

გადასახადი საზოგადოებრივი მოედნების გამოყენებისათვის დგინდება მუნიციპალიტეტების მიერ მერიის კუთვნილი საზოგადოებრივი მოედნების ფართობის, ადგილმდებარეობისა და გამოყენების მიზნიდან გამომდინარე. გადასახადის განაკვეთის განსაზღვრის მიზნით საზოგადოებრივი მოედნები იყოფა კატეგორიებად.

მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადი შედგება ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი დამოკიდებულია ახალ მესაკუთრეზე გადასული ქონების ღირებულებაზე. დაუბეგრავი მინიმუმი 120 მლნ. ლირას შეადგენს, რომლის შემდეგაც მოქმედებს პროგრესული შკალა 3 პროცენტის

მინიმალური და 27 პროცენტის მაქსიმალური განაკვეთით. 27 პროცენტის განაკვეთი გამოიყენება თუ ქონების ღირებულება აღემატება 3 მლრდ. ლირას. გადასახადის მეორე ნაწილი დამოკიდებულია ნათესაურ კავშირზე. მისგან განთავისუფლებულნი არიან მეუღლეები, შვილები და მშობლები.

გადასახადის გადამხდელების მიერ გადასახადის არათავისდროული გადახდის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ ყადაღა დაადონ ურჩი გადამხდელის ქონებას. ყადაღადადებული ქონება შეიძლება გაიყიდოს ღია აუქციონზე.

იტალიის კანონმდებლობით დადგენილია სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა განსაკუთრებით მძიმე სამართალდარღვევებისათვის. ასეთ სამართალდარღვევებს მიეკუთვნება:

- დეკლარაციის წარუდგენლობა, თუ პირის მიერ მიღებული შემოსავლები 50 მლნ. ლირას აღემატება;
 - საბუღალტრო ჩანაწერების წარმოების წესების დარღვევა;
 - ფიქტიურ ოპერაციებზე ანგარიშების გამოწერა და გამოყენება;
 - შემოსავლის შეგნებული შემცირება.
- ასეთი ფაქტები საქმის სასამართლოში გადაცემის საფუძველს წარმოადგენს.

იტალიაში გადასახადების ადმინისტრირებას ახორციელებს იტალიის ფინანსური გვარდია, რომელიც დასაბამს ჯერ კიდევ 1774 წლიდან იღებს.

იტალიის ფინანსური გვარდია წარმოადგენს სპეციალურ სამართალდამცავ ორგანოს, რომელიც ანგარიშვალდებულია ფინანსთა მინისტრის წინაშე. მას გააჩნია გასამხედროებული სტრუქტურა და წარმოადგენს ქვეყნის შეიარაღებული ძალების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური გვარდია ვალდებულია:

- აღმოფხვრას გადასახადებისაგან თავის არიდებისა და საგადასახადო-საფინანსო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები;
- უზრუნველყოს ეკონომიკური კანონმდებლობის შესრულება კანონით დადგენილი წესით;
- მონაწილეობა მიიღოს საზღვრების სამხედრო დაცვაში, ხოლო ომის შემთხვევაში აწარმოოს სამხედრო ოპერაციები;

- მონაწილეობა მიიღოს წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვაში;

- განახორციელოს საზოგადოებრივ უშიშროებასთან და თავდაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები, კანონით დადგენილი წესით.

ფინანსური გეარდიის ყველა მუშაკი ამაყდროულად ქვეყნის პოლიციისა და შეიარაღებული ძალების თანამშრომელს წარმოადგენს.

ფინანსური გეარდიის ორგანიზაციული მოდელის ძირითადი ასპექტები დადგენილია იტალიის 1959 წლის 23 აპრილის კანონით. ფინანსური გეარდიის სტრუქტურა შედგება: გენერალური მმართველობისაგან, ტერიტორიული სამმართველოებისა და დანაყოფებისაგან და პერსონალის ფორმირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ტრენინგის სასწავლო ცენტრებისაგან.

გარდა ამისა, იტალიის ფინანსური გეარდია შედგება:

- ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების ცენტრალური სამსახურისაგან;
- საპაერო-საზღვაო სამსახურისაგან;
- საზღვაო ცენტრისაგან;
- ოპერატიული ფუნქციებით აღჭურვილი საპაერო-საზღვაო ჯგუფებისაგან;
- ფალსიფიკაციის წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრისაგან და სხვა.

იტალიის ფინანსური გეარდიის ტერიტორიული სამმართველოები და დანაყოფები შედგება კონტრაბანდისა და ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფებისაგან, საგადასახლო პოლიციის ტერიტორიული გაერთიანებებისაგან, აგრეთვე საპაერო და საზღვაო ქვედანაყოფებისაგან, საზღვაო ოპერატიული განყოფილებებისაგან და სამთო სამაშველო განყოფილებებისაგან.

ფინანსური გეარდიის აკადემია, ოფიცერთა ფორმირების პრესტიჟული ინსტიტუტი, ამერიკული და ბრიტანული სკოლების დონისაა. კურსები ეკონომიკაში, სამართალში და ბიზნესის ადმინისტრირებაში, აგრეთვე პროფესიული და სამხედრო კურსები ტარდება აკადემიის ავტორიტეტული პროფესორებისა და ფინანსური გეარდიის ოფიცრების მიერ.

ფინანსური გვარდიის ექსკლუზიური და პრიორიტეტული მოვალეობაა გააკონტროლოს გადასახადის გადამხდელების მიერ საგადასახადო ვალდებულებების სწორად შესრულება და უზრუნველყოფს გადასახადების ბიუჯეტში თავისდროულ ჩარიცხვას.

ფინანსური გვარდია, როგორც საგადასახადო პოლიცია ან უფრო ფართო გაგებით, როგორც ეკონომიკური და ფინანსური პოლიცია ახორციელებს გადასახადის გადამხდელთა მიერ საგადასახადო და საფინანსო კანონმდებლობის (პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები) დაცვის მდგომარეობაზე საგადასახადო კონტროლს. საგადასახადო პოლიცია ასრულებს პირის მიერ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესრულებაზე ინსპექტირებას. არ არის გამორიცხული საგადასახადო პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენება და პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

ფინანსური გვარდიის, როგორც საგადასახადო პოლიციის, უფლებამოსილება პირდაპირი გადასახადების სფეროში, ქვეყნის ეკონომიკური და ფისკალური ინტერესების დაცვის მიზნით, განხილულია როგორც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა. დანაყოფების საუკეთესო საკადრო რესურსები სწორედ ამ მიმართულებით მუშაობენ.

ოპერატიული თვალთახედვით, დანაყოფები ასრულებენ რთულ და კომპლექსურ სამუშაოს, ინფორმაციული სისტემების და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით, რომლის მიზანიცაა დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა და ურჩ გადამხდელთა გამოვლენა. ამ მიზნების მისაღწევად ფინანსური გვარდია იყენებს სპეციფიკურ, ეფექტურ და კარგად გამოცდილი ინსპექტირების ხერხებს. შემოწმებამ შეიძლება მოიცვას გადასახადის გადამხდელის მთლიანი ეკონომიკური და საადრიცხო მენეჯმენტი ან შემოწმება შეიძლება შემოიფარგლოს განსაზღვრული საკითხების შემოწმებითა და ადმინისტრაციული მოქმედებით.

შემოწმებისა და კონტროლის იძულებითი მეთოდები, რაც გამოიხატება შეტყობინებისა და ფისკალური ბარათების გაგზავნაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ურჩ გადამხდელებთან ბრძოლის საქმეში.

არაპირდაპირი გადასახადების სფეროში, ფინანსური გვარდია ახორციელებს ფართო და მრავალფეროვან საინსპექციო ქმედებებს კომპიუტერული ტექნიკის დახმარებით. ყველაზე გავრცელებული საკონტროლო საქმიანობა დაკავშირებულია დამატებული ღირებულების გადასახადის ადმინისტრირებასთან. ამ მიმართულებით იტალიის ფინანსური გვარდია საკუთარი ინიციატივით ან დღგ-ის სამსახურის ან ფინანსური ადმინისტრაციის მოთხოვნით ახორციელებს ინტენსიურ საქმიანობას. იტალიის ფინანსური გვარდიის მიერ განხორციელებული აქციზური საქონლის მწარმოებლების პერიოდული და მუდმივი კონტროლი ხელს უშლის საგადასახადო სამართალდარღვევებს და აქციზური საქონლის ჩრდილოვან წარმოებას.

საზღვარგარეთ წარმოებული თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდასთან ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მიმართულებით ბრძოლა ყოველთვის მოითხოვს საპაერო, საზღვაო და სახმელეთო ძალების მასიურ გამოყენებას კრიმინალური დაჯგუფების გამოსაეღვნად და კონტრაბანდის აღსაკვეთად.

1993 წლის 1 იანვრიდან იტალიის სამთო საზღვრის უდიდესი ნაწილი და საზღვაო საზღვრის 8000 კილომეტრი ამავდროულად ევროკავშირის საზღვარს წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით ფინანსურ გვარდიას მიენიჭა უფრო კომპლექსური და რთული ფუნქციები.

ახალი ოპერატიული მეთოდები და ტექნიკა დაემატა ტრადიციულ მოქმედებებს, რომლებსაც ფინანსური გვარდიის მუშაკები ახორციელებენ პორტებში, აეროპორტებში, სახმელეთო და საზღვაო საზღვრებზე. აღნიშნული კონტროლი ხორციელდება საბაჟო სამსახურთან და ევროპის სხვა შესაბამის სტრუქტურებთან ერთად.

ამრიგად, ფინანსური გვარდია წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტიტუტს საბაჟო სექტორშიც, რომელსაც შეუძლია დაიცვას როგორც ეროვნული, ასევე ევროკავშირის ინტერესები მართლ-საწინააღმდეგო ქმედებებთან ბრძოლის გზით.

სავალუტო და საზოგადოებრივი ხარჯების კონტროლი, საზღვრების დაცვის უზრუნველყოფა, საზღვაო და იურიდიული პოლიციის სამსახურების საქმიანობა, წესრიგის დაცვაში და საზოგადოებრივი უშიშროების ღონისძიებებში მონაწილეობა,

ორგანიზებულ დანაშაულთან და ნარკოტიკების ტრანსპორტირებასთან ბრძოლა, ეროვნული ხელოვნების მემკვიდრეობის დაცვა და ბევრი სხვა მოვალეობა წარმოადგენს ფინანსური გეარდიის არასაგადასახადო საქმიანობის ფართო სექტრს.

ფინანსური გეარდია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნარკოტიკების ტრანსპორტირების წინააღმდეგ ბრძოლაში და აგრეთვე საზღვრების დაცვაში, ვინაიდან მას გააჩნია კარგად განვითარებული საზღვაო და საჰაერო სტრუქტურები, რაც ფართო მასშტაბიანი ეფექტური მაკონტროლირებელი მოქმედებების განხორციელების საშუალებაა.

ფინანსური გეარდიის იურიდიული პოლიციის ფუნქციები მიზნად ისახავს ეკონომიკური და ფინანსური სახის კანონდარღვევებთან ბრძოლას. იგი მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებს კრიმინალური დაჯგუფებებისათვის განკუთვნილი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო ტრანსპორტირებასთან ბრძოლის საქმეში.

ფინანსური გეარდია ძირითადად დაკავებულია კრიმინალური ფინანსური ასპექტების გამოძიებით და ანალიზით, რათა გამოაყლინოს და ებრძოდოს ორგანიზებული დამნაშაეობის დაფინანსების წყაროებს.

აღნიშნული მოვალეობა ძირითადად ხორციელდება ფინანსური, სავალუტო და საბანკო კონტროლით, აგრეთვე კრიმინალურ მოქმედებებში ექსპედიენტი პირების ცხოვრების დონისა და მათი ეკონომიკური საქმიანობის საფინანსო ასპექტების გამოძიებით.

გარემოს და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა აგრეთვე წარმოადგენს ფინანსური გეარდიის მიზანს, რაც გამოიხატება ხმელეთის, მდინარეების, ტბების და ზღვების დაბინძურების ფაქტების გამოვლენაში და ნარჩენების არასათანადო ადგილებზე დაყრის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ფინანსური გეარდიის საჰაერო და საზღვაო შენაერთები ახორციელებენ ტერიტორიების პატრულირებას.

ფინანსური გეარდიის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ცენტრი ახორციელებს საგამოძიებო მოქმედებებს აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით. იგი შედგება ცენტრალური სამსახურისაგან და 13 რეგიონალური სამსახურისაგან.

ფინანსური გვარდია, როგორც ეკონომიკური პოლიცია, ვალდებულია უზრუნველყოს საერთო ბაზარზე ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური, რომელიც მდებარეობს ქ.რომში, მოქმედებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. იგი ახორციელებს საგამოძიებო და ოპერატიულ ღონისძიებებს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

ფინანსური გვარდიის საზღვაო სამსახურის ძირითადი ფუნქციებია კონტრაბანდასთან, ნარკოტიკებით და იარაღით საერთაშორისო ვაჭრობასთან და არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლა. საზღვაო სამსახური ასევე იცავს ზღვის სიმღიდრეებს, უზრუნველყოფს ცურვის უსაფრთხოებას და ახორციელებს საძიებო და სამაშველო ფუნქციებს.

ფინანსური გვარდიის საზღვაო სამსახური მუდმივად აკონტროლებს როგორც შიდა წყლებს, ასევე ხმელთაშუაზღვის წყლებს სხვა ქვეყნების ანალოგიურ სამსახურებთან ერთად, რათა დაცული იქნეს ეროვნული და საერთო ბაზრის ინტერესები.

ფინანსური გვარდიის საჰაერო სამსახური 1954 წლის 1 თებერვალს შეიქმნა.

ფინანსური გვარდიის საჰაერო სამსახური დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრებით და აღჭურვილია 100-ზე მეტი თვითმფრინავით.

ფინანსური გვარდიის კინოლოგიების ჯგუფი 1952 წელს შეიქმნა. სამსახურის შექმნის მიზანს გერმანული ნაგაზების დახმარებით ოპერატიული ღონისძიებების ეფექტურობის ამაღლება წარმოადგენდა.

სამსახური ჩართულია სამთო-სამაშველო, ნარკოტიკების, კონტრაბანდის და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ოპერაციებში. იგი ასევე მონაწილეობს ეროვნული სამხატვრო და არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვაში.

ფინანსური გვარდიის ძალები ასევე გამოიყენება სტიქიური უბედურებების შემთხვევაში. მათ ბევრი ადამიანის სიცოცხლე აქვთ გადარჩენილი.

ფინანსური გვარდია ყოველდღიურად დაკავებულია 2000 კმ. სიგრძის სამთო საზღვრის კონტროლით. ამ სფეროს მუშაკები

იცავენ სამთო საზღვარს და ახორციელებენ საბაჟო კონტროლს. ისინი მოწოდებულნი არიან არა მხოლოდ სახელმწიფო საზღვრის დასაცავად, არამედ იმ ადამიანების დასახმარებლადაც, ვისაც საფრთხე ემუქრება ან დაკარგულნი არიან რთულ ბუნებრივ პირობებში. ამ მიზნით 1965 წელს დაარსდა ფინანსური გეარდიის სამთო სამაშველო სამსახური. აღნიშნული დელიკატური და საპასუხისმგებლო მოვალეობით დაკავებული პერსონალი მომზადებას იტალიის ფინანსური გეარდიის სკოლაში გადის.

ფინანსური პოლიციის მოვალეობის შესრულების ფარგლებში, ფინანსური გეარდია ახორციელებს ზღვაზე მეთვალყურეობის ფუნქციას. ამ ვალდებულების შესრულებაში, რომელიც მოიცავს სამაშველო, დამხმარე და სასიგნალო სამსახურის ფუნქციებს, დანაყოფებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ზღვაზე ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის საქმეში.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და სწრაფი რეაგირების დანაყოფები 1977 წელს ჩამოყალიბდა. კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების და გაუმჯობესების მიზნით ეს სამსახური აღჭურვილია სპეციალური ავტომობილებით, რათა საჭიროებისამებრ მოხდეს სწრაფი რეაგირება.

აღნიშნული ქვედანაყოფები ახორციელებენ არალეგალური გადაზიდვების წინააღმდეგ ბრძოლას, იცავენ საზოგადოებრივ უშიშროებას და უწყვენ დახმარებას უბედურებაში ჩავარდნილ პირებს. თანამშრომელთა ტრენინგი ინტენსიურად მიმდინარეობს და მოიცავს სწრაფი რეაგირების ტექნოლოგიებს, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, გაცილებასთან და დაცვასთან, აგრეთვე იარაღთან დაკავშირებულ წვრთნებს და სხვა.

ფინანსურ გეარდიას გააჩნია საკუთარი ორკესტრი და ფინანსური გეარდიის ისტორიული მუზეუმი.

იტალიის ფინანსური გეარდიის სპორტული ცენტრი და სპორტული ჯგუფები, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის და სპორტის ფედერაციის მხარდაჭერით, წარმოადგენენ ფინანსურ გეარდიას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე და მათ მრავალი წარმატება გააჩნიათ ეროვნულ, საერთაშორისო და ოლიმპიურ შეჯიბრებებზე.

§ 5 ესპანეთის საბაზრასახადო სისტემა

მდებარეობა – სამხრეთ-დასავლეთი ევროპა.

ტერიტორია – 505 ათასი კმ².

მოსახლეობა – 40 მილიონი.

დედაქალაქი – მადრიდი.

სახელმწიფო ენა – ესპანური.

ფულის ერთეული – ევრო.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – უნიტარული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპარლამენტო მონარქია.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 555 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 14 100 აშშ დოლარი.

ესპანეთი იყოფა 17 ავტონომიურ ტერიტორიად, რომელიც მოიცავს 56 პროვინციას. ავტონომიური ტერიტორიების სტატუსი განსხვავდება ერთმანეთისაგან. ორ მათგანს – ნავარას და ბასკების ქვეყანას – სხვებთან შედარებით გააჩნიათ მეტი ავტონომია, მათ შორის დაბეგერის სფეროში. მათ უფლება აქვთ შემოიღონ სხვადასხვა სახის რეგიონალური და ადგილობრივი გადასახადები. ისინი დამოუკიდებლად ახორციელებენ ფედერალური გადასახადების ადმინისტრირებას და შესაბამის ანარიცხებს რიცხავენ ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლებში. რეგიონთა შემდეგ ჯგუფს, მათ შორის კატალონიას, უფლება აქვთ დაარეგულირონ საგადასახადო განაკვეთები. რეგიონების მესამე ჯგუფს არა აქვთ უფლება განახორციელონ დამოუკიდებელი საგადასახადო პოლიტიკა. ისინი მკაცრად მისდევენ ფედერალური კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებით დაბეგერის წესებს.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად ესპანეთის საგადასახადო სისტემა სამსაფეხურიანია. კორპორაციები და მოსახლეობა იხდიან ფედერალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ გადასახადებს. ფედერალური გადასახადების ადმინისტრირებას ახორციელებს საგადასახადო სამსახურის სახელმწიფო სააგენტო, რომელსაც გააჩნია თავისი წარმომადგენლობები ავტონომიურ ტერიტორიებში და პროვინციებში.

რეგიონების ფინანსური ბაზის განმტკიცების მიზნით 1994 წელს ესპანეთში განხორციელდა ნაწილობრივი საგადასახალო რეფორმა. მთელი რიგი ფედერალური გადასახადები გამგებლობაში გადაეცათ ტერიტორიებს. ამის შემდეგ დარჩა ხუთი სახის ძირითადი ფედერალური გადასახადი.

ბიუჯეტის შედარებით ძალაღ შემოსავლებს *ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი* უზრუნველყოფს. 1995 წელს აკრეფილმა გადასახადმა ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლების 38 პროცენტი შეადგინა. ესპანეთში გადასახადით დასაბეგრი ბაზა შედარებით ფართოა, ვიდრე უმეტეს ევროპის ქვეყანაში. ხელფასის, სამეწარმეო და პროფესიული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების, კაპიტალიდან მიღებული დივიდენდების გარდა, იგი მოიცავს პენსიებსა და უმუშევრობასთან დაკავშირებით გაცემულ დახმარებებს. არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით დახმარება დროებითი შრომისუნარიანობისა და ავადმყოფობის გამო, სახელმწიფო სტიპენდიები, მოგებები ლატარიის ბილეთებიდან, ერთჯერადი დახმარებები სამუშაოდან დათხოვნასთან დაკავშირებით.

გადასახადით დასაბეგრი შემოსავლიდან ყოველწლიურად გამოიქვითება 20 ათ. პესეტი თითოეულ ბავშვზე და კმაყოფაზე მყოფ პირზე. წლიური შემოსავლიდან გამოიქვითება ანარიცხები სოციალურ დაზღვევაზე და პროფკავშირების მენატანები, მაგრამ არა უმეტეს 5 პროცენტისა და არა უმეტეს 250 ათასი პესეტისა. ნაწილობრივ გამოიქვითება წამლების შექენაზე გაწეული დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯები.

გადასახადის გამოანგარიშების მიზნით შემოსავალს ემატება უძრავი ქონების ღირებულების 2 პროცენტი.

საშემოსავლო გადასახადის გადახდა წარმოებს ინდივიდუალურად ან ოჯახური წყვილის მიერ. დაუბეგრავი მინიმუმი პირველ შემთხვევაში წელიწადში 400 ათას პესეტს, ხოლო მეორე შემთხვევაში – 800 ათას პესეტს შეადგენს. შემოსავლის ზრდასთან ერთად მოქმედებს 16 განაკვეთიანი პროგრესული შკალა, საიდანაც მინიმალური განაკვეთი 20 პროცენტს, ხოლო მაქსიმალური – 56 პროცენტს შეადგენს. უკანასკნელი გამოიყენება, თუ ფიზიკური პირის შემოსავლები აღემატება 9550 ათ. პესეტს წელიწადში ან 11000 ათ. პესეტს – ოჯახური წყვილისათვის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საშემოსავლო გადასახადის 16 განაკვეთი ქმნის მნიშვნელოვან უხერხულობას გადასახადის გამოანგარიშებისას. დღეისათვის ესპანეთში შეიმუშავებენ წინადადებებს განაკვეთების რიცხოვნობის შემცირების შესახებ. მთელი რიგი განვითარებული ქვეყნების სისტემა გადასახადის 3-5 განაკვეთით გაცილებით მიზანშეწონილია. ფედერალური ბიუჯეტიდან საშემოსავლო გადასახადის 15 პროცენტი ირიცხება რეგიონების ბიუჯეტებში.

ერთ-ერთ ძირითად პირდაპირ გადასახადს *კორპორაციათა მოგების გადასახადი* წარმოადგენს. გადასახადის განაკვეთი 35 პროცენტია. კოოპერატივებისათვის განაკვეთი მცირდება 26 პროცენტამდე. გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათი ინვესტიციებზე – 5 პროცენტის ოდენობით. თითოეული დამატებითი საშუალო ადგილის შექმნის შემთხვევაში გადასახადით დასაბეგრი ბაზა მცირდება 15 ათასი პესეტით. საგადასახადო შეღავათებით განსაკუთრებით ხალისდება კულტურა, მ.შ. კინოწარმოება, განათლება, კადრების პროფესიული მომზადება.

ფედერალურ ბიუჯეტში კორპორაციათა მოგების გადასახადი დაახლოებით 8,2 პროცენტს შეადგენს.

ფედერალურ საგადასახადო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი *დამატებული ღირებულების გადასახადს* უკავია. დამატებული ღირებულების გადასახადი ესპანეთში შემოღებული იქნა 1986 წლიდან. 1994 წლიდან დღე იკრიფება 16 პროცენტისანი გადასახადის განაკვეთით. ძირითადი განაკვეთის გარდა, ესპანეთში მოქმედებს ორი შემცირებული გადასახადის განაკვეთი. სამრეწველო საქონელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები, სასტუმრო და სატრანსპორტო მომსახურება იბეგრება დღგ-ის 7 პროცენტისანი განაკვეთით, ხოლო პირველადი საჭიროების პროდუქტები – პური, რძე, კვარციხი, ხორბალი, ხილი, ბოსტნეული, წამლები, წიგნები, გაზეთები, მუნიციპალური საცხოვრებელი – 4 პროცენტისანი განაკვეთით.

დღგ-ის აკრეფის მექანიზმი ცნობილია და არ საჭიროებს აღწერას. ისევე როგორც უმეტეს ქვეყანაში, ესპანეთში იბეგრება შიდა ბრუნვა საექსპორტო ოპერაციების განთავისუფლებით. არ იბეგრება საავადმყოფოების მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურება, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო ოპერაციები, განათლება.

ფედერალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში დღგ-ის თანხა 24.9 პროცენტს შეადგენს.

მეორე მნიშვნელოვან არაპირდაპირ ფედერალურ გადასახადს წარმოადგენს *აქციზი*, რომლის წილი ბიუჯეტში 13,2 პროცენტს შეადგენს. *აქციზით* იბეგრება: ალკოჰოლიანი სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, საწვავი, ავტომობილები და ზოგიერთი სხვა საქონელი.

ზემოაღნიშნული ოთხი გადასახადი უზრუნველყოფს ესპანეთის ფედერალური ბიუჯეტის 84 პროცენტს. დანარჩენს შეადგენს საბაჟო მოსაკრებელი, საურავი გადასახადების არათავისდროული გადასახადის გამო და არასაგადასახადო შემოსავლები.

რეგიონალური გადასახადები განეიხილოთ 1995 წლის კატალონიის ბიუჯეტის მაგალითზე. შეიძლება მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია ორ ჯგუფად: საკუთარი გადასახადები, რომლებსაც ადგენს კატალონიის მთავრობა და გადასახადები, რომლებიც 1994 წლამდე მიეკუთვნებოდა ფედერალურ გადასახადებს და შემდგომში გადაეცა ტერიტორიებს მათი ფინანსური მდგომარეობის გამყარების მიზნით.

საკუთარი გადასახადები ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის 1,1 პროცენტს შეადგენს. მათგან ძირითად გადასახადად შეიძლება დაეასახელოთ გადასახადი „*ბინგოს*“ *თამაშისათვის*, რომელიც ბიუჯეტის შემოსავლების 0,6 პროცენტს უზრუნველყოფს. გადასახადი იკრიფება უმარტივესი სქემით „*ბინგოს*“ ბარათების რეალიზაციისას. იგი შედის ბარათის ფასში 32 პროცენტისანი განაკვეთით.

სათამაშო ბიზნესის (ბინგოს გარდა) გადასახადები ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 0,2 პროცენტს შეადგენენ. ამ გადასახადით იბეგრება კაზინო, ატრაქციონები, სათამაშო ავტომატები. გადასახადის განაკვეთი 20-დან 55 პროცენტამდე ფარგლებში მერყეობს.

გადასახადი წყალკანალისა და წყალმომარაგების სისტემისათვის, აგრეთვე კანალიზაციისათვის ბიუჯეტის შემოსავლების 0,3 პროცენტს შეადგენს.

გადასახადების მეორე ჯგუფი (წინათ ფედერალური) კატალონიის ბიუჯეტის შემოსავლების 12,3 პროცენტს შეადგენს.

გადასახადი საკუთრებაზე ან ქონებაზე ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 1,7 პროცენტს შეადგენს. დაუბეგრავი მინიმუმი 17 მლნ. პესეტს შეადგენს. გადასახადის განაკვეთი მერყეობს

0,2-დან 2,5 პროცენტამდე წელიწადში. მაქსიმალური განაკვეთი გამოიყენება, თუ ქონების ღირებულება 1,6 მლნ. პესეტს აღემატება. არ იბეგრება გადასახადით ისტორიული და კულტურული ფასეულობები.

გადასახადი მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის ბიუჯეტის შემოსავლების 2 პროცენტს შეადგენს. გადასახადის განაკვეთი 7,65%-დან 34 პროცენტამდე მერყეობს. გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრისას უპირატესი შეღავათებით სარგებლობს პირდაპირი მემკვიდრე. თუ იგი მიღწეულია 21 წლის ასაკს, ქონების ღირებულებიდან გამოიქვითება 2470 ათ. პესეტი, ხოლო თუ მას არ მიუღწევია 21 წლის ასაკისათვის, მაშინ 21 წლის ასაკამდე ყოველწლიურად დამატებით გამოიქვითება 617 ათ. პესეტი. ამასთან, გამოქვითვების საერთო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს 7408 ათ. პესეტს.

მეორე და მესამე რიგის მემკვიდრეებს გამოქვითვების თანხა უმცირდებათ 1235 ათას პესეტამდე. უფრო შორეული რიგის ნათესავეებისათვის და უცხო პირებისათვის გამოქვითვები არ წარმოებს.

გადასახადი ქონების გადაცემისათვის ბიუჯეტის შემოსავლების 6,4 პროცენტს შეადგენს. გადასახადის გადაძხდელები არიან იურიდიული პირები ქონების შეძენის ან იჯარის შემთხვევაში. მოძრავი ქონების გადაცემა იბეგრება 4 პროცენტისანი განაკვეთით, ხოლო უძრავი ქონების – 6 პროცენტისანი განაკვეთით.

სათამაშო ბიზნესის ფედერალური გადასახადი ბიუჯეტის შემოსავლების დაახლოებით 2,2 პროცენტს შეადგენს.

რეგიონალურ ორგანოებს შეუძლიათ ფედერალურ მთავრობასთან შეთანხმებით შემოიღონ ზოგიერთი სხვა გადასახადი. მაგალითად, გადასახადი სიცოცხლის დაზღვევისათვის. მისი განაკვეთი წელიწადში სადაზღვევო თანხის 0,2 პროცენტს შეადგენს. თუ სადაზღვევო თანხა აღემატება 17 მლნ. პესეტს, მაშინ გადასახადის განაკვეთი 0,5 პროცენტამდე იზრდება.

კატალონიის პროვინციების მიერ დადგენილი ადგილობრივი გადასახადებიდან შეიძლება გამოეყოთ სამი მნიშვნელოვანი გადასახადი.

უპირველეს ყოვლისა ეს არის უძრავი ქონების გადასახადი. გადასახადით იბეგრება მიწის ნაკვეთები და ნაგებობები მუნიციპალური ოლქის საზღვრებში. კატალონიის ადგილობრივი ბიუჯეტებში 1995 წელს გადასახადის თანხამ მუნიციპალური შემოსავლების 14,9 პროცენტი შეადგინა. ქონების შეფასებას ახორციელებს კადასტრის სამმართველო. განაკვეთები დიფერენცირებულია და რეგულირდება მუნიციპალიტეტების მიერ.

ეკონომიკური საქმიანობისათვის გადასახადი ადგილობრივი ბიუჯეტებს დაახლოებით 3,4 პროცენტს აძლევს. გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას. გადასახადის განაკვეთი დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე: საქმიანობის სახეზე, დაკავებული ფართის მოცულობაზე, ენერგომომხმარებაზე, საწარმოს მდებარეობაზე და სხვა.

გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებისათვის უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიუჯეტების 4,1 პროცენტს.

შეიძლება ავღნიშნოთ ისეთი ადგილობრივი გადასახადები, როგორცაა *გადასახადი მიწის ნაკვეთების ღირებულების ზრდაზე*. გადასახადის გადახდა წარმოებს მიწის ნაკვეთის მფლობელის შეცვლისას იმ შემთხვევაში, თუ მისი საკადასტრო ღირებულება გაიზარდა მისი შეძენიდან გასხვისების პერიოდამდე.

ხარჯების ანაზღაურების მიზნით შემოღებულია გადასახადი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობების მშენებლობისათვის, გადასახადი ნაგვის გატანისათვის. ინდივიდუალური ხასიათის მომსახურების ღირებულების კომპენსაციის მიზნით დაწესებულია სპეციალური გადასახადები.

დამატებითი მუნიციპალური გადასახადის შემოღება დასაშვებია მხოლოდ მმართველობის ზემდგომი ორგანოების ნებართვით.

ესპანეთის საგადასახადო სამსახურის სახელმწიფო სააგენტომ შექმლო წარმატებით გადაეწყვიტა გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციისა და აღრიცხვის ამოცანა თავისი საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით. თითოეულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს გააჩნია საიდენტიფიკაციო ნომერი. იურიდიულ პირს იგი ენიჭება საგადასახადო სამსახურის მიერ საწარმოთა რეგისტრაციისას.

ფიზიკური პირების აღრიცხვისათვის კი გამოიყენება შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდენტიფიკაციო ნომრები. ქვეყნის გადასახადის გადამხდელების შესახებ ყველა მონაცემი ინახება მადრიდის საგადასახადო სამსახურის კომპიუტერულ სისტემაში.

§ 6 ავსტრიის საბაზისური(ო) სისტემა

მდებარეობა – ცენტრალური ევროპის სამხრეთი ნაწილი.

ტერიტორია – 84 ათასი კმ².

მოსახლეობა – 8 მილიონი.

დედაქალაქი – ვენა.

სახელმწიფო ენა – გერმანული.

ფულის ერთეული – ევრო.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – ფედერაციული რესპუბლიკა.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპარლამენტო რესპუბლიკა.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 217 მლრდ. აშშ დოლარი:

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 26 830 აშშ დოლარი.

ავსტრიის საგადასახადო სისტემა ძალიან ახლოსაა გერმანიის საგადასახადო სისტემასთან. *კორპორაციათა შემოსავლების გადასახადის* განაკვეთი 30 პროცენტია (უახლოეს პერიოდამდე 34 პროცენტს შეადგენდა). *დამატებული ღირებულების გადასახადის* განაკვეთი 20 პროცენტია, ხოლო სასურსათო საქონლისათვის, ურნალების, წიგნებისა და მედიკამენტებისათვის გამოიყენება 10 პროცენტიანი განაკვეთი. სატრანსპორტო საშუალებების რეალიზაციისას განაკვეთი იზრდება 32 პროცენტამდე. გადასახადისაგან თავისუფლდება მიწის გაყიდვასთან დაკავშირებული გარიგებები, საფინანსო ოპერაციები, საექსპორტო საქონელი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია *ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადს*. ამხანაგობები კორპორაციათა მოგების გადასახადით არ იბეგრებიან. ამხანაგობის წევრები იხდიან საშემოსავლო გადასახადს მათი წილის შესაბამისად. ავსტრიაში მოქმედებს საშემოსავლო გადასახადის ხუთი განაკვეთი – 10-დან 50 პროცენტამდე. გადასახადის გამოანგარიშება წარმოებს

შემდევნიარად: შემოსავალი მრავლდება შესაბამის საგადასახადო განაკვეთზე და მიღებული თანხიდან გამოიქვითება ე.წ. კორექტირების თანხა (იხ. სქემა 5).

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები, ავსტ. შილინგებში		
გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის თანხა	საგადასახადო განაკვეთი, %	კორექტირების თანხა
56800-მდე	0	0
56900-დან 63600-მდე	10	25000
63700-დან 150000-მდე	22	11000
150100-დან 300000-მდე	32	26000
300001-დან 700000-მდე	42	56000
700000-ზევით	50	112000

სქემა 5

იმისათვის რომ მივიღოთ გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი, ერთობლივი წლიური შემოსავლიდან გამოიქვითება 5 ათ. შილინგი და 1,8 ათ. შილინგი თითოეულ ბაეშეზე, ხოლო თუ მეუღლე არ მუშაობს დამატებით გამოიქვითება კიდევ 4 ათ. შილინგი.

საშემოსავლო გადასახადის შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებს შემოსავლის შემდეგი კატეგორიების დაბეგვრას:

- შემოსავლები სამრეწველო და კომერციული საქმიანობიდან;
- შემოსავლები დაქირაევებით მუშაობიდან;
- შემოსავლები პროფესიული საქმიანობის განხორციელებიდან;
- შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან;
- შემოსავლები ქონების იჯარით გაცემიდან;
- შემოსავლები კაპიტალური დაბანდებებიდან;
- შემოსავლები სხვა წყაროებიდან.

საშემოსავლო გადასახადით იბეგრება ფიზიკურ პირთა მიერ საბანკო დაწესებულებებში განთავსებული ანაბრებიდან მიღებული შემოსავლები, აგრეთვე აქციებიდან მიღებული დივიდენდები. ამასთან, გადასახადის განაკვეთია 22 პროცენტი. იმ შემთხვევაში, თუ საბანკო ანგარიში გახსნილია ანონიმურად, მაშინ საბანკო დაწესებულება აკავებს აღნიშნულ გადასახადს შემოსავლის გაცემის წყაროსთან გადასახადის გადამხდელის მითითების გარეშე.

ყველა სამეწარმეო სუბიექტები, მ.შ. ამხანაგობები, იბეგრებიან სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადით. აღნიშნული გადასახადის გაორანგარიშებისას მხედველობაში მიიღება კომპანიის

მოგება და ხელფასის ფონდი. ეს ადგილობრივი გადასახადია, რომელსაც არეგულირებენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ამასთან, ხელფასის ფონდზე მათ მიერ დადგენილი განაკვეთი არ შეიძლება აღემატებოდეს ამ ფონდის 2 პროცენტს. საშუალოდ სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადი კომპანიის მოგების 13 პროცენტს შეადგენს. გადასახადის გადახდილი თანხა ჩაითვლება ფედერალური კორპორაციული მოგების გადასახადის გამოანგარიშებისას.

1994 წლამდე ავსტრიაში ქონების გადასახადის განაკვეთი 1 პროცენტს შეადგენდა. კანონმდებლობით დადგენილი მაღალი დაუბეგრავი მინიმუმისა და მთელი რიგი საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით რეალურად აღნიშნულ გადასახადს მოსახლეობის მხოლოდ 10-12 პროცენტი იხდიდა. შექმდგომში აღნიშნული გადასახადი ფიზიკური პირებისათვის გაუქმებული იქნა. ქონების მფლობელობიდან მიღებული შემოსავლები (მიწის, უძრავი ქონების იჯარიდან და ა.შ.) იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

გაუქმებული იქნა აგრეთვე *სარეწაო გადასახადი*.

მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადის განაკვეთი დამოკიდებულია ნათესაურ კავშირზე და მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებაზე.

ავსტრიის საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს მთელ რიგ საგადასახადო შეღავათებს, მაღალია დაუბეგრავი მინიმუმი და იგი წარმოადგენს ერთ-ერთ განსაკუთრებით შეღავათიან კანონმდებლობას ევროპაში.

§ 7 შვედეთის საბადასახადო სისტემა

მდებარეობა – ჩრდილოეთი ევროპა.

ტერიტორია – 450 ათასი კმ².

მოსახლეობა – 9 მილიონი.

დედაქალაქი – სტოკჰოლმი.

სახელმწიფო ენა – შვედური.

ფულის ერთეული – ევრო.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – უნიტარული ცენტრალიზებული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპარლამენტო მონარქია.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 227 მლრდ. აშშ დოლარი

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 25 580 აშშ დოლარი

შვედეთში *კორპორაციების გადასახადის* განაკვეთი დღეისათვის 28 პროცენტია, თუმცა 1991 წლამდე მისი განაკვეთი 52 პროცენტს შეადგენდა, ე.ი. წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე მაღალ განაკვეთს განვითარებულ ქვეყნებს შორის. *დამატებული ღირებულების გადასახადის* განაკვეთი 25 პროცენტია, სასურსათო საქონლისათვის გამოიყენება 21 პროცენტიანი განაკვეთი, ხოლო სასტუმრო მომსახურებისათვის 12 პროცენტიანი განაკვეთი. დღეისაგან, საქონლის ექსპორტის გარდა, თავისუფლდება სამედიცინო მომსახურება, საბანკო ოპერაციები, საპატენტო საქმე, კულტურის დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურება. შეღავათები ვრცელდება ზოგიერთი სახის მოწყობილობებზეც.

კაპიტალის შემოსავლიდან გადასახადის განაკვეთი 30 პროცენტს შეადგენს. კაპიტალის ცნება ფასიანი ქაღალდების გარდა მოიცავს პროცენტებს ანაბრებიდან, აგრეთვე მიწის საკუთრებას.

აქციზით იბეგრება საქონლის განსაზღვრული ჯგუფი: ალკოჰოლი, თამბაქო, ბენზინი, ენერჯია.

მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადის განაკვეთები (10-დან 60 პროცენტამდე) დამოკიდებულია ნათესაურ კავშირზე და მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებაზე. მაგალითად, მემკვიდრეობა (ჩუქება) 200 ათას კრონამდე მეუღლისათვის და 50 ათას კრონამდე თითოეული შვილისათვის გადასახადით არ იბეგრება. მაღალი განაკვეთი გამოიყენება შორეული ნათესავებისათვის და მემკვიდრეობითა და ჩუქებით მიღებული იმ ქონებისათვის, რომლის ღირებულებაც 8 მლნ. კრონს აღემატება.

მოცულობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია *რეგიონალური და ადგილობრივი გადასახადებიც*. ქვეყანა შედგება 24 ლენისგან და 288 კომუნისაგან.¹ მათი წარმომადგენლობითი ორგანოები სხვა ფუნქციების გარდა წყვეტენ ადგილობრივი გადასახადების შემოღების საკითხებს. გადასახადის სახეებს განსაზღვრავს რიქსდაგი, ხოლო განაკვეთებს ადგენენ ლენები და კომუნები.

¹ ი. ო. მელქაძე, ძირითადი ქვეყნების სამართლებრივი სისტემები. ნაწ. I., თბ.: 2001. გვ. 440.

ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად საერთო-სახელმწიფოებრივი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 170 ათ. კრონზე მეტი შემოსავლების შემთხვევაში 20 პროცენტს შეადგენს. ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი მკვეთრად განსხვავდება ადგილმდებარეობის მიხედვით და საშუალოდ შეადგენს: ლენებში – 13 პროცენტს, კომუნებში – 17 პროცენტს და ეკლესიისათვის 1,1 პროცენტს. ყველა პირი, მათ შორის მეუღლეები, იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით ინდივიდუალურად.

ქონების გადასახადი პირიქით, მხედველობაში იღებს ოჯახის საერთო საკუთრებას. მას იხდიან მხოლოდ ფიზიკური პირები. 400 ათ. კრონამდე ღირებულების ქონება თავისუფლდება გადასახადისაგან. 400 ათ.-დან 600 ათ. კრონამდე სახლერებში გადასახადის განაკვეთი 1,5 პროცენტს, ხოლო 1,8 მლნ. კრონს ზევით – 3 პროცენტს შეადგენს.

შვედეთის ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მუხლს სოციალური შენატანები შეადგენენ, რომელიც ერიცხება შრომის ანაზღაურების ფონდს (სქემა 6).

სოციალური შენატანების დანარიცხები ხელფასზე	
დანარიცხა სახეები	პროცენტი ხელფასზე
საენსიო უზრუნველყოფისათვის	13,0
სამედიცინო დაზღვევისათვის	8,43
სახალხო პენსიისათვის (იმ პირთა უზრუნველყოფისათვის, ვისაც არ გააჩნიათ ნამსახურევი წლები)	5,86
საენსიო დაზღვევისათვის	0,2
საწარმოო ტრამპატიზმისაგან დაზღვევისათვის	1,38
თანამშრომელთა პრევენციული დაცვისათვის	0,17
უმუშევრობისა და ნამსახურის გაცემისათვის, კადრების გადამსაღებისათვის	2,12
კომპანიის გაკოტრების შემთხვევაში ხელფასის გარანტიისათვის	0,2
სოციალური დაზღვევისათვის	0,61
ვეტერნარი დაზღვევისათვის	0,95
განთავისუფლების დროს გასაცემი შემწეობისათვის	0,28
დამატებითი პენსიისათვის	3,1
ტრამპატიზმისაგან დაზღვევისათვის	1,0
საგარანტიო ფონდში	0,06
გადასახადი საენსიო შენატანებზე	0,6

დანარიცხების საერთო თანხა 38 პროცენტს შეადგენს. ინდივიდუალური მეწარმეებისათვის სოციალური შენატანების სტრუქტურა იკვლება, მაგრამ მათი საერთო ხვედრითი წილი უფრო მაღალია და 39,3 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შეედეთში საფინანსო წელი 1 ივლისიდან იწყება.

შეედეთის საგადასახადო ადმინისტრაცია შედგება სახელმწიფო საგადასახადო სამსახურისაგან და ათი რეგიონალური საგადასახადო ორგანოსაგან. სახელმწიფო საგადასახადო სამსახური და მისი ორგანოები ახორციელებენ შეედეთში მოქმედი ყველა გადასახადის ადმინისტრირებას, გარდა საბაჟო გადასახადებისა.

სახელმწიფო საგადასახადო სამსახური პასუხისმგებელია გადასახადების ადმინისტრირებაზე და იძულებითი მეთოდების გამოყენებაზე. სამსახური ასევე პასუხისმგებელია ქვეყნის უმაღლესი და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების ჩატარებაზე.

სახელმწიფო საგადასახადო სამსახური პასუხისმგებელია მთავრობის წინაშე ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთავრობის დამოუკიდებელი ნაწილია.

სახელმწიფო საგადასახადო სამსახურს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელიც ამავდროულად სამსახურის მმართველი საბჭოს თავმჯდომარეს წარმოადგენს.

რეგიონალური საგადასახადო ორგანოები პასუხისმგებელი არიან გადასახადების ადმინისტრირებაზე კონკრეტულ რეგიონებში. ისინი ახორციელებენ საგადასახადო ორგანოების სამუშაოს უდიდეს ნაწილს. კერძოდ: დეკლარაციების დამუშავებას, გადასახადების აკრეფას, გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდაზე საგადასახადო კონტროლს, საგადასახადო საჩივრების განხილვას, გადამხდელთა რეგისტრაციას, აკრეთვე დახმარებას უწყვეს არჩევნების ჩატარების პროცესს.

თითოეულ საგადასახადო ორგანოს გააჩნია საგადასახადო გამოძიების სამსახური, რომელიც პროკურორის დავალებით ახორციელებს საგადასახადო დანაშაულებების გამოვლენას და მოკვლევას.

სპეციაღური საგაღასახაღო ოფისი ლუღვიკაში ახორციეღებს მხოლოღ აქციზის აღმინსტრირებას ქვეყნის მთელი მასშტაბით. საგაღასახაღო ორგანოებში მუშაობს დაახლოებით 9500 თანამშრომელი.

§ 8 ღანიის საბაღასახაღო სისტემა

მღებარეობა – იუტლანდიის ნახევარკუნძული, ღანიის არქიპელაგი.

ტერიტორია – 43070 კმ².

მოსახლეობა – 5,3 მიღიონი.

ღეღაქალაქი – კოპენჰაგენი.

სახელმწიფო ენა – ღანიური.

ფუღის ერთეული – ეერო.

აღმინსტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – უნიტარული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – კონსტიტუციური საპარღამენტო მონარქია.

მშპ (1998 წღის მონაცემებით) – 175 მღრღ. აშშ დოღარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წღის მონაცემებით) – 33 040 აშშ დოღარი

მაღალი გაღასახაღებია დაწესებული სკანღინავიის ქვეყნებში. განვიხიღოთ ღანიის საგაღასახაღო სისტემა.

ღანიის 1993 წღის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავღების სტრუქტურა მოცემულია სქემაში (იხ. სქემა 7).

ღანის ბიუჯეტის შემოსავღების სტრუქტურა	
ბიუჯეტის შემოსავღები	ხეღრითი წიღო, %
ფიზიკურ პირთა საშემოსავღო გაღასახაღი	48
დასტავებული ღირებუღების გაღასახაღი	19
აქციზი	17
კორპორაციათა შემოსავღების გაღასახაღი	8
ქრნების გაღასახაღი	4
ანარიცხები სოღიაღურ დაზღვევაზე	3
საბაღო მოსაკრებელი	1
ს უ ლ	100

სქემა 7

როგორც უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში, დანიის ბიუჯეტის ძირითად საშემოსავლო წყაროს *საშემოსავლო გადასახადი* წარმოადგენს. იგი იყოფა ორ ნაწილად: ფედერალური გადასახადი განაკვეთების პროგრესული შკალით და მუნიციპალური გადასახადი, რომლის განაკვეთი 30 პროცენტია. ფედერალური საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი პროგრესულია და მერყეობს 22-დან 40 პროცენტამდე ფარგლებში. ამასთან, 168 ათას კრონამდე წლიური შემოსავლები იბეგრება 22 პროცენტისანი განაკვეთით, 168 ათ. კრონიდან 240 ათ. კრონამდე შემოსავლები – 28 პროცენტისანი განაკვეთით, ხოლო 240 ათას კრონს ზევით წლიური შემოსავლები იბეგრება 40 პროცენტისანი განაკვეთით.

ამრიგად, მუნიციპალური გადასახადის გათვალისწინებით საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი მერყეობს 52-70 პროცენტის ფარგლებში. საგადასახადო შეღავათები ამცირებს გადასახადის განაკვეთს საშუალოდ 49 პროცენტამდე. დანიაში, გადასახადით დაბეგრის მიზნით, შენობის საბოლოო შეფასებითი ღირებულების 2,5 პროცენტი ემატება შენობის მფლობელის ერთობლივ წლიურ შემოსავალს.

დანიის საგადასახადო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი *დამატებული ღირებულების გადასახადს* უჭირავს. მისი განაკვეთი საკმაოდ მაღალია და 25 პროცენტს შეადგენს. *კორპორაციათა მოგების გადასახადის* განაკვეთი კი 34 პროცენტს შეადგენს. *აქციზის* დიფერენცირებული განაკვეთებით იბეგრება სახალხო მეურნეობის საქონლის განსაზღვრული ჯგუფი, კერძოდ: ალკოჰოლიანი სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, საწვავი, რომელიც გამოიყენება საცხოვრებელი სახლების გათბობისათვის, მსუბუქი ავტომობილები. ამ უკანასკნელთათვის აქციზის განაკვეთი საკმაოდ მაღალია და 180 პროცენტს შეადგენს. საქონლის ექსპორტი თავისუფლდება აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

გადასახადი სოციალურ დაზღვევაზე ხელფასის ფონდის 3 პროცენტს შეადგენს. მის ორ მესამედს იხდის დამქირავებელი, ხოლო ერთ მესამედს – დაქირავებული.

ქონების გადასახადის განაკვეთებს ადგენენ მუნიციპალიტეტები, მაგრამ კანონმდებლობით დადგენილ საზღვრებში

0,6-დან 5 პროცენტამდე. იურიდიული და ფიზიკური პირები აღნიშნულ გადასახადს იხდიან ერთნაირი განაკვეთებით.

დანიაში 1995 წლიდან გადასახადების ადმინისტრირებას ახორციელებს დანიის საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო.

დანიის საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია კანონმდებლობისა და საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი, საგადასახადო ტრიბუნალი და ცენტრალური საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრაცია.

კანონმდებლობისა და საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის ფუნქციებია საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფისათვის წინადადებების შემუშავება, საგადასახადო პოლიტიკის წარმართვა და პარლამენტთან ურთიერთობა. დეპარტამენტის ფუნქციებში შედის აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადება. დეპარტამენტი პასუხობს პარლამენტის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს მუდმივი მდივანი და მასში დასაქმებულია 160 თანამშრომელი.

საგადასახადო ტრიბუნალი ახორციელებს გადასახადებთან დაკავშირებული დავების განხილვას. ყველა გადაწყვეტილება მიიღება გადამხდელის წერილობითი განცხადების საფუძველზე. ეროვნული საგადასახადო ტრიბუნალის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. ტრიბუნალის წევრები თანამდებობაზე ინიშნებიან შემოსავლების მინისტრისა და პარლამენტის მიერ. ტრიბუნალში მუშაობს 90 თანამშრომელი.

ცენტრალური საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრაცია შედგება 8 საბაჟო და 29 რეგიონული საგადასახადო ორგანოსაგან. იგი პასუხისმგებელია საბაჟო და პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ადმინისტრირებაზე. აღნიშნული სამსახური ახორციელებს გადასახადების აკრეფას და კონტროლს. საშემოსავლო და ქონების გადასახადების ადმინისტრირება ხორციელდება 175 მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით. სამსახურში მუშაობს 6000 თანამშრომელი, მ.შ. 900 – ცენტრალურ საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრაციაში.

§9. ფინეთის საგადასახადო სისტემა

მდებარეობა – ჩრდილოეთი ევროპა.

ტერიტორია – 338 ათასი კმ².

მოსახლეობა – 5,2 მილიონი.

დედაქალაქი – ჰელსინკი.

სახელმწიფო ენა – ფინური.

ფულის ერთეული – ევრო.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – უნიტარული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპარლამენტო რესპუბლიკა.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 125 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 24 280 აშშ დოლარი.

ფინეთის საგადასახადო სისტემა ძირითადად მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, კორპორაციათა მოგების გადასახადს, დღგ-ს, აქციზს, მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადს, გადასახადს ქონების გადაცემისათვის, საღაზღვევო გადასახადს.

დღგ წარმოადგენს მთავარ გადასახადს მოხმარებაზე, რომლის გადახდაც დაკავშირებულია ფინეთის ტერიტორიაზე საქონლისა და მომსახურების მიწოდების ფაქტთან.

დღგ-ის გადახდის ვალდებულება არ წარმოიქმნება, თუ გადასახადის გადამხდელის წლიური ბრუნვა არ აღემატება 8500 ევროს. ამ შემთხვევაში მეწარმეს შეუძლია ნებაყოფლობით გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. არარეზიდენტები, რომლებიც საქმიანობენ ფინეთის ტერიტორიაზე მუდმივი დაწესებულების გარეშე იბეგრებიან უკუდაბეგვრის წესით ანუ აღნიშნულ შემთხვევაში დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება სამუშაოს ან მომსახურების მიყიდველს. დღგ-ის ძირითადი განაკვეთი 22 პროცენტია. მოქმედებს ორი დაბალი განაკვეთი: 17 პროცენტი – საკვებ პროდუქტებზე და 8 პროცენტი – მგზავრთა ტრანსპორტირების მომსახურებაზე.

დღგ-ის გადამხდელი ვალდებულია წარადგინოს ყოველთვიური დეკლარაცია რეგიონალურ საგადასახადო სამსახურში და გადაიხადოს გადასახადი, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო

თვის 15 რიცხვისა.

აქციზით იბეგრება თამბაქოს ნაწარმი და ალკოჰოლური სასმელები, აგრეთვე თხევადი საწვავი, ელექტროენერგია და ენერჯის განსაზღვრული წყაროები, უალკოჰოლო სასმელები და გადამუშავებული ზეთი.

მემკვიდრეობისათვის გადასახადით იბეგრება თითოეული მემკვიდრის ინდივიდუალური წილი. მემკვიდრეობისათვის გადასახადით დაბეგერის ობიექტს მემკვიდრეობით მიღებული ქონების საბაზრო ღირებულება წარმოადგენს. დასაბეგრი ქონების ღირებულებიდან გამოიქვითება გარდაცვლილი ფიზიკური პირის ვალები და დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯები.

გადასახადის განაკვეთები ჩუქების შემთხვევაში მემკვიდრეობისათვის გადასახადის იდენტურია. ქონების მიმღები როგორც მემკვიდრეობისას, ასევე ჩუქებისას დაყოფილია სამ კატეგორიად.

პირველ კატეგორიაში შედიან მეუღლეები, მშობლები, შვილები და მათი პირდაპირი მემკვიდრეები.

მეორე კატეგორიაში შედიან გარდაცვლილი ფიზიკური პირის დები და ძმები და მათი მემკვიდრეები.

მესამე კატეგორიაში შედიან სხვა დანარჩენი პირები.

პირველ კატეგორიაში შემავალი პირებისათვის განაკვეთები 10,13,16% შეადგენს, რაც დამოკიდებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონების საბაზრო ღირებულებაზე.

ფინეთში არსებული უძრავი ქონება ექვემდებარება უძრავი ქონების გადასახადით დაბეგვრას. გადასახადის თანხა ირიცხება იმ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში, სადაც მდებარეობს გადასახადით დასაბეგრი ქონება. სატყეო მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის მიწები განთავისუფლდა უძრავი ქონების გადასახადისაგან.

გადასახადის გადახდა წარმოებს ყოველწლიურად, წლის დასაწყისისათვის, უძრავი ქონების მესაკუთრის მიერ.

უძრავი ქონების გადასახადი გამოიანგარიშება უძრავი ქონების ღირებულებიდან გამომდინარე. გადასახადის კონკრეტულ განაკვეთებს ადგენენ მუნიციპალიტეტები 0,5%-დან 1%-მდე ფარგლებში. გადასახადის განაკვეთი მუდმივი საცხოვრებელი

ადგილისათვის გამოყენებული უძრავი ქონების მიმართ მერყეობს 0.22%-დან 0.5%-მდე ფარგლებში.

საშემოსავლო და ქონების გადასახადების დეკლარაცია საგადასახადო ორგანოებს წარედგინებათ ყოველწლიურად საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 თებერვლამდე.

კორპორაციები *მოგების გადასახადის* დეკლარაციას საგადასახადო ორგანოებს წარუდგენენ საანგარიშო წლის დამთავრებიდან მომდევნო წლის 1 მაისამდე.

ქონების გადაცემისათვის გადასახადით იბეგრება უძრავი ქონებისა და ფასიანი ქაღალდების გადაცემა. გადასახადის განაკვეთი უძრავი ქონების გადაცემისას 4%-ს, ხოლო ფასიანი ქაღალდების გადაცემისას—1,6%-ს შეადგენს.

გადასახადისაგან თავისუფლდებიან 19-დან 38 წლამდე ასაკის პირები საცხოვრებელი ბინის შეძენის შემთხვევაში, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების გადაცემა, რომელიც წარმოებს საფონდო ბირჟის მეშვეობით. გადასახადის გადახდა წარმოებს ფასიანი ქაღალდების გადაცემის შემთხვევაში — გადაცემიდან 2 თვის განმავლობაში, ხოლო უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში — 6 თვის განმავლობაში.

ფინეთში გადასახადების ადმინისტრირებას ახორციელებს სახელმწიფო საგადასახადო სამსახური, რომელიც შედის ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში.

ფინეთის საგადასახადო ადმინისტრაცია შედგება სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტისაგან და ცხრა რეგიონალური საგადასახადო სამსახურისაგან. რეგიონალური საგადასახადო სამსახურების დაქვემდებარებაში შედიან ადგილობრივი საგადასახადო სამსახურები, აგრეთვე გადასახადების აკრეფისა და საგადასახადო კონტროლის დანაყოფები. საგადასახადო ადმინისტრაციას ქვეყნის მასშტაბით 190-მდე გადასახადის გამხდელთა მომსახურების ცენტრი გააჩნია. რეგიონალური სამსახურების შემადგენლობაში შედის მსხვილი კორპორაციების საგადასახადო სამსახური, სადაც აღრიცხვაზე დგანან მსხვილი და საერთაშორისო კავშირების მქონე კორპორაციები. მსხვილი კორპორაციების საგადასახადო სამსახურის სამოქმედო არეალი მთლიანად ფინეთის ტერიტორიას მოიცავს.

სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტი შედგება დაბეგერის ცენტრისაგან, გადამხდელთა მომსახურებისა და საგადასახადო კონტროლის დანაყოფებისაგან. საგადასახადო სამსახური მოიცავს აგრეთვე ადმინისტრაციულ სამმართველოს, მონაცემთა დამუშავების, შიდა კონტროლის და ინფორმაციის დამუშავების სამმართველოებს. საგადასახადო დეპარტამენტის ოფისები განლაგებულია პელსინკში და იაეაკილაში.

საგადასახადო ადმინისტრაციის პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს დირექტორთა საბჭო, რომელსაც ნიშნავს სახელმწიფო საბჭო ოთხ წელიწადში ერთხელ.

ადგილობრივი საგადასახადო სამსახურები ახორციელებენ შემოსავლებისა და წმინდა აქტივების, აგრეთვე მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადების ადმინისტრირებას. დამატებული ღირებულების გადასახადის ადმინისტრირება ხორციელდება რეგიონალური საგადასახადო სამსახურების შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ.

ფინეთის საგადასახადო ადმინისტრაციის ძირითად ამოცანას გადასახადების სრული და თავისდროული აკრეფა, აგრეთვე დაბეგერასთან დაკავშირებული ხარჯების მინიმუმამდე დაყვანა და დაბეგერის ისეთი პირობების შექმნა წარმოადგენს, რაც ნეგატიურ ზეგავლენას არ მოახდენს გადასახადის გადამხდელთა ეკონომიური საქმიანობის პროცესზე.

საგადასახადო ადმინისტრაცია გადასახადების სახით ყოველწლიურად 200 მლრდ. ფინურ მარკაზე მეტს კრეფს.

ფინეთის საგადასახადო ადმინისტრაციის რეგიონალური საგადასახადო სამსახურები ძირითადად ახორციელებენ გადამხდელთა მომსახურებას, საგადასახადო კონტროლს, გადასახადების აღრიცხვასა და აკრეფას.

ფინეთში გადასახადების ადმინისტრირებას, საგადასახადო ადმინისტრაციის გარდა, ახორციელებენ საბაჟო ორგანოები, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი და საპენსიო და სადაზღვევო ინსტიტუტები.

§10. შვეიცარიის საბაღასახალო სისტემა

მდებარეობა – დასავლეთი ევროპა.

ტერიტორია – 41,29 ათასი კმ².

მოსახლეობა – 7,3 მილიონი.

დედაქალაქი – ბერნი.

ფულის ერთეული – შვეიცარული ფრანკი.

ოფიციალური ენები – გერმანული, იტალიური, ფრანგული, რეტრორომანული.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – ფედერაციული რესპუბლიკა.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპარლამენტო რესპუბლიკა.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 284 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 39 980 აშშ დოლარი

დღეისათვის შვეიცარია ფედერაციული სახელმწიფოა, რომელიც შედგება 23 კანტონისა და მათში შემავალი 3000 მუნიციპალიტეტისაგან (კომუნისაგან). კანტონები წარმოადგენენ სუვერენულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს. მუნიციპალიტეტების ავტონომიურობის ხარისხი განისაზღვრება კანტონების კანონმდებლობით.

შვეიცარიის ფედერალიზმის პრინციპის შესაბამისად ქვეყანაში მოქმედებს გადასახადებით დაბეგვრის სამდონიანი სისტემა. გადასახადები იკრიფება ფედერაციული მთავრობის, კანტონებისა და მუნიციპალიტეტების მიერ.

ფედერაციის ძირითად გადასახადებს მიეკუთვნება საშემოსავლო გადასახადი, გადასახადი კაპიტალის ზრდაზე, საგერბო მოსაკრებელი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციის თამბაქოს ნაწარმზე, ლუდზე და დისტილირებულ სპირტზე, საბაჟო მოსაკრებლები და სხვა გადასახადები.

კანტონების ძირითად გადასახადებს მიეკუთვნება საშემოსავლო გადასახადი და გადასახადი წმინდა აქტივებზე, მოგებისა და კაპიტალის გადასახადი, გადასახადი მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის, გადასახადი კაპიტალის ზრდაზე, გადასახადი უძრავ ქონებაზე, უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადი, ავტოსატრანსპორტო

საშუალებების გადასახადი, გადასახადი ძალებების შენახვისათვის, გადასახადი სანახაობებზე, საგერბო მოსაკრებელი და სხვა გადასახადები.

მუნიციპალურ გადასახადებს მიეკუთნება საშემოსავლო გადასახადი და გადასახადი წმინდა აქტივებზე, გადასახადი მოგებაზე და კაპიტალზე, მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადი, გადასახადი კაპიტალის ზრდაზე, გადასახადი უძრავ ქონებაზე, უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადი, ვაჭრობის გადასახადი, გადასახადი ძალებების შენახვისათვის, გადასახადი სანახაობებზე და სხვა გადასახადები.

ფედერალური პირდაპირი გადასახადების იურიდიულ საფუძველს ფედერალური კონსტიტუცია და ფედერალური პირდაპირი გადასახადის შესახებ კანონი წარმოადგენს.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით იბეგრება რეზიდენტებისა და დროებითი რეზიდენტების შემოსავლები (შეზღუდავი საგადასახადო ვალდებულება).

შეზღუდული საგადასახადო ვალდებულება გამოიყენება იმ არარეზიდენტთა მიმართ, რომლებსაც გააჩნიათ სპეციფიკური ეკონომიკური ურთიერთობები შევიცარიასთან. აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადი გამოიანგარიშება მხოლოდ შევიცარიაში არსებული წყაროებიდან მიღებული სპეციფიკური სახის შემოსავლებიდან (საკუთრებიდან, მუდმივი დაწესებულებიდან და ა.შ). გადასახადი განისაზღვრება ორწლიან პერიოდზე და იკრიფება ყოველწლიურად კანტონების მიერ კონფედერაციისათვის.

ფედერალური საშემოსავლო გადასახადის დაბეგრის ობიექტს ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლები, მ.შ. ლატარიებიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს.

როგორც წესი, შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან. დამატებითი სოციალური გამოქვითვების უფლება გააჩნიათ მარტოხელა დედაებს.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები პროგრესულია. ყველაზე ხელსაყრელი განაკვეთი გამოიყენება ოჯახური წყვილის მიმართ. მაქსიმალური განაკვეთი 11,5%-ს შეადგენს.

იურიდიულ პირთა მოგებისა და კაპიტალის გადასახადებით, როგორც წესი, იბეგრებიან იურიდიული პირები, რომლებსაც შვეიცარიაში გააჩნიათ რეგისტრირებული ოფისი, ან მმართველობის მოქმედი ორგანო. განასხვავებენ ორი სახის იურიდიულ პირებს: კორპორაციები-კოოპერატივები და ასოციაციები-გაერთიანებები, მ.შ. სახელმწიფო დაწესებულებები და საეკლესიო ორგანიზაციები.

კორპორაციები და კოოპერატივები იხდიან როგორც მოგების, ასევე კაპიტალის გადასახადებს.

ფედერალური *მოგების გადასახადი* წარმოადგენს პროგრესულ გადასახადს. მაქსიმალური განაკვეთი არ შეიძლება აღემატებოდეს ჯამური მოგების 9,8%-ს.

კაპიტალის გადასახადი პროპორციულია. დღეისათვის მისი განაკვეთი გადასახადით დასაბეგრი კაპიტალის თანხის 0,08 პროცენტს შეადგენს.

პირის მიერ მიღებული პროცენტები და დივიდენდები იბეგრება 35%-იანი განაკვეთით, ამავე განაკვეთით იბეგრება აგრეთვე მოგებები ლატარიაში. აღნიშნული შემოსავლები იბეგრება შემოსავლის გაცემის წყაროსთან.

შვეიცარიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გადასახადს *დამატებული ღირებულების გადასახადი* წარმოადგენს. იგი შვეიცარიაში შემოდებული იქნა 1995 წლის 1 იანვრიდან. დღე საყოველთაო სარგებლობისა და მოხმარების გადასახადია. დღე იკრიფება წარმოებისა და განაწილების ყველა სტადიაზე, საქონლის იმპორტზე. შვეიცარიაში გამოიყენება ნულოვანი განაკვეთი და გადასახადისაგან განთავისუფლება. ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციებია საქონლის ექსპორტი, საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურება, მომსახურების სახეები, რომლებიც გამოიყენება საზღვარგარეთ.

დღე-ისაგან თავისუფლდება სოციალური სფეროს, ჯანდაცვისა და სოციალური დაზღვევის მომსახურება, კულტურის, განათლებისა და დაზღვევის დარგში საქმიანობა, ფინანსური სფეროს ოპერაციები, ლატარიაები, საფოსტო მარკების რეალიზაცია.

შვეიცარიაში მოქმედებს დღე-ის სამი განაკვეთი: სტანდარტული – 6,5 %, სპეციალური – 3% (სასტუმრო სექტორში განხორციელებულ

მომსახურებაზე), დაბალი—2%(პროდუქტები და სასმელები, გარდა სპირტიანი სასმელებისა, მსხვილფეხა რქოსანი ცხოველი, ფრინველი, თევზი; სამედიცინო საქონელი, გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, რადიო და ტელეკომორაციების მიერ გაწეული მომსახურება).

არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება *საბაჟო მოსაკრებელიც*. შვეიცარიაში საბაჟო მოსაკრებელი იკრიფება როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის ოპერაციებზე, საბაჟო ტარიფების განსაზღვრული განაკვეთების შესაბამისად. მოსაკრებლების გადახდა წარმოებს მხოლოდ წონის ერთეულიდან და არა მისი ღირებულებიდან გამომდინარე. კანტონებს უფლება აქვთ აკრიფონ ნებისმიერი გადასახადი, გარდა იმ გადასახადებისა, რომლებზეც კონფედერაციას არ გააჩნია ექსკლუზიური იურისდიქცია. მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ აკრიფონ მხოლოდ ის გადასახადები, რომელთა აკრეფაც მათ ნებადართული აქვთ კანტონების მიერ.

ეროვნული ეკლესიების (რეფორმატული, რომაულ-კათოლიკური და ძველი-კათოლიკური) ორგანოებს თავიანთი მრევლიდან და აღნიშნული კანტონების ტერიტორიაზე მოქმედი იურიდიული პირებიდან უფლება აქვთ აკრიფონ *საეკლესიო გადასახადი*.

კანტონებისა და მუნიციპალიტეტების გადასახადებს მიეკუთვნება შემოსავლებისა და წმინდა აქტივების გადასახადი, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადები, იურიდიულ პირთა მოგებისა და კაპიტალის გადასახადები, გადასახადები ლატარიებიდან, გადასახადები საკუთრების გადაცემისათვის, გადასახადი მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის.

ყველა კანტონში ყოველწლიურად იკრიფება *გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე*. გადასახადის თანხა დამოკიდებულია ავტომობილის სახეობაზე.

ყველა კანტონში გარდა ბაზელისა, *ლატარიების გადასახადით* იბეგრება ლატარიებიდან და სპორტული ფსონებიდან მიღებული მოგება.

შვეიცარიის ფედერალური საგადასახადო ადმინისტრაცია 1915 წელს დაარსდა. ის კრეფს ფედერალური მთავრობის შემოსავლების უდიდეს ნაწილს, რაც წლიურად

დაახლოებით 27 მლრდ. შვეიცარულ ფრანკს აღემატება. აღნიშნული შემოსავლების ძირითად წყაროს დამატებული ღირებულების გადასახადი, პირდაპირი ფედერალური გადასახადები და საგერბო მოსაკრებელი წარმოადგენს.

შვეიცარიის ფედერალური საგადასახადო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ფედერალური საგადასახადო კანონების შკაცრი და ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სამსახური შეიმუშავებს ფისკალური პოლიტიკის აღსრულების სტრატეგიებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს ორმაგი დაბეგერის შეთანხმებებზე, ადგენს საგადასახადო შემოსავლების სტატისტიკას.

შვეიცარიის ფედერალურ საგადასახადო ადმინისტრაციაში მუშაობს დაახლოებით 970 თანამშრომელი, საიდანაც 600 მუშაობს დღ-ის ადმინისტრირების მთავარ სამმართველოში.

შვეიცარიის ფედერალური საგადასახადო ადმინისტრაცია შედგება პირდაპირი ფედერალური გადასახადების მთავარი სამმართველოსაგან, დამატებული ღირებულების გადასახადის მთავარი სამმართველოსაგან, საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოსაგან, საგადასახადო სტატისტიკის და დოკუმენტაციის დამუშავების სამმართველოსაგან, სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული პირების გადასახადის მონიტორინგის განყოფილებისაგან და კადრებისა და სპეციალური დავალებების სამსახურებისაგან.

§ 11. ნიდერლანდების საბაღასახადო სისტემა

მდებარეობა – დასავლეთი ევროპა.

ტერიტორია – 37,3 ათასი კმ².

მოსახლეობა – 15,2 მილიონი.

დედაქალაქი – ამსტერდამი (ადმინისტრაციული ცენტრი – ქააგა).

სახელმწიფო ენა – ნიდერლანდური.

ფულის ერთეული – ეერო.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – დუალისტური კონსტიტუციური მონარქია (საპარლამენტო მონარქია).

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 389 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 24 780 აშშ დოლარი.

ნიდერლანდებში აშკარად დომინირებულ როლს ფედერალური გადასახადები თამაშობენ. მათი კონცენტრაცია ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტში და შემდგომ ნაწილდება ვერტიკალურად სუბსიდიებისა და სუბვენციების სახით. ადგილობრივი გადასახადები, მსხვილი ქალაქების ბიუჯეტებშიც კი, არ აღემატება შემოსავლების 10-12 პროცენტს.

ქვეყნის აღმინსტრაციული ცენტრის ჰააგის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 1990 წლისათვის 2,8 მლრდ. გულდენს შეადგენდა. საკუთარი შემოსავლების ძირითად წყაროს ქონების გადასახადი წარმოადგენს, რომლის შემოსავლები 160 მლნ. გულდენს აღემატება. გადასახადს იხდიან უძრავი ქონების მესაკუთრეები და მოიჯარეები. ამასთან, მესაკუთრეები გადასახადს იხდიან გაცილებით მაღალი განაკვეთით. 100 მლნ. გულდენზე მეტი შემოსავლები შოაქვს ისეთ ადგილობრივ გადასახადებს, როგორცაა გადასახადი ტურისტებისათვის, ნავის გატანისათვის, შინაური ცხოველებისათვის, ავტომობილების პარკირებისათვის, ასევე სხვადასხვა მოსაკრებლებს. დაახლოებით 40 მლნ. გულდენამდე შეაქვთ ბიუჯეტში მუნიციპალურ საწარმოებს მათ მიერ მიღებული მოგებიდან. შემოსავლიანებად ითვლებიან საზღვაო პორტი, ენერგეტიკული, წყალმომარაგებისა და გაზის მეურნეობის საწარმოები.

და ბოლოს, დაახლოებით 2,5 მლრდ. გულდენს, ანუ ქალაქის ბიუჯეტის ძირითად ნაწილს, სამთავრობო სუბსიდიები შეადგენენ, რომელიც იყოფა მუნიციპალურ ფონდად და სუბვენციებად. მუნიციპალურ ფონდს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად განკარგავს ბურგომისტერი, ხოლო სუბვენციები იხარჯება მკაცრად მიზნობრივი დანიშნულებით, კერძოდ განათლებაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, პოლიციის შენახვაზე.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების განაკვეთები ნიდერლანდებში საერთო ევროპულ დონესთან მიახლოებულია. კორპორაციათა მოგების გადასახადის განაკვეთი 35 პროცენტია,

დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი კი - 19 პროცენტი.

ნიდერლანდებში გადასახადების ადმინისტრირებას ახორციელებს ნიდერლანდების საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაცია, რომელიც ექვემდებარება ფინანსთა მინისტრს. ნიდერლანდების საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციის ცენტრალური აპარატი შედგება რვა დეპარტამენტისაგან: ფისკალური დეპარტამენტი, საგადასახადო და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტი, საბაჟო საქმეთა დეპარტამენტი, პირდაპირი გადასახადების დეპარტამენტი, არაპირდაპირი გადასახადების დეპარტამენტი, მმართველობის დეპარტამენტი, დაგეგმვის, ფინანსებისა და კონტროლის დეპარტამენტი, კადრებისა და ორგანიზაციის დეპარტამენტი და შიდა კონტროლის დეპარტამენტი.

ნიდერლანდების საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაცია აერთიანებს ხუთ სამმართველოს: ფიზიკურ პირთა სამმართველო, ეკონომიკური საქმიანობის მიმდევარი გადასახადის გადამხდელების სამხრეთის სამმართველო, ეკონომიკური საქმიანობის მიმდევარი გადასახადის გადამხდელების ჩრდილოეთის სამმართველო, მსხვილი კომპანიების დაბეგერის სამმართველო, საბაჟო სამმართველო.

სამმართველოები შედგება ადგილობრივი სამსახურებისაგან. ფიზიკურ პირთა სამმართველოს ადგილობრივი ოფისები და მათი განშტოებები გეოგრაფიულად განლაგებულია ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნული სამმართველო ძირითადად ახორციელებს ქონების გადასახადის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადისა და მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადის ადმინისტრირებას.

ეკონომიკური საქმიანობის მიმდევარი გადამხდელების სამხრეთისა და ჩრდილოეთის სამმართველოები ახორციელებენ მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მიერ გადასახადების გამოანგარიშებაზე კონტროლსა და გადასახადების აკრეფას. აღნიშნულ სამმართველოებს ექვემდებარება ორმოცი ადგილობრივი ოფისი და მათ საქმე აქვთ დაახლოებით 875 ათას გადასახადის გადამხდელთან.

მსხვილი კომპანიების დაბეგერის სამმართველო ყველაზე მნიშვნელოვანი სამმართველოა ნიდერლანდების საგადასახადო და

საბაქო ადმინისტრაციის სტრუქტურაში. საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 70%-ის მობილიზაციას აღნიშნული სამმართველო ახორციელებს.

მსხვილ კომპანიებს მიეკუთვნებიან კომპანიები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგი სამი კრიტერიუმიდან ერთ-ერთს:

- კომპანიის ბრუნვა უნდა აღემატებოდეს 8 მლნ. ნიდერლანდურ გულდენს, არაპირდაპირი გადასახადების გარეშე;
- ფისკალური ქონება უნდა აღემატებოდეს 4 მლნ. ნიდერლანდურ გულდენს;
- თანამშრომელთა რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 50-ს;

მსხვილი კომპანიების დაბეგერის სამმართველოს გააჩნია სამი ადგილობრივი ოფისი ამსტერდამში, ჰააგაში და როტერდამში, რომლებიც ორიენტირებულნი არიან განსაზღვრული კატეგორიის მსხვილ კომპანიებზე.

საბაქო სამმართველო ახორციელებს გადასახადების ადმინისტრირებას საქონლის იმპორტ-ექსპორტის დროს. აღნიშნული სამმართველოს ძირითად ამოცანას სასაზღვრო კონტროლიც წარმოადგენს.

ნიდერლანდების საგადასახადო და საბაქო ადმინისტრაცია მოიცავს აგრეთვე ფისკალური ინფორმაციისა და გამოძიების სამსახურს. სამსახურის ძირითადი ამოცანებია: საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენა და მასთან ბრძოლა, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

ფისკალური ინფორმაციისა და გამოძიების სამსახური შედგება ინფორმაციის სამმართველოსაგან, გამოძიების სამმართველოსაგან და საინფორმაციო მენეჯმენტის სამმართველოსაგან.

ნიდერლანდების საგადასახადო და საბაქო ადმინისტრაციაში მუშაობს 30500 თანამშრომელი.

§12. ირლანდიის საბადასახადო სისტემა

მდებარეობა – დასავლეთი ევროპა.

ტერიტორია – 70,3 ათასი კმ².

მოსახლეობა – 3,7 მილიონი.

დედაქალაქი – დუბლინი.

სახელმწიფო ენები – ირლანდიური და ინგლისური.

ფულის ერთეული – ევრო.

აღმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა –
უნიტარული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპარლამენტო რესპუბლიკა.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 69 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 18710
აშშ დოლარი.

ირლანდიის ძირითადი გადასახადებია ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, კორპორაციების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადი.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები. რეზიდენტებად ითვლებიან ფიზიკური პირები, რომლებიც იმყოფებიან ირლანდიის ტერიტორიაზე 183 დღეზე მეტ ხანს კალენდარული წლის განმავლობაში ან 280 დღეზე მეტ ხანს ორი წლის განმავლობაში.

გადასახადით დაბეგრის ობიექტია ფიზიკური პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც შედგება ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისაგან და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

რეზიდენტ ფიზიკურ პირებს ეკისრებათ სრული საგადასახადო ვალდებულება, ე.ი. ისინი იბეგრებიან როგორც ირლანდიაში, ასევე ირლანდიის ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლების მიხედვით. არარეზიდენტები იბეგრებიან მხოლოდ ირლანდიაში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით. ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები იბეგრება შემოსავლის გაცემის წყაროსთან.

ეკონომიკური საქმიანობის მიმდევარი ფიზიკური პირები ვალდებული არიან საანგარიშო წლის 1 ნოემბრამდე გადაიხადონ საპროგნოზო გადასახადის 90% ან წინა წელს გადახდილი გადასახადის თანხის ტოლფასი თანხა. გადასახადის გადამხდელები საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოებს წარუდგენენ არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 30 იანვრამდე. დეკლარაციის ორ თვემდე დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს გადახდება ჯარიმა გადასახადის თანხის 5%-ის ოდენობით, ხოლო დეკლარაციის ორ თვეზე მეტი ხნით დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს გადახდება ჯარიმა გადასახდელი თანხის 10 %-ის ოდენობით.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის მინიმალური განაკვეთია 22%, ხოლო მაქსიმალური – 44%. 17 000 ირლანდიურ ფუნტამდე მიღებული შემოსავლები იბეგრება 22%-იანი განაკვეთით, ხოლო 17 000 ირლანდიურ ფუნტს ზევით შემოსავლები – 44%-იანი განაკვეთით.

ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები იბეგრება *სოციალური და ზღვევის გადასახადითაც*. გადასახადს იხდიან როგორც დამქირაველები, ასევე დაქირავებულები. დამქირავებლებისათვის სოციალური გადასახადის განაკვეთები 14 560 ირლანდიურ ფუნტამდე შემოსავლებზე 8.5%-ს, ხოლო 14 561-დან 36 600 ირლანდიურ ფუნტამდე შემოსავლებზე 12%-ს შეადგენს. დაქირავებულებისათვის სოციალური დაზღვევის გადასახადის გამოანგარიშებასა და დაკავებას ახორციელებს დამქირავებელი. თუ ფიზიკური პირის წლიური შემოსავალი არ აღემატება 26 500 ირლანდიურ ფუნტს, გადასახადის განაკვეთი 6.5%-ს შეადგენს, ხოლო 26 500 ირლანდიურ ფუნტს ზევით მიღებული შემოსავლები იბეგრება 2%-იანი განაკვეთით.

საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება დაქირავებულისათვის გადახდილი დახმარების თანხები, საავტორო უფლებიდან მიღებული შემოსავლები, სატყუო მეურნეობაში განხორციელებული სამუშაოებიდან მიღებული შემოსავლები, ცხენების მოშენებიდან მიღებული შემოსავლები და სხვა.

დივიდენდებისა და პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები იბეგრება შემოსავლის გაცემის წყაროს ადგილის მიხედვით 20%-იანი განაკვეთით.

ფიზიკური პირების მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებიდან წარმოებს 1000 ირლანდიური ფუნტის გამოქვითვა, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან – 4700 ირლანდიური ფუნტის გამოქვითვა. ოჯახური წყვილისათვის ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 9400 ირლანდიურ ფუნტს. გარკვეულ ასაკს მიღწეულ მოქალაქეებს უფლება აქვთ ერთობლივი შემოსავლიდან დამატებით გამოქვითონ 800-დან 1600 ფუნტამდე შემოსავალი. მარტოხელა მშობელს უფლება აქვს თითოეულ ბავშვზე განახორციელოს ერთობლივი შემოსავლიდან 9700 ირლანდიური ფუნტის გამოქვითვა. სამკლდციხო სადაზღვეო შენატანების თანხა მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან, საქენსიო ფონდებში განხორციელებული შენატანების თანხა ასევე გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან, მაგრამ არა უმეტეს შემოსავლების 15%-ისა. ფილმების მწარმოებელ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების თანხა ასევე გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან, მაგრამ არა უმეტეს განხორციელებული ინვესტიციების 80%-ისა.

ირლანდიაში კორპორაციების გადასახადის სტანდარტული განაკვეთი 20%-ია. თუ კორპორაციის შემოსავალი 200 ათ. ირლანდიურ ფუნტს არ აღემატება, ასეთი კორპორაციები იბეგრებიან 12.5%-იანი გადასახადის განაკვეთით. ირლანდიაში წარმოებული საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები იბეგრება 10%-იანი გადასახადის განაკვეთით. აშავე განაკვეთით იბეგრება საბანკო და სადაზღვეო საქმიანობიდან, ფინანსური საკონსულტაციო მომსახურებიდან და დუბლინის საერთაშორისო საფინანსო მომსახურების ცენტრის ფარგლებში განხორციელებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებიც. იჯარიდან მიღებული შემოსავლები იბეგრება 28%-იანი განაკვეთით. კორპორაციები ვაღდებულნი არიან საანგარიშო წლის 1 ნოემბრამდე გადაიხადონ კორპორაციული გადასახადის საპროგნოზო თანხა ან წინა წელს გადახდილი გადასახადის თანხის ტოლფასი თანხა. დეკლარაციის წარდგენა წარმოებს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 30 იანვრამდე.

დეკლარაციის არა უმეტეს ორი თვის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში, გადამხდელს გადახდება ჯარიმა დეკლარაციაში აღნიშნული გადასახადის თანხის 10%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 50 000 ირლანდიური ფუნტისა.

კაპიტალის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები როგორც ფიზიკური პირებისათვის, ასევე კორპორაციებისათვის იბეგრება 20%-იანი განაკვეთით. კაპიტალიდან მიღებული შემოსავლები პირველ 1000 ირლანდიურ ფუნტამდე თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

გადასახადისაგან თავისუფლდება აქტივების გადაცემა გარდაცვალების შემდეგ, ძირითადი საცხოვრებელი აქტივის რეალიზაცია, აგრეთვე აქტივების რეალიზაცია, თუ რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები რეინვესტირებულია ალტერნატიული აქტივების შესაძენად.

ღამატებული ღირებულების გადასახადის ძირითადი განაკვეთი 21 პროცენტია. მოქმედებს დღგ-ის დაბალი განაკვეთებიც: 4%, 10% და 12.5%.

დღგ-ით დაბეგერის ობიექტია საქონლისა და მომსახურების მიწოდება, აგრეთვე საქონლის იმპორტი.

მომსახურების სფეროს საწარმოები ვალდებული არიან გატარდნენ დღგ-ის გადახდელად რეგისტრაციაში, თუ მათი წლიური ბრუნვა აღემატება 20 000 ირლანდიურ ფუნტს, ხოლო საქონლის მიმწოდებელი საწარმოები ვალდებული არიან დადგნენ აღრიცხვაზე გადასახადის გადამხდელებად, თუ მათი წლიური ბრუნვა 40 000 ირლანდიურ ფუნტს აღემატება.

დღგ-ისგან თავისუფლდება საქონლის ექსპორტი, ჯანდაცვის მომსახურება, ბავშვთა ტანსაცმელი, სადაზღვევო და საბანკო მომსახურება, საკვები პროდუქტები, სასოფლო-სამეურნეო სასუქები.

მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადის გადამხდელები არიან ირლანდიის რეზიდენტები, რომლებმაც მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიიღეს ქონება. გადასახადისაგან თავისუფლდება ჩუქებით მიღებული ქონება, თუ მისი ჯამური ღირებულება არ აღემატება 1000 ირლანდიურ ფუნტს.

მემკვიდრეობისათვის გადასახადის განაკვეთი 20%-ია. მოქმედებს დაუბეგრავი მინიმუმი 15000-დან 300 000 ირლანდიურ ფუნტამდე.

დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობა დამოკიდებულია ნათესაურ ხარისხზე. ირლანდიაში გადასახადების ადმინისტრირებას ირლანდიის საგადასახადო შემოსავლების სამსახური ახორციელებს, რომელიც 1923 წელს შეიქმნა. სამსახური ახორციელებს გადასახადების აკრეფას და კონტროლს ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციებზე.

სამსახურის მიერ აკრეფილი გადასახადებისა და მოსაკრებლების თანხა 40 მლრდ. ირლანდიურ ფუნტს აღემატება, რაც ხაზინის შემოსავლების 93%-ზე მეტია.

სამსახური სხვა სახელმწიფო სააგენტოებთან ერთად ახორციელებს ნარკოტიკებისა და დანაშაულებრივი გზით მიღებული სახსრების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას.

სამსახურს გააჩნია მრავალმხრივი კავშირები სხვა სახელმწიფო დეპარტამენტებთან და სააგენტოებთან. სამსახური მონაწილეობს საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების დადების თაობაზე მოლაპარაკებებში. სამსახურს გააჩნია რეგულარული ორმხრივი კონტაქტები სხვა ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან, ეროვნული მისიასთან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

სამსახური შედგება სამმართველოებისაგან, რომლებიც საქმიანობენ ფუნქციონალური პრინციპით.

სამსახურს ქვეყნის მასშტაბით გააჩნია 130-ზე მეტი ოფისი, რაც ხელს უწყობს გადასახადის გადამხდელებთან ურთიერთობას.

ირლანდიის საგადასახადო შემოსავლების სამსახურში დასაქმებულია 6000 თანამშრომელი, ხოლო მისი ბიუჯეტი 155 მლნ. ირლანდიურ ფუნტს შეადგენს. ბიუჯეტის 75% იხარჯება ხელფასებზე.

§13. ისლანდიის საბაღასახადო სისტემა

მდებარეობა – ჩრდილოეთი ევროპა.

ტერიტორია – 103 ათასი კმ².

მოსახლეობა – 0,28 მილიონი.

დედაქალაქი – რეიკიავიკი.

სახელმწიფო ენა – ისლანდიური.

ფულის ერთეული – ევრო.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – უნიტარული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპარლამენტო რესპუბლიკა.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 8 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 27 830 აშშ დოლარი.

ისლანდიის ძირითადი გადასახადებია ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, გადასახადი კაპიტალიდან მიღებულ შემოსავლებზე, სოციალური უზრუნველყოფის გადასახადი, კორპორაციათა მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები.

ფიზიკური პირის მიერ 67468 კრონურამდე მიღებული შემოსავლები იბეგრება მხოლოდ საშემოსავლო გადასახადის 12.79%-იანი მუნიციპალური განაკვეთით. აღნიშნული შემოსავლების ზევით მიღებული შემოსავლები იბეგრება 38.54%-იანი განაკვეთით, საიდანაც ცენტრალური მთავრობის ძირითადი საგადასახადო განაკვეთი 25.75%-ს, ხოლო მუნიციპალური საგადასახადო განაკვეთი 12.79%-ს შეადგენს. თუ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლები აღემატება 3980.0 ათას კრონურს, ხოლო ოჯახური წყვილის მიერ მიღებული შემოსავლები – 7960.0 ათას კრონურს, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული შემოსავლები იბეგრება ცენტრალური მთავრობის დამატებითი 5%-იანი განაკვეთით.

გარდა ზემოაღნიშნულისა თითოეული ფიზიკური პირი ყოველწლიურად დამატებით იხდის 4827 კრონურს მოხუცთა თავშესაფრების მშენებლობისათვის საერთო სახელმწიფოებრივ

ფონდში, რომელიც განკუთვნილია მოხუცებულთა სახლების და მზრუნველობის ცენტრების მშენებლობისა და შენახვისათვის. გადასახადისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომლებსაც არ შესრულებიათ 16 წელი ან შეუსრულდათ 70 წელი. გადასახადისაგან თავისუფლდებიან აგრეთვე პირები, რომელთა წლიური შემოსავლებიც არ აღემატება 781 580 კრონურს.

საშემოსავლო გადასახადით იბეგრება ფიზიკური პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი, გარდა კაპიტალიდან მიღებული შემოსავლებისა. საქენსიო და სოციალური უზრუნველყოფის ფონდებში, დადგენილი ნორმატივების ფარგლებში, შეტანილი თანხები გამოიქვითება ერთობლივი წლიური შემოსავლიდან.

პროცენტების, დივიდენდების და იჯარის სახით მიღებული შემოსავლები ექვემდებარება *კაპიტალიდან მიღებული შემოსავლების გადასახადის 19%-იანი* განაკვეთით დაბეგრებას. გადასახადის დაკავება წარმოებს შემოსავლის გაცემის წყაროს ადგილის მიხედვით. ფიზიკური პირების მიერ მიღებული და შემოსავლის გაცემის წყაროსთან დაბეგრილი ასეთი შემოსავლები შემდგომ დაბეგრებას არ ექვემდებარება. საწარმოების მიერ მიღებული და გადახდის წყაროსთან დაბეგრილი ასეთი შემოსავლები შემდგომში დაიბეგრება კორპორაციული მოგების გადასახადით, ხოლო შემოსავლის გაცემის წყაროსთან გადახდილი გადასახადი მათ ჩაეთვლებით კორპორაციული მოგების გადასახადის გამომანგარიშებისას.

ფიზიკური პირის წმინდა აქტივები იბეგრება 0.6 პროცენტის განაკვეთით, თუ აქტივების ღირებულება აღემატება 4700 ათას კრონურს.

კორპორაციათა მოგების გადასახადის განაკვეთი 18%-ს, ხოლო ამხანაგობებისათვის 26%-ს შეადგენს. ისლანდიაში რეგისტრირებული საერთაშორისო სავაჭრო კომპანიები გადასახადს იხდიან 5%-იანი განაკვეთით, თუ ისინი ვაჭრობენ ისლანდიის ფარგლებს გარეთ. კორპორაციების წმინდა აქტივები იბეგრება 0.6 პროცენტით.

დამატებული ღირებულების გადასახადის ძირითადი

განაკვეთი 24.5 პროცენტს შეადგენს. საქონლის ექსპორტი და სხვა ცალკეული ოპერაციები იბეგრება ნულოვანი განაკვეთით. დღის 14%-იანი განაკვეთით იბეგრება ისლანდიურ ენაზე გამოცემული გაზეთები, ჟურნალები და წიგნები, რადიოსა და ტელევიზიის მომსახურება, გეოთერმული თბილი წყალი, გათბობისათვის გამოყენებული ტექნოლოგია და საწვავი, სასტუმროს მომსახურება. საკეები პროდუქტების უმეტესობა ასევე იბეგრება 14%-იანი განაკვეთით. დღისაგან თავისუფლდება ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება, სოციალური მომსახურების სახეები, ბიბლიოთეკებისა და ხელოვნების დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურება, სპორტული სანახაობები, მგზავროა გადაყვანასთან დაკავშირებული მომსახურება, საფოსტო მომსახურება, ქონების იჯარა და პარკირების მომსახურება, სადაზღვევო და საბანკო მომსახურება.

ისლანდიის საგადასახადო ორგანოები შედგება შემოსავლების დირექტორატისაგან, სახელმწიფო შემოსავლების საბჭოსაგან და საგადასახადო გამოძიების დირექტორატისაგან. ქვეყნის მასშტაბით აგრეთვე ფუნქციონირებს ცხრა რეგიონალური საგადასახადო სამსახური.

შემოსავლების დირექტორატი ახორციელებს საგადასახადო სამსახურების საქმიანობის კოორდინაციას და წარმოადგენს ქვეყნის საგადასახადო შემოსავლების მაკონტროლებელ ორგანოს. შემოსავლების დირექტორატი ახორციელებს მომსახურებას გადასახადის გადამხდელებისათვის გადასახადებთან დაკავშირებულ საკითხებზე და უზრუნველყოფს საგადასახადო სამსახურებს შორის მაკავშირებელი კომპიუტერული სისტემის მუშაობას.

სახელმწიფო შემოსავლების საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს იმ უთანხმოებების შესახებ, რომელიც წარმოიშობა გადასახადის გადამხდელებსა და რეგიონალურ საგადასახადო სამსახურებს ან შემოსავლების დირექტორატს შორის. სახელმწიფო შემოსავლების საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს გადასახადის გადამხდელთა დაჯარიმების შესახებ, დახურული ადმინისტრაციული პროცედურებით, იმ შემთხვევებში, როდესაც გადასახადების დამალვის ან შემცირების ფაქტები გამოვლენილია საგადასახადო გამოძიების დირექტორატის მიერ.

რეგიონალური საგადასახადო სამსახურები ახორციელებენ გადამხდელთა მომსახურებას და იღებენ გადაწვევტილებებს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

საგადასახადო გამოძიების ღირეკტორატი პასუხისმგებელია საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევების გამოძიებაზე და იღებს გადაწვევტილებებს გამოვლენილ კანონდარღვევებზე პასუხისმგებლობის პროცედურების შესახებ.

საგადასახადო გამოძიების ღირეკტორატი დაარსდა 1993 წელს და წარმოადგენს სპეციალიზირებულ დამოუკიდებელ ორგანოს საგადასახადო სისტემის ფარგლებში. ღირეკტორატის უფროსი ინიშნება ფინანსთა მინისტრის მიერ და პასუხისმგებელია მის წინაშე. საგადასახადო გამოძიების ღირეკტორატი მოქმედებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ღირეკტორატში მუშაობს 22 მუშაკი, რომელთა უმრავლესობას გააჩნია ეკონომისტის ან იურისტის კვალიფიკაცია. საგადასახადო გამოძიების ღირეკტორატის წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 100 მლნ. ისლანდიურ კრონურს შეადგენს, რაც დაახლოებით 12 მლნ. აშშ დოლარია.

საგადასახადო გამოძიების ღირეკტორატი ახორციელებს საგადასახადო კანონდარღვევების გამოძიებას, გადასახადის გადამხდელების დაჯარიმების შესახებ საკითხების განხილვისას წარმოადგენს სახელმწიფო ინტერესებს შემოსავლების საბჭოში, ამზადებს მასალებს სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად და აგზავნის მასალებს ისლანდიის პოლიციის ეროვნულ სამსახურში და პროკურატურაში შემდგომი გამოძიებისათვის.

საგადასახადო გამოძიების ღირეკტორატი იძიებს საგადასახადო კანონმდებლობის სერიოზული დარღვევის საქმეებს. ღირეკტორატი იღებს საქმეებს რეგიონალური საგადასახადო სამსახურებიდან მათ მიერ საგადასახადო კონტროლის განხორციელებისას საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენის ყველა შემთხვევაში. ღირეკტორატი ასევე იღებს საქმეებს სხვა სამსახურებიდან, მ.შ. პოლიციის ორგანოებიდან.

საგადასახადო გამოძიების ღირეკტორატი ყოველწლიურად იძიებს დაახლოებით 100 საქმეს.

საგადასახადო გამოძიების ღირეკტორატის შექმნის მომენტიდან გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი საგადასახადო კრიმინალთან

ბრძოლის საკმეში, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფო შემოსავლები.

სამსახურის ძალისხმევის შედეგად უკანასკნელი წლების განმავლობაში სახელმწიფო შემოსავლები დაახლოებით 2 მლრდ. კრონურით გაიზარდა, რაც დაახლოებით 23 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. ამავდროულად გაიზარდა ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების რაოდენობა გადასახადის გადამხდელთა დაჯარიმების შესახებ.

§14. თურქეთის საბადასახადო სისტემა

მდებარეობა – ახლო აღმოსავლეთი.

ტერიტორია – 780,6 ათასი კმ².

მოსახლეობა – 65,7 მილიონი.

დედაქალაქი – ანკარა.

სახელმწიფო ენა – თურქული.

ფულის ერთეული – თურქული ლირა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – უნიტარული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპრეზიდენტო მმართველობის რესპუბლიკა.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 201 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 3160 აშშ დოლარი.

თურქეთის ძირითადი გადასახადებია კორპორაციების საშემოსავლო გადასახადი, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ბანკებისა და სადაზღვევო ოპერაციების გადასახადი, საგერბო მოსაკრებელი, მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადი და ქონების გადასახადი.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები. დაბეგერის ობიექტს წარმოადგენს კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც

შედგება დაქირავებული მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავლებისაგან და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან. საგადასახადო განაკვეთები მერყეობს 15%-დან 45%-მდე ფარგლებში.

კორპორაციების საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირები, მ.შ. სახელმწიფო საწარმოები და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, თუ ისინი ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას.

რეზიდენტად ითვლებიან იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობის ადგილი ან მმართველობის ადგილი თურქეთშია. მათ ეკისრებათ სრული საგადასახადო ვალდებულება. არარეზიდენტებს ეკისრებათ შეზღუდული საგადასახადო ვალდებულება, ე.ი. ისინი იბეგრებიან გადასახადით მხოლოდ თურქეთში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით.

კორპორაციების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 33%-ია. თუ რეზიდენტ გადასახადის გადამხდელს თურქეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მიღებულ შემოსავლებზე გადახდილი აქვს მოგების (საშემოსავლო) გადასახადი, გადახდილი გადასახადის თანხა ჩაეთვლება თურქეთში გადასახადის გადახდისას.

იმ არარეზიდენტი პირების შემოსავლები, რომელთაც არ გააჩნიათ მუდმივი დაწესებულება თურქეთის ტერიტორიაზე, იბეგრება შემოსავლის გაცემის წყაროს ადგილზე შემოსავლის სახეობიდან გამოშდინარე 10%-დან 25%-მდე გადასახადის განაკვეთებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი ქვეყნის ძირითად არაპირდაპირ გადასახადს წარმოადგენს.

დღგ-ის სტანდარტული განაკვეთია 18%. გამოიყენება სხვა დაბალი (1%) და მაღალი განაკვეთებიც (40%).

დღგ-ის დაბეგურის ობიექტია საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდება ან საქონლის იმპორტი.

საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) შესყიდვისას ან საქონლის იმპორტისას გადახდილი დღგ აკლდება საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდებისას გამოანგარიშებულ დღგ-ის თანხას. თუ მიწოდების შედეგად გამოანგარიშებული დღგ აღემატება საქონლის შეძენისას გადახდილ დღგ-ს, ნამეტნ თანხა გადაიხდება საგადასახადო სამსახურში წარდგენილი დეკლარაციის

საფუძველზე საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე. ამასთან, თუ საქონლის შექენისას გადახდილი დღე აღემატება საქონლის მიწოდებისას გამოანგარიშებულ დღე-ს, ნამეტი თანხა გადასახადის გადამხდელს უკან არ უბრუნდება და იგი ჩათვლება მომავალი პერიოდების დღე-ის ანგარიშში, გარდა საქონლის ექსპორტის შემთხვევებისა.

თუ არარეზიდენტი პირი, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი დაწესებულება თურქეთის ტერიტორიაზე, ასრულებს სამუშაოს ან უწყევს მომსახურებას რეზიდენტ პირს, ასეთ შემთხვევაში დღე-ის გამოანგარიშება და ბიუჯეტში გადარიცხვის მოვალეობა ეკისრება რეზიდენტ პირს არარეზიდენტი პირის სახელით, ანუ რეზიდენტი პირი გვევლინება საგადასახადო აგენტის როლში. აღნიშნული დღე განიხილება, როგორც სამუშაოების ან მომსახურების შექენისას გადახდილი დღე და გადასახადის გადამხდელი მოახდენს მის ჩათვლას იმავე საანგარიშო პერიოდში. აღნიშნული დღე არ აწევა საგადასახადო ტვირთად არც რეზიდენტ და არც არარეზიდენტ პირს.

საბანკო და სადაზღვევო ოპერაციების გადასახადის გადამხდელები არიან ბანკები და სადაზღვევო ოპერაციების განმახორციელებელი ორგანიზაციები. დაბეგერის ობიექტია მიღებული შემოსავლები (მაგალითად სესხის პროცენტი). აღნიშნული ოპერაციები თავისუფლდება დღე-ისაგან.

მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადის განაკვეთები მერყობს მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებიდან გამომდინარე 1%-დან 30%-მდე ფარგლებში.

ქონების გადასახადის გადახდა წარმოებს ყოველწლიურად მიწის ან შენობა-ნაგებობების შეფასებითი ღირებულებიდან გამომდინარე 0.3%-დან 0.6%-მდე ფარგლებში. უძრავი ქონების მიწოდების შემთხვევაში გადასახადი გაიანგარიშება ქონების სარეალიზაციო ფასიდან გამომდინარე 8%-იანი გადასახადის განაკვეთით, რომელსაც თანაბარნაწილად იხდიან როგორც მკიდველი, ასევე გამყიდველი.

თურქეთში გადასახადების ადმინისტრირებას ახორციელებს თურქეთის ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების გენერალური დირექტორატი, რომელიც პასუხისმგებელია საგადასახადო

კანონმდებლობის აღსრულებაზე. შემოსავლების გენერალური დირექტორატი შეიმუშავებს წინადადებებს საგადასახადო პოლიტიკის, საგადასახადო კანონმდებლობის და გადასახადების აღმინისტრირების ექვექტურობისა და სრულყოფისათვის, აგრეთვე შეიმუშავებს ინსტრუქციებს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. იგი პასუხისმგებელია საგადასახადო სტატისტიკის წარმოებაზე, საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობებზე, საგადასახადო კონტროლზე და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე.

გენერალურ დირექტორს ჰყავს 6 მოადგილე. გენერალური დირექტორატი შედგება 22 დეპარტამენტისა და 79 განყოფილებისაგან.

შემოსავლების გენერალური დირექტორატის შემადგენლობაში ასევე შედის შემოსავლების კონტროლიორთა ჯგუფი, რომელის ძირითად ფუნქციას გადასახადის გადამხდელთა კონტროლი და გამოძიება წარმოადგენს. აღნიშნული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს როგორც მსხვილ გადამხდელთა კონტროლს, ასევე საგადასახადო სამსახურის ინსპექტირებას. აღნიშნულ სტრუქტურაში მუშაობს დაახლოებით 330 მუშაკი. ისინი ასევე ახორციელებენ ფინანსთა მინისტრის მიერ მიცემული სხვადასხვა დავალებების შესრულებას.

თურქეთის მასშტაბით ფუნქციონირებს 994 რაიონული საგადასახადო ინსპექცია, რომლებიც შედიან ფინანსური დირექტორების კონტროლის ქვეშ.

მთელ რიგ მსხვილ ქალაქებში ფუნქციონირებენ სპეციალიზირებული საგადასახადო სამსახურები, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და საგარეო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრაზე.

საგადასახადო სამსახურების უპირველესი მოვალეობაა გადასახადების სრული და თავისდროული აკრეფა, აგრეთვე დეკლარაციების დამუშავება, საკასო აპარატების გამოყენებაზე კონტროლი და სხვა.

საგადასახადო სამსახურებში მივლინებულნი არიან საგადასახადო აუდიტორებიც, რომლებიც უფლებამოსილნი არიან

მოახდინონ გადსახადის გადამხდელთა ინსპექტირება შესაბამისი პროვინციის ფარგლებში და განახორციელონ ადმინისტრაციული და პირადი გამოძიების პროცედურები. თურქეთში დაახლოებით 1940 საგადსახადო აუდიტორია.

თავი III

დსთ-ის ქვეყნების საბაღასახადო სისტემები

§1. რუსეთის ფედერაციის საბაღასახადო სისტემა

მდებარეობა – ვერაზიის კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი.

ტერიტორია – 17075,4 ათასი კმ².

მოსახლეობა – 147 მილიონი.

დედაქალაქი – მოსკოვი.

სახელმწიფო ენა – რუსული.

ფულის ერთეული – რუბლი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – ფედერაციული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 332 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 2 260 აშშ დოლარი.

რუსეთის ფედერაციაში მოქმედი გადასახადებისა და მოსაკრებლების სახეები დადგენილია რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კოდექსით. რუსეთის ფედერაციაში დაწესებულია გადასახადებისა და მოსაკრებლების შემდეგი სახეები:

- ფედერალური გადასახადები და მოსაკრებლები;
- რეგიონალური გადასახადები და მოსაკრებლები;
- ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები.

ფედერალურ გადასახადებს მიეკუთვნება გადასახადები, რომლებიც დადგენილია რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კოდექსით და ექვემდებარება სავალდებულო გადახდას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ძირითად ფედერალურ გადასახადებსა და მოსაკრებლებს მიეკუთვნება: დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადი, გადასახადი კაპიტალიდან შემოსავლებზე, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, სახელმწიფო სოციალური შენატანები, სახელმწიფო

ბაჟი, საბაჟო მოსაკრებლები, გადასახადი წიაღისეულის გამოყენებისათვის, ეკოლოგიური გადასახადი.

რეგიონალურ გადასახადებს მიეკუთვნება გადასახადები, რომლებიც დაწესებულია რუსეთის ფედერაციის საგარეო საზღვარების დაცვისათვის და რუსეთის ფედერაციის სუბიექტების კანონებით, შესულია მოქმედებაში რუსეთის ფედერაციის სუბიექტების კანონებით საგარეო საზღვარების დაცვის შესაბამისად და ექვემდებარება გადახდას რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სუბიექტების ტერიტორიაზე რეგიონალური გადასახადის დაწესებისას რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოების მიერ განისაზღვრება დაბეგვრის შემდეგი ელემენტები: საგარეო საზღვარების დაცვის საგარეო საზღვარების დაცვის ფარგლებში, გადასახადის გადახდის წესი და ვადები, აგრეთვე აღნიშნული რეგიონალური გადასახადების ანგარიშგების ფორმები. დაბეგვრის სხვა ელემენტები დადგენილია საგარეო საზღვარების დაცვის რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოების მიერ რეგიონალური გადასახადის დაწესებისას შეიძლება ასევე განისაზღვროს საგარეო საზღვარების დაცვის ფარგლებში მიერ მათი გამოყენების საფუძვლები. რეგიონალურ გადასახადებს მიეკუთვნება: საწარმოთა ქონების გადასახადი, უძრავი ქონების გადასახადი, საგზაო გადასახადი, სატრანსპორტო გადასახადი, გაყიდვიდან გადასახადი, სათამაშო ბიზნესის გადასახადი.

უძრავი ქონების გადასახადის შემოღების შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სუბიექტის ტერიტორიაზე წყვეტს მოქმედებას საწარმოთა ქონების გადასახადი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი და მიწის გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადებს მიეკუთვნება გადასახადები, რომლებიც დაწესებულია რუსეთის ფედერაციის საგარეო საზღვარების დაცვისათვის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტებით, შეყვანილია მოქმედებაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტებით საგარეო საზღვარების დაცვის შესაბამისად და მათი გადახდა საუკუნოვანად შესაბამისი მუნიციპალური გაერთიანების ტერიტორიაზე.

ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები ქ. მოსკოვში და ქ. სანქტ-პეტერბურგში წესდება და შედის ძალაში

აღნიშნული სუბიექტების კანონების საფუძველზე.

აღვილობრივ გადასახადებს მიეკუთვნება: მიწის გადასახადი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი, რეკლამის გადასახადი, მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადი.

აღვილობრივი გადასახადების დაწესება ხორციელდება რეგიონალური გადასახადების ანალოგიურად. დაუშვებელია საგადასახადო კოდექსით გაუთვალისწინებული რეგიონალური ან აღვილობრივი გადასახადების დაწესება.

დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად არაპირდაპირ გადასახადს რუსეთის ფედერაციაში. მისი გადამხდელები არიან საწარმოები და ინდივიდუალური მეწარმეები, რომელთა დასაბეგრი ბრუნვა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში აღემატება 1 მლნ. რუბლს (გარდა იმ გადამხდელებისა, რომლებიც ახორციელებენ აქციზური საქონლის რეალიზაციას). გადასახადის გადამხდელები არიან აგრეთვე პირები, რომლებიც ახორციელებენ საქონლის იმპორტს რუსეთის ფედერაციაში.

დღგ-ის დაბეგვრის ობიექტს საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდება და საქონლის იმპორტი წარმოადგენს.

დღგ-ისგან თავისუფლდება სამედიცინო საქონელი და მომსახურება, ავადმყოფთა მოვლასთან დაკავშირებული მომსახურება, მგ ზაერთა გადაყვანის მომსახურება (ტაქსის გარდა), სარიტუალო მომსახურება, საფოსტო მარკები, საწარმოს საწესდებო კაპიტალში წილის შეტანა, რელიგიური დანიშნულების საგნების მიწოდება, საბანკო ოპერაციები (გარდა ინკასაციისა), დაზღვევისა და გადაზღვევის ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურება, სამეცნიერო და სასწავლო სახელმძღვანელოების მიწოდება და ა.შ.

დღგ-ის საგადასახადო პერიოდი ერთ თვეს შეადგენს. გადამხდელებისათვის, რომელთა ამონაგები კვარტალის განმავლობაში ყოველთვიურად არ აღემატება 1 მლნ. რუბლს, საგადასახადო პერიოდი კვარტალს შეადგენს.

დღგ-ის განაკვეთები: 0%, 10%, 20%.

ნულოვანი განაკვეთი გამოიყენება ძირითადად საქონლის ექსპორტისა და საერთაშორისო გადაზიდვების შემთხვევებში.

დღგ-ის 10%-იანი განაკვეთი გამოიყენება ხორცის, რძის, რძის ნაწარმის პროდუქტების, კვერცხის, ზეთის, შაქრის, მარილის, პურისა

და პურპროდუქტების ნაწარმის, ფქვილის, მაკარონის ნაწარმის, საბავშვო და დიაბეტური კვების პროდუქტებისა და ბოსტნეულის რეალიზაციისას. აღნიშნული განაკვეთით იბეგრება აგრეთვე ცალკეული კატეგორიის ბავშვთა საქონელი.

საქონლის რეალიზაციის შემთხვევაში იწერება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა, საქონლის გადატვირთვიდან 5 დღის განმავლობაში. საანგარიშგებო დოკუმენტებში დღგ-ის თანხა გამოიყოფა ცალკე სტრიქონად.

დღგ-ის გადახდა ძირითადად წარმოებს ყოველთვიურად, საანგარიშო მომდევნო თვის 20 რიცხვამდე.

რუსეთის ფედერაციაში განასხვავებენ აქციზის ორ სახეს: აქციზით დასაბეგრი საქონლიდან გადასახდელი აქციზი და აქციზით დასაბეგრი მინერალური ნედლეულიდან გადასახდელი აქციზი. მათი დაბეგრის შესაბამისი ნორმები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

აქციზის გადამხდელებს მიეკუთვნებიან საწარმოები და ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც ახორციელებენ მათ მიერ წარმოებული აქციზური საქონლის რეალიზაციას. გადასახადის გადამხდელებს მიეკუთვნებიან პირებიც, რომლებიც ახორციელებენ აქციზით დასაბეგრი საქონლის იმპორტს რუსეთის ფედერაციაში. აქციზით დასაბეგრი საქონელს მიეკუთვნება ეთილის სპირტი, სპირტის შემცველი პროდუქცია, ალკოჰოლური ნაწარმი (სასმელი სპირტი, არაყი, ლიქიორი, კონიაკი, ღვინო), ლუდი, თამბაქოს ნაწარმი, საიუველირო ნაწარმი, მოტოციკლები და მსუბუქი ავტომობილები, საავტომობილო ბენზინი, დიზელის საწვავი, ძრავის ზეთები.

აქციზის გადამხდელებს მიეკუთვნებიან აგრეთვე საწარმოები და ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც ახორციელებენ მოპოვებული ნავთობის და გაზის კონდენსატის რეალიზაციას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, აგრეთვე ბუნებრივი გაზის რეალიზაციას რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ.

საწარმოთა მოგების გადასახადის გადამხდელებს წარმოადგენენ რუსეთის საწარმოები და უცხოური ხაწარმოები, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას რუსეთის ტერიტორიაზე მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ანდა იღებენ შემოსავლებს რუსეთის ტერიტორიაზე არსებული წყაროებიდან.

საწარმოთა მოგების გადასახადით დაბეგერის ობიექტია გადასახადის გადამხდელის მიერ მიღებული მოგება, რომელიც გამოიანგარიშება როგორც სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითების თანხებს შორის.

საწარმოთა მოგების გადასახადის განაკვეთი 24%-ს შეადგენს. ამასთან, 7,5%-იანი განაკვეთით გამოიანგარიშებული გადასახადის თანხა ირიცხება ფედერალურ ბიუჯეტში, 14,5%-იანი განაკვეთით გამოიანგარიშებული გადასახადის თანხა ირიცხება რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ბიუჯეტებში, ხოლო 2%-იანი განაკვეთით გამოიანგარიშებული გადასახადის თანხა ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტებში.

რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოებს უფლება აქვთ ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებს შეუმცირონ საგადასახადო განაკვეთი რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ბიუჯეტებში ჩასარიცხი თანხის ნაწილში, მაგრამ ის არ შეიძლება იყოს 10,5%-ზე ნაკლები.

უცხოური საწარმოები, რომლებიც არ საქმიანობენ რუსეთის ფედერაციაში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით იბეგრებიან 20%-იანი განაკვეთით, გარდა საერთაშორისო გადახიდვების განხორციელების მიზნით გემების, თეითმფრინავების ან სხვა მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების ან კონტეინერების გამოყენებიდან, შენახვიდან ან იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავლებისა, რომლებიც იბეგრება 10%-იანი განაკვეთით. აღნიშნული შემოსავლები იბეგრება შემოსავლის გაცემის წყაროსთან.

საწარმოს მიერ მიღებული დივიდენდები იბეგრება 6%-იანი განაკვეთით. ამასთან, უცხოური საწარმოების მიერ რუსეთის საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები, აგრეთვე რუსეთის საწარმოს მიერ უცხოური საწარმოდან მიღებული დივიდენდები იბეგრება 15%-იანი განაკვეთით.

სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები იბეგრება 15%-იანი განაკვეთით, ხოლო 1997 წლის 20 იანვრამდე გამოშვებული სახელმწიფო და მუნიციპალური ობლიგაციებიდან პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები გადასახადით არ იბეგრება.

გადასახადით არ იბეგრება აგრეთვე რუსეთის ფედერაციის ეროვნული ბანკის მიერ მიღებული მოგება, რომელიც დაკავშირებულია ფედერალური კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებასთან. ცენტრალური ბანკის მიერ მიღებული სხვა მოგება იბეგრება გადასახადის 24%-იანი განაკვეთით. საწარმოთა მოგების გადასახადის საგადასახადო პერიოდია კალენდარული წელი.

საგადასახადო პერიოდის დამთავრების შემდეგ გადასახადის თანხა განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის მიერ დამოუკიდებლად, რომლის გადახდაც წარმოებს წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადში გამოიყოფა ორი კატეგორიის გადასახადის გადამხდელები: რეზიდენტები და არარეზიდენტები. რეზიდენტებს მიეკუთვნებიან ფიზიკური პირები, რომლებიც ფაქტობრივად იმყოფებიან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე 183 დღეზე მეტ ხანს კალენდარული წლის განმავლობაში. ფიზიკური პირები, რომლებიც ფაქტობრივად იმყოფებიან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე 183 დღეზე ნაკლებ ხანს კალენდარული წლის განმავლობაში, არ წარმოადგენენ რუსეთის ფედერაციის საგადასახადო რეზიდენტებს. რეზიდენტი გადასახადის გადამხდელები იხდიან ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადს ყველა შემოსავლებიდან (შემოსავლის წყაროს ადგილის მიუხედავად), ხოლო არარეზიდენტები – მხოლოდ იმ შემოსავლებიდან, რომლებიც მიღებულია რუსეთის ფედერაციაში არსებული წყაროებიდან.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით დაბეგრის მიზნით გამოყოფენ გადასახადის გადამხდელთა განსაკუთრებულ კატეგორიას – ინდივიდუალურ მეწარმეებს.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო პერიოდია კალენდარული წელი.

საგადასახადო ბაზის განსაზღვრის მიზნით მხედველობაში მიიღება გადასახადის გადამხდელის ყველა შემოსავალი როგორც ფულადი და ნატურალურ ფორმით, ასევე მატერიალური სარგებლის სახით.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემდეგი სახის შემოსავლები:

სახელმწიფო დახმარება, სახელმწიფო პენსია, საკომპენსაციო განაცემები, ალიმენტი, გრანტი, ერთჯერადი მატერიალური დახმარება, სტიპენდია და სხვა.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთებია: 13%, 35% და 30%.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის 35%-იანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი სახის შემოსავლები: ლატარიების, ტოტალიზატორებისა და სათამაშო ავტომატების ორგანიზატორების მიერ გაცემული მოგებები, თუ მოგებებისა და პრიზების ღირებულება აღემატება 200 რუბლს, აგრეთვე ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებების საფუძველზე გაცემული სადაზღვევო განაცემები და სხვა. ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის 30%-იანი განაკვეთი გამოიყენება დივიდენდებისა და არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლების მიმართ. 13%-იანი საგადასახადო განაკვეთი გამოიყენება ყველა სხვა სახის შემოსავლების მიმართ.

საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო ბაზის განსაზღვრის მიზნით გადასახადის გადამხდელებს უფლება აქვთ განახორციელონ სტანდარტული, სოციალური, ქონებრივი და პროფესიონალური საგადასახადო გამოქვითვები.

დაწესებულია ოთხი სახის საგადასახადო გამოქვითვა 3000, 500, 400 და 300 რუბლის ოდენობით. მაგალითად, 3000 რუბლამდე სტანდარტული საგადასახადო გამოქვითვის უფლება აქვთ პირებს, რომლებიც დაავადებულნი არიან ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის რადიაციული ზემოქმედების შედეგად, სამამულო ომის ინვალიდებს და სხვა. საგადასახადო პერიოდში ყოველთვიურად 500 რუბლამდე სტანდარტული საგადასახადო გამოქვითვების უფლება აქვთ საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის გმირებს, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან სამივე ხარისხის ღირსების ორდენით, ბავშვობიდან ინვალიდებს, აგრეთვე პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს და სხვა.

სოციალური გამოქვითვების უფლება შეიძლება წარმოექმნას გადასახადის გადამხდელს, თუ იგი ფაქტობრივად ახორციელებს ხარჯებს საქველმოქმედო მიზნებზე, განათლებაზე და მკურნალობაზე.

რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს ორი სახის ქონებრივ საგადასახადო გამოქვითვას: ქონების რეალიზაციისას და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლის ან ბინის მშენებლობისას.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო ბაზის გამომწვევებისას პროფესიონალური საგადასახადო გამოქვითვის უფლება გააჩნიათ შემდეგი კატეგორიის გადასახადის გადამხდელებს:

- ინდივიდუალურ მეწარმეებს, აგრეთვე ნოტარიუსებსა და სხვა პირებს, მათ მიერ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად განხორციელებულ და დოკუმენტურად დადასტურებულ ხარჯების ფარგლებში;
- გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ სამუშაოს (მომსახურებას) და იღებენ შემოსავლებს, აღნიშნული სამუშაოების (გაწეული მომსახურების) განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებული ფაქტობრივად განხორციელებული და დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯების ფარგლებში;
- გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც იღებენ საავტორო პონორარებს, ფაქტობრივად განხორციელებული და დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯების ფარგლებში.

ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებიდან საშემოსავლო გადასახადის გამომწვევება, დაკავება და ბიუჯეტში გადარიცხვის მოვალეობა აკისრიათ საგადასახადო აგენტებს. ამასთან, შემოსავლებიდან, რომლებიც იბეგრება 30%-იანი და 35%-იანი გადასახადის განაკვეთებით, გადასახადის თანხა ასევე გამოიანგარიშება საგადასახადო აგენტების მიერ.

ინდივიდუალური მეწარმეები და მათთან გათანაბრებული სხვა პირები გადასახადს იხდიან დამოუკიდებლად. ისინი ვალდებული არიან საანგარიშო წლის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 აპრილისა წარადგინონ საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში და გადაიხადონ გადასახადი არა უგვიანეს 15 ივლისისა.

ერთიანი სოციალური გადასახადი ირიცხება რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდში, რუსეთის ფედერაციის სოციალური

დაზღვევის ფონდში და რუსეთის ფედერაციის სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდში.

გადასახადის გადამხდელებს მიეკუთვნებიან დამქირავებლები და ინდივიდუალური მეწარმეები. დაბეგერის ობიექტს წარმოადგენს ხელფასი. გადასახადით დაბეგერის ობიექტს არ წარმოადგენს გადამხდელის მიერ მის განკარგულებაში დარჩენილი მოგების (შემოსავლის) ხარჯზე გაცემული ანაზღაურება.

გადასახადით არ იბეგრება სახელმწიფო დახმარება, დახმარება უმუშევრობის, ორსულობისა და მშობიარობის გამო, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გაცემული საკომპენსაციო განაცემები და ა.შ.

გადასახადის განაკვეთები დამქირავებლებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის განსხვავებულია და ისინი დამოკიდებულია განაცემების ან მიღებული შემოსავლების ოდენობაზე. მაგალითად, თუ წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით თითოეულ მუშაკზე გადაანგარიშებით საგადასახადო ბაზა არ აღემატება 100000 რუბლს დამქირავებლები საქენსიო ფონდში იხდიან დასაბეგრი თანხის 28%-ს, სოციალური დაზღვევის ფონდში 4%-ს და სამედიცინო დაზღვევის ფედერალურ და ტერიტორიულ ფონდებში შესაბამისად – 0,2 და 3,4 პროცენტებს. სულ აღნიშნული კატეგორიის გადასახადის გადამხდელები ერთიანი სოციალური გადასახადის სახით იხდიან 35,6 პროცენტს. გადასახადის განაკვეთები იზრდება საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად. თუ დამქირავებელი დაკავებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით, გადასახადის განაკვეთები ზემოაღნიშნულ შემთხვევაში არ აღემატება 26,1%-ს.

ერთიანი სოციალური გადასახადის განაკვეთი ინდივიდუალური მეწარმეებისათვის, რომელთა დასაბეგრი ბაზა წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით არ აღემატება 100000 რუბლს 22,8%-ს შეადგენს. საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად იზრდება გადასახადის განაკვეთებიც. ერთიანი სოციალური გადასახადის განაკვეთი ადუოკატებისათვის წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით 300000 რუბლამდე მიღებულ შემოსავალზე 17,6%-ს შეადგენს. საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად იზრდება გადასახადის განაკვეთებიც.

რეგიონალური გადასახადებიდან მნიშვნელოვანია საწარმოთა ქონების გადასახადი და გაყიდვიდან გადასახადი.

საწარმოთა ქონების გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული პირები, რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკისა და მისი დაწესებულების გარდა.

დაბეგერის ობიექტია – გადასახადის გადამხდელის ბალანსზე რიცხვული ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და მარაგები.

გადასახადით არ იბეგრება საბიუჯეტო ორგანიზაციების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სახელმწიფო ფონდების ქონება. გადასახადით არ იბეგრებიან აგრეთვე ადვოკატთა კოლეგიებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების, სპეციალიზირებული საპროთეზო-ორთოპედიული საწარმოების, კულტურისა და განათლების საწარმოების, რელიგიური გაერთიანებებისა და ორგანიზაციების, ეროვნულ-კულტურული საზოგადოებების, სახალხო სამხატვრო რეწვის საწარმოების და ა.შ. ქონება.

გადასახადით დაბეგერის მიზნით ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები მხედველობაში მიიღება ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე.

გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება საწარმოთა ქონების საშუალო წლიური ღირებულება.

საწარმოთა ქონების გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი არ შეიძლება აღემატებოდეს გამოანგარიშებული საგადასახადო ბაზის 2 პროცენტს. საწარმოთა საქმიანობის სახეობიდან გამომდინარე საწარმოთა ქონების გადასახადის კონკრეტული განაკვეთები დგინდება რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოების მიერ. დაუშვებელია ცალკეული საწარმოებისათვის გადასახადის ინდივიდუალური განაკვეთის დაწესება.

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოების გადაწყვეტილებები საწარმოთა ქონების გადასახადის კონკრეტული განაკვეთის შესახებ, გამოიყენება გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი (2%).

გაყიდედიან გადასახადი – რეგიონალური არაპირდაპირი გადასახადი გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული პირები, მათი ფილიალები, ინდივიდუალური მეწარმეები და სხვა პირები, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციას.

გადასახადით დაბეგერის ობიექტს წარმოადგენს საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ღირებულება, თუ მათი რეალიზაცია წარმოებს საცალო ვაჭრობის საწარმოების მიერ ან საბითუმო ვაჭრობის საწარმოების მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით.

გადასახადისაგან თავისუფლდება პურის, რძის და რძის პროდუქტების, ზეთის, მარგარინის, შაქრის, მარილის, კარტოფილის, საბავშვო კვებისა და დიაბეტური კვების პროდუქტების, ბავშვთა ტანსაცმლის და ფეხსაცმლის, წამლების, საპროთეზო-ორთოპედული ნაწარმის მიწოდება, კომუნალური მომსახურება, კულტურისა და ხელოვნების სფეროში გაწეული მომსახურება, შენობების, ნაგებობების, მიწის ნაკვეთების, ფასიანი ქაღალდების მიწოდება, ბაგა-ბაღებში ბავშვთა შენახვასთან დაკავშირებული და ავადმყოფებისა და მოხუცებულების მოვლასთან დაკავშირებული მომსახურება, საერთო სარგებლობის სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანასთან დაკავშირებული მომსახურება და სხვა.

საგადასახადო ბაზის განსაზღვრისას საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ღირებულება მოიცავს დღგ-ს და აქცისს. გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი 5 პროცენტს შეადგენს.

გადასახადის კონკრეტულ განაკვეთებს, გადასახადის გადახდის წესს და ვადებს, საგადასახადო შეღავათებს და ანგარიშების ფორმებს ადგენენ რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოები.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი მიეკუთვნება ადგილობრივი გადასახადების რიცხვს.

გადასახადის გადამხდელებს მიეკუთვნებიან გადასახადით დასაბეგრი ქონების მესაკუთრე ფიზიკური პირები.

დაბეგერის ობიექტს მიეკუთვნება საცხოვრებელი სახლები, ბინები, აგარაკები, ავტოფარეხები და სხვა ნაგებობები, აგრეთვე თვითმფრინავები, ვეტმფრენები, თბომავლები, იახტები, კატერები,

მოტომარხილები, მოტორიანი ნაგებობები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები (გარდა ავტომარხილებისა).

გადასახადისაგან თავისუფლებიან საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის გმირები, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, ბავშვობიდან ინვალიდები, მსოფლიო ომის მონაწილეები და ა.შ.

გადასახადის განაკვეთები შენობებზე და ნაგებობებზე დგინდება ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით გადასახადით დასაბუღარი ობიექტის ერთობლივი საინვენტარიზაციო ღირებულებიდან გამომდინარე. მაგალითად, გადასახადის განაკვეთი 300 ათ.რუბლის ღირებულების ქონებაზე არ აღემატება 0,1%-ს, 300 ათასიდან 500 ათ.რუბლამდე ღირებულების ქონებაზე 0,1%-დან 0,3%-ს, ხოლო 500 ათ.რუბლის ღირებულებაზე მეტ ქონებაზე – 0,3%-დან 2%-მდე.

გადასახადის გამოანგარიშება წარმოებს საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადის გამოანგარიშება წარმოებს ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით საინვენტარიზაციო ღირებულების შესახებ მონაცემების საფუძველზე.

გადასახადის განაკვეთები სატრანსპორტო საშუალებებზე დგინდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, რომლებიც არ შეიძლება აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს.

მიწის გადასახადი ასევე მიეკუთვნება ადგილობრივ გადასახადთა რიცხვს. მიწის გადასახადის ოდენობა არ არის დამოკიდებული მიწის მესაკუთრის სამეურნეო შედეგებზე და წესდება წლიური ფიქსირებული გადასახადის სახით.

გადასახადის გადაიხდელებს მიეკუთვნებიან პირები, რომლებსაც საკუთრებაში ან კანონიერ სარგებლობაში გადაცემული აქვთ მიწის ნაკვეთები.

რუსეთის ფედერაციაში გადასახადების აღმინისტრირებას ახორციელებს რუსეთის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტრო, რომელიც წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურ ორგანოს. რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტრო ახორციელებს კონტროლს გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ

კანონმდებლობის დაცვაზე, აგრეთვე გადასახადების სწორ გამოანგარიშებაზე და მათ სრულ და თავისდროულ გადახდაზე ყველა დონის ბიუჯეტებში და არასაბიუჯეტო ფონდებში.

რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტრო წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილ ფედერალურ ორგანოს, რომელიც ახორციელებს იურიდიული პირების სახელმწიფო რეგისტრაციას.

რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტრო ახორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებსა და უფლებამოსილებას უშუალოდ და თავისი ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით.

რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტრო და მისი ტერიტორიული ორგანოები – რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროს სამმართველოები რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში (89), რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროს რეგიონთაშორისი ინსპექციები (11), რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროს ინსპექციები რაიონებში, ქალაქების რაიონებში და ქალაქებში, რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროს რაიონთაშორისი ინსპექციები, ქმნიან საგადასახადო ორგანოების ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას.

რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით. მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებიც თანამდებობაზე ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ.

რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ფედერალურ ორგანოებთან ერთად გამოსცემს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს.

რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროში იქმნება კოლეგია მინისტრის (კოლეგიის

თავმჯდომარის), მინისტრის მოადგილეების, ასევე სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ხელმძღვანელებისა და სხვა პირების შემადგენლობით. კოლეგიის წევრებს, გარდა მინისტრისა და მისი მოადგილეებისა, ამტკიცებს რუსეთის ფედერაციის მთავრობა.

რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროს ცენტრალური აპარატი შედგება შემდეგი სტრუქტურული დანაყოფებისაგან: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი, შოგების დაბეგერის დეპარტამენტი, არაპირდაპირი გადასახადების დეპარტამენტი, ფიზიკურ პირთა შემოსავლებისა და ქონების დაბეგერის დეპარტამენტი, ერთიანი სოციალური გადასახადის დეპარტამენტი, საგადასახადო კონტროლის ორგანიზაციის დეპარტამენტი, ალკოჰოლური და თამბაქოს ნაწარმის დაბეგერის დეპარტამენტი, აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი, საგადასახადო შემოსავლების ანალიზისა და დაგეგმარების დეპარტამენტი, საგადასახადო ორგანოების კონტროლის დეპარტამენტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, საკადრო პოლიტიკის დეპარტამენტი, ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტი, მატერიალური უზრუნველყოფისა და კაპიტალური მშენებლობის დეპარტამენტი, კონტროლის დეპარტამენტი, სარესურსო შენატანების სამმართველო, მცირე ბიზნესის დაბეგერის სამმართველო, საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობების სამმართველო, საკრედიტო ორგანიზაციების სამმართველო, საგადასახადო ორგანოების მოდერნიზაციის სამმართველო, საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველო, საინფორმაციო პოლიტიკის სამმართველო, საგადასახადო დავალიანებების სამმართველო, ტელეკომუნიკაციების განყოფილება.

რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროს სისტემაში შედიან საუწყებო ორგანიზაციებიც. მათ შორის უნდა გამოვყოთ რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროს მთავარი სამეცნიერო-კვლევითი გამოთვლითი ცენტრი, საგადასახადო სისტემის განვითარებას სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროს

სახელმწიფო საგადასახადო აკადემია, რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო-მეთოდური ცენტრი.

საგადასახადო სისტემის განვითარების სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი წარმოადგენს სამინისტროს მთავარ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. მისი საქმიანობის ძირითადი სახეებია: კვლევითი სამუშაოები, საკონსულტაციო მომსახურება, საექსპერტო სამუშაოები. აღნიშნული ინსტიტუტი ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს სამინისტროს დავალებით, ახორციელებს კვლევებს დაბეგვისა და საგადასახადო დაგეგმარების სფეროში, მონაწილეობს საგადასახადო პოლიტიკის სამეცნიერო საფუძვლების შემუშავებაში, შეიმუშავებს კანონების, ბრძანებულებებისა და დადგენილებების პროექტებს, რომლებიც ეხება სამინისტროს საქმიანობას, იძლევა საექსპერტო დასკვნებს, ახორციელებს გადამხდელთა მომსახურებას და ფინანსური საქმიანობის დაგეგმარებასა და ოპტიმიზაციას.

რუსეთის სახელმწიფო საგადასახადო აკადემია ახორციელებს უმაღლესი განათლების პროგრამით სწავლებას, მეორე უმაღლესი განათლების პროგრამით სპეციალისტების მომზადებას, ძირითადი უმაღლესი განათლების მიხედვით სპეციალისტების გადამზადებას, ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას.

აკადემიას გააჩნია საინფორმაციო-საკონსულტაციო კურსები და საკონსულტაციო პროგრამა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის. აკადემიას გააჩნია საფინანსო-ეკონომიკური, იურიდიული და საკადრო მმართველობის ფაკულტეტები.

რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური ცენტრი ახორციელებს საგადასახადო ინსპექტორებისა და გადასახადის გადამხდელების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, საკონსულტაციო მომსახურების განხორციელებას, სპეციალური ლიტერატურის გამოცემასა და რეალიზაციას, სასწავლო-საინფორმაციო კინო-ვიდეოპროდუქციის შექმნას. ცენტრი შეიქმნა 1991 წლის 1 ოქტომბერს და მას გააჩნია სასწავლო დაწესებულების სტატუსი.

რუსეთის ფედერაციის გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტროში და მის ტერიტორიულ ორგანოებში დასაქმებულია 150 ათას მუშაკზე მეტი.

რუსეთის ფედერაციაში გადასახადების ადმინისტრირების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საგადასახადო პოლიციის ფედერალურ სამსახურს, რომელიც თავის სამართლებრივ ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში.

საგადასახადო პოლიციის საქმიანობას ხელმძღვანელობს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, ხოლო მის სამუშაოს კოორდინაციას უწევს რუსეთის ფედერაციის მთავრობა. საგადასახადო პოლიციას აკისრია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- საგადასახადო დანაშაულისა და სამართალდარღვევის გამოვლენა და აღკვეთა;
- საგადასახადო ორგანოების საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათი თანამდებობის პირების დაცვა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;
- საგადასახადო ორგანოების, ფედერალური საგადასახადო პოლიციის ორგანოების თანამდებობის პირების და მათი ახლობლების სახელმწიფო დაცვა;
- საგადასახადო ორგანოებში და საგადასახადო პოლიციის ფედერალურ ორგანოებში კორუფციის გამოვლენა და აღკვეთა

საგადასახადო პოლიციის ფედერალური ორგანოები წარმოადგენენ საგადასახადო პოლიციის ორგანოების ცენტრალურ სისტემას, რომლებიც ექვემდებარებიან საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის დირექტორს.

საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის ორგანოების სისტემა მოიცავს: რუსეთის ფედერაციის საგადასახადო პოლიციის ფედერალურ სამსახურს (სახელმწიფო კომიტეტის უფლებებით), საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის ორგანოებს რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში. ფედერალური დანიშნულების ქალაქებში, ავტონომიურ ოლქებში (ტერიტორიული ორგანოები), საგადასახადო პოლიციის ორგანოებს მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში, ასევე რაიონთაშორის განყოფილებებს

(საგადასახადო პოლიციის ადგილობრივი ორგანოები).

საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის ღირეკტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთაყისუფლებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, რუსეთის ფედერაციის მთავრობის თაეშჯდომარის წარდგინებით.

საგადასახადო პოლიციის ფედერალური ორგანოების სამსახურში მიიღებიან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, რომლებმაც მიაღწიეს 20 წლის ასაკს.

§2. უკრაინის საბადასახადო სისტემა

მდებარეობა – აღმოსაეღეთი ევროპა.

ტერიტორია – 603,7 ათასი კმ².

მოსახლეობა – 50,8 მილიონი.

დედაქალაქი – კიევი.

სახელმწიფო ენა – უკრაინული.

ფულის ერთეული – გრივნა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – უნიტარული სახელმწიფო.

მართუაგამგეობის ფორმა – შერეული, ნახეერად საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 99 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 980 აშშ დოლარი.

უკრაინის საგადასახადო სისტემის ძირითად საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთნება: მოქალაქეთა საშემოსაეღო გადასახადი, საწარმოთა მოგების გადასახადი, სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადი, ფიქსირებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, სოციალური უზრუნველყოფის გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, მიწის გადასახადი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი.

ადგილობრივი გადასახადების რიცხვს მიეკუთნება რეკლამის გადასახადი, კომუნალური გადასახადი, იმპორტული საქონლის გადასახადი და სხვა.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადს რეზიდენტები იხდიან ყველა შემოსავლიდან, შემოსავლის წყაროს ადგილის მიუხედავად. არარეზიდენტები იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით მხოლოდ იმ შემოსავლებიდან, რომლებიც მიღებულია უკრაინაში არსებული წყაროებიდან. გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი შედგება შემოსავლის ყველა წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლისაგან (ნაღდი ან ნატურალური გამოსახულებით), გარდა დივიდენდებისა და კაპიტალიდან მიღებული მოგებისა. დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლები გამოიქვეითება გადასახადით დასაბეგრი ბაზიდან და იბეგრება დამოუკიდებლად.

საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის სახელმწიფო სისტემებიდან მიღებული შემოსავლები (გარდა დროებითი შრომისუნარობის გამო მიღებული შემოსავლებისა), ალიმენტი, სახელმწიფო და კერძო პენსიების თანხები, სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში და სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მომუშავე პირთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული შემოსავლები, ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, მემკვიდრეების მიერ მიღებული მემკვიდრეობა, სახელმწიფო ობლიგაციებიდან და სახელმწიფო ლატარიებიდან მიღებული შემოსავლები, საბანკო დეპოზიტებიდან მიღებული შემოსავლები.

ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავლიდან საგადასახადო წლის განმავლობაში წარმოებს ყოველთვიური დაუბეგრავე მინიმუმის გამოქვეითვა. ერთ-ერთ მშობელს, უფლება აქვს მოახდინოს ერთობლივი შემოსავლიდან დაუბეგრავე მინიმუმის გამოქვეითვა 16 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე, თუ მშობლების შემოსავლები წელიწადში არ აღემატება მინიმალური ხელფასის ათმაგ ოდენობას. დაუბეგრავე მინიმუმი თვეში 17 გრივს შეადგენს.

გადასახადის განაკვეთები პროგრესულია და იზრდება საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად. გადასახადის მინიმალური განაკვეთია 10%, მაქსიმალური – 40%. გამოიყენება 15, 20 და 30 პროცენტისანი გადასახადის განაკვეთებიც.

მეშახტეთა შემოსავლები იბეგრება 10%-იანი განაკვეთით, ატომური ენერგეტიკის ობიექტებში დასაქმებულ მუშაკთა შემოსავლების დაბეგრისას გადასახადის განაკვეთები მცირდება 50%-ით.

ღვიდენდების სახით რეზიდენტების მიერ მიღებული შემოსავლები იბეგრება შემოსავლის გაცემის წყაროსთან 30%-იანი განაკვეთით, ხოლო არარეზიდენტების მიერ მიღებული შემოსავლები 15%-იანი განაკვეთით.

საწარმოთა მოგების გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი იურიდიული პირები, მათი ფილიალები და სხვა განცალკევებული სტრუქტურული ერთეულები, არარეზიდენტი იურიდიული პირები, რომლებიც იღებენ შემოსავლებს უკრაინაში არსებული წყაროებიდან და არარეზიდენტთა მუდმივი დაწესებულებები, რომლებიც იღებენ უკრაინაში არსებული წყაროებიდან მიღებულ შემოსავლებს.

გადასახადით დასაბეგრი ბაზა მოიცავს საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, აქტივების (მ.შ. არამატერიალური აქტივებისა და ფასიანი ქაღალდების) და ა.შ. რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას. შემოსავლები და ხარჯები გამოიანგარიშება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. გადასახადი გამოიანგარიშება ყოველკვარტალურად საანგარიშო საფინანსო წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით.

გადასახადისაგან თავისუფლებიან არამომგებიანი (არაკომერციული) ორგანიზაციები, მ.შ. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საპენსიო ფონდები, ეკოლოგიური ორგანიზაციები, ჯანდაცვის და ფიზიკური აღზრდის დაწესებულებები, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების დაწესებულებები, კავშირები, ასოციაციები და სხვა იურიდიული პირები, რომელთა შემოსავლის წყაროს მხოლოდ დამფუძნებელთა შენატანები შეადგენს.

გადასახადისაგან თავისუფლება ბავშვთა კვების პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, თუ ის მიმართულია წარმოების მოცულობის ზრდაზე და ასეთ საქონელზე ფასების შემცირებაზე. გადასახადისაგან თავისუფლებიან მსუბუქი ავტომობილების მწარმოებელი საწარმოები, რომელთა ინვესტიცია აღემატება 150

მლნ. აშშ დოლარს, აგრეთვე ინვალიდთა საწარმოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მიღებული მოგება.

ზარალი შეიძლება დაიფაროს მომდევნო 5 წლის განმავლობაში, დასაბეგრი ობიექტის შემცირების გზით.

ამორტიზაციის წესების შესაბამისად, ყველა აქტივი იყოფა სამ ჯგუფად: 'შენობები და ნაგებობები (1-1,25%), ავტომობილები, ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა, ძირითადი ფონდები (3-3,75%).

გათვალისწინებულია მესამე ჯგუფის ძირითადი ფონდების დაჩქარებული ამორტიზაციის გამოყენების შესაძლებლობა.

გადასახადის ძირითადი განაკვეთი 30%-ს შეადგენს. საინოვაციო საქონლის რეალიზაცია იბეგრება გადასახადის 15%-იანი განაკვეთით.

არარეზიდენტთა შემოსავლები იბეგრება შემოსავლის გაცემის წყაროსთან 15%-იანი განაკვეთით.

სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადის გადამხდლები არიან უკრაინის მოქალაქეები, უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, თუ ისინი არ არიან რეგისტრირებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებად და ახორციელებენ საქონლის რეალიზაციას არასისტემატურად ანუ კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს ოთხჯერ.

დაბეგრის ობიექტია სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონლის საერთო ღირებულება.

გადასახადისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია, რომელიც წარმოებულია მოცემული პირის კერძო მეურნეობაში, აგრეთვე მოქალაქეთა კერძო საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეალიზაცია, თუ პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეალიზაცია წარმოებს წელიწადში ერთხელ.

გადასახადის განაკვეთი შეადგენს დეკლარაციაში აღნიშნული საქონლის ღირებულების 10 პროცენტს, მაგრამ არა ნაკლებ ერთი მინიმალური ხელფასის ოდენობისა.

ფიქსირებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შემოღებულია საწარმოთა მოგების გადასახადის, მიწის გადასახადის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესაკუთრეთა გადასახადის,

კომუნალური გადასახადისა და მთელი რიგი მოსაკრებლების ნაცვლად.

ფიქსირებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გადაიხადოს გადასახადი ფულადი ფორმით, ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების გზით.

გადასახადის გამოანგარიშება წარმოებს ყოველკვარტალურად საანგარიშო საფინანსო წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით.

ფიქსირებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელები არიან სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, აგრეთვე ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, გადამუშავებასა და რეალიზაციას. ამასთან, საკუთარი წარმოებისა და მის მიერ გადამუშავებული საქონლის რეალიზაციიდან მიღებული თანხა წინა საანგარიშო (საგადასახადო) წელს უნდა აღემატებოდეს საწარმოს ერთობლივი შემოსავლის საერთო თანხის 50%-ს.

გადასახადით დაბეგერის ობიექტს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს. გადასახადის განაკვეთები დგინდება თითოეულ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე პროცენტებში, აღნიშნული მიწების შეფასებითი ღირებულებიდან გამომდინარე. გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ხარისხიდან გამომდინარე და მერყეობს 0,1%-დან 0,5%-მდე.

სოციალური უზრუნველყოფის გადასახადი შედგება სავალდებულო სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის შენატანისაგან, უმუშევრობის შემთხვევაში სავალდებულო სოციალური დაზღვევის შენატანისაგან, სავალდებულო სოციალური დაზღვევის შენატანისაგან.

სავალდებულო სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის შენატანის დაბეგერის ობიექტს წარმოადგენს: მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ფაქტიური ხარჯები, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავლების თანხები, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების თანხა, რეალიზებული საიუკელირო ნაწარმის, მსუბუქი ავტომობილების, უძრავი ქონების, თამბაქოს ნაწარმის, ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების ღირებულება.

გადასახადისაგან თავისუფლდება შემოსავლების თანხები, რომლებიც არ იბეგრება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით.

დამქირაველები გადასახადს იხდიან 32%-იანი განაკვეთით, ხოლო დაქირავებულები 1-დან 2%-მდე ფარგლებში შემოსავლების ოდენობიდან გამოიმდინარე. ინვალიდთა საწარმოებისათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის გადასახადის განაკვეთი 4%-ს შეადგენს.

იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ საიუველირო ნაწარმის, მსუბუქი აეტომობილების, უძრავი ქონების, თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, აგრეთვე ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურებას გადასახადს იხდიან დიფერენცირებულად 1-დან 6%-მდე ფარგლებში.

უმუშევრობის შემთხვევაში სავალდებულო სოციალური დაზღვევის შენატანის დაბეგერის ობიექტია მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები და ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი თანხა. დამქირაველი იხდის გადასახადს 1,5%-იანი, ხოლო დაქირავებული ფიზიკური პირი—0,5%-იანი განაკვეთით.

სავალდებულო სოციალური დაზღვევის შენატანის დაბეგერის ობიექტი უმუშევრობის შემთხვევაში სავალდებულო სოციალური დაბეგერის შენატანის იდენტურია. ამასთან, დამქირავებული იხდის გადასახადს 4%-იანი განაკვეთით, ხოლო დაქირავებულები — 1%-იანი განაკვეთით.

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული და მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, მ.შ. ბარტერულ ოპერაციებს და რეალიზებული საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) წლიური მოცულობა აღემატება 62 ათას გრივს.

ყველა პირი, რომელიც მიაღწევს აღნიშნულ ზღვარს ვალდებულია დადგეს აღრიცხვაზე საგადასახადო ორგანოში დღგ-ის გადამხდელად. კანონმდებლობა ითვალისწინებს ნებაყოფლობით რეგისტრაციასაც.

დღგ-ის გამოანგარიშებისას გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს საქონლის, სამუშაოების, მომსახურების რეალიზაციიდან

მიღებული დღგ-ის თანხას გამოაკლოს ამ საქონლის, სამუშაოების, მომსახურების შექმნისას მის მიერ გადახდილი გადასახადის თანხა.

საანგარიშო პერიოდს კალენდარული თვე შეადგენს.

დღგ-ისაგან თავისუფლდება საბანკო ოპერაციები, დაზღვევისა და გადაზღვევის მომსახურება, იურიდიული პირის საწესდებო ფონდში ძირითადი ფონდების შეტანა, სამამულო წარმოების ბავშვთა კვების პროდუქტების, სამკურნალო საშუალებების, წიგნების, სასკოლო რვეულების, სახელმძღვანელოების რეალიზაცია, ჯანდაცვისა და განათლების მომსახურება, კულტურის დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურება, მგზავრთა გადაყვანა საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო ტრანსპორტით, სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, ინვალიდთა ორგანიზაციების მიერ წარმოებული საქონელი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდება, საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდება დიპლომატიური კორპუსებისთვის და სხვა.

ნულოვანი განაკვეთით, საქონლის ექსპორტის გარდა, იბეგრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების მიერ რძისა და ხორცის მიწოდება.

გადასახადის სტანდარტული განაკვეთია 20 პროცენტი.

აქციზით იბეგრება თამბაქოს ნაწარმი, ლეინო, ლუდი, შამპანური, ვერმუტი და სხვა მსგავსი სასმელები, ეთილის სპირტი, არაყი, სხვა ანალოგიური ალკოჰოლური სასმელები, ტექნიკური სპირტი, ბენზინი, დიზელის საწვავი, მსუბუქი და საშუალო დისტრილატები, საავიაციო საწვავი, საიუველირო ნაწარმი.

აქციზისაგან თავისუფლდება აქციზური საქონლის ექსპორტი, აქციზით დასაბეგრი საქონლის ტრანზიტი და დროებით შემოტანა (გამოფენებისათვის, კონკურსებისათვის, თათბირებისათვის). 2007 წლის 1 იანვრამდე აქციზისაგან თავისუფლდება სამამულო წარმოების მსუბუქი, სატვირთო და სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები.

მიწის გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც კანონიერ მფლობელობაში და სარგებლობაში გააჩნიათ მიწის ნაკვეთი.

გადასახადი იანგარიშება ჰექტარზე და მისი განაკვეთები მიწის ნაკვეთის ხარისხიდან და დანიშნულებიდან გამოძღინარე დადგენილია

პროცენტებში მიწის ნაკვეთის შეფასებითი ღირებულებიდან გამომდინარე.

ადგილობრივი გადასახადების სახით მიღებული შემოსავლები მთლიანობაში აღემატება 500 მლნ. გრივს.

უკრაინაში გადასახადების ადმინისტრირებას ახორციელებს უკრაინის სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაცია და მისი ტერიტორიული ორგანოები.

უკრაინის სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს რვა მოადგილე, მ.შ. ორი პირველი.

უკრაინის სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაციის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულებია: მთავარი საორგანიზაციო სამმართველო, ეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო შემოსავლების დაგეგმარების მთავარი სამმართველო, მსხვილ გადამხდელებთან მუშაობის სამმართველო, სახელმწიფო საგადასახადო სამსახურების განვითარებისა და მოდერნიზაციის დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო, კადრების სამმართველო, საგადასახადო მილიციის მთავარი სამმართველო, საგადასახადო მილიციის საგამოძიებო სამმართველო, სამართლებრივი უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტი, ოპერატიულ-ანალიტიკური უზრუნველყოფის სამმართველო, საგადასახადო ინფორმაციისა და საიდუმლო სამუშაოს მთავარი სამმართველო, კორუფციასთან ბრძოლისა და სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების უსაფრთხოების სამმართველო, ინსპექტირებისა და უწყებრივი კონტროლის მთავარი სამმართველო, ინფორმაციისა და აღრიცხვის მთავარი სამმართველო, იურიდიულ პირთა დაბეგვრის მთავარი სამმართველო, აქციზის ადმინისტრირებისა და აქციზით დასაბეგრი საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის კონტროლის დეპარტამენტი, აპელაციის მთავარი სამმართველო, მეთოდოლოგიის მთავარი სამმართველო, საგადასახადო და სავალუტო კონტროლის მთავარი სამმართველო, ფიზიკურ პირთა დაბეგვრის მთავარი სამმართველო, საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სამმართველო, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან მუშაობის

უზრუნველყოფის საკითხების სამმართველო, ვადაგადაცილებული დავალიანების აკრეფის მთავარი სამმართველო, სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაციების ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველო, საოქმო განყოფილება და საქმეთა მმართველობა.

ვარდა ზემოაღნიშნულისა, უკრაინის სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაციის შემადგენლობაში შედის მთელი რიგი საქვეუწყებო დაწესებულებები, კერძოდ: კომპიუტერული ტექნოლოგიების მთავარი სერვის-ცენტრი, უკრაინის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის აკადემია, აკადემიის კიევის საფინანსო-ეკონომიკური კოლეჯი, ხელმძღვანელ მუშაკთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი, სახელმწიფო ადმინისტრაციის სასწავლო კომბინატი, სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაციის ქონებრივი კომპლექსის ექსპლუატაციის სამმართველო და ეურნალი „საგადასახადო სამსახურის მაცნე.“

უკრაინის საგადასახადო ადმინისტრაცია აერთიანებს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაციას და სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაციებს 24 ოლქში.

§3. აზერბაიჯანის საბაღასახალო სისტემა

მდებარეობა – სამხრეთ-დასავლეთი აზია.

ტერიტორია – 86,600 კმ².

მოსახლეობა – 7 748 163.

დედაქალაქი – ბაქო.

სახელმწიფო ენა – აზერბაიჯანული.

ფულის ერთეული – მანათი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – უნიტარული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

გშპ (1998 წლის მონაცემებით) – 4 მლრდ. აშშ დოლარი.

გშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 480 აშშ დოლარი.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მოქმედებს სახელმწიფო გადასახადები, ავტონომიური რესპუბლიკის გადასახადები და ადგილობრივი მუნიციპალური გადასახადები.

სახელმწიფო გადასახადებს მიეკუთვნება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, იურიდიულ პირთა მოგების გადასახადი (გარდა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისა), დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იურიდიულ პირთა ქონების გადასახადი, იურიდიულ პირთა მიწის გადასახადი, საგზაო გადასახადი, სარეწაო გადასახადი, გამართვითი გადასახადი.

სახელმწიფო გადასახადების მაქსიმალური განაკვეთები დადგენილია საგადასახადო კოდექსით, რომელთა კონკრეტული ოდენობა ყოველწლიურად დგინდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღებისას.

ნახტევანის ავტონომიური რესპუბლიკის გადასახადებს მიეკუთვნება სახელმწიფო გადასახადების ყველა სახეები, გარდა საგზაო გადასახადისა.

ადგილობრივ (მუნიციპალურ) გადასახადებს მიეკუთვნება ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი, ფიზიკურ პირთა მიწის გადასახადი, ადგილობრივი დანიშნულების სამშენებლო მასალებზე სარეწაო გადასახადი, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების გადასახადი.

ადგილობრივი გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, გადასახადის გადამხდელების და მუნიციპალური საგადასახადო ორგანოების უფლებები და მოვალეობები, საგადასახადო კონტროლის ფორმები და მეთოდები, პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, მუნიციპალიტეტების საგადასახადო სამსახურებისა და მათი თანამდებობის პირების ქმედების გასაჩივრების წესი დგინდება შესაბამისი კანონმდებლობით.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები. გადასახადით დაბეგრის ობიექტია გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ

შემოსავალსა და კანონმდებლობით დადგენილ გამოქვითვების თანხას შორის.

შემოსავლებს მიეკუთვნება დაქირავებული მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი, შემოსავალი, რომელიც არ არის დაკავშირებული დაქირავებულ მუშაობასთან და ყველა სხვა შემოსავალი, გარდა კანონით დაბეგერისაგან განთავისუფლებული შემოსავლებისა.

შემოსავლიდან გამოიქვითება დივიდენდებისა და პროცენტების თანხები, რომლებიც დაბეგრილია შემოსავლის გაცემის წყაროს ადგილის მიხედვით. გადასახადის განაკვეთები პროგრესულია და მერყეობს 12%-დან 35%-მდე ფარგლებში შემოსავლის ოდენობიდან გამომდინარე.

იურიდიულ პირთა მოგების გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი საწარმოები. გადასახადით დაბეგერის ობიექტია მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა შემოსავალსა და შემოსავლიდან გამოსაქვით თანხას შორის.

საწარმოთა მოგება იბეგრება 25%-იანი განაკვეთით.

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან დღგ-ის გადამხდელებად ან ვალდებული არიან გატარდნენ რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელებად.

გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც ახორციელებს დღგ-ით დასაბეგრი საქონლის იმპორტს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. აქციზური საქონლის მწარმოებლები ითვლებიან დღგ-ის გადამხდელებად.

გადასახადით დაბეგერის ობიექტია საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა და გადასახადით დასაბეგრი იმპორტი.

დღგ-ისაგან თავისუფლდება საფინანსო მომსახურება, ეროვნულ ან უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები, საწესდებო ფონდში ქონების შეტანა, სახელმწიფო ბაუი, სარიტუალო მომსახურება და სხვა.

დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციებია საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, საერთაშორისო გადაზიდვები და მგზავრთა გადაყვანები, ეროვნული ბანკისათვის ოქროს მიწოდება.

დღის განაკვეთი 18%-ს შეადგენს. საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოებს წარედგინება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე.

აქციზის გადამხდელები არიან აქციზური საქონლის მწარმოებელი და იმპორტიორი ფიზიკური და იურიდიული პირები. აქციზით დასაბეგრ საქონელს მიეკუთვნება სპირტი, ლუდი და სპირტიანი სასმელების ყველა სახეები, თამბაქოს ნაწარმი და ნეთობპროდუქტები.

აქციზური საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

ქონების გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები.

გადასახადით დაბეგრის ობიექტს წარმოადგენს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რეზიდენტი და არარეზიდენტი პირების კერძო საკუთრებაში არსებული შენობების, ნაგებობების, მათი ნაწილების, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღირებულება და რეზიდენტი ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული საჰაერო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებების ღირებულება. გადასახადით დაბეგრის ობიექტია საწარმოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულება.

ფიზიკური პირები ქონების გადასახადს იხდიან მათ კერძო საკუთრებაში არსებული შენობების საინვენტარიზაციო ღირებულებიდან გამომდინარე 0,1 პროცენტის ოდენობით, თუ შენობის ღირებულება აღემატება ყოველთვიური დაუბეგრავი მინიმუმის სამასმაგ ოდენობას. ამასთან, საწარმოები იხდიან გადასახადს ძირითადი საშუალებების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გადასახადის გადახდა წარმოებს ძრავის მოცულობიდან და ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობიდან გამომდინარე 1 კუბურ სანტიმეტრზე.

ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებულ შენობებზე გადასახადის გამომანგარიშებას ახორციელებენ ტერიტორიის მუნიციპალიტეტები.

საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებზე ქონების გადასახადი გამომანგარიშება 1 იანვრის მდგომარეობით მათი

რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე.

მუნიციპალიტეტები არა უგვიანეს საანგარიშო წლის 1 ივნისისა გადასახადის გადამხდელებს წარუდგენენ შეტყობინებას გადასახადის გადახდის შესახებ. გადასახადის გადახდა წარმოებს თანაბარწილად 15 აგვისტომდე და 15 ნოემბრამდე.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გადასახადის გადახდა წარმოებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციისას, ხელმეორე რეგისტრაციისას ან ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერების დროს.

საწარმოთა ქონების გადასახადის გადახდა წარმოებს მიმდინარე გადასახდელების სახით 25 პროცენტის ოდენობით წინა წლის წლიური გადასახადის თანხიდან გამომდინარე ყოველკვარტალურად. გადასახადის გადაანგარიშება წარმოებს გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე, რომელიც საგადასახადო ორგანოებს წარედგინებათ არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილისა.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწარმოთა ქონების გადასახადის გადახდა წარმოებს მათი რეგისტრაციისას, ხელმეორე რეგისტრაციისას ან ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერების დროს.

მიწის გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც საკუთრებაში ან კანონიერ სარგებლობაში გააჩნიათ მიწის ნაკვეთები. გადასახადი გამოიანგარიშება ყოველთვიურად ფიქსირებული შენატანის სახით მესაკუთრის ან მოსარგებლის სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიუხედავად.

ფიზიკური პირები და მუნიციპალური საწარმოები ვალდებული არიან მიწის საკუთრების ან სარგებლობის უფლების შესახებ დოკუმენტის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში დადგენენ აღრიცხვაზე მუნიციპალიტეტებში მიწის გადასახადის გადამხდელებად, ხოლო ყველა სხვა საწარმოები – საგადასახადო ორგანოებში.

გადასახადით დაბეჯერის ობიექტს მიწის ნაკვეთი წარმოდგენს. საწარმოები გადასახადს ანგარიშობენ დამოუკიდებლად და არა

უგვიანეს ყოველი წლის 15 მაისისა საგადასახადო ორგანოს წარუდგენენ გაანგარიშებას. აღნიშნული წესით გამოანგარიშებული მიწის გადასახადი ექვემდებარება გამოქვეითვას შემოსავლებიდან.

ფიზიკური პირების მიწის გადასახადის ოდენობას გამოიანგარიშებენ შესაბამისი ორგანოები და არა უგვიანეს 1 აგვისტოსი წარუდგენენ მათ საგადასახადო შეტყობინებას.

გადასახადის გადახდა წარმოებს ორ თანაბარ წილად: 15 აგვისტომდე და 15 ნოემბრამდე.

საგზაო გადასახადის გადამხდელები არიან ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც შედიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და იყენებენ ამ ტერიტორიას მგზავრთა და ტვირთების გადაზიდვებისათვის.

გადასახადით დაბეგვრის ობიექტია უცხო ქვეყნის ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც შედის აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

გადასახადი გამოიანგარიშება ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობის, საჯდომი ადგილების რაოდენობის და ტვირთაწევობის საფუძველზე.

სარეწაო გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას.

დაბეგვრის ობიექტია – მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა.

გამარტივებული სისტემის გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულები დღგ-ის გადამხდელებად და გადასახადით დასაბფრი ოპერაციების მოცულობა წინა სამი თვის განმავლობაში არ აღემატება დაუბფრავი მირიმუმის 1250-მდე ოდენობას. გადასახადის გადამხდელები არიან აგრეთვე პირები, რომლებიც ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებენ მგზავრთა და ტვირთების გადაზიდვას.

იურიდიული პირები, რომლებიც იხდიან გამარტივებულ გადასახადს, არ წარმოადგენენ დღგ-ის, მოგების გადასახადისა და

ქონების გადასახადის გადამხდელებს, ხოლო ფიზიკური პირები – საშემოსავლო გადასახადისა და დღგ-ის გადამხდელებს.

დაბეგერის ობიექტია საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდებიდან მიღებული ამონაგების მოცულობა, ხოლო იმ პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ მგზავრთა და ტვირთების გადაზიდვას გადასახადით დაბეგერის ობიექტი განისაზღვრება აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი რეგიონალური ორგანოს მიერ *პირობითი ბრუნვიდან*, რომელიც დგინდება ცალკეული სახეობის ავტოსატრანსპორტო საშუალების მიხედვით მათი ტვირთამწეობისა და საჯდომი ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით.

გადასახადის განაკვეთი ქ.ბაქოში საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდებიდან მიღებული ამონაგების 4%-ს, ხოლო სხვა ქალაქებში და რაიონებში 2%-ს შეადგენს.

პირები, რომლებიც ახორციელებენ მგზავრთა და ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებულ მომსახურებას გადასახადს იხდიან პირობითი ბრუნვის 10%-ის ოდენობით.

გადასახადის საანგარიშო პერიოდია კვარტალი. გადასახადის გადახდა წარმოებს კვარტალის დამთავრებიდან მომდევნო თვის 20 რიცხვამდე.

აზერბაიჯანის სახელმწიფო საგადასახადო სამსახური შეიქმნა 1990 წელს აზერბაიჯანის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში. 1991 წლის ოქტომბერში, საგადასახადო კანონმდებლობის კონტროლის სისტემის სრულყოფის მიზნით, აღნიშნული სამსახური რეორგანიზებული იქნა დამოუკიდებლად ფუნქციონირებად სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციად.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის 2000 წლის 11 თებერვლის ბრძანებულებით მთავარი სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ბაზაზე შეიქმნა ცენტრალური ხელისუფლების ორგანო აზერბაიჯანის რესპუბლიკის გადასახადების სამინისტროს სახით, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებას, გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების სახელმწიფო ბიუჯეტში თავისდროულ ჩარიცხვას და სახელმწიფო საგადასახადო კონტროლს. სამინისტრო ახორციელებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს

დამოუკიდებლად ან მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული ტერიტორიული საგადასახადო ორგანოების მიერ.

სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ამზადებს წინადადებებს საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, იღებს მონაწილეობას საგადასახადო ურთიერთობის მარგუ-ლირებელი საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადებაში, ახორციელებს გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვას, ახორციელებს კონტროლს ტერიტორიული საგადასახადო ორგანოების საქმიანობაზე კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოკვლევას, სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებასა და ოპერტიულ-სამკებრო საქმიანობას, ადგენს საგადასახადო კონტროლის ფორმებსა და მეთოდებს, უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელების საჩივრებისა და მიმართვების თავისდროულ და ობიექტურ განხილვას და თავისი ამოცანების შესაბამისად ახორციელებს კანონმდებლობით გათვა-ლისწინებულ სხვა ფუნქციებს.

სამინისტროს საქმიანობას ხელმძღვანელობს მინისტრი. რომელსაც თანამდებობაზე ნიშნაეს ქვეყნის პრეზიდენტი. მინისტრის მოადგილეები ასევე ინიშნებიან თანამდებობაზე ქვეყნის პრეზიდენტის მიერ.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის გადასახადების სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობასაც მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს ქვეყნის პრეზიდენტი.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის გადასახადების სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულებია: საგადასახადო პოლიტიკის და სტრატეგიული კვლევების მთავარი სამმართველო, შიდა კონტროლის მთავარი სამმართველო, ეკონომიკური ანალიზისა და აღრიცხვის ორგანიზაციის სამმართველო, ოპერატიული კონტროლის სამმართველო, საგადასახადო დავალიანების იძულებითი ამოღების ორგანიზაციის სამმართველო, საკადრო პოლიტიკისა და საკადრო რესურსების მომზადების სამმართველო, საფინანსო-სამეურნეო სამმართველო, იურიდიული უზრუნველყოფის განყოფილება, ბუღალტერია, მნიშვნელოვანი საკითხების განყოფილება და საბღიწრო. სამინისტროს დაქვემდებარებულ ტერიტორიულ ორგანოებს მიეკუთვნება ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის გადასახადების

სამინისტრო, ქბაქოს მთავარი საგადასახადო სამმართველო, საოლქო საგადასახადო სამმართველოები, ქალაქებისა და რაიონების საგადასახადო სამმართველოები და განყოფილებები.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის გადასახადების სამინისტროს სტრუქტურა მოიცავს აგრეთვე სასწავლო ცენტრს, მსხვილ გადამხდელებთან და განსაკუთრებულ საგადასახადო რეჟიმში მოქმედი გადამხდელებთან მუშაობის დეპარტამენტს და საგადასახადო დანაშაულის წინასწარი გამოძიების დეპარტამენტს.

სამინისტროს დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წყაროების ხარჯზე.

თაზო IV ბალტიისპირეთის ქვეყნების საბაღასახადო სისტემები

§1. ლატვიის საბაღასახადო სისტემა

მდებარეობა – აღმოსავლეთი ევროპა.

ტერიტორია – 64,5 ათასი კმ².

მოსახლეობა – 2,42 მილიონი.

დედაქალაქი – რიგა.

სახელმწიფო ენა – ლატვიური.

ფულის ერთეული – ლატვიური ლატი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა –
უნიტარული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპარლამენტო რესპუბლიკა.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 6 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 2 420
აშშ დოლარი.

ლატვიის ძირითადი გადასახადებია კორპორაციათა საშემოსავლო გადასახადი, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, უძრავი ქონების გადასახადი, სოციალური დაზღვევის საეალდებულო შენატანი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, გადასახადი ბუნებრივ რესურსებზე და სათამაშო ბიზნესისა და ლატარიების გადასახადი.

კორპორაციათა საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან ლატვიაში რეგისტრირებული საწარმოები და უცხოური საწარმოები, რომლებიც ლატვიაში საქმიანობენ მუდმივი დაწესებულების მეშვეობით. გადასახადის განაკვეთი 25%-ია.

კომპანიები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი ლატვიაში გადასახადის გადამხდელებად გადასახადს იხდიან მხოლოდ ლატვიაში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით შემოსავლის გაცემის წყაროს ადგილზე შემდეგი ოდენობით:

დივიდენდები – 10%;

საკონსულტაციო მომსახურებისათვის მიღებული

- შემოსაველები - 19%;
- პროცენტები - 10% (გარდა კომერციული ბანკების მიერ გაცემული პროცენტებისა, რომლებიც იბეგრება 5%-იანი განაკვეთით) ;
- ლატვიაში არსებული ქონების გამოყენებიდან მიღებული შემოსავეალი - 5% ;
- ყასიანი ქადაღლების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავეალი - 10% ;
- ინტელექტუალური საქმიანობისათვის მიღებული შემოსაველები - 15%.

ფიზიკურ პირთა საშემოსაველო გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები. გადასახადით დაბეგრის ობიექტია ერთობლივი წლიური შემოსავეალი. დეკლარაციის წარდგენა საგადასახადო ორგანოში წარმოებს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. გადასახადის ძირითადი განაკვეთი 25%-ია.

გადასახადისაგან თავისუფლდება ლატვიური კომპანიებისაგან მიღებული დივიდენდები, გარდა არარეზიდენტების მიერ მიღებული დივიდენდებისა, სახელმწიფო და მუნიციპალური ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავეალი, ასევე პირადი ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავეალი.

უძრავი ქონების გადასახადით იბეგრება უძრავი ქონების წმინდა საბაღანსო ღირებულება. გადასახადის განაკვეთი 1.5%-ს შეადგენს.

სოციალური დაზღვევის საველდებულო შენატანით იბეგრებიან რეზიდენტი დამქირაველები, რეზიდენტი და არარეზიდენტი დაქირავებულები და სამეწარმეო საქმიანობის მიმდევარი ფიზიკური პირები.

სოციალური გადასახადებით დაბეგრის ობიექტია ხელფასი, პონორარი, როიალტი და სხვა სახის კომპენსაციები. გადასახადის გადახდა წარმოებს სოციალური დაზღვევის ფონდში.

სოციალური გადასახადის განაკვეთი 33%-ს შეადგენს, რომელსაც დამქირავებულები და დაქირავებულები იხდიან თანაბარწიღად.

დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა წარმოებს საქონლის, სამეშაოების, მომსახურების მიწოდების ყველა სტადიაზე.

გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა დასაბუერი ბრუნვა ნებისმიერ 12 თვიან პერიოდში აღემატება 10 000 ლატს. ისინი ვალდებული არიან დადგენენ საგადასახადო აღრიცხვაზე დღგ-ის გადამხდელებად. დღგ-ის სტანდარტული განაკვეთი 18 პროცენტია.

აქციით იბეგრება სპირტი, ღვინო, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, ოქრო, ძვირფასი ლითონები და ძვირფასი ქვები, ავტომანქანები, ყავა და უალკოჰოლო სასმელები. ალკოჰოლიან სასმელებზე და თამბაქოს ნაწარმზე აქციის გადახდა წარმოებს აქციზური მარკების შექმნის გზით.

აქციზი დაწესებულია ნავთობპროდუქტებზეც.

სათამაშო ბიზნესისა და ლატარიების გადასახადის გადამხდელები არიან საწარმოები, რომლებსაც მიღებული აქვთ ლიცენზია სათამაშო ბიზნესის განხორციელებაზე. სალიცენზიო მოსაკრებელი შეადგენს 50000 ლატს, გარდა ბუკმეკერული მომსახურებისა, რაზედაც მოსაკრებლის განაკვეთი 3000 ლატია.

გადასახადის განაკვეთები ძირითადად ფიქსირებულია და შეადგენს თითოეულ სათამაშო მაგიდაზე 15000 ლატს, თითოეულ სათამაშო ავტომატზე 420 ლატს, ხოლო ბუკმეკერულ მომსახურებაზე 30000 ლატს.

ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები იბეგრება 10%-იანი განაკვეთით.

ლატვიის სახელმწიფო შემოსავლების სამსახური დაარსდა 1994 წელს სახელმწიფო ფინანსური ინსპექციისა და საბაჟო დეპარტამენტის გაერთიანების შედეგად.

ლატვიის სახელმწიფო შემოსავლების სამსახური წარმოადგენს საგადასახადო ადმინისტრაციის ორგანოს. რომელიც შედის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში და უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციას, გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების აკრეფას და საბაჟო საკითხების გადაწყვეტას.

ლატვიის სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის ძირითადი ამოცანებია: გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების აკრეფის უზრუნველყოფა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საბაჟო საზღვრებზე; საბაჟო პოლიტიკის განხორციელება და საბაჟო საზღვრების დაცვის უზრუნველყოფა; ანტიკორუფციული

კანონმდებლობის აღსრულებაზე კონტროლის განხორციელება და საჯარო მოხელეთა მიმართ კანონით დადგენილი დამატებითი შეზღუდვების დაცვის მდგომარეობის შემოწმება. სამსახური უზრუნველყოფს გადასახადებისაგან და სხვა სავალდებულო შენატანებისაგან თავის არიდების ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას.

ლატვიის სახელმწიფო შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელთა მომსახურებას საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე, ახდენს გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციას და აღრიცხვას კანონმდებლობის შესაბამისად.

ლატვიის სახელმწიფო შემოსავლების სამსახური შედგება ცენტრალური აპარატისაგან, რეგიონალური სამსახურებისაგან და ტერიტორიული ორგანოებისაგან.

ლატვიის სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის ცენტრალური აპარატი შედგება საბაჟო სამსახურისაგან, ფინანსური პოლიციის დეპარტამენტისაგან და საგადასახადო სამსახურისაგან. ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს მიეკუთვნება აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტი, აქციზური საქონლის სამსახური, იურიდიული დეპარტამენტი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ტრეინინგების ორგანიზაციის დეპარტამენტი, პროექტების განხორციელების დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო, კადრების სამმართველო, საჩივრების განხილვის სამმართველო, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო, შიდა კონტროლის სამმართველო.

ლატვიის სახელმწიფო შემოსავლების სამსახურს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც ფინანსთა მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტი. გენერალური დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება და მასთან ხელშეკრულება იდება ფინანსთა მინისტრის მიერ.

ლატვიის სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის საგადასახადო სამსახური ახორციელებს გადასახადის გადამხდელებისა და დაბეგერის ობიექტების აღრიცხვას, უზრუნველყოფს ვადა-

გადაცილებული დავალიანებების ამოღებას, აღრიცხავს უპატრონო და კონფისკაცია ქმნილ ქონებას, შეიმუშავებს დეკლარაციებისა და ანგარიშგების ფორმებს, ატარებს სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის თანამდებობის პირთა სწავლებას, ახორციელებს გადასახადის გადამხდელთა მომსახურებას, თვალყურს ადევნებს ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირის ეკონომიკურ და ფინანსურ საქმიანობას, იღებს სახელმწიფო თანამდებობის და სხვა პირებისაგან დეკლარაციებს და ამოწმებს მათ რეალობას, ახორციელებს გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო კონტროლს და ასრულებს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ამოცანებს.

საქონლის და სხვა საგნების საბაჟო კონტროლი და საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების აკრეფა და საბაჟო კონტროლის მოწყობა, ისევე როგორც სახელმწიფო ეკონომიკური საზღვრების დაცვა მხოლოდ საბაჟო დეპარტამენტის პრეროგატივაა.

სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის ფინანსური პოლიციის ამოცანებია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება სახელმწიფო შემოსავლების სფეროში დანაშაულის გამოვლენისა და თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის თანამდებობის პირთა მოქმედებებში დანაშაულის ნიშნების გამოვლენა და მათი თავიდან აცილება, კონტრაბანდისა და კრიმინალური დანაშაულის შემთხვევებში გამოძიების ჩატარება და სამსახურის თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა.

ფინანსურ პოლიციას გააჩნია საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილება. სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის მუშაკებზე არ ვრცელდება „სახელმწიფო სამოქალაქო სამსახურის შესახებ“ კანონი და მათი სამართლებრივი ურთიერთობები განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით. სახელმწიფო შემოსავლების სამსახურში მიღება წარმოებს წერილობითი ტესტირების საფუძველზე.

§2. ესტონეთის საბაღასახალო სისტემა

მდებარეობა – აღმოსავლეთი ევროპა.

ტერიტორია – 45,2 ათასი კმ².

მოსახლეობა – 1,43 მილიონი.

დედაქალაქი – ტალინი.

სახელმწიფო ენა – ესტონური.

ფულის ერთეული – ესტონური კრონი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა –
უნიტარული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპარლამენტო რესპუბლიკა.

მშპ (1998 წლის მონაცემებით) – 5 მლრდ. აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1998 წლის მონაცემებით) – 3360
აშშ დოლარი.

ესტონეთის საგადასახლო კანონმდებლობა ძირითადად 1994 წლიდან ამოქმედდა.

ესტონეთის ძირითადი გადასახადებია: საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, სოციალური გადასახადი, აქციზი, სათამაშო ბიზნესის გადასახადი.

ესტონეთში არ მოქმედებს მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადი. მთელი რიგი ოპერაციები იბეგრება საგერბო მოსაკრებელით.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ შემოიღონ ადგილობრივი გადასახადები. მათ მიეკუთვნება: მიწის გადასახადი, გაყიდვიდან გადასახადი, რეკლამის გადასახადი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ესტონეთში მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტს აქვს შემოღებული ადგილობრივი გადასახადები.

იურიდიული და ფიზიკური პირების შემოსავლები იბეგრება 26%-იანი განაკვეთით. ესტონეთის რეზიდენტებს მიეკუთვნებიან ფიზიკური პირები, რომლებსაც გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ესტონეთში ან იმყოფებიან ესტონეთის ტერიტორიაზე 183 დღეზე მეტ ხანს საგადასახლო წლის განმავლობაში. საზღვარგარეთ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხა ჩაითვლება ესტონეთში გადასახადის გადახდისას.

სოციალური გადასახადის გადამხდელები არიან დამქირაველები. დაქირავებულები აღნიშნულ გადასახადს არ იხდიან.

სოციალური გადასახადის განაკვეთი 33%-ს შეადგენს, მ.შ 20% – სოციალური უზრუნველყოფისათვის და 13% – ჯანმრთელობის დაზღვევისათვის.

მიწის მფლობელები ვალდებულნი არიან გადაიხადონ *მიწის გადასახადი*, მიწის დასაბეგრი ღირებულებიდან გამომდინარე. მიწის გადასახადის კონკრეტულ განაკვეთებს ადგენენ მუნიციპალიტეტები, მიწის შეფასებითი ღირებულების 0,1%-დან 2,5%-მდე ფარგლებში.

აქციზით იბეგრება თამბაქოს ნაწარმი, ალკოჰოლური სასმელები, საწვავი და ავტომანქანები.

დღგ-ის სტანდარტული განაკვეთი 18%-ს შეადგენს. განსაზღვრულ საქონელზე და მომსახურებაზე გამოიყენება 5%-იანი განაკვეთი, ხოლო საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხები უბრუნდება გადასახადის გადამხდელს 30 დღის განმავლობაში დეკლარაციის წარდგენის დღიდან.

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელებს წარმოადგენენ პირები, რომელთა წლიური დასაბეგრი ბრუნვა აღემატება 250 ათას ესტონურ კრონს, აგრეთვე საქონლის იმპორტიორები.

ესტონეთის საგადასახადო სამსახური წარმოადგენს სამთავრობო დაწესებულებას და შედის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში.

ესტონეთის საგადასახადო სამსახური ახორციელებს საგადასახადო კონტროლს საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებაზე და გადასახადების სრულ და თავისდროულ გადახდაზე.

ესტონეთის საგადასახადო სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, შედგება ცენტრალური აპარატისა და ადგილობრივი საგადასახადო სამსახურებისაგან.

ესტონეთის საგადასახადო სამსახურის გენერალურ დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე, მრჩეველები და საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენლები.

ესტონეთის საგადასახადო სამსახურის გენერალურ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ფინანსთა მინისტრი.

ესტონეთის საგადასახადო სამსახური შედგება საგადასახადო დეპარტამენტის, შიდა კონტროლის დეპარტამენტის, ზედამხედველობის დეპარტამენტის, იურიდიული დეპარტამენტის, შემოსავლების აღრიცხვის დეპარტამენტის, საბუღალტრო დეპარტამენტის, განვითარებისა და ტრენინგების დეპარტამენტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის, ადმინისტრაციული დეპარტამენტის და იძულებითი მეთოდების დეპარტამენტისაგან. სამსახურის დეპარტამენტების სტრუქტურა შედგება სამმართველოებისა და განყოფილებებისაგან.

თავი V
იაპონიის, ჩინეთისა და სინგაპურის
საგადასახადო სისტემები

§ 1 იაპონიის საგადასახადო სისტემა

მდებარეობა – წყნარი ოკეანის დასავლეთი ნაწილი, აზიის აღმოსავლეთი სანაპირო.

ტერიტორია – 372,2 ათასი კმ².

მოსახლეობა – 123,8 მილიონი.

დედაქალაქი – ტოკიო.

სახელმწიფო ენა – იაპონური.

ფულის ერთეული – იენა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – უნიტარული სახელმწიფო.

მმართველობის ფორმა – კონსტიტუციური საპარლამენტო მონარქია.

მშპ (1999 წლის მონაცემებით) – 2,95 ტრილიონი აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1999 წლის მონაცემებით) – 23 400 აშშ დოლარი.

იაპონიის საგადასახადო სისტემა XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიაში განხორციელდა საგადასახადო რეფორმა, რომელიც პროფესორ შადპის სახელს ატარებს. თანამედროვე საგადასახადო სისტემა ძალაში შევიდა 1989 წლის 1 აპრილიდან. მას გააჩნია სპეციფიკური განსაკუთრებულობა და განსხვავდება აშშ-ის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების საგადასახადო სისტემებისაგან. იაპონიაში მოქმედებს საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. ამასთან, საგადასახადო შემოსავლების 64%-ს საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადები შეადგენს, ხოლო დანარჩენს – ადგილობრივი გადასახადები. ქვეყანაში 47 პრეფექტურაა, რომელიც 3045 ქალაქს, დაბას და რაიონს აერთიანებს. თითოეულ მათგანს გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

ქვეყნისა და პრეფექტურების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილი აკებულება არა მხოლოდ გადასახადებზე. სხვა ქვეყნებისაგან

ღანსხევეებით იაპონიაში საკმაოდ მაღალია არასაგაღასახაღო შემოსავლების წილი. სახელმწიფო ბიუჯეტში გაღასახაღები 84%-ს, ხოლო არასაგაღასახაღო შემოსავლები – 16%-ს შეაღგენენ. აღგილობრივი მმართველობის ორღანობის შემოსავლების მეოთხედი არასაგაღასახაღო შემოსავლებია. არასაგაღასახაღო შემოსავლებში შეღის საიჯარო ქირა, მიწის ნაკვეთებისა და სხვა მუნიციპალური უძრავი ქონების რეალიზაცია, საურავები, ჯარიმები, ობლიღაცობის რეალიზაცია, ლატარიებიღან მიღებული შემოსავლები, სესხები და სხვა.

იაპონიის საგაღასახაღო სისტემა, აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების მსგავსად, ხასიათდება გაღასახაღების სიმრავლით. გაღასახაღების აკრეფას ახორციელებენ ტერიტორიული საგაღასახაღო სამმართველოების ორღანობი. ქვეყანაში მოქმედი ყველა გაღასახაღი დაღგენილია საკანონმდებლო აქტით. აღგილობრივი გაღასახაღების შესახებ კანონი ღანსაზღვრავს მათ სახეებს და მაქსიმალურ ღანაკვეთებს. გაღასახაღის დანარჩენ ელემენტებს აღგენენ აღგილობრივი პარლამენტები. სულ ქვეყანაში 25 სახელმწიფო და 30 აღგილობრივი გაღასახაღია. ისინი შეიღლება დაეყოთ სამ ჯგუფად:

- პირდაპირი საშემოსავლო გაღასახაღები იურიდიული და ფიზიკური პირებიღან;
- პირდაპირი გაღასახაღები ქონებიღან;
- პირდაპირი და არაპირდაპირი მოხმარების გაღასახაღები.

ბიუჯეტის შემოსავლებში პირდაპირ გაღასახაღებს ცალსახად უპირატესობა ენიჭებათ.

სახელმწიფოსათვის ყველაზე მაღალი შემოსავლები ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საშემოსავლო გაღასახაღს მოაქვს. ოგი აღმატება ყველა საგაღასახაღო შემოსავლის 56%-ს. საწარმოები და ორღანიზაციები მოგებიღან იხდიან: სახელმწიფო საშემოსავლო გაღასახაღს, პრეფექტურის საშემოსავლო გაღასახაღს და საქალაქო (საღაბო, რაიონულ) საშემოსავლო გაღასახაღს. ჯამურად ბიუჯეტის შემოსავლებში იურიდიული პირის მოგების დაახლოებით 40% იკრიფება. გარდა ამისა, მოგება ემსახურება სამეწარმეო საქმიანობისათვის გაღასახაღის გაღახღის წყაროს, რომელიც ორიცხება პრეფექტურების ღანკარგულებაში. ცალკეული კატეგორიის იურიდიული პირებისათვის გამოიყენება მოგების გაღასახაღის

შეღავათიანი განაკვეთები. მაგალითად, კოოპერატივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამედიცინო ორგანიზაციები იხდიან ერთობლივ გადასახადს 27%-ის ოდენობით. თუ მოგება ან მოგების ნაწილი არ აღემატება 8 მლნ. იენს, გადასახადის განაკვეთი 28%-ს შეადგენს, რასაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია მცირე საწარმოებისათვის.

ფიზიკური პირები იხდიან *სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადს* პროგრესული შკალით, რომელსაც გააჩნია ხუთი განაკვეთი: 10, 20, 30, 40 და 50%. გარდა ამისა, მოქმედებს პრეფექტურების საშემოსავლო გადასახადი სამი განაკვეთით: 5, 10 და 15%. მოქმედებს ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადებიც. აღნიშნული გადასახადების ზევით იაპონიის ყველა მოქალაქე შემოსავლის მიუხედავად იხდის გადასახადს 3200 იენის ოდენობით წელიწადში.

სოციალური თვალსაზრისით, ფიზიკურ პირთა დაბეგვრის ასეთი მაღალი დონე გამართლებულია, ვინაიდან იაპონიაში მოქმედებს საკმაოდ მნიშვნელოვანი დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც მხედველობაში იღებს პირის ოჯახურ მდგომარეობასაც. ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება მკურნალობაზე გაწეული ხარჯები. დამატებითი საგადასახადო შეღავათები გააჩნიათ მრავალსულიან ოჯახებს.

ტოკიოს მაცხოვრებლის საშუალო წლიური შემოსავალი XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში 7100-7500 ათ. იენს შეადგენდა. იაპონიის სხვა პრეფექტურებში, როგორც წესი, იგი შედარებით დაბალია. საშუალო ანაზღაურებად პირს შეიძლება გაუნთავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადისაგან მისი შემოსავლების 30%-ზე მეტი.

გადასახადების მეორე ჯგუფს *ქონებრივი გადასახადები მიეკუთვნება*, რომლებსაც იხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები თანაბარი განაკვეთებით. როგორც წესი, ეს ქონების ღირებულების 1,4%-ია. ქონების გადაფასება წარმოებს სამ წელიწადში ერთხელ. გადასახადით დაბეგვრის ობიექტია უძრავი ქონება, მიწა, ფასიანი ქაღალდები, პროცენტები საბანკო დეპოზიტებიდან. გადასახადების გადახდა წარმოებს საკუთრების ერთი მფლობელისაგან მეორეზე გადასვლის მომენტშიც, ე.ი. ქონების შექენისას ან რეალიზაციისას. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება

გადასახადი ღირებულების რეგისტრაციისათვის, საგერბო მოსაკრებელი, გადასახადი მემკვიდრეობისათვის, გადასახადი მიწის ირიგაციისა და გაუმჯობესებისათვის.

გადასახადის გამოანგარიშების მიზნით საკმაოდ რთულია მიწის ნაკვეთის ღირებულების შეფასება. XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან იაპონიაში დაიწყო მიწის ფასის მკვეთრი ზრდა, რაც არ არის გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ ქვეყნის მოსახლეობის მაღალ სიმჭიდროვეს. ყოველივე ამას ხელი შეუწყო განსაკუთრებულმა ეკონომიკურმა პირობებმაც. კერძოდ, ვინაიდან ტოკიო, ნიუ-იორკისა და ლონდონის მსგავსად, წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ ძირითად საინფორმაციო და საბანკო ცენტრს, გაიზარდა მიწაზე სპეკულაციური გარიგებების რაოდენობა, რაც გათვლილი იყო სამომავლოდ სხვადასხვა საერთაშორისო კომპანიების მიერ საოფისე მშენებლობაზე მოთხოვნის ზრდით. ამავე წლებში იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა დედაქალაქის რეკონსტრუქციის გეგმა, რომელიც გათვლილი იყო 2000 წლამდე. გეგმის გამოქვეყნების შემდეგ ქვეყანაში დაიწყო მიწების აქტიური შესყიდვა მისი სახელმწიფო ორგანოებისათვის ხელსაყრელი გადაყიდვის მიზნით. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ სხვა უძრავი ქონებისაგან განსხვავებით მიწის ყიდვა-გაყიდვის დროს არ იკრიფებოდა გადასახადი. ამასთან, ბანკები ადვილად და შეღავათიანი პირობებით აძლევდნენ სესხებს, მ.შ. გრძელვადიან სესხებს, იმ პირობებს, რომლებიც ახორციელებდნენ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებულ გარიგებებს. მყარად დამკვიდრდა რწმენა, რომ მიწა შეიძლება მხოლოდ გაძვირდეს და არასდროს გაიფუტება. შედეგად უკანასკნელ წლებში მიწის ფასის ზრდის ტემპი ტოკიოში 50-75% შეადგენდა. ეს პროცესი შეეხო იაპონიის სხვა მსხვილ ქალაქებსაც.

მიწის ნაკვეთებზე ფასების ზრდა აისახა შიდასაქალაქო მიგრაციაზეც. საცხოვრებელი შენობების მესაკუთრეებმა დაიწყეს საცხოვრებელი შენობების გადაკეთება საოფისე მიზნებისათვის. მუნიციპალიტეტებს საზოგადოებრივი მიზნებისათვის (გზებისათვის, პარკებისათვის და სხვა ნაგებობებისათვის) ახალი მიწის ნაკვეთების შესყიდვა, მათი მაღალი ღირებულების გამო, საკმაოდ გაუჭირდათ.

ვინაიდან მიწის ღირებულების პროპორციულად გადასახადების ზრდა გააძლიერებდა ნეგატიურ მოვლენას, ამიტომ დაწესდა, მიწის

გადასახადი უკანასკნელ გადაფასებასთან შედარებით არ შეიძლება გაიზარდოს 10%-ზე მეტად.

იაპონიაში 1989 წელს განხორციელებული საგადასახადო რეფორმის ცენტრალურ მომენტს ახალი არაპირდაპირი გადასახადის შემოღება (*დამატებული ღირებულების გადასახადი*) წარმოადგენდა. გადასახადით დაბეგვრის ობიექტს დამატებული ღირებულება წარმოადგენს. დაბეგვრას ექვემდებარება საქონლის რეალიზაცია და მომსახურების გაწევა (გარდა განთავისუფლებისა). ყოველ შემდგომ სტადიაზე გადასახადი გამოიანგარიშება მხოლოდ იმ თანხიდან, რომელიც დამატებულია საქონლის ღირებულებაზე მისი შემდგომი გადამუშავების ან მომხმარებლისათვის მიწოდების შედეგად.

გადასახადის განაკვეთი 5%-ს შეადგენს. დღგ-ისაგან თავისუფლდება სამედიცინო მომსახურება, სტომატოლოგიური მომსახურება, საქველმოქმედო საქმიანობა, განათლება, დაზღვევა და გადაზღვევა, საფინანსო მომსახურება, ლატარიები და აზარტული თამაშები, მიწის მიწოდება, მომსახურება სოციალურ კეთილმოწყობაზე და სხვა.

ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროებია: *ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი, აქციზი სპირტიან სასმელებზე, თამბაქოს ნაწარმზე, ნავთობპროდუქტებზე, გაზზე. ბენზინზე, გადასახადი ელექტროენერჯის წყაროების განვითარებისათვის, აქციზი მომსახურების შემდეგ სახეებზე: სასტუმრო მომსახურება, რესტორნების მომსახურება და ა.შ.* ამავე ჯგუფს მიეკუთვნება *საბაჟო მოსაკრებელი*. ზოგჯერ გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების ღირებულება აღემატება განსაზღვრულ ზღვარს. მაგალითად, რესტორნებში სადილი არ იბეგრება აქციზით, თუ მისი ღირებულება არ აღემატება 7,5 ათას იენს. თუ ღირებულება აღემატება 7,5 ათას იენს, მაშინ მომსახურების ღირებულებას ემატება გადასახადი.

იაპონიის საგადასახადო პოლიტიკა მიმართულია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების (პრეფექტურების, ქალაქების, რაიონების, დაბების და ა.შ.) ფინანსების გამოყარებაზე. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკუთარი საგადასახადო

შემოსავლები, როგორც წესი, ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის 40%-ზე მეტს შეადგენენ. დაახლოებით 25%-ს არასაგადასახადო შემოსავლები შეადგენენ. ეს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ძალიან დაბალია. ადგილობრივი ბიუჯეტები კიდევ 18%-ს იღებენ საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან ანარიცხების სახით, დანარჩენი ნაწილი გამოიყოფა სახელმწიფოს მიერ დოტაციის სახით საერთო ეროვნული ღონისძიებების განსახორციელებლად. არასაგადასახადო შემოსავლებს მიეკუთვნება სესხებიც.

საინტერესოა ადგილობრივი გადასახადების სტრუქტურა. თუ მივყევით ზემოთ მოყვანილ კლასიფიკაციას, მივიღებთ შემდეგ სურათს. საშემოსავლო გადასახადების წილი შეადგენს 56-57%-ს, ქონებრივი გადასახადების – 31-32%-ს და მხოლოდ მესამე ადგილზეა მოხმარების გადასახადები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების 11-13%-ს.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების თანაფარდობა განსხვავებულია, თუმცა ზოგადი ტენდენციები მსგავსია. სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადებზე მოდის 56,5%, ქონებრივ გადასახადებზე – 25% და მოხმარების გადასახადებზე – 18,5%. ეს თანაფარდობა ბუნებრივია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქონებრივი გადასახადების არსებითი ნაწილი მიიმართება ადგილობრივი ბიუჯეტებში.

§ 2 ჩინეთის საბაზასახალ სისტემა

მდებარეობა – ცენტრალური და აღმოსავლეთი აზია.
ტერიტორია – 9,6 მლნ. კმ².

მოსახლეობა – 1 მილიარდ 256 მილიონი.

დედაქალაქი – პეკინი.

სახელმწიფო ენა – ჩინური.

ფულის ერთეული – იუანი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა –
უნიტარული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – სოციალისტური რესპუბლიკა.

მშპ (1999 წლის მონაცემებით) – 4,8 ტრილიონი აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1999 წლის მონაცემებით) – 38000
(აშშ დოლარი).

ჩინეთის პარლამენტის მიერ 1999 წელს ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით ეკონომიკურ ურთიერთობებში დაინერგა საბაზრო მექანიზმები, რითაც ამაღლდა კერძო საწარმოთა, მ.შ. სამრეწველო საწარმოთა როლი. კონსტიტუციურად აღიარებული და დაკანონებული იქნა კერძო სექტორი, რომელიც საკმაოდ წარმატებით ვითარდება ჩინეთში უკვე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. ჩინეთის ხელმძღვანელები არ ცნობენ ტერმინს – „კაპიტალიზმი“ და სარგებლობენ ტერმინით – „საბაზრო ურთიერთობები სოციალიზმის მშენებლობის ჩინური სპეციფიკით“.

ჩინეთის პარლამენტში დაისვა საკითხი მენარჩენე საწარმოთა რესტრუქტურისაციისა და ზარალიანი საწარმოების ნაწილის ლიკვიდაციის შესახებ. ცალკეული შეფასებებით, თითქმის 7680 სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს მესამედი ზარალიანია. სახელმწიფო საწარმოთა მნიშვნელოვან ნაწილს არ ძალუძს თავისუფალი კონკურენცია გაუწიოს კერძო საწარმოებს და წარმატებულად იმუშაოს „სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის“ პირობებში.

მიღებული სამთავრობო პროგრამა ითვალისწინებს განსაზღვრულ იურიდიულ სტატუსს კერძო მეწარმეებისათვის, აგრეთვე მათი დაცვის ღონისძიებებს. ყოველივე ეს აძლიერებს ქვეყნის საგადასახალ სისტემის როლს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად გადასახადს *საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების გადასახადი* წარმოადგენს. იგი შედგება ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან. საერთო-სახელმწიფოებრივი მოგების გადასახადის განაკვეთი 30%-ს, ხოლო ადგილობრივი მოგების გადასახადის განაკვეთი – 3%-ს შეადგენს. სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში გამოიყენება 15%-იანი განაკვეთი. ასეთი ზონები მოქმედებს გუანდუნის, ფეცუნიანის, ხაინანის პროვინციებში, აგრეთვე ქალაქებში შანხაი, ფუჯოუ, გუანჯოუ, ცინდაო და სხვა (სულ 14 ასეთი ქალაქია). შეღავათიანი დაბეგვრა გამოიყენება ენერგეტიკის, ტრანსპორტის, პორტების განვითარების დარგში განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობისათვის.

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები, რომლებიც დასაქმებულნი არიან მატერიალური წარმოებით და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას სანაპირო ღია ეკონომიკურ რეგიონებში, იბეგრებიან 24%-იანი განაკვეთით. ეს ზონები განლაგებულია ღიაოდუნისა და შანდუნის ნახევარკუნძულებზე, აგრეთვე მთელ რიგ ქალაქებში.

მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა გადასახადის გადაიხდელის ერთობლივ შემოსავალსა და კანონით გათვალისწინებულ დაქვითვის თანხებს შორის. ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული საწარმოს სამეწარმეო და კომერციულ საქმიანობასთან არ მიეკუთვნება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) თვითღირებულებას. წარმომადგენლობითი ხარჯები ნორმირებულია.

საწარმოს მიერ მიღებული ზარალი შეიძლება დაიფაროს მომავალი ხუთი წლის მოგების ხარჯზე.

ცვეთის დარიცხვა წარმოებს პირდაპირი ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით. დანქარებული ამორტიზაციის მეთოდის გამოყენება შეიძლება მხოლოდ საგადასახადო ორგანოების ნებართვით. ძირითადი საშუალებების ფუნქციონირების მინიმალური ვადა დადგენილია შემდეგი ოდენობით: შენობა-ნაგებობებისათვის – 20 წელი, საწარმოო დანადგარებისათვის – 10 წელი, ელექტრო მოწყობილობებისათვის, სატრანსპორტო საშუალებებისა და ავეჯისათვის – 5 წელი.

ისეთი არამატერიალური აქტივების, როგორიცაა პატენტი,

სავაჭრო მარკები, ტექნიკური „ნოუ-ჰაუ“ ამორტიზაცია წარმოებს ხელშეკრულებით დადგენილი ვადის განმავლობაში, ხოლო ვადის განუსაზღვრელობის შემთხვევაში – 10 წლის განმავლობაში.

სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადის განაკვეთი ამ საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების 3-დან 5%-მდე შეადგენს. გადასახადით იბეგრება არასაწარმოო სფერო: სხვადასხვა სახის მომსახურება, დაზღვევა, კულტურული, სპორტული და გასართობი ღონისძიებები, სასტუმროები და რესტორნები, საიჯარო საქმიანობა, ტურიზმი, უძრავი ქონების მიწოდება, საფოსტო მომსახურება, ფინანსური ოპერაციები. გასართობი დაწესებულებებისათვის გადასახადის განაკვეთი მერყეობს 5-დან 20%-მდე.

დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი ჩინეთში 17%-ს შეადგენს. საქონლის ექსპორტი განთავისუფლებულია გადასახადისაგან. ცალკეული დარგებისა და საქონლისათვის გამოიყენება 13%-იანი განაკვეთი. ეს სახალხო მოხმარების პირველადი საჭიროების საქონელია. ამავე განაკვეთით იბეგრება სოფლის მეურნეობის პროდუქტები და კომუნალური მომსახურება.

დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგურის ობიექტია ჩინეთის ტერიტორიაზე საქონლისა და მომსახურების რეალიზაციისა და იმპორტის ბრუნვები. ბიუჯეტში გადასახდელი დღგ-ის განსაზღვრის მიზნით გადასახადის გადამხდელებმა უნდა აწარმოონ საანგარიშო პერიოდში საქონლის (მომსახურების) შექენისას გადახდილი და რეალიზაციის შედეგად მიღებული გადასახადის თანხების განცალკავებული აღრიცხვა. ამ თანხებს შორის სხვაობა ბიუჯეტში გადასახდელ დღგ-ს შეადგენს.

მცირე მეწარმეები გადასახადს გამოიანგარიშებენ საქონლის (მომსახურების) მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების მაჩვენებლით: ვაჭრობაში (კომერციულ სექტორში) 4%-იანი განაკვეთით, ხოლო ყველა დანარჩენ სექტორში – 6%-იანი განაკვეთით. ბიუჯეტში გადასახდელი დღგ წარმოადგენს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ნამრავლს გადასახადის განაკვეთზე.

იმპორტის დროს გადასახადი გამოიანგარიშება იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე შესაბამისი განაკვეთით. დღგ-ისაგან თავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ფერმერების მიერ დამოუკიდებლად რეალიზებული

საკუთარი წარმოების საქონელი, სხვა ქვეყნებში გადამუშავებული საქონლის იმპორტი, მოსახლეობისაგან შესყიდული ანტიკვარული წიგნები, სამედიცინო პრეპარატები და საშუალებები, განათლების საჭიროებისათვის იმპორტირებული საქონელი, სახელმწიფო შეკვეთების პროექტების განსახორციელებლად უცხოელი ან ადგილობრივი ინვესტიორების მიერ იმპორტირებული საქონელი.

გარდა ამისა, *მოხმარების გადასახადის (აქციზის)* სხვადასხვა განაკვეთებით იბეგრება ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, ბენზინი, საიუველირო ნაწარმი, კოსმეტიკა, მსუბუქი ავტომობილები, ფუფუნების ზოგიერთი სხვა საგნები.

აქციზით იბეგრება ჩინეთის ტერიტორიაზე როგორც აღნიშნული საქონლის წარმოება, ასევე იმპორტი. გადასახადით დასაბეგრი საქონლის ექსპორტი თავისუფლდება გადასახადისაგან. გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია. ძირითადად გამოიყენება პროცენტული განაკვეთები, თუმცა ცალკეული საქონლის მიმართ გამოიყენება მყარი განაკვეთები. ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადის თანხის გამოანგარიშება წარმოებს ღირებულებრივი ან რაოდენობრივი პრინციპით. ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადის თანხა წარმოადგენს რეალიზებული სამომხმარებლო საქონლის მოცულობისა (ღირებულების) და შესაბამისი გადასახადის განაკვეთის (პროცენტულის ან მყარის) ნამრავლს.

იმპორტირებული სამომხმარებლო საქონელი იბეგრება დადგენილი განაკვეთებით მათი საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის გადასახდელს მიეკუთვნებიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობას და მინერალური რესურსების მოპოვებას ჩინეთის ტერიტორიაზე. გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია მინერალური რესურსების სახეობიდან გამომდინარე გადასახადისაგან თავისუფლდება ნავთობის მოპოვება, რომელიც გამოიყენება გათბობის სისტემებისათვის.

მიწის გადასახადის გადასახდელი არიან საწარმოები და ფიზიკური პირები, გარდა უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოებისა, უცხოური კომპანიებისა და უცხოელი მოქალაქეებისა.

გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია რეგიონების მიხედვით და დგინდება 1მ²-ზე.

გადასახადისაგან თავისუფლდებიან სამთავრობო ორგანოები, საბიუჯეტო ორგანიზაციები, ეკლესიები, პარკები, ისტორიული ძეგლები, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული საერთო სარგებლობის მიწები, მოედნები, მინდვრები და ტყეები, მეცხოველეობის კომპლექსები და მეთევზეობის მეურნეობები, ბუნების დაცვისათვის გამოყენებული მიწები და ენერგეტიკისა და სატრანსპორტო მეურნეობის საჭიროებისათვის და განვითარებისათვის გამოყენებული მიწები.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გამოყენებისათვის გადასახადის გადახდები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები (გარდა უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოებისა, უცხოური კომპანიებისა და უცხოელი მოქალაქეებისა), რომლებიც იყენებენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს მშენებლობისათვის ან სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის. გადასახადით იბეგრება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. გადასახადის განაკვეთი დიფერენცირებულია რეგიონების მიხედვით და დგინდება 1მ²-ზე. გადასახადის გადახდა წარმოებს ერთჯერადად.

გადასახადისაგან თავისუფლდება მიწის ის ნაკვეთები, რომლებზეც განლაგებულია სამხედრო ობიექტები, რკინიგზის ლიანდაგები და ობიექტები, აეროპორტები, სკოლები, საავადმყოფოები, ირიგაციისათვის განკუთვნილი მიწები. გადასახადისაგან თავისუფლდებიან სოფლის მაცხოვრებლები ახალი სახლების აშენების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახები, ქვრივები, ობლები მთიან რეგიონებში ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შემთხვევაში. გადასახადით არ იბეგრებიან ის საქველმოქმედო ორგანიზაციები, რომლებიც იქმნება ინვალიდთა დასაქმების მიზნით, აგრეთვე საავტომობილო გზების მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწები.

ქონების გადასახადის გადახდა წარმოებს ქალაქებში, ოლქებში, რაიონებსა და ინდუსტრიულ ადგილებში.

გადასახადის გადამხდელები არიან შენობების და ნაგებობების მესაკუთრეები (გარდა უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოებისა, უცხოური კომპანიების და უცხოელი მოქალაქეებისა).

საგადასახადო ბაზის მიმართ გამოიყენება გადასახადის 1,2%-იანი და 12%-იანი განაკვეთები. გადასახადის 1,2%-იანი განაკვეთი გამოიყენება, თუ საგადასახადო ბაზის სახით გვევლინება ქონების ნარჩენი ღირებულება (თავდაპირველი ღირებულება შემცირებული 10-30%-ით), ხოლო 12%-იანი განაკვეთი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო ბაზის სახით გვევლინება ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი. გადასახადის თანხა გამოიანგარიშება საგადასახადო ბაზის ნამრავლით გადასახადის შესაბამის განაკვეთზე. გადასახადისაგან თავისუფლდება უძრავი ქონება, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და შეიარაღებული ძალების საკუთარი საჭიროებისათვის, საბიუჯეტო ორგანიზაციების ქონება, ეკლესიების, პარკების, ისტორიის ძეგლების ქონება, მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული და არაკომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ქონება, დანგრეული და საცხოვრებლად უვარგისი სახლები.

უძრავი ქონების გადასახადს იხდიან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები, უცხოური კომპანიები და უცხოელი მოქალაქეები, რომლებსაც საკუთრებაში გააჩნიათ შენობები და ნაგებობები. გადასახადი გამოიანგარიშება ქონების გადასახადის ანალოგიურად, მაგრამ ამ შემთხვევაში 12%-იანი გადასახადის განაკვეთის ნაცვლად გამოიყენება 18%-იანი გადასახადის განაკვეთი.

გადასახადისაგან თავისუფლდება ახლად აშენებული შენობები მშენებლობის დამთავრების თვიდან დაწყებული სამი წლის განმავლობაში, რეკონსტრუირებული შენობები, თუ მათ აღდგენაზე გაწეული ხარჯები აღემატება ახალი ანალოგიური ობიექტის მშენებლობის 1/2-ს, აღდგენით სამუშაოების დამთავრების თვიდან დაწყებული ორი წლის განმავლობაში. სხვა შეღავათები შეიძლება გამოიყენებული იქნეს ხელისუფლების შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების მიერ.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული

პირები, რომლებსაც ჩინეთის ტერიტორიაზე საკუთრებაში ან ექსპლუატაციაში გააჩნიათ ავტოსატრანსპორტო საშუალებები და ან წყლის სატრანსპორტო საშუალებები.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საგადასახადო ბაზას მათი რაოდენობა ან ნეტო-ტონაჟი შეადგენს. საგადასახადო ბაზას წყლის სატრანსპორტო საშუალებებისათვის მათი ნეტო-ტონაჟი ან საერთო ტვირთამწეობა შეადგენს. გადასახადის თანხა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის და წყლის სატრანსპორტო საშუალებებისათვის განისაზღვრება ცალ-ცალკე გამოიყენება გადასახადის სხვადასხვა განაკვეთები.

გადასახადისაგან თავისუფლდებიან სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამხედრო დანაყოფების, საბიუჯეტო ორგანიზაციების, პოლიციის, სახანძრო სამსახურების, ჯანდაცვისა და ბუნების დაცვის ობიექტების მიერ გამოყენებული ავტოსატრანსპორტო და წყლის სატრანსპორტო საშუალებები, არა უმეტეს 1 ტონის ტვირთამწეობის თევზსაჭერი გემები. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები, უცხოური კომპანიები და უცხოელი მოქალაქეები გადასახადს იხდიან განსხვავებული განაკვეთებით. ამ კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისათვის გათვალისწინებულია შემდეგი შეღავათები: დაბეგვრისაგან თავისუფლდება საელჩოებისა და საკონსულოების, მათი წარმომადგენლების მიერ გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანები, რომლებიც ეკუთვნის უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებსა და უცხოურ კომპანიებს.

ქონების გადაცემისათვის გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული პირები, რომლებიც საკუთრების უფლებით იღებენ გადაცემულ ქონებას ჩინეთის ტერიტორიაზე შენობის ყიდვა-გაყიდვის, ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში გადასახადით დასაბეგრი ბაზა გამოიანგარიშება გარიგების ღირებულებიდან გამომდინარე. უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში გადასახადით დასაბეგრი ბაზის გამოიანგარიშება წარმოებს საგადასახადო ორგანოების მიერ მიწის ან შენობების საბაზრო ფასების შესაბამისად. გადასახადის განაკვეთი დადგენილია 3-დან 5%-მდე

ფარგლებში. გადასახადის კონკრეტულ განაკვეთებს ადგენენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. გადასახადის თანხა გამოიანგარიშება საგადასახადო ბაზის ნამრავლით გადასახადის განაკვეთზე.

გადასახადისაგან თავისუფლდება სახელმწიფო ორგანოებისა და ინსტიტუტების, საქველმოქმედო ორგანიზაციების, სამხედრო საწარმოების სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები და შენობები, რომლებიც გამოიყენება მათი საჭიროებისათვის და სამეცნიერო სამუშაოების განხორციელებისათვის.

ჩინეთში გადასახადების ადმინისტრირებას ახორციელებს ჩინეთის სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაცია, რომელიც წარმოადგენს ჩინეთის უმაღლეს საგადასახადო ორგანოს. ადმინისტრაციას გააჩნია სამინისტროს სტატუსი და ანგარიშვალდებულია სახელმწიფო საბჭოს წინაშე. აღნიშნული მმართველობის ორგანოს ძირითადი ფუნქციაა სახელმწიფო შემოსავლების კონტროლი.

ჩინეთის სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაციის ძირითად ფუნქციებს მიეკუთვნება საგადასახადო კანონპროექტების, აგრეთვე კანონმდებლობის აღსრულების მიზნით ინსტრუქციებისა და განმარტებების შემუშავება. ადმინისტრაცია ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშავებს წინადადებებს საგადასახადო პოლიტიკის საკითხებზე და წარმართავს მათ სახელმწიფო საბჭოში განსახილველად.

ჩინეთის სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაცია განსაზღვრავს ცენტრალური და ადგილობრივი საგადასახადო ორგანოების უწყლებამოსილებებს, ადგენს საგადასახადო ორგანოების მუშაობის წესებს და აწესებს კონტროლს მათ შესრულებაზე, ამოწმებს საგადასახადო ორგანოების მიერ კანონებისა და ინსტრუქციების შესრულების მდგომარეობას, განმარტავს კანონმდებლობის გამოყენების პროცესში წამოჭრილ სადაო საკითხებს, მონაწილეობს საერთაშორისო საგადასახადო კონვენციებში, აწესებს კონტროლს დღგ-ისა და/ან მოხმარების გადასახადის აკრეფაზე და დაბრუნებაზე ექსპორტ-იმპორტის დროს, წყვეტს საკადრო საკითხებს, ახორციელებს საგადასახადო პერსონალის პროფესიულ და იდეოლოგიურ მომზადებასა და სწავლებას და ა.შ.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მისი ოთხი მოადგილე თანამდებობაზე ინიშნებიან სახელმწიფო საბჭოს მიერ. მთავარი ეკონომისტი და მთავარი ბუღალტერი ასევე წარმოადგენენ ადმინისტრაციის წევრებს. ადმინისტრაციის სტრუქტურა შედგება 14 ფუნქციონალური სტრუქტურული ერთეულისაგან, რომლებიც თავის მხრივ შედგება განყოფილებებისაგან (სამმართველოებისაგან). ადმინისტრაციის ფუნქციონალური სტრუქტურული ერთეულებია: მთავარი სამმართველო (უმაღლეს თანამდებობის პირთა განყოფილება, სამდივნო, სამეთვალყურეო საბჭო, კელევის განყოფილება, ახალი ამბების განყოფილება და საფინანსო განყოფილება), საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო კანონმდებლობის სამმართველო (საერთო განყოფილება, საგადასახადო რეფორმების განყოფილება, კანონშემოქმედებითი და სააპელაციო განყოფილებები), ბრუნვის გადასახადების სამმართველო (პასუხისმგებელია დღგ-ზე, მოხმარების გადასახადზე და სამეწარმეო საქმიანობის გადასახადზე), მოგების (შემოსავლის) გადასახადის სამმართველო (პასუხისმგებელია საწარმოთა მოგების გადასახადზე და საშემოსავლო გადასახადზე), ადგილობრივი გადასახადების სამმართველო (პასუხისმგებელია ბუნებრივი რესურსების გადასახადზე, მიწით სარგებლობის გადასახადზე, ქალაქების მშენებლობისა და მოვლის გადასახადზე, მიწის რეალიზაციის გადასახადზე, ქონების გადასახადზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადზე), სასოფლო-სამეურნეო გადასახადების სამმართველო (პასუხისმგებელია მიწის გადასახადზე, ქონების გადაცემისათვის გადასახადზე), საერთაშორისო დაბეგერის სამმართველო (საერთო განყოფილება, გადასახადების მართვის განყოფილება, გადასახადებისაგან თავის არიდების განყოფილება, მოპოვებული ნავთობის დაბეგერის განყოფილება, საერთაშორისო საგადასახადო თანამშრომლობის განყოფილება, საგარეო საქმეთა განყოფილება, უცხოური კოოპერაციის განყოფილება), ექსპორტისა და იმპორტის დაბეგერის სამმართველო (პასუხისმგებელია დღგ-ზე და მოხმარების გადასახადზე ექსპორტ-იმპორტის დროს), გადასახადების აკრეფისა და მართვის დეპარტამენტი (საგადასახადო პროპაგანდის განყოფილება, ანგარიშ-ფაქტურების შეესებისა და წარმოების განყოფილება, მარკეტინგის განყოფილება), საგადასახადო გამოძიებების სამმართველო

(ახორციელებს საგადასახადო სამართალდარღვევების გამოძიებას), საფინანსო დეპარტამენტი (საფინანსო განყოფილება, ინფრასტრუქტურის განყოფილება, მომარაგების განყოფილება), საგეგმო და სტატისტიკური სამმართველო (საგეგმო განყოფილება, სტატისტიკური განყოფილება და ეკონომიკური ანალიზის განყოფილება), კადრების სამმართველო (კადრების განყოფილება, კადრების მომზადებისა და გადამზადების განყოფილება), კონტროლის დეპარტამენტი (ზედამხედველობის განყოფილება, საჩივრების განხილვის განყოფილება). გარდა ამისა, დაბეგურის საკითხებით დაკავებულნი არიან მთელი რიგი არასახელმწიფო ინსტიტუტები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მათ მიეკუთვნება საგანმანათლებლო ცენტრი, მომსახურების ცენტრი, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი, საგადასახადო აგენტების მართვის ცენტრი, გადასახადების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, გადასახადებით დაბეგურის საკითხებზე არსებული ჟურნალები და გაზეთები, საგადასახადო მუშაკების მომზადების ცენტრი და საგადასახადო კოლეჯი.

საგადასახადო ადმინისტრაციები ტერიტორიულ და ადმინისტრაციულ დონეზე იყოფა ტერიტორიულ და ადგილობრივ საგადასახადო ინსპექციებად.

სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაციის ტერიტორიული ქვედანაყოფებია ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი დეპარტამენტები. ისინი წარმოადგენენ ფუნქციონალურ ორგანოებს, რომლებიც პასუხს აგებენ მათ იურისდიქციაში არსებული გადასახადების აკრეფაზე. ისინი ასევე პასუხს აგებენ საგადასახადო კანონებისა და მათი გამოყენებისათვის ინსტრუქციებისა და განმარტებების შემუშავებაზე. ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები ინიშნებიან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ. ტერიტორიული საგადასახადო ქვედანაყოფები იყოფა 12 განყოფილებად: საერთო განყოფილება, ბრუნვიდან გადასახადების განყოფილება, შოგებიდან გადასახადების განყოფილება, ფინანსებისა და დაგეგმარების განყოფილება, გადასახადების აკრეფის განყოფილება, კადრების განყოფილება, კონტროლის განყოფილება, საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო კანონმდებლობის განყოფილება. ტერიტორიულ საგადასახადო ინსპექციებში დამატებით

შეიძლება შეიქმნას საგადასახადო საგამოძიები ბიურო, გადასახადების აკრეფის ბიურო, უცხოური ინვესტიციების დაბეგერის ბიურო და/ან ექსპორტისა და იმპორტის საგადასახადო კონტროლის ბიურო.

ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციები ექვემდებარებიან როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, ასევე ზემდგომ საგადასახადო ინსპექციებს. ამასთან, ზემდგომი საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ ქვემდგომი საგადასახადო ორგანოების ვერტიკალურ ხელმძღვანელობას, კერძოდ: წყვეტენ საკადრო და ადმინისტრაციულ საკითხებს, განსაზღვრავენ ხარჯთაღრიცხვის ძირითად მაჩვენებლებს.

2000 წლისათვის ჩინეთის სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაციაში 992 ათასი თანამშრომელი მუშაობდა, საიდანაც 575 ათასი თანამშრომელი უშუალოდ სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაციაში, ხოლო 416 ათასი – თანამშრომელი ტერიტორიულ და ადგილობრივ საგადასახადო ინსპექციებში მუშაობდა.

§3. სინგაპურის საბაღასახადო სისტემა

მდებარეობა – სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია.

ტერიტორია – 647,5 კმ².

მოსახლეობა – 4,2 მილიონი.

დედაქალაქი – სინგაპური.

სახელმწიფო ენები – ჩინური, მალაური, ტამილური, ინგლისური.

ფულის ერთეული – სინგაპურული დოლარი.

მშპ (1999 წლის მონაცემებით) – 98 მილიარდი აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1999 წლის მონაცემებით) – 27 800 აშშ დოლარი.

სინგაპურის სახელმწიფო შემოსავლების ძირითად წყაროს საგადასახადო შემოსავლები წარმოადგენს. საგადასახადო შემოსავლები ქვეყნის საერთო შემოსავლების დაახლოებით 80%-ს შეადგენენ. შემოსავლების 20 პროცენტს ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემისათვის მოსაკრებლები, ჯარიმები, კონფისკაციები და სესხის პროცენტები შეადგენენ.

სინგაპურში მოქმედებს შემდეგი სახის გადასახადები: საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადი, მემკვიდრეობის გადასახადი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადასახადი, საქონლისა და მომსახურების გადასახადი, აქციზი, სათამაშო ბიზნესის გადასახადი, საგერბო მოსაკრებელი.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური პირები და კომპანიები. გადასახადით იბეგრება ფიზიკური პირებისა და კომპანიების მიერ მიღებული შემოსავალი.

ქონების გადასახადით იბეგრებიან ქონების მესაკუთრე იურიდიული და ფიზიკური პირები. გადასახადით დაბეგერის ობიექტია ქონების სავარაუდო საიჯარო ღირებულება.

მემკვიდრეობისათვის გადასახადით იბეგრებიან ფიზიკური პირები, რომლებიც მემკვიდრეობით იღებენ ქონებას. გადასახადით დაბეგერის ობიექტია გარდაცვლილი პირისაგან მიღებული ქონების ღირებულება, რომელიც აღემატება კანონით დადგენილ ზღვარს.

აქციზი ძირითადად დაწესებულია თამბაქოს ნაწარმზე, ნავთობპროდუქტებზე და სპირტიან სასმელებზე.

საქონლისა და მომსახურების გადასახადი წარმოადგენს დღეს-ნაირსახეობას. გადასახადით დაბეგერის ობიექტია საქონლის მიწოდება, სამუშაოების შესრულება და საქონლის იმპორტი.

სათამაშო ბიზნესის გადასახადის გადამხდელები არიან ლატარიების ორგანიზატორები, ტოტალიზატორებისა და სხვა სახის სათამაშო ბიზნესის მომწოდებელი პირები.

სინგაპურში გადასახადების ადმინისტრირებას ახორციელებს სინგაპურის საგადასახადო სამსახური, რომელიც 1992 წელს შეიქმნა. მისი ძირითადი ფუნქციაა გადასახადების სრული და თავისდროული აკრეფა.

სინგაპურის საგადასახადო სამსახურის ფუნქციების უზრუნველყოფას ძირითადად 12 სამმართველო და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები ახორციელებენ.

სინგაპურის საგადასახადო სამსახური შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან: გადამხდელთა მომსახურების სამმართველო, გადასახადების დამუშავების სამმართველო, კორპორაციული გადასახადების სამმართველო, იძულებითი მეთოდების სამმართველო, გადამხდელთა კონტროლის სამმართველო,

ტექნიკური მომსახურების სამმართველო, გამოძიების სამმართველო, პოლიტიკის დაგეგმვის და კელევის სამმართველო, საფინანსო და საკადრო რესურსების სამმართველო, იურიდიული სამმართველო, ქონების შეფასების სამმართველო, შიდა კონტროლის სამმართველო.

სამსახური უზრუნველყოფს თავის თანამშრომლთა უწყვეტ და ყოველმომცვლელ ტრენინგს და განათლებას, ზრუნავს მათ ფიზიკურ, ინტელექტუალურ და ემოციურ ჯანმრთელობაზე და სხვა.

სამსახურში სამეცნიერო ხარისხის მქონე დასაქმებული მუშაკების საწყისი ხელფასი 2059-დან 2780 სინგაპურულ დოლარამდე, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე მუშაკების საწყისი ხელფასი 1540-დან 1815 სინგაპურულ დოლარამდე მერყეობს.

თანამშრომლები გარანტირებულნი არიან ყოველწლიური შეგებულებით, უფასო სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურებით და მთელი რიგი სხვა სოციალური დაცვის გარანტიებით. თუ სამსახურის თანამშრომელს სურვილი აქვს განაახლოს თავისი საცხოვრებელი ადგილი ან შეიძინოს ავტომანქანა მას ეძლევა უპროცენტო სესხი.

სინგაპურის საგადასახადო სამსახური ახორციელებს გადამხდელთა მომსახურებას მათთვის დაინტერესებულ საკითხებზე. კვალიფიკაციიდან გამომდინარე, აღნიშნული მომსახურება ფასიანია და ღირებულება საათში 4,50-დან 6,50 სინგაპურულ დოლარამდე შეადგენს.

თავი VI აშშ-ისა და კანადის საბაღასახალო სისტემები

§ 1 აშშ-ის საბაღასახალო სისტემა

მდებარეობა – ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტი.

ტერიტორია – 9,4 მლნ კმ².

მოსახლეობა – 264 მილიონი.

დედაქალაქი – ვაშინგტონი.

სახელმწიფო ენა – ინგლისური.

ფულის ერთეული – ამერიკული დოლარი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა –
ფედერაციული რესპუბლიკა.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

მშპ (1999 წლის მონაცემებით) – 9,255 ტრილიონი აშშ დოლარი.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (1999 წლის მონაცემებით) – 33 900
აშშ დოლარი.

აშშ-ს საგადასახადო სისტემა ასახავს სახელმწიფო ხელისუფლების სამსაფეხურიან ორგანიზაციას და შედგება ფედერალური გადასახადებისაგან, შტატების გადასახადებისაგან და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გადასახადებისაგან (იხ. სქემა 8).

დაბუჯერის ამერიკული სისტემის განსაკუთრებულობას ძირითადი სახის გადასახადების პარალელური გამოყენება წარმოადგენს. მაგალითად, ფიზიკური პირები იხდიან სამი სახის საშემოსავლო გადასახადს (ფედერალურს, შტატების და ადგილობრივს), სამი სახის გადასახადს კორპორაციათა მოგებაზე (ფედერალურს, შტატების და ადგილობრივს), ორი სახის ქონების გადასახადს (შტატების და ადგილობრივს) და ა.შ.

ფედერალური გადასახადები	შტატების გადასახადები	ადგილობრივი გადასახადები
1. საშემოსულო გადასახადი	საშემოსულო გადასახადი	საშემოსულო გადასახადი
2. კორპორაციათა მოგების გადასახადი	კორპორაციათა მოგების გადასახადი	კორპორაციათა მოგების გადასახადი
3. გადასახადი სოციალურ დასაცავაზე	-	-
4. აქციზი	აქციზი	აქციზი
5. -	გაუფლებად გადასახადი	გაუფლებად გადასახადი
6. საბაჟო გადასახადი	-	-
7. გადასახადი შემკუდროებისა და რეკებისათვის	გადასახადი შემკუდროებისა და რეკებისათვის	გადასახადი შემკუდროებისა და რეკებისათვის
8. -	ქონების გადასახადი	ქონების გადასახადი
9. -	აეტოსატრანსპორტო საშუალებების მქონებელთა გადასახადი	აეტოსატრანსპორტო საშუალებების მქონებელთა გადასახადი
10. -	-	ეკოლოგიური გადასახადი

სქემა 8

აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტი პრაქტიკულად მთლიანად საგადასახადო შემოსავლების ხარჯზე ყალიბდება (იხ. სქემა 9).¹

აშშ ფედერალური ბიუჯეტის სტრუქტურა	%
ფიზიკურ პირთა საშემოსულო გადასახადი	41
ანარიცხები სოციალურ დასაცავაზე	34
გადასახადი კორპორაციათა მოგებაზე	10
აქციზური მოსაკრებლები	3
სხვა შემოსავლები მშ გადასახადები შემკუდროებაზე და რეკებაზე და სახელმწიფო ბაჟი	12
სულ	100

სქემა 9.

აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის ყველაზე მნიშვნელოვანი შემოსავლები მუხლს ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს. აღნიშნული გარკვეულწილად განპირობებულია გადამხდელთა რიცხოვნობის მუდმივი ზრდით. პირველ მსოფლიო ომამდე საშემოსავლო გადასახადს იხდიდა დაახლოებით 1 მლნ.-მდე ფიზიკური პირი, 1939 წელს – 5 მლნ.

¹ *Налоговые системы зарубежных стран. Учебное пособие / Под ред. В. Кузнецова, А. Черника. М.: 1965, с. 10.*

ფიზიკური პირი, ხოლო დღეისათვის იგი 100 მლნ. ფიზიკურ პირს აღემატება. საშემოსავლო გადასახადის დაბეგერის ობიექტს ერთობლივი შემოსავალი წარმოადგენს, რომელიც შედგება სხვადასხვა წყაროებიდან (ხელფასი, შემოსავლები სამეწარმეო საქმიანობიდან, შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან და ა.შ.) მიღებული შემოსავლებისაგან.

საშემოსავლო გადასახადს გააჩნია პროგრესული შკალა. მოქმედებს გადასახადით დაუბერავი შემოსავლების მინიმუმი და სამი საგადასახადო განაკვეთი. გადასახადით იბეგრება ან ცალკეული ფიზიკური პირი ან ოჯახი. უკანასკნელ შემთხვევაში ჯამდება ოჯახის წევრების მიერ წლის განმავლობაში მიღებული ყველა შემოსავალი (იხ. სქემა 10).

წლიური დასაბეგრი შემოსავალი (აშშ დოლარებში)	გადასახადის ოდენობა (დოლარებში)
I. ოჯახური წევლისათვის, რომლებიც ავსებენ ერთობლივ საგადასახადო დეკლარაციას.	
0-დან 29750-მდე 29751-დან 71900-მდე 71901-დან 149250-მდე 149251-ს ზევით	დასაბეგრი შემოსავლის 15%. 4462 50 + 29751-ის ზევით შემოსავლის 28%. 16264 50 + 71901-ის ზევით შემოსავლის 33%. დასაბეგრი შემოსავლის 28%
II. ოჯახის მარტოხელა უფროსისათვის	
0-დან 23900-მდე 23901-დან 61650-მდე 61651-დან 123790-მდე 123791-ს ზევით	დასაბეგრი შემოსავლის 15%. 3585 + 23901-ის ზევით შემოსავლის 28%. 14155 + 61651-ის ზევით შემოსავლის 33%. დასაბეგრი შემოსავლის 28%.
III. მარტოხელა გადასახადებისათვის.	
0-დან 17850-მდე 17851-დან 43150-მდე 43151-დან 89560-მდე 89561-ს ზევით	დასაბეგრი შემოსავლის 15%. 2677 50 + 17851-ის ზევით შემოსავლის 28%. 9761 50 + 43151-ის ზევით შემოსავლის 33%. დასაბეგრი შემოსავლის 28%

სქემა 10.

აღსანიშნავია, რომ 1986 წლამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებდა საშემოსავლო გადასახადის რთული სისტემა 14 განაკვეთით 11-დან 50%-მდე. 1986 წლის რეფორმის შედეგად 1987 წლიდან დასაბეგრი შემოსავლისა და გადასახადის გადაძიდების ოჯახური მდგომარეობიდან გამოძინარე შემოღებული იქნა ხუთი განაკვეთი: 11, 15, 28, 35 და 38,5%. დღეისათვის მოქმედი სისტემა შემოღებული იქნა 1988 წლიდან. შემოსავლების ინტერვალები შეიძლება დაზუსტდეს და შეიცვალოს ბიუჯეტის ფორმირებისას.

შემოსავლების დაუბეგრავი მინიმუმი ცვალებადია და მას გააჩნია ზრდის ტენდენცია. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში იგი 3 ათას დოლარს, ხოლო მეუღლეებისათვის, რომლებიც ავსებდნენ ერთობლივ დეკლარაციას – 5 ათას დოლარს შეადგენდა.

გადასახადის გამოანგარიშების მიზნით ერთმანეთს ემატება ფიზიკური პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ყველა სახის შემოსავალი: ხელფასი, შემოსავლები სამეწარმეო საქმიანობიდან, კერძო საპენსიო და სადაზღვეო ფონდების მიერ გაცემული პენსიები და დახმარებები, შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან და ა.შ. ქონების და ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები იბეგრება ან სპეციალური გადასახადით ან პირადი შემოსავლების შემადგენლობაში.

ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება მის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები, მ.შ. კაპიტალური აქტივების შეძენასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, საქველმოქმედო ფონდების შენატანები, რეგიონალური და ადგილობრივი გადასახადები, ალიმენტი, სამედიცინო მომსახურების ხარჯები (არა უმეტეს დასაბეგრი თანხის 15%-ისა), სესხის პროცენტები.

აშშ-ის ფედერალურ ბიუჯეტში შემოსავლების მოცულობის მიხედვით მეორე ადგილზეა გადასახადები სოციალური და ზღვევის ფონდებში. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით აშშ-ში საგადასახადო ტვირთი ამ გადასახადებიდან თითქმის თანაბარწილად აწევბა როგორც დამქირავებელს, ასევე დაქირავებულს¹ ამ გადასახადის განაკვეთი თავისუფალი პროფესიების მქონე პირებისათვის გაცილებით მაღალია, ვიდრე დაქირავებით მომუშავე პირებისათვის.

აშშ-ში მოქმედებს სოციალური დაზღვევის ორი სახელმწიფო სისტემა: ფედერალური საპენსიო სისტემა და უმუშევრობის ფედერალურ-საშტატო სადაზღვეო სისტემა. შენატანებს გააჩნიათ სავალდებულო ხასიათი. განაკვეთი იცვლება ბიუჯეტის ფორმირებისას. ამასთან, მას გააჩნია ზრდის ტენდენცია 1980 წელს კომბინირებული განაკვეთი დამქირავებლებისათვის და დაქირავებულებისათვის 12,3%-ს (იხდიდნენ ისინი 6,15%-იანი განაკვეთით), 1988 წელს – 15,02%-ს, XX საუკუნის 90-იან წლებში – ხელფასის ფონდის 15,3%-ს შეადგენდა. ამასთან, იბეგრება არა

¹ *Налоговые системы зарубежных стран Учебное пособие / Под ред. В. Князева, А. Черника. М.: 1995, გვ.11.*

ხელფასის მთლიანი ფონდი, არამედ მხოლოდ პირველი 50,1 ათ. დოლარი წელიწადში თითოეულ დასაქმებულზე გადაანგარიშებით.

შემოსავლების მიხედვით მესამე ადგილზეა კორპორაციათა მოგების გადასახადი. გადასახადის განაკვეთი უკანასკნელი ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში შემცირდა თითქმის ორჯერ (იხ. სქემა 11).

გადასახადო დასაბეგრი წლიური შემოსავალი (აშშ დოლარებში)	დაბეგრის განაკვეთი, %-ში	
	1986 წლის რეფორმამდე	შემოღებულია 1988 წლიდან
პირველი 25000	15	15
25001-50000	18	15
50001-75000	30	25
75001-100000	40	34
100000-ზე მეტი	46	34

სქემა 11.

მთელ რიგ დარგებში გამოიყენება დანადგარების დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმები.

კორპორაციათა მოგების გადასახადი ითვალისწინებს მნიშვნელოვან შეღავათებს. უპირველეს ყოვლისა წმინდა მოგებიდან გამოიქვითება შტატებისა და ადგილობრივი მოგების გადასახადის თანხები, კორპორაციათა საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანიების დივიდენდები, შენატანები საქველმოქმედო ფონდებში. შემდეგ გამოიყენება საგადასახადო შეღავათები დაჩქარებული ამორტიზაციის ფარგლებში, შეღავათები ინვესტიციებზე, სამეცნიერო-ტექნიკურ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე. მოქმედებს სხვა საგადასახადო შეღავათებიც.

განსაკუთრებულ შემთხვევებში კორპორაციები იხდიან ზემოგების გადასახადს. მაგალითად, ამგვარი გადასახადი გამოიყენებოდა ეიეტნამის ომის დროს. XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში შემოღებული იქნა გადასახადი ნაეთობპროდუქტებიდან მიღებულ ზემოგებაზე. დასაბეგრ ბაზას ფაქტობრივად რეალიზებული ნაეთობის ფასსა და მის საბაზისო ფასს შორის სხვაობა შეადგენდა.

აქციზისა და საბაჟო მოსაკრებლების შემოსავლების წილი საგადასახადო შემოსავლებში არც ისე მაღალია. ბიუჯეტში გადახდილი აქციზის თითქმის 90% მოდის ალკოჰოლიან სასმელებზე და თამბაქოს ნაწარმზე.

აქციით იბეგრება სხვადასხვა სახის საქონელი და მომსახურება, აგრეთვე ზოგიერთი სახის საქმიანობაც.

ფედერალური აქციზები დაწესებულია თამბაქოს ნაწარმზე და ალკოჰოლიან სასმელებზე, ბენზინზე, ნავთობზე, საიუველირო ნაწარმზე, ბეწვეულზე, საგზაო და საჰაერო გადაზიდვების მომსახურებაზე, ძვირფას ავტომობილებზე, პირად თვითმფრინავებზე. აქციზების ძირითად ნაწილს შტატები და ადგილობრივი ორგანოები კრეფენ.

აქციზის განაკვეთები დაწესებულია როგორც პროცენტებში საქონლისა და მომსახურების ფასიდან გამომდინარე, ასევე დოლარებში და ცენტებში საქონლის განსაზღვრული რაოდენობიდან, წონიდან ან მოცულობიდან გამომდინარე.

XX საუკუნის 90-იან წლებში მოქმედებდა ფედერალური აქციზის შემდეგი განაკვეთები: სპირტიან სასმელებზე – 12,50 დოლარი გალონზე; ლუდზე – 9 დოლარი ბარელზე; სიგარეტზე – ხარისხიდან გამომდინარე 8 დოლარი ან 16,8 დოლარი ათას ლერზე; ბენზინზე – 9 ცენტი გალონზე; თევზის დელიკატესებზე – 10% საცალო ფასზე; სატელეფონო მომსახურებაზე – 3% მომსახურების ღირებულებიდან გამომდინარე; სამგზაო ავიახაზებზე – 8% მომსახურების ღირებულებიდან გამომდინარე. ნავთობის მოქმედ საბადოებზე დადგენილია გადასახადის სამი განაკვეთი: 70, 60 და 30%-ის ოდენობით, ხოლო ახლად გახსნილ საბადოებზე განაკვეთი 15%-ს შეადგენს. გარდა აღნიშნულისა მოქმედებს უმნიშვნელო აქციზები ცეცხლსასროლ იარაღზე და ასანთზე.

საბაჟო მოსაკრებლების წილი ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლებში უმნიშვნელოა და იგი დაახლოებით 1,6%-ს შეადგენს. საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები დაწესებულია ან ცენტებში და დოლარებში საქონლის მოცულობიდან გამომდინარე ან პროცენტებში საქონლის ფასიდან გამომდინარე.

აშშ-ში *მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადის* გადამხდელი ვალდებულია შეავსოს სპეციალური საგადასახადო დეკლარაცია.

გადასახადს გააჩნია დაუბეგრავი მინიმუმი 10 ათასი დოლარის ოდენობით. უფრო ძვირი საჩუქარი ან მემკვიდრეობა იბეგრება პროგრესული შკალით 18-დან 50%-მდე. თუ მემკვიდრეობითა და

ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება აღემატება 2,5 მლნ. დოლარს, გადასახადის განაკვეთი 50%-ს შეადგენს. ამასთან, მხედველობაში მიიღება ჩათესაური ხარისხი.

ფედერალური საგადასახადო სისტემისაგან თავისი დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემა გააჩნია თითოეულ შტატს. შტატების საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა მკვეთრად განსხვავდება ფედერალური საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურისაგან (იხ. სქემა 12).

შტატების საგადასახადო შემოსავლები გადასახადების სახეების მიხედვით, %	
გაყიდვებიდან გადასახადი	32
ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი	30
კორპორაციათა მოცულების გადასახადი	7,9
აქციზი საწვავიდან	6,3
აქციზი თამბაქოს ნაწარმიდან	2
აქციზი ალკოჰოლიანი სასმელებიდან	1,6
ავტოსტრანსპორტო საშუალებების შესაკეთრეთა გადასახადი	3,5
ქირების გადასახადი	2
გადასახადი მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის	1

სქემა 12

როგორც ვხედავთ შტატების საგადასახადო შემოსავლებში გაყიდვიდან გადასახადს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. ეს დამატებული ღირებულების გადასახადის მსგავსი არაპირდაპირი მოხმარების გადასახადია. ამ გადასახადით დაბეგერის ობიექტს საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები წარმოადგენს. როგორც წესი, აღნიშნული გადასახადით არ იბეგრება სასურსათო საქონელი, გარდა რესტორნებისა. გაყიდვიდან გადასახადი აშშ-ის 44 შტატში მოქმედებს. ეს გადასახადი არ მოქმედებს, მაგალითად, ალიასკის, დელავერის, ნიუ-ჯერსის შტატებში.

დანარჩენ შტატებში გაყიდვიდან გადასახადის განაკვეთები 3-დან 7,5%-მდე მერყეობს. საშუალო განაკვეთი უმეტეს შტატში 3-4%-ის ფარგლებში მერყეობს. ყველაზე დაბალია იგი კოლორადოში და ვაიომინგში (3%). ალაბამაში, ლუიზიანაში, მინიგანში, ჯორჯიაში, აღმოსავლეთ დაკოტაში, აიოვაში გადასახადის განაკვეთი 8%-ს, ხოლო ნიუ-იორკში 8,25%-ს შეადგენს.

ცალკეულ შტატში, მაგალითად, კალიფორნიაში, დაწესებულია გადასახადი საქმიანი აქტივობისათვის, რომლის განაკვეთი 1,6%-ს შეადგენს.

აქციზი შინაარსობრივად თითქმის იგივეა, რაც გაყიდვიდან გადასახადი. აქციზი დაწესებულია ბენზინზე, თამბაქოს ნაწარმზე და ალკოჰოლიან სასმელებზე აქციზის განაკვეთები დამოკიდებულია საქონლის მოცულობაზე.

შტატების საშემოსავლო გადასახადი თავისი სტრუქტურით შეესაბამება ფედერალურ გადასახადს. ეს გადასახადი 44 შტატში მოქმედებს. საშემოსავლო გადასახადს იხდიან შტატის მაცხოვრებლები, აგრეთვე ის ფიზიკური პირები, რომლებიც შტატის ტერიტორიაზე იღებენ შემოსავლებს. მაგალითად, პირები, რომლებიც მუშაობენ, მაგრამ არ ცხოვრობენ ნიუ-იორკში აქ იხდიან გადასახადს ხელფასიდან მიღებულ შემოსავლებზე, ხოლო დანარჩენი შემოსავლებიდან გადასახადს იხდიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სხვადასხვა ადგილებში დადგენილია გადასახადის სხვადასხვა განაკვეთები და შეღავათები. უმეტეს შტატში გადასახადის განაკვეთი 5 ათ. დოლარამდე დასაბევრ შემოსავალზე არ აღემატება 1-4%-ს, ხოლო მაქსიმალური განაკვეთი 3-დან 11%-მდე მერყეობს.

აღნიშნული გადასახადი არ მოქმედებს ვაიომინგის, ნევადის, ტეხასის, ფლორიდის, სამხრეთ დაკოტას შტატებში და კოლუმბიის ოლქში.

კორპორაციათა მოგების გადასახადი 40 შტატში მოქმედებს. ამ გადასახადის საგადასახადო ბაზა ძირითადად განისაზღვრება კორპორაციათა მოგების ფედერალური გადასახადის ანალოგიურად. აღნიშნული გადასახადი უზრუნველყოფს შტატების საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 8%-ს გადასახადის განაკვეთი, როგორც წესი, სტაბილურია.

განსაკუთრებით მაღალია აღნიშნული გადასახადი აიოვას (12%), კონექტიკუტის (11,5) შტატებში, აგრეთვე კოლუმბიის ოლქში (10,25%). ყველაზე დაბალი გადასახადებია იუტასა (5%) და მისისიპის (3-დან 5%-მდე) შტატებში.

შტატს უფლება აქვს აკრიფოს გადასახადი კორპორაციათა შემოსავლებიდან იმ შემთხვევაშიც, როდესაც კორპორაციას მის ტერიტორიაზე გააჩნია შენობა-ნაგებობები ან კორპორაციის მუშაკები საქმიანობენ აღნიშნული შტატის ტერიტორიაზე.

მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადი თავისი სტრუქტურით შეესაბამება ანალოგიურ ფედერალურ გადასახადს,

მაგრამ მისი განაკვეთი გაცილებით დაბალია.

ბევრ შტატში შემოღებულია ქონებრივი გადასახადები, თუმცა მათი წილი საგადასახადო შემოსავლებში 3%-ზე ნაკლებია.

ცალკეულ შტატში დაწესებულია შენატანები სოციალურ დაზღვევაზე, სხვადასხვა სალიცენზიო და სარეგისტრაციო მოსაკრებლებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალებათა ფლობისა და მართვის უფლებასთან.

აშშ-ში დაახლოებით 80 ათასი ადმინისტრაციული ერთეულია, სადაც ფედერალური და შტატების გადასახადების გარდა ადგილობრივი გადასახადებიც მოქმედებს. აშშ-ში ადგილობრივი გადასახადები დამოუკიდებელ როლს თამაშობს და რუსეთის, გერმანიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის საფუძველს. მიუხედავად ამისა დიდ ქალაქებს სამთავრობო სუბსიდიების გარეშე არ შეუძლიათ არსებობა. ქვაშინგტონს, შეუძლია დაფაროს თავისი ხარჯების მხოლოდ 84%-ი, რაც 3 მლრდ. დოლარს შეადგენს. დანარჩენ 16%-ს ფედერალური სუბსიდია შეადგენს. ნიუ-იორკის სუბსიდია ქალაქის ბიუჯეტის 32%-ია.

სუბსიდიების, სუბვენციებისა და დოტაციების მეშვეობით ფედერალურ მთავრობას შეუძლია აქტიური სუგავლენა მოახდინოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

გაყიდვიდან გადასახადის წილი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შემოსავლებში დაახლოებით 30%-ს შეადგენს. გადასახადის განაკვეთი მერყეობს და უმეტეს შტატში 3-4%-ს შეადგენს.

ადგილობრივი გადასახადების რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე საშემოსავლო გადასახადი, კორპორაციათა მოგების გადასახადი, აქციონი, გადასახადი მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის, ქონების გადასახადი და ეკოლოგიური გადასახადები, რომლებიც მიმართულია ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოებისა და დაცვისათვის. ექსპერტთა აზრით შემოსავლები ეკოლოგიური გადასახადებიდან დროთა განმავლობაში გაიზრდება.

ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადის მინიმალური განაკვეთები საშუალოდ 2-4%-ს შეადგენს, მაქსიმალური განაკვეთები 10-12%-ს, ხოლო საშუალო განაკვეთი მერყეობს 6-7%-ის ფარგლებში.

კორპორაციათა მოგების გადასახადი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საერთო საგადასახადო შემოსავლების 8%-ს უზრუნველყოფს. გადასახადის განაკვეთები მერყეობს 2,35%-დან 11,5%-მდე, საშუალო განაკვეთი 6%-ს შეადგენს.

მემკვიდრეობისათვის გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია ნათესაური კავშირიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეებად გამოდიან მეუღლეები, შეილები ან მშობლები, გადასახადის განაკვეთი მერყეობს 1-დან 16%-მდე ფარგლებში, ხოლო როდესაც მემკვიდრეები არ წარმოადგენენ ნათესაებს, გადასახადის განაკვეთი მერყეობს 3-დან 30%-მდე ფარგლებში.

ქონების გადასახადი ადგილობრივი საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 30%-ს შეადგენს. ნიუ-იორკში აღნიშნული გადასახადი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების 40%-ს უზრუნველყოფს. მისი აკრეფა წარმოებს დაახლოებით 900 ათასი შენობისა და ნაგებობის მფლობელიდან. ამასთან, კომერციული და სხვა საკუთრება იბეგრება გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთებით. ბინის მესაკუთრე იხდის ნაკლებს, ვიდრე გამჭირავებელი ან საწარმოს ძირითადი ფონდების მესაკუთრე. ქონების მოიჯარე არ იხდის ქონების გადასახადს.

ქონება, რომელიც იბეგრება გადასახადით, იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- უძრავი ქონება (მიწა, შენობები, ნაგებობები);
- პირადი რეალური (მატერიალური) ქონება:
 - აქტივები, რომლებიც გამოიყენება მოგების მისაღებად (მოწყობილობები, მანქანები, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, მოსაეალი, საქონელი და სხვა);
 - ხანგრძლივი სარგებლობის საქონელი: ავტომობილები, მაცივრები, ტელევიზორები და სხვა.
- არამატერიალური აქტივები (აქციები, სასესხო ვალდებულებები და ფული);
- კომუნალური და სხვა საწარმოების ობიექტები და დანადგარები, რკინიგზის ობიექტები.

ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება:

- სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა

- და თვითმმართველობის ორგანოების უძრავი ქონება;
- საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და რელიგიური დაწესებულებების ქონება, თუ ისინი არ გამოიყენება კომერციული მიზნებისათვის; შრომითი კავშირების, ფერმერული გაერთიანებებისა და ვეტერანთა გაერთიანებების ქონება;
 - ოთხ შტატში პირადი ქონება განთავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან;
 - ოცდათექვსმეტ შტატში განთავისუფლებულია გადასახადისაგან არამატერიალური აქტივები (აქციები, სასესხო ვალდებულებები, ფული).

დასაბეგრ საკუთრებაში შედის მიწა და შენობა-ნაგებობები. მესაკუთრე ოთხ წელიწადში ერთხელ იღებს შეტყობინებას მისი საკუთრების დაზუსტებული ფასის შესახებ.

კორპორაციები გადასახადს იხდიან წელიწადში ოთხჯერ სააგანსო შენატანების სახით. დადგენილ ვადებში გადასახადის გადაუხდელობის ან დეკლარაციის წარუდგენლობის შემთხვევაში გადამხდელს ეკისრება ფინანსური ხასიათის ჯარიმა. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გაასაჩივროს იგი შემოსავლების სამსახურის სპეციალურ ქვედანაყოფში ან საგადასახადო სასამართლოში. კრიმინალური ხასიათის დარღვევის შემთხვევაში შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს დაიწყოს სასამართლო განხილვა.

ინდივიდუალურ მეწარმეს შეუძლია გადასახადის გამოანგარიშება დაავალოს შემოსავლების სამსახურს, რომელიც გამოიანგარიშებს გადასახადს და შეტყობინებას გაუგზავნის მას.

ადგილობრივი აქციზი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საგადასახადო შემოსავლების 3%-ს შეადგენს. აქციზით იბეგრება თამბაქოს ნაწარმი, ბენზინი, ზოგიერთ შტატში ავტომობილები და სხვა საქონელი.

სხვადასხვა შტატში აქციზი ბენზინზე დიფერენცირებულია და გაღონზე 7-დან 18 ცენტამდე შეადგენს. ალკოჰოლიან სასმელებზე განაკვეთი დიფერენცირებულია სასმელის სიმაგრიდან გამომდინარე.

აქციზის ნაირსახეობას გადასახადები მინერალურ რესურსებზე, ნავთზე, ბუნებრივ გაზსა და ქვანახშირზე წარმოადგენენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახადების გადახდაზე კონტროლს ახორციელებს საგადასახადო სამსახური, რომელიც შედის აშშ-ს ხაზინის სისტემაში. აღნიშნული სამსახური XIX საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა.

აშშ-ის საგადასახადო სამსახურში მუშაობს 100 ათას თანამშრომელზე მეტი. სამსახურის ბიუჯეტი 9,4 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს, რომელიც ყოველწლიურად 2 ტრლნ. აშშ დოლარზე მეტ თანხას კრფს.

2000 წელს სამსახურმა დახმარება გაუწია 100 მილიონზე მეტ გადამხდელს უფასო სატელეფონო ხაზის, წერილების და უშუალო კონსულტაციების საფუძველზე.

ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო სამსახური შედგება ოთხი მთავარი სამმართველოსაგან, რომლებიც ფუნქციონირებენ გადამხდელთა ტიპების მიხედვით.

ხელფასებისა და ინვესტიციების სამმართველო ემსახურება 122 მილიონ გადასახადის გადამხდელს, რომლებიც ყოველწლიურად ადგენენ 94 მილიონ პირად და ერთობლივ საგადასახადო დეკლარაციებს.

ხელფასების და ინვესტიციების სამმართველო ახორციელებს გადამხდელთა განათლებას და დახმარებას საგადასახადო ვალდებულებების შესრულების საკითხებთან დაკავშირებით. სამსახური უზრუნველყოფს აღნიშნულ მომსახურებას მაღალკვალიფიციურად, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპის საფუძველზე. სამმართველოს მთავარი ოფისი ქ. ატლანტაში მდებარეობს.

მცირე ბიზნესისა და ინდივიდუალური ბიზნესით დასაქმებული პირების სამმართველო ემსახურება დაახლოებით 45 მილიონ გადასახადის გადამხდელს. მისი ძირითადი ფუნქციებია გადამხდელთა დახმარება და კომუნიკაციები, გადამხდელთა დეკლარაციების დამუშავება და გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა.

მსხვილი და საშუალო ზომის ბიზნესის სამმართველო ემსახურება იმ გადასახადის გადამხდელებს, რომელთა აქტივებიც 10 მილიონ დოლარს აღემატება.

გადასახადისაგან განთავისუფლებული გადამხდელების და სახელმწიფო ორგანიზაციების სამმართველო ემსახურება გადასახადისაგან განთავისუფლებულ ორგანიზაციებს, მ.შ. არაკომერციულ საქველმოქმედო ორგანიზაციებს და სახელმწიფო ორგანიზაციებს. გადასახადებისაგან განთავისუფლებული და სახელმწიფო ორგანიზაციების სამმართველო ემსახურება 3 მილიონ გადასახადის გადამხდელს, რომლებსაც მიეკუთვნებიან ადგილობრივი სამოქალაქო სამსახურები, მუნიციპალიტეტები, უნივერსიტეტები და ა.შ.

საგადასახადო სამსახურის სხვა სტრუქტურულ ორგანოებს მიეკუთვნება: კრიმინალური გამოძიების სამმართველო, საჩივრების განხილვის სამმართველო, მთავარი საბჭო და კომუნიკაციების და კაეშირების სამსახური.

1998 წლიდან აშშ-ის საგადასახადო სამსახურის შიგნით დაარსებული იქნა გადამხდელთა დაცვის სამსახური. გადამხდელთა დაცვის სამსახურის ამოცანაა დახმარება გაუწიოს გადასახადის გადამხდელებს იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც არ არის გადაჭრილი დადგენილი წესების დაცვით. ყველა შტატს გააჩნია გადამხდელთა დაცვის ადგილობრივი სამსახურები, რომლებიც პირდაპირ არიან ანგარიშვალდებული გადამხდელთა დაცვის ეროვნულ სამსახურთან.

საჩივრების განხილვის სამმართველოს ფუნქციაა სასამართლო პროცესის გარეშე გადაწყვიტოს საგადასახადო დავები სამართლიანობისა და მიეკერძოებლობის პრინციპების საფუძველზე. ამასთან, განხილული საჩივრების შედეგებმა უნდა წაახალისონ გადამხდელი ნებაყოფლობით შეასრულოს საგადასახადო ვალდებულება და უზრუნველყონ საზოგადოების დარწმუნება სამსახურის პატიოსნებაში და ეფექტურობაში.

სამსახურის პრიორიტეტებია: უზრუნველყოს თითოეული გადასახადის გადამხდელის პრეტენზიის განხილვა დროული ადმინისტრაციული პროცესით, შეამციროს საჩივრების განხილვის პროცესის ხანგრძლივობა, გაათვითცნობიეროს გადამხდელები გასაჩივრების უფლებისა და პროცესების შესახებ, აგრეთვე დაარწმუნოს გადამხდელები საგადასახადო სისტემის სამართლიანობაში.

სამსახურის ძირითადი ოფისი მდებარეობს ქ. ვაშინგტონში.

საჩივრების პროცესთან დაკავშირებული შეკითხვებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სატელეფონო ხაზი. სისტემა ავტომატურად დააკავშირებს გადასახადის გადამხდელს საჩივრების განხილვის ოფისთან.

საჩივრების განხილვის სამმართველო ფუნქციონირებს 75 წლის განმავლობაში. იგი დაარსდა 1927 წლის 1 აგვისტოს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა და დასახელება წლების განმავლობაში იცვლებოდა საჩივრების განხილვის სამსახურის მისია – დააჩქაროს საგადასახადო დავების გადაწყვეტა სასამართლო განხილვის გარეშე – იგივე რჩება.

საჩივრების განხილვის სამმართველოს თანამშრომლები ამჟამად თავიანთი როლით საგადასახადო ადმინისტრაციის სისტემაში. საჩივრების განხილვის სამმართველოს საშტატო რიცხოვნება 1900 თანამშრომელს აღემატება, ხოლო საქმეების რაოდენობა ყოველწლიურად – 55000-ს. საჩივრების განხილვის პროცესში სამმართველო აღწევს შეთანხმებას გადასახადის გადამხდელებთან განსახილველი საქმეების 85 პროცენტ შემთხვევაში.

დღეისათვის მოქმედებს საჩივრების განხილვის ცენტრალური ოფისი ორი სტრუქტურული ქვედანაყოფით – მსხვილ გადამხდელთა საჩივრების განხილვის ქვედანაყოფი და მცირე საწარმოებისა და ინდივიდუალური მეწარმეების საჩივრების განხილვის ქვედანაყოფი.

ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო სამსახურის მთავარი საბჭოს ოფისი მდებარეობს ქ. ვაშინგტონში. მთავარი საბჭო ინიშნება აშშ-ის სენატის თანხმობით. მთავარი საბჭო უზრუნველყოფს იურიდიულ ხელმძღვანელობას და აძლევს რჩევებს აშშ-ის საგადასახადო სამსახურს, ხაზინას და გადასახადის გადამხდელებს.

მთავარი საბჭო უზრუნველყოფს საგადასახადო სამსახურის კავშირს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებთან, ეხმარება გადამხდელებს თავიანთი საგადასახადო ვალდებულებების ცოდნაში და შესრულებაში.

საგადასახადო სამსახურის კრიმინალური გამოძიების სამმართველო ემსახურება ამერიკის საზოგადოებას საგადასახადო კოდექსისა და მასთან დაკავშირებული ფინანსური კანონების

დამრღვევ პირთა გამოვლენაში და კრიმინალური დანაშაულის შემთხვევაში ახორციელებს საქმის გამოძიებას. სამსახურის საქმიანობა ხელს უწყობს საგადასახადო სისტემისადმი და საგადასახადო ვალდებულების შესრულებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებას.

სამმართველოს მთავარი ოფისის ადგილსამყოფელია ქ. ვაშინგტონი, ხოლო ადგილობრივი ოფისები განლაგებულია ქალაქებში: ატლანტა, ბალტიმორი, ჩიკაგო, დალასი, ფილადელფია, ლაგუნა და ნიგუელი.

კრიმინალური გამოძიების სამმართველო თანამშრომლობს აშშ-ის პროკურატურის ორგანოებთან, იუსტიციის დეპარტამენტთან და ყველა სამართალდამცავ სამსახურთან.

კრიმინალური გამოძიების სამმართველო საგადასახადო დანაშაულთან დაკავშირებულ სამართალდამცავ სტრუქტურას წარმოადგენს. კრიმინალური გამოძიების სამმართველო მუშაობს არალეგალურად მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის საქმეებზე, აგრეთვე ნარკოტიკებთან დაკავშირებული ფინანსური დანაშაულებების საკითხებზე.

კრიმინალური გამოძიების სამმართველო ახორციელებს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის საქმეებზე, არალეგალური ბიზნესიდან მიღებული შემოსავლების საქმეებზე და ნარკოტიკებთან დაკავშირებული შემოსავლების საქმეებზე საგამოძიებო მოქმედებებს.

§ 2 კანადის საგადასახადო სისტემა

მდებარეობა – ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტი.

ტერიტორია – 9976 ათასი კმ².

მოსახლეობა – 26 მილიონი.

დედაქალაქი – ოტავა.

სახელმწიფო ენა – ინგლისური და ფრანგული.

ფულის ერთეული – კანადური დოლარი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა – ფედერაციული სახელმწიფო.

მართვა-გამგეობის ფორმა – საპარლამენტო მონარქია.

ისევე როგორც აშშ-ში კანადას გააჩნია სამსაფეხურიანი დეცენტრალიზირებული საგადასახადო სისტემა. კანადაში მოქმედებს ფედერალური საგადასახადო სისტემა, პროვინციების საგადასახადო სისტემები და მუნიციპალიტეტების საგადასახადო სისტემები. შესაბამისად კანადის ყველა გადამხდელი იხდის ფედერალურ, პროვინციულ და მუნიციპალურ გადასახადებს.

კანადის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა გააჩნიათ პროვინციებს. განსაკუთრებით ეს შეეხება ისეთ დარგებს, როგორცაა ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დაზღვევა. შედეგად სახელმწიფო შემოსავლებში პროვინციული გადასახადების შემოსავლები უთანაბრდება ფედერალურ დონეს. სურათი დაახლოებით ასეთია: ფედერალური გადასახადები უზრუნველყოფს შემოსავლების 48%-ს, რეგიონალური (პროვინციების) გადასახადები – 42%-ს, ხოლო ადგილობრივი გადასახადები – 10%-ს.

საგადასახადო სისტემის ეფექტურობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ სხვადასხვა დონის სახელმწიფო ორგანოების დამოუკიდებლობის მიუხედავად ფედერალური მთავრობის, პროვინციებისა და მუნიციპალიტეტების საგადასახადო სისტემები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია, რაც აძლევს საგადასახადო სისტემას კომპლექსურ და ერთიან ხასიათს.

ისევე როგორც აშშ-ში ფედერალური ბიუჯეტის ძირითად საშემოსავლო წყაროს ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს. მნიშვნელოვანი თანხები მოაქვთ: კორპორაციათა მოგების გადასახადს, აქციზს, საბაჟო

გადასახადს, დამატებული ღირებულების გადასახადს, ანარიცხებს სოციალური დაზღვევის ფონდებში.

პროვინციებში თავის მხრივ დაწესებულია მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადი, კორპორაციათა მოგების გადასახადი, გაყიდვიდან გადასახადი, აქციზი, შენატანები სოციალური დაზღვევის ფონდებში. გარდა ამისა, რეგიონალურ ბიუჯეტებში ირიცხება: მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადი, სარენტო შენატანები.

მუნიციპალიტეტების შემოსავლების საფუძველს უძრავი ქონების გადასახადი და სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადი წარმოადგენს.

განვიხილოთ ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი. თუ ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავლიდან გამოვკვეთთ ამ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მივიღებთ გადასახადით დაბეგვრის ობიექტს. შემოსავალში იგულისხმება დარიცხული და არა ფაქტიურად მიღებული თანხები.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებისას წარმოებს შემოსავლების კლასიფიკაცია ექვს კოზიციად:

- ხელფასი;
- შემოსავლები სამეწარმეო საქმიანობიდან;
- იჯარით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები;
- შემოსავლები ინვესტიციებიდან: დივიდენდები, პროცენტები;
- კაპიტალის ზრდა;
- სხვა შემოსავლები, მ.შ. პენსიები, დოტაციები და სხვა.

შემოსავლიდან გამოიქვითება შენატანები საპენსიო ფონდებში; პროფკავშირების შენატანები და საწევრო შენატანები ასოციაციებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში; ბავშვების შენახვაზე გაწეული ხარჯები; ინვესტიციებთან დაკავშირებული ხარჯები; სესხებზე გადახდილი პროცენტები; წინა წლებში მიღებული ზარალი.

გადასახადით იბეგრებიან პირები, რომლებიც ცხოვრობენ კანადაში, მუშაობენ კანადაში, ახორციელებენ ბიზნესს კანადაში, განკარგავენ საკუთრებას კანადაში.

პირები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ცხოვრობენ ქვეყანაში, ექვემდებარებიან დაბეგვრას ერთობლივ შემოსავალზე

(მ.შ. საზღვარგარეთ მიღებულზე). არარეზიდენტები იბეგრებიან მხოლოდ კანადაში მიღებული შემოსავლებიდან.

დასაბეგრი შემოსავლების საფუძველზე გამოიანგარიშება საშემოსავლო გადასახადი, რომლის ფედერალური განაკვეთები შემდეგნაირად გამოიყურება:

დასაბეგრი შემოსავალი	მაქსიმალური განაკვეთი
0 - 27500	17%
27500 - 55000	26%
55000 და მეტი	29%

უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წლის რეფორმამდე კანადაში მოქმედებდა ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის 10 განაკვეთი.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი უოველწლიურად საფინანსო ორგანოებში წარადგენენ დეკლარაციას, სადაც მითითებულია შემოსავლის ოდენობა და მათ მიერ გამოანგარიშებული გადასახადის თანხა.

კორპორაციათა მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების წილი ფედერალური და პროვინციების ბიუჯეტების საერთო შემოსავლებში შედარებით მცირეა და ისინი ფედერალური ბიუჯეტის დაახლოებით 10%-ს, ხოლო პროვინციების ბიუჯეტების 4%-ს შეადგენს.

კორპორაციათა შოგება (შემოსავალი) იბეგრება როგორც ფედერალურ, ასევე პროვინციების დონეზე. გადასახადის განაკვეთები დასაბეგრ მოგებაზე შეადგენს:

დონე	მსხვილი ბიზნესი	მცირე ბიზნესი
ფედერალური	28	12
პროვინციული	15	10
სულ	43	22

როგორც ვხედავთ მცირე ბიზნესის საწარმოები იბეგრებიან დაბალი განაკვეთებით. კანადაში მცირე ბიზნესის საწარმოებს მიეკუთვნებიან საწარმოები, რომლებშიც დასაქმებულთა რიცხვი არ აღემატება 100 მუშაკს, ხოლო შემოსავლები 200 ათ. დოლარს წელიწადში. ფედერალური განაკვეთები ერთნაირია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო პროვინციული განაკვეთები შეიძლება განსხვავდებოდეს პროვინციების საკანონმდებლო კრებების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე. გადამამუშავებელი მრეწვე-

ლობის მთელი რიგი დარგებისათვის დადგენილია საგადასახადო განაკვეთი 23%-ის ოდენობით, ნაცვლად 28%-ისა.

საგადასახადო შედეგებით სტიმულირდება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საშუალებები, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ახალი საბადოების ათვისება. ფართოდ გამოიყენება ძირითადი საწარმოო ფონდების დანქარებული ამორტიზაცია.

მუნიციპალიტეტებს არა აქვთ უფლება შემოიღონ კორპორაციათა მოგების გადასახადი.

არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება გაყიდვიდან გადასახადი და დამატებული ღირებულების გადასახადი.

დამატებული ღირებულების გადასახადი კანადაში 1991 წელს იქნა შემოღებული. დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი 7%-ს შეადგენს. გადასახადისაგან თავისუფლება საფოსტო მომსახურება, სტომატოლოგიური მომსახურება, საქველმოქმედო საქმიანობა, განათლება, კულტურა, დაზღვევა და გადაზღვევა, საფინანსო მომსახურება, ბაჭყალის მოვლა, იურიდიული დახმარება, გადაზიდვები, მუნიციპალური მომსახურება.

კანადაში მოქმედებს დამატებული ღირებულების გადასახადის ნულოვანი განაკვეთიც, რომლითაც იბეგრება სამედიცინო მომსახურება, ძირითადი სასურსათო საქონელი, სოფლის მეურნეობის პროდუქცია, საერთაშორისო ტურიზმისა და გადაზიდვების მომსახურება.

ადგილობრივი გადასახადებიდან ყველაზე მნიშვნელოვან გადასახადს *უძრავი ქონების გადასახადი* წარმოადგენს. დასაბეგრი საკუთრების შეფასებას ახორციელებენ პროვინციები. გადასახადით იბეგრება მიწა და შენობები. დანადგარები გადასახადით არ იბეგრება. შეფასებისას მხედველობაში მიიღება სამი ფაქტორი: აღნიშნული ობიექტის შესაქმნელად გაწეული ხარჯები; შემოსავალი, რომელიც მას რეალურად მოაქვს მფლობელისათვის; საბაზრო ღირებულება შეფასების მომენტში. უძრავი ქონების გადასახადის განაკვეთი საკუთრების ღირებულების 0,5-1,0%-ს შეადგენს. განაკვეთი მკვეთრად იზრდება, თუ უძრავი ქონება გამოიყენება განსაზღვრული სახეობის საქმიანობისათვის. მაგალითად, გადასახადი სილამაზის სალონებისათვის დადგენილია შენობის ღირებულების 30%-ის

ოდენობით, გადასახადი სააღვოკატო კანტორებისა და სამკურნალო დაწესებულებისათვის – 50%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ შენობა გამოიყენება ალკოჰოლური პროდუქციის საწარმოებლად, უძრავი ქონების გადასახადი შენობის ღირებულების 140%-ს შეადგენს სამთავრობო და პროვინციული შენობები და ნაგებობები თავისუფლდება უძრავი ქონების გადასახადისაგან.

განვიხილოთ კანადის მსხვილი ქალაქის (ქოტავას მაგალითზე) ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში (იხ. სქემა 13).

ქ. ოქტავას შემოსავლები ¹	შემოსავლების მუხლები %
უძრავი ქონების გადასახადი	29
სალიცენზიო მოსაკრებლები, სარემონტო შენატანები, მომსახურების გადასახადები	25
დოტაციაები და სუბვენციები	10
ცენტრალური მთავრობისა და პროვინციების შენატანები უძრავი ქონების გადასახადის სანაცვლოდ	36
სულ :	100

სქემა 13.

ეხლა კი ვნახოთ, როგორ იხარჯება ბიუჯეტი (იხ. სქემა 14)

ქ. ოქტავას ხარჯები	ხარჯების მუხლები %
პოლიციისა და სახანძრო სამსახურის შენ-ხეისათვის	37
საზოგადოებრივი ტრანსპორტის დოტაცია	17
კულტურისა და დასვენების დაწესებულებების შენახვისათვის	17
ჯანმრთელობის დაცვისა და მოსახლეობის სოციალური დახმარებისათვის	1
გეოლოგიური ღონისძიებების განხორციელებისათვის	5
მოსახლეობის უკეთეს მომსახურების დაფინანსებისათვის სხვა ხარჯები	6
სულ :	100

სქემა 14

კანადის ფედერალური მთავრობა ახორციელებს ცხოვრების სოციალური დონის გათანაბრების პირობებს. ამ მიზნით ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით საგადასახადო შენატანები ნაწილდება პროვინციებს შორის. კრიტერიუმებს წარმოადგენენ პროვინციების

¹ Мешерякова О. Налоговые системы развитых стран мира. Справочник М., 1995, გვ. 205.

საგადასახადო ბაზის პოტენციური შესაძლებლობები და შემოსავლების საშუალო დონე ერთ სულ მოსახლეზე. კანადაში ხორციელდება ისეთი ერთობლივი ფედერალურ-პროვინციული პროგრამები, როგორებიცაა უმუშევრობის ლიკვიდაცია, კულტურისა და განათლების განვითარება, ჯანდაცვის განვითარება, ინფრასტრუქტურის შექმნა და ა.შ.

კანადის საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ როგორც საგადასახადო დეკლარაციებისა და საწარმოთა საბუღალტრო წიგნების კამერალურ შემოწმებებს, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა გასვლით რევიზია-შემოწმებებს. თუ გადასახადის გადამხდელი არ ეთანხმება საგადასახადო ორგანოს, მტკიცების ტვირთი აწეება მას. გადასახადის გადამხდელს შეუძლია მიმართოს აპელაციით შემოსავლების სამსახურს, საგადასახადო სასამართლოს, ხოლო შემდგომ ფედერალურ სასამართლოსა და კანადის უზენაეს სასამართლოს. სასამართლო გადაწყვეტილებები ბუნდოვან საკითხებზე, როგორც წესი, ფუჭდება პრეცედენტებს. გადასახადის არათავისდროული გადახდის ან გადასახადისაგან თავის არიდების შემთხვევაში გადამხდელს ეკისრება ფინანსური სანქციები. ცალკეულ შემთხვევებში მათ მიმართ შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

1999 წლის 1 ნოემბრიდან კანადის შემოსავლების სამსახური გარდაიქმნა კანადის საბაჟო და შემოსავლების სააგენტოდ.

კანადის საბაჟო და შემოსავლების სააგენტოს ღირებულებებს პატიოსნება, პროფესიონალიზმი და გადასახადის გადამხდელთან თანამშრომლობა წარმოადგენს.

კანადის საბაჟო და შემოსავლების სააგენტოს სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია მენეჯმენტის საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. მენეჯმენტის საბჭო შედგება 15 წევრისაგან, საიდანაც 11 წარმოდგენილია პროვინციებიდან და სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებიდან. საბჭო პასუხისმგებელია კანადის საბაჟო მოსაკრებლებისა და შემოსავლების სააგენტოს ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ზედამხედველობაზე. საბჭოსათვის არ არის ხელმისაწვდომი გადასახადის გადამხდელთა შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია.

კანადის საბაჟო მოსაკრებლებისა და შემოსავლების სააგენტოში მიღებული ახალი თანამშრომლები მიღებისთანავე გადიან კვალიფიკაციის ამღლების კურსებს, აგრეთვე ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ ტესტირებას. საჯარო მოხელეები უზრუნველყოფილნი არიან მაღალი ანაზღაურებითა და სოციალური დაცვის გარანტიებით.

კანადის საბაჟო და შემოსავლების სააგენტოს თითოეული აუდიტორი უზრუნველყოფილია პროგრამული პორტატული კომპიუტერით, რომელსაც შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მონაცემთა ბაზებიდან, აგრეთვე ცნობარები, მეთოდური და ნორმატიული დოკუმენტები.

შექმნილია გადასახადის გადამხდელების შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც გამოიყენება საგადასახადო სამართალდარღვევების გამოსაველენად.

გადასახადის გადამხდელების საქმიანობისა და გადასახადების სრულად გადახდაზე შემოწმების ჩატარებისას გადამხდელის ცხოვრების პირობები უდარდება მის რეალურ შემოსავლებს და გადახდილი გადასახადების თანხას სპეციალურად შემუშავებული მეთოდების საფუძველზე.

გადასახადის გადამხდელებს უფლება აქვთ კანადის საბაჟო და შემოსავლების სააგენტოში დეკლარაციები და ანგარიშების ფორმები წარადგინონ ელექტრონული სახით.

მსხვილი კომპანიებისა და კორპორაციების, მათი ფილიალების, დამოკიდებული კომპანიების შემოწმება წარმოებს კანადის მთელ ტერიტორიაზე ერთდროულად და ცენტრთან კოორდინაციით.

კანადის საბაჟო და შემოსავლების სააგენტოსთან შექმნილია და ფუნქციონირებს საგამოძიებო სამმართველო, რომელიც ახორციელებს საგადასახადო სამართალდარღვევების გამოძიებას, მტკიცებულებების, მოწმეების შეგროვებას, საქმის ფორმირებას სასამართლოში წარგზავნის მიზნით.

კანადის საბაჟო და შემოსავლების სააგენტოსთან შექმნილია კრიმინალისტიკური ლაბორატორია, რომელიც იკვლევს დაბეგერის ფარგლებს გარეთ დარჩენილ კანადაში უკანონოდ წარმოებულ საქონელს, იძლევა დასკვნებს და გამოდის სასამართლოში ექსპერტის სახით აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

შექმნილია სპეციალური სასამართლო სისტემა საგადასახადო სასამართლოს სახით.

ფართოდაა გაერცელებული გადასახადის გადამხდელთა საკონსულტაციო მომსახურების სისტემა, შექმნილია ხელსაყრელი პირობები გადასახადის გადამხდელთა მომსახურების პუნქტებში, მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურების ერთიანი ქსელი. ხორციელდება რეგულარული სოციოლოგიური გამოკვლევები მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით.

**ზვიად როგავა
მიხეილ სხიერელი**

**საზღვარგარეთის ქვეყნების
საბაღასახადო სისტემები**

**ZVIAD ROGAVA
MIKHEIL SKHIERELI**

**TAX SYSTEMS OF FOREIGN
STATES**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მერი დაუშვილი
ირმა კულიაშვილი